

სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: <http://www.supremecourt.ge/court-decisions/>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
სამოქალაქო საქმეებზე

2019, №8

Decisions of the Supreme Court of Georgia
on Civil Cases
(in Georgian)

2019, №8

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien
in Zivilsachen
(in der georgischen Sprache)

2019, №8

Решения Верховного Суда Грузии
по гражданским делам
(на грузинском языке)

2019, №8

გადაწყვეტილებების შერჩევასა და დამუშავებაზე პასუხისმგებელი

ბიორგი ჭყონიკა

ტექნიკური რედაქტორი

მარიკა მაღალაშვილი

რედაქციის მისამართი:

0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6, ტელ: 299 04 18;
www.supremecourt.ge

ჟურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მხარდაჭერით

სარჩევი

| | |
|---|---------|
| 1. გარიგების ბათილობა | |
| მართლსაწინააღმდეგო და ამორალური გარიგებანი | 4 |
| მართლსაწინააღმდეგო და ამორალური გარიგებანი; ფორმის დაუცველად დადებული გარიგება | 17 |
| გარიგების ბათილობა გავლენის ბოროტად გამოყენების გამო; იძულებით დადებული გარიგებანი | 45 |
| მოჩვენებითი და თვალთმაქცური გარიგებანი | 69; 100 |
| მოტყუებით დადებული გარიგებანი | 122 |
| 2. ხანდაზმულობა | |
| ხანდაზმულობის ვადის დაწყება | 136 |
| ხანდაზმულობის ვადის დაწყება; ვალდებული პირის უფლება | |
| ხანდაზმულობის ვადის გასვლისას | 153 |
| ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტა | 164 |

1. გარიგების ბათილობა

მართლსაწინააღმდეგო და ამორალური გარიგებანი

განჩინება საქართველოს სასჯელით

№ას-208-197-2017

26 ოქტომბერი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ბ. ალავიძე,
ე. გასიტაშვილი

დავის საგანი: დავალიანების რესტრუქტურის შესახებ
გაფორმებული ხელშეკრულებით და მოხმარებული ელექტროენერ-
გიის გადაუხდელობით წარმოშობილი დავალიანების გადახდა

აღწერილობითი ნაწილი:

სასარჩელო მოთხოვნა:

1. სს „თ-მა“ (შემდგომში – მოსარჩელე) სარჩელი აღძრა სასა-
მართლოში მ. კ-ის (შემდგომში – მოპასუხე) მიმართ მიმდინარე სა-
აბონენტო და დავალიანების რესტრუქტურის შესახებ ხელ-
შეკრულებიდან გამომდინარე დავალიანების – 8 333.20 ლარის ანაზ-
ღაურების შესახებ.

სარჩელის საფუძვლები:

2. მოსარჩელის განმარტებით, 2012 წლის 17 სექტემბერს მხა-
რეთა შორის დაიდო დავალიანების რესტრუქტურის შესახებ
ხელშეკრულება, რომლის თანახმად მოპასუხეს სს „თ-ის“ მიმართ
არსებული დავალიანება 7 515.15 ლარი გადაუნაწილდა 120 თვეზე.
ყოველთვიური გადასახდელი მინიმალური პორცია განისაზღვრა
62.63 ლარით, მიუხედავად ხელშეკრულების არსებობისა, მოპასუ-
ხეს მოსარჩელის მიმართ დავალიანება არ დაუფარავს.

3. მოსარჩელე ამარაგებს აბონენტს ელექტროენერგიით და იგი
ვალდებულია, გადაიხადოს მოხმარებული ელექტროენერგიის სა-
ფასური. მოსარჩელე და მოპასუხე იმყოფებიან სახელშეკრულებო
ურთიერთობაში. სარჩელის წარდგენის მომენტისათვის მოპასუ-
ხეს (აბონენტის №...) გააჩნია დავალიანება 8 333.20 ლარის ოდენო-
ბით, საიდანაც მიმდინარე ელექტროენერგიის გადაუხდელობით
წარმოშობილი დავალიანებაა 2 947.47 ლარი, ხოლო ვალის რესტრუქ-
ტურის შესახებ გაფორმებული ხელშეკრულების გადაუხდე-

ლობით წარმოშობილი დავალიანება – 5 385.73 ლარი.

4. მოსარჩელის მითითებით, მხარეთა შორის გაფორმებული დავალიანების რესტრუქტურის რეგულირების ხელშეკრულების საფუძველზე, თუ მოვალე დაარღვევს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს კრედიტორი უფლებამოსილია, მოსთხოვოს მოვალეს დარჩენილი ვალის სრულად დაფარვა. ამასთან, მოპასუხემ აღიარა აღნიშნული დავალიანების არსებობა. იგი არ იხდის მიმდინარე დარიცხული ჩვენებით დაგროვილ ელექტროენერჯის გადასახადს, რამაც გამოიწვია დავალიანების გაზრდა.

მოპასუხის პოზიცია:

5. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და მიუთითა, რომ თავად იმ ბინის მესაკუთრეს არ წარმოადგენს, სადაც ფაქტობრივად ცხოვრობს. შესაბამისად, მოსარჩელე საზოგადოების აბონენტია ბინის მესაკუთრე. ამდენად, მოპასუხე, სადავო ვალდებულების შესრულებაზე უფლებამოსილი პირი არ არის.

6. მიუხედავად იმისა, რომ დავალიანების რესტრუქტურის შესახებ ხელშეკრულებაზე ხელი მოპასუხემ მოაწერა, დავალიანების აღიარება განხორციელებულია არაუფლებამოსილი პირის მიერ. ხელის მოწერისას მას არ ჰქონია მესაკუთრის წერილობითი თანხმობა ან მინდობილობა, რაც იმას ნიშნავს, რომ ვალის რესტრუქტურის რეგულირების შესახებ ხელშეკრულება ბათილია და უნდა გაუქმდეს.

7. მოპასუხემ ვალის აღიარება და გადანაწილება მოითხოვა იმ მიზეზით, რომ 11 შვილთან ერთად ვერ დარჩებოდა ელექტროენერჯის მიწოდების გარეშე, ხოლო მოსარჩელე სხვა გზით ელექტროენერჯიას არ მიაწვდიდა. რაც შეეხება დავალიანებას, რესტრუქტურის რეგულირების დავალიანება არ არის მოხმარებული მის მიერ და, შესაბამისად, უსაფუძვლოა მასზე თანხის დაკისრების მოთხოვნა იმ ელექტროენერჯიაზე, რაც მის მიერ არ ყოფილა გახარჯული.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

8. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 4 აპრილის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც მოსარჩელემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი და ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთება:

9. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 16 დეკემბრის გადაწყვეტილებით მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა ელექტროენერჯის მიმ-

დინარე დავალიანების გადახდა 2947,47 ლარის ოდენობით შემდეგ გარემოებათა გამო:

10. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მხარეთა შორის 2012 წლის 17 სექტემბერს გაფორმებული ვალის რესტრუქტურისაციის შესახებ ხელშეკრულება ბათილია მესამე პირის (მესაკუთრის) თანხმობის არარსებობის გამო.

11. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, სადავო არ არის ის გარემოება, რომ რესტრუქტურისაციის შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ელექტროენერჯის დავალიანება – 8 333,20 ლარი ერიცხება სხვა პირის სახელზე რეგისტრირებულ №... აბონენტს, ხოლო გამრიცხველიანებული უძრავი ქონების მესაკუთრე ლ. კ-ა (შემდგომში – მესაკუთრე).

12. საქმეში წარმოდგენილი დავალიანების რესტრუქტურისაციის შესახებ ხელშეკრულების პირობის თანახმად, მოვალე ვალდებული იყო კრედიტორისათვის (მოსარჩელისათვის) დამატებითი ინფორმაცია ან/და დოკუმენტები, მათ შორის, მესაკუთრის თანხმობა წარედგინა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ხელშეკრულების პირობის თანახმად, ხელშეკრულების მოქმედება შეწყდებოდა.

13. მოპასუხემ შესაგებელში მიუთითა ვალის რესტრუქტურისაციის შესახებ ხელშეკრულების ბათილობის საფუძვლებზე და განმარტა, რომ 2012 წლის 17 სექტემბერს გაფორმებულ ვალის რესტრუქტურისაციის შესახებ ხელშეკრულებას, მესამე პირის (მესაკუთრის) თანხმობის არარსებობის პირობებში, იურიდიული ძალა არ გააჩნდა.

14. სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ განსახილველ შემთხვევაში მესამე პირის (მესაკუთრის) თანხმობა, სსკ-ის 99-ე მუხლის პირველი ნაწილის მიზნებიდან გამომდინარე, რესტრუქტურისაციის შესახებ ხელშეკრულების ნამდვილობის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს. ასეთ შემთხვევაში, მესამე პირისაგან სავალდებულო თანხმობის გარეშე, დადებული გარიგება მონონებაუნარიანია, რომელიც მერყევად ბათილ გარიგებად კვალიფიცირდება. მერყევად ბათილი გარიგების დროს მხარეებს ხელშეკრულების პირობების შესრულების ვალდებულება არ წარმოეშობათ. მერყევი (დროებითი) მდგომარეობის დასასრული უკავშირდება მესამე პირის თანხმობას ან უარს. ამავე კოდექსის 101-ე მუხლით გათვალისწინებული თანხმობა, ანუ მონონება გარიგების დადების შემდეგ მიცემულ ნებართვას წარმოადგენს, რომლითაც გარიგების სამართლებრივი ნაკლი სწორდება, ხოლო გარიგების შემდგომ მონონებას უკუძალა აქვს და მონონებული გარიგება ნამდვილად ითვლება იმავე გარიგების დადების და არა მონონების მომენტიდან, რაც გულისხმობს, რომ გარიგების მონაწილეთა უფლება-მო-

ვალეობები – წარმოშობილად, ამავე უფლება-მოვალეობების შესაბამისად განხორციელებული მოქმედებები კი ნამდვილად გარეგების დადების მომენტიდან მიიჩნევა.

15. მოცემულ შემთხვევაში სადავო არ არის გარემოება, რომ ვალის რესტრუქტურისაციის შესახებ ხელშეკრულებაზე მესამე პირის (მესაკუთრის) თანხმობა (ანუ მონონება) წარმოდგენილი არ არის.

16. ამდენად, სააპელაციო პალატამ მხარეთა შორის 2012 წლის 17 სექტემბერს გაფორმებული რესტრუქტურისაციის შესახებ ხელშეკრულების შემთხვევაში საქმე გვაქვს მერყევად ბათილ გარიგებასთან, რა დროსაც მხარეებმა გარიგების ნამდვილობა მესამე პირის – მესაკუთრის თანხმობას დაუკავშირეს, ხოლო იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მოცემულ შემთხვევაში, მესამე პირის თანხმობა არ არსებობს (არ გაცემულა), სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ ხელშეკრულების პირობის თანახმად, მოპასუხე მოსარჩელესთან სახელშეკრულებო თვითბოჭვაში არ შესულა და შესაბამისად, მას არც დავალიანების გადახდის ვალდებულება არ წარმოშობია.

17. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ იმ შემთხვევაშიც, თუ სასამართლო გაიზიარებდა აპელანტის შედაგებას იმასთან დაკავშირებით, რომ სადავო გარიგება მესამე პირის (მესაკუთრის) თანხმობას არ საჭიროებდა, ვალის რესტრუქტურისაციის შესახებ ხელშეკრულება ბათილია.

18. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ი“ ქვეპუნქტის თანახმად, სს „თ-ი“, საქართველოს ელექტრომომარაგების ბაზარზე დომინირებულ ეკონომიკურ აგენტს წარმოადგენს და მას საშუალება აქვს კლიენტებისა და საბოლოო მომხმარებლებისაგან დამოუკიდებლად იმოქმედოს და ბაზარზე საქონლის მიმოქცევის საერთო პირობებზე არსებითი გავლენა მოახდინოს.

19. „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ეკონომიკური აგენტის მიერ დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება დაუშვებელია. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, კი დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებად შეიძლება ჩაითვალოს შესყიდვის ან გაყიდვის არასამართლიანი ფასების ან სხვა არასამართლიანი სავაჭრო პირობების პირდაპირ ან არაპირდაპირ დადგენა.

20. ვალის რესტრუქტურისაციის შესახებ ხელშეკრულების სამართლებრივი შეფასების მიზნით, სააპელაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა საქმეზე უდავოდ დადგენილ შემდეგ ფაქტობ-

რივ გარემოებებზე:

21. საქმეში წარმოდგენილი №... აბონენტის ბრუნვის ისტორიის თანახმად, რესტრუქტურული ზეგბული დავალიანება დაგროვილია 13 წლის განმავლობაში და იგი მოიცავს 1999 წლის 21 სექტემბრიდან 2012 წლის 17 სექტემბრამდე პერიოდს.

22. მოპასუხე არც სადავო აბონენტია და არც გამრიცხველიანებული ბინის მესაკუთრე. დღესაც №... აბონენტი სხვა პირის სახელზეა აღრიცხული, ასევე, სხვა პირია უძრავი ქონების მესაკუთრე.

23. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ შესაგებელში მოპასუხემ რესტრუქტურულიზაციის შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებული დავალიანებული ელექტროენერჯის მის მიერ მოხმარების ფაქტი უარყო და განმარტა, რომ ვალი აღიარა და დავალიანების გადანაწილების შესახებ ხელშეკრულებას ხელი მოაწერა მხოლოდ იმიტომ, რომ გადანაწილების დროს 11 შვილთან ერთად უშუქო ბინაში ცხოვრობდა და, თუ ხელშეკრულების აღნიშნულ პირობას არ დაეთანხმებოდა, მოსარჩელე მას ელექტროენერჯიას არ მიაწვდიდა.

24. სააპელაციო პალატამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მოსარჩელის მიერ არც ერთი ზემოაღნიშნული გარემოება შედავებული არ არის და არც რაიმე საპირისპირო მტკიცებულება საქმეში არ წარმოდგენილა. ასეთ ვითარებაში კი სააპელაციო პალატამ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდგომში – სსსკ) მე-4, 102-ე, 103-ე და 105-ე მუხლების შესაბამისად, დადასტურებულად მიიჩნია ის გარემოება, რომ მოპასუხეს, როგორც მომხმარებელს, მოსარჩელისაგან (ბაზარზე დომინირებული მდგომარეობის მქონე მიმწოდებლისაგან) წარედგინა ელექტროენერჯის შესყიდვის არასამართლიანი სავაჭრო პირობა, რაც სხვა სუბიექტის მიერ მრავალი წლის განმავლობაში გახარჯული ელექტროენერჯის დავალიანების აღიარებასა და გადახდის ვალდებულების დაკისრებაში გამოიხატა. ამდენად, მოპასუხე საარსებოდ აუცილებელი საყოფაცხოვრებო პირობის (ელექტროენერჯის) მიღების მიზნით, სახელშეკრულებო თავისუფლებისა და ნების თავისუფალი გამოვლენის შეზღუდვით, არასამართლიან სავაჭრო პირობაზე – სხვისი ვალის აღიარებისა და რესტრუქტურულიზაციის შესახებ ხელშეკრულებაზე დათანხმება მოუხდა, რაც სააპელაციო პალატის მოსაზრებით, „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების შემადგენლობას გვაძლევს და, ამავე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, დაუშვებელია.

25. სსკ-ის 54-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო პალატამ მიიჩ-

ნია, რომ მხარეთა შორის 2012 წლის 17 სექტემბერს გაფორმებული ვალის რესტრუქტურის შესახებ ხელშეკრულება, გარდა პალატის მიერ 4.2. პუნქტში განვითარებული მსჯელობისა, ბათილია ასევე, „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი ნაწილის, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტისა და სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი საფუძვლებით და შესაბამისად, იგი მოპასუხის მიმართ მოთხოვნის უფლებას ვერ წარმოშობს.

26. სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ სსსკ-ი ადგენს დისპოზიციურობის პრინციპს, რომელიც მხარეს ანიჭებს უფლებას, თავისუფლად განკარგოს თავისი მატერიალური და საპროცესო უფლებები. სსსკ-ის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მოსარჩელეს შეუძლია უარი თქვას სარჩელზე, ხოლო მოპასუხეს – ცნოს სარჩელი. მოპასუხის მიერ სარჩელის ცნობა წარმოადგენს დისპოზიციურობის პრინციპის კონკრეტულ გამოვლინებას, კერძოდ, მოპასუხის მიერ თავისი მატერიალურ-სამართლებრივი უფლების განკარგვის აქტს. ამავე კოდექსის 131-ე მუხლის მიხედვით, კი, მხარის მიერ ისეთი გარემოების არსებობის ან არარსებობის დადასტურება (აღიარება), რომელზედაც მეორე მხარე ამყარებს თავის მოთხოვნებსა თუ შესაგებელს, სასამართლომ შეიძლება საკმარის მტკიცებულებად ჩათვალოს და საფუძვლად დაუდოს სასამართლო გადაწყვეტილებას, ხოლო 208-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სარჩელის ცნობა მისი დაკმაყოფილების საფუძველია.

27. მოცემულ შემთხვევაში, საქმის სააპელაციო წესით განხილვისას მოპასუხე მხარემ აღიარა ვალის რესტრუქტურის შესახებ ხელშეკრულების შემდგომ პერიოდში ელექტროენერჯის მოხმარების ფაქტი და მოსარჩელის მიმართ ელექტროენერჯის მიმდინარე დავალიანების – 2947,47 ლარის ოდენობით არსებობა (იხ.: თბილისის სააპელაციო სასამართლოს 28.11.2016 წლის სხდომის ოქმი), რაც სარჩელის ამ ნაწილში დაკმაყოფილების საკმარისი წინაპირობაა.

კასატორის მოთხოვნა და საფუძვლები:

28. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე მოსარჩელემ შეიტანა საკასაციო საჩივარი, მოითხოვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში მისი გაუქმება და რესტრუქტურის შესახებ ხელშეკრულებით გადანაწილებული დავალიანების – 5385,73 ლარის მოპასუხისათვის დაკისრება შემდეგი საფუძველით:

29. კასატორმა მიიჩნია, რომ არსებობს გასაჩივრებული გადანაწილების გაუქმების სსსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ და „ე“ ქვეპუნ-

ქტებით გათვალისწინებული აბსოლუტური საფუძვლები. სსკ-ის 102-ე მუხლის პირველ და მესამე ნაწილებზე, ასევე, 105-ე მუხლის მეორე ნაწილზე მითითებით მხარემ აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოებები, რის გამოც გასაჩივრებული გადაწყვეტილება უკანონო და დაუსაბუთებელია.

30. სააპელაციო პალატამ არ შეამოწმა და არ შეაფასა სარჩელსა და ახსნა-განმარტებაში წარმოდგენილი საფუძვლიანი პრეტენზიები და არგუმენტები ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით, არასწორად შეაფასა სასარჩელო მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლები და არ გამოიკვლია საქმეში არსებული მტკიცებულებები, ასევე, არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა.

31. კასატორმა მიუთითა საქმეში არსებულ 2012 წლის 17 სექტემბრის განცხადება-ხელშეკრულებაზე, რომლის მიხედვითაც დადგენილია, რომ 2012 წლის 17 სექტემბერს მოწინააღმდეგე მხარემ განცხადებით მიმართა კასატორს და მოითხოვა აბონენტის №... ბარათზე არსებული დავალიანების გადანაწილება, იმ მოტივით, რომ ეს დავალიანება მოხმარებული იყო მის მიერ და წარადგინა პირადობის მოწმობა, რომლითაც დგინდებოდა ზემოაღნიშნულ მისამართზე მისი რეგისტრაცია. აქედან გამომდინარე, მხარეებს შორის დაიდო დავალიანების რესტრუქტურისაზიის ხელშეკრულება, რომლითაც №... აბონენტის დავალიანება – 7515 ლარი გადანაწილდა 120 თვეზე, ყოველთვიური გადასახდელი მინიმალური პორციის – 62,63 ლარის ოდენობით.

32. აბონენტის №... ბრუნვის ისტორიით დასტურდება, რომ მოპასუხემ 2012 წლის ოქტომბერში ხელშეკრულების დადების შემდგომ მის მიერ გადახდილ იქნა როგორც მიმდინარე დავალიანება, ასევე, რესტრუქტურისაზიის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პორცია, რითაც მხარემ დაადასტურა ხელშეკრულების ნამდვილობა (მოწმობა) და ამით დაკარგა შეცილების უფლება.

33. სსკ-ის 317-ე და 341-ე მუხლების, 361-ე მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე კასატორმა განმარტა, რომ ვალის აღიარების ხელშეკრულება წარმოადგენს ცალმხრივ და აბსტრაქტულ ხელშეკრულებას, რომლითაც ერთი მხარე მეორე მხარის სასარგებლოდ დამოუკიდებლად კისრულობს გარკვეულ შესრულებას. იგი დამოუკიდებელია ძირითადი ვალდებულებითი ურთიერთობისგან და მისი მიზანი არ არის, ძირითადი ვალდებულებიდან გამომდინარე, შესრულების მოთხოვნა. ამასთან, კასატორმა მიუთითა, რომ აღნიშნული ხელშეკრულების დადებისას სსკ-ის 327-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების თანახმად, მხარეები უნდა შეთანხმდნენ

ხელშეკრულების არსებით პირობებზე, რაც განსახილველ შემთხვევაში მხარეთა მიერ განხორციელდა. შესაბამისად, ვალის არსებობის აღიარება ძირითადი ვალდებულებითი ურთიერთობის არსებობის სადავოობის შემთხვევაშიც შესრულების ვალდებულებას წარმოშობს და კრედიტორს მოთხოვნის უფლებას ანიჭებს. იგი იმით განსხვავდება ნებისმიერი სხვა ფორმით გათვალისწინებული აღიარებისაგან, რომ იგი ხელახალი ხელშეკრულებაა და არა სხვა სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში ნების გამოვლენა. მოცემული ხელშეკრულების ნამდვილად მიჩნევისათვის აუცილებელია ნების გამოვლენიდან ნათლად იკვეთებოდეს, რომ ვალის აღიარებელს გააჩნია კრედიტორის ვალი და ასეთი ნების გამოვლენა ერთმნიშვნელოვნად უნდა მიუთითებდეს ვალის არსებობაზე.

34. კასატორის განმარტებით, განსახილველ შემთხვევაში მასა და მონინალმდეგე მხარეს შორის დაიდო დავალიანების რესტრუქტურისაგან განსხვავებული ხელშეკრულება, რომელიც თავისი სამართლებრივი ბუნებით წარმოადგენს ვალის აღიარებას. აღნიშნული ხელშეკრულებით მონინალმდეგე მხარემ იკისრა კასატორისათვის მის მიერ მიწოდებული ელექტროენერჯის საფასურის გადახდის ვალდებულება. შესაბამისად, დადგინდა მხარეთა შეთანხმება ხელშეკრულების საგანზე, ასევე, განისაზღვრა მხარეთა უფლება-მოვალეობები, თანხის ოდენობა და შესრულების ვადა.

35. კასატორმა არ გაიზიარა სასამართლოს მსჯელობა იმის თაობაზე, რომ ხელშეკრულების დადებისას საჭირო იყო მესამე პირის (აბონენტის ან უძრავი ქონების მესაკუთრის) თანხმობა (მონონება), ვინაიდან, საქმეში არსებული მტკიცებულებებით – მონინალმდეგე მხარის პირადობის მოწმობის ასლით და ცესკოს მონაცემთა ერთიანი ბაზიდან ამონაწერით დადგენილია, რომ მონინალმდეგე მხარე 2000 წლიდან რეგისტრირებულია და ფაქტობრივად ცხოვრობს კასატორის №... სააბონენტო მისამართზე და წარმოადგენს კასატორის მიერ მიწოდებული ელექტროენერჯის მომხმარებელს, რომელმაც კასატორთან გაცხადებით მიმართვის საფუძველზე დადო რესტრუქტურისაგან განსხვავებული ხელშეკრულება და მას კარგად ჰქონდა გაცნობიერებული თუ რა ვალდებულება იკისრა.

36. კასატორმა აღნიშნა, რომ ზემოაღნიშნული აბონენტის ბრუნვის ისტორიით დასტურდება, რომ მონინალმდეგე მხარემ 2012 წლის ოქტომბერში გადაიხადა როგორც მიმდინარე დავალიანება, ასევე, რესტრუქტურისაგან განსხვავებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული პორცია, რითაც მხარემ დაადასტურა ხელშეკრულების ნამდვილობა (მონონება) და ამით მან დაკარგა შეცილების უფლება.

37. კასატორმა მიუთითა საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის

18 სექტემბრის №20 დადგენილების მე-3 მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის თანახმად ელექტროენერგიის ნასყიდობის ხელშეკრულებით, გამყიდველი კისრულობს ვალდებულებას, მიაწოდოს მყიდველს ელექტროენერგია მოქმედი კანონმდებლობით, ამ წესებითა და ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების დაცვით, ხოლო მყიდველი კისრულობს ვალდებულებას, გადაიხადოს მიღებული ელექტროენერგიის საფასური და დაიცვას მოქმედი კანონმდებლობით, ამ წესებითა და ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობები.

38. კასატორმა ასევე იხელმძღვანელა ამავე დადგენილების მე-4 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით, რომელთა მიხედვით პირმა, რომელსაც სურს მიიღოს და მოიხმაროს ელექტროენერგია, აბონენტად რეგისტრაციის მიზნით, განაცხადით უნდა მიმართოს შესაბამის გადანაწილების ლიცენზიატს. საცხოვრებელი ბინის, საწარმოს ან სხვა ობიექტის მესაკუთრის შეცვლის შემთხვევაში ახალი მესაკუთრე ვალდებულია, საკუთრების დამადასტურებელ დოკუმენტაციასთან ერთად დაუყოვნებლივ წარადგინოს ამ მუხლით გათვალისწინებული განაცხადი შესაბამის გადანაწილების ლიცენზიატთან.

39. დასახელებული დანაწესიდან გამომდინარე, კასატორმა განმარტა, რომ იგი ელექტროენერგიის მომხმარებლის განაცხადის გარეშე ვერ მოახდენდა რეგისტრირებული აბონენტის მონაცემებში ცვლილების შეტანას, შესაბამისად, რესტრუქტურისა და ცვლილების მოპასუხეს მიეთითა, რომ მესაკუთრის ან ელექტროენერგიის მომხმარებელი პირის ცვლილებისა და ასეთის საჭიროების შემთხვევაში წარმოედგინა დოკუმენტები, რაზეც ხელშეკრულებაში ვადა მითითებული არ არის.

40. კასატორის განმარტებით, იმ შემთხვევაშიც, თუ მოწინააღმდეგე მხარე არ წარმოადგენდა მინოდებული ელექტროენერგიის მომხმარებელს, კასატორი მაინც უფლებამოსილი იქნებოდა, მისთვის მოეთხოვა დავალიანების გადახდა სსკ-ის 203-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით. ვალის გადაკისრება წარმოადგენს სამოქალაქოსამართლებრივ ურთიერთობებში მოვალის შეცვლას და ვინაიდან, მისი პიროვნება, როგორც წესი, მნიშვნელოვანია კრედიტორისათვის, ამგვარი ჩანაცვლება შესაძლებელია მხოლოდ ამ უკანასკნელის თანხმობით. განსახილველ შემთხვევაში კი, კასატორის აზრით, იგი უფლებამოსილია, მოწინააღმდეგე მხარისაგან მოითხოვოს ნაკისრი ვალდებულების შესრულება.

41. კასატორმა ასევე არ გაიზიარა სასამართლოს მსჯელობა იმასთან დაკავშირებით, რომ კასატორმა დაარღვია „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მოთხოვნები,

ვინაიდან, საქმის მასალებით არ დასტურდება კასატორის მიერ შესყიდვის ან გაყიდვის უსამართლო ფასების ან სხვა უსამართლო სავაჭრო პირობების პირდაპირ ან არაპირდაპირ დადგენა, რადგან თვითონ მონინალმდეგე მხარემ მიმართა მას დავალიანების რესტრუქტურისა და ხელშეკრულების დადების მოთხოვნით.

42. საკასაციო საჩივრის ავტორმა მიუთითა საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 18 სექტემბრის №20 დადგენილების მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად განაწილების ლიცენზიატი უფლებამოსილია, კანონმდებლობისა და ამ წესებში მოცემული ნორმების დაცვით შეწყვიტოს მომხმარებლის ელექტროენერჯით მომარაგება, თუ მომხმარებლის მიერ არ არის გადახდილი ელექტროენერჯის ან/და გამანაწილებელ ქსელზე ახალი მომხმარებლის მიერთების, სიმძლავრის გაზრდის, დარიცხული დეპოზიტის ან/და ამ წესებით გათვალისწინებული სხვა სახის საფასური.

43. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 23 თებერვლის განჩინებით მოსარჩელის საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლით და ამავე კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად. ამავე სასამართლოს 2017 წლის 10 ივლისის განჩინებით საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად.

სამოტივაციო ნაწილი:

44. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლები, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთება და მიაჩნია, რომ მოსარჩელის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინება უნდა დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

45. მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანს წარმოადგენს ადრე მოხმარებული ელექტროენერჯის გადაუხდელი ღირებულების ანაზღაურების მიზნით, ელექტროენერჯის მიმწოდებელსა და მომხმარებელს შორის გაფორმებული ხელშეკრულების – ვალის აღიარების კანონიერება. მიმდინარე დავალიანების – 2947,47 ლარის ანაზღაურების ნაწილში სარჩელი დაკმაყოფილებულია და ამ ნაწილში გადანყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში.

46. სსსკ-ის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი

გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

47. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემულ საკასაციო საჩივარში წარმოდგენილი სამართლებრივი არგუმენტების შესაფასებლად მნიშვნელოვანია სააპელაციო პალატის მიერ წინამდებარე საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შესწავლა, კერძოდ, გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დგინდება, რომ რესტრუქტურისაციის შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ელექტროენერჯის დავალიანებაა – 5385,73 ლარი. მოპასუხე სადავო აბონენტი და გამრიცხველიანებული ბინის მესაკუთრე არ არის. დღესაც №... აბონენტი სხვა პირის სახელზეა აღრიცხული, ასევე, სხვა პირია უძრავი ქონების მესაკუთრე.

48. საქმეში წარმოდგენილი №... აბონენტის ბრუნვის ისტორიის თანახმად, რესტრუქტურისებული დავალიანება დაგროვილია 13 წლის განმავლობაში და იგი მოიცავს 1999 წლის 21 სექტემბრიდან 2012 წლის 17 სექტემბრამდე პერიოდს.

49. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ შესაგებელში მოპასუხემ რესტრუქტურისაციის შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებული დავალიანებული ელექტროენერჯის მის მიერ მოხმარების ფაქტი უარყო და განმარტა, რომ ვალი აღიარა და დავალიანების გადანაწილების შესახებ ხელშეკრულებას ხელი მოაწერა მხოლოდ იმიტომ, რომ გადანაწილების დროს 11 შვილთან ერთად უშუალო ბინაში ცხოვრობდა და, თუ ხელშეკრულების აღნიშნულ პირობას არ დაეთანხმებოდა, მოსარჩელე მას ელექტროენერჯიას არ მიაწვდიდა.

50. მოსარჩელის მიერ არც ერთი ზემოაღნიშნული გარემოება შედავებული არ არის და არც რაიმე საპირისპირო მტკიცებულება საქმეში არ წარმოდგენილა.

51. საკასაციო სასამართლო მხოლოდ ნაწილობრივ იზიარებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივ დასაბუთებას და განმარტავს, რომ მოცემული დავის გადაწყვეტისათვის მოხმობილ უნდა იქნეს სსკ-ის 54-ე მუხლი, რომლის თანახმად ბათილია გარიგება, რომელიც არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს, ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს ან ზნეობის ნორმებს.

52. ზემოთ მითითებული ნორმის თანახმად, არ შეიძლება ნამდვილი იყოს მხარეთა მიერ გამოვლენილი ნება, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონით დადგენილ წესებს, საჯარო წესრიგს ან ზნეობრივ ნორმებს.

53. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამართლებრივ სახელმნიფოში მართლწესრიგის არსებობას უზრუნველყოფს, როგორც

კანონი, ასევე, მორალური ქცევის სტანდარტი, შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში კერძო ავტონომიისა და თავისუფალი კონტრაქტების პრინციპი მოქმედებს, გარიგება, რომელიც საზოგადოებაში „საყოველთაოდ მიღებულ ქცევის სტანდარტს“ ეწინააღმდეგება, ამორალურ გარიგებად მიიჩნევა და ბათილობის სამართლებრივ შედეგებს უკავშირდება. სსკ-ის 54-ე მუხლის საკანონმდებლო დანაწესის მიზანს სწორედ იმგვარი გარიგებების თავიდან აცილება წარმოადგენს, რომლებიც ფორმალურად კანონსაწინააღმდეგო არ არის, თუმცა, თავისი არსით, საზოგადოებრივ მართლწესრიგს არღვევს და სამოქალაქო ბრუნვის სუბიექტთა თანაცხოვრებას აუარესებს, რაც შედეგობრივად, სამოქალაქო ბრუნვას აფერხებს.

54. ამდენად, გარიგების ბათილობისას უნდა არსებობდეს ამ ნორმის რომელიმე კომპონენტის დარღვევით დადებული ხელშეკრულება (სუსგ 1.03.2016წ. საქმე №ას-15-15-2016, 28.02.2018წ. საქმე №ას-28-25-2017, 10.11.2017წ. საქმე №ას-1106-1026-2017, 14.07.2014წ. საქმე №ას-375-352-2014).

55. სააპელაციო პალატამ მართებულად მიიჩნია, რომ მოპასუხე, რომელიც მოსარჩელე კომპანიის მიერ შეთავაზებული პროდუქტის მომხმარებელია, სადავო გარიგების დადებისას არათანაბარ მდგომარეობაში აღმოჩნდა. გადაუხდელი ხანდაზმული დავალიანების რესტრუქტურისაციის ხელშეკრულების დადების თაობაზე გამოვლენილი ნების შეფასებისას მნიშვნელოვანია იმ ფაქტორების მხედველობაში მიღება, რამაც მოპასუხის მიერ გამოვლენილი ნების თავისუფლების შეზღუდვა გამოიწვია, კერძოდ, მხარე აღმოჩნდა არჩევანის წინაშე, გაეფორმებინა ხელშეკრულება მოსარჩელესთან, თუ ოჯახთან ერთად დარჩენილიყო ელექტროენერჯის გარეშე, რაც არსებობისათვის მეტად მძიმე კომუნალურ პირობებს უქადდა (სუსგ 29.06.2018წ. საქმე №ას-641-641-2018).

56. ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მხარეებს შორის 2012 წლამდე დავალიანების აღიარების შესახებ ხელშეკრულება წარმოადგენს არა მერყევად ბათილ გარიგებას, როგორც ეს სააპელაციო პალატამ შეაფასა, არამედ ამგვარი ნების გამოვლენის შედეგად დადებული გარიგება უცილოდ ბათილია, როგორც ზნეობის საწინააღმდეგო გარიგება.

57. ამდენად, სადავო რესტრუქტურისაციის ხელშეკრულება მართებულად იქნა ცნობილი ბათილ გარიგებად, რომელიც მოპასუხის მხრიდან შეცილებას არ საჭიროებდა. აღნიშნულ მსჯელობაზე გავლენას ვერ მოახდენს კასატორის მითითება, რომ მოპასუხემ არა მხოლოდ აღიარა სადავო დავალიანება, არამედ დაიწყო მისი გადახდა, რითაც დაადასტურა ხელშეკრულების ნამდვილობა

და შეცილების უფლება დაკარგა.

58. გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების წინაპირობა ვერ გახდება კასატორის მოსაზრება ვერც სსკ-ის 203-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ვალის გადაკისრების თაობაზე. კანონის მითითებული დანაწესი სადავო ურთიერთობის მომწესრიგებელ ნორმად ვერ შეფასდება, ვინაიდან აღნიშნულ ნორმამი საუბარია მოვალის ვალდებულებების მესამე პირისათვის გადაცემაზე. განსახილველ დავაში კი მსგავსი ფაქტობრივი მოცემულობა არ არსებობს.

59. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას, ამდენად, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილებით წინამდებარე დავის მიმართ სწორი სამართლებრივი შედეგი დადგინდა, შესაბამისად, მისი გაუქმების საფუძვლის არსებობა მხარემ ვერ დაასაბუთა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სა-
მოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტით
და

და ა დ გ ი ნ ა :

1. სს „თ.“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 16 დეკემბრის გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად.
3. სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

მართლსაწინააღმდეგო და ამორალური გარიგებანი;

წმინდის დაუცველად დაღუპული გარიგება

განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ას-985-2018

17 იანვარი, 2019 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ე. გასიტაშვილი,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: ვალდებულების არ არსებობის აღიარება, იპო-
თეკის ხელშეკრულების გაუქმება, (ძირითად სარჩელში), იპოთე-
კის საგნის მესაკუთრედ ცნობა (შეგებებულ სარჩელში)

აღწერილობითი ნაწილი:

სასარჩელო მოთხოვნა:

1. ამხანაგობა „გ. უ.“ (შემდგომ – ამხანაგობა), რომლის წევრე-
ბიც არიან: რ. ნ-ი, დ. ქ-ე, ე-ე, ე-ა, ვ. გ-ე, ლ. ა-ე, ო-ე, მ. ხ-ი, ს. ა-ი, ქ.
ჭ-ი, ზ. გ-ე, გ. მ-ა, ქ. უ-ი (შემდგომ – აპელანტი მოსარჩელეები), მ. კ-
ი (შემდგომ – მოსარჩელეები) სარჩელი აღძრა სასამართლოში გ. ქ-
ის, თ. ქ-ისა და ს. ა-ის (შემდგომ – მოპასუხეები, შეგებებული სარ-
ჩელის ავტორები) მიმართ და მოითხოვეს, ნაწილობრივ გაუქმდეს
2008 წლის 3 ივლისის იპოთეკის ხელშეკრულება მოსარჩელეთა ნა-
წილში, უფლებრივი დატვირთვისაგან გათავისუფლდეს ამხანაგო-
ბის სახელზე რეგისტრირებული ქ-ში, ღ-ის ქ. №...-ში მდებარე უძ-
რავი ქონება (შემდგომ – სადავო ქონება).

სარჩელის საფუძვლები:

2. მოსარჩელის განმარტებით, 2008 წლის 3 ივლისს ქ. ა-ს, ი. ლ-ს,
გ. ქ-ს, ს. ა-სა და თ. ქ-ს შორის დაიდო სესხისა და იპოთეკის ხელ-
შეკრულება, რომლის მიხედვითაც, ი. ლ-მა ქ. ა-ს სესხის სახით გა-
დასცა 13 000 აშშ დოლარი, გ. ქ-მა – 11 000 აშშ დოლარი, ს. ა-მა –
5000 აშშ დოლარი, ხოლო თ. ქ-მა – 6000 აშშ დოლარი. სესხის ხელ-
შეკრულების ვადად განისაზღვრა სამი თვე. სესხის უზრუნველ-
ყოფის მიზნით, იპოთეკით დაიტვირთა ამხანაგობის სახელზე რიც-
ხული სადავო უძრავი ქონება, რაც განხორცილდა უკანონოდ.

3. მოსარჩელემ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექ-
სის (შემდგომ – სსკ) 934-ე მუხლის მესამე ნაწილით, ამხანაგობის

დაფუძნების ხელშეკრულების მე-5 და მე-6 მუხლებით, რომლის შესაბამისად დამფუძნებლები შეთანხმდნენ, რომ ამხანაგობას გაუძღვება თავმჯდომარე და თავმჯდომარედ არჩეული იქნა ქ. ა-ი, რომელსაც მიეცა უფლებამოსილება, წარმოადგინოს ამხანაგობა მესამე პირებთან ურთიერთობაში და სასამართლოში. ქ. ა-ს (შემდგომ – თავმჯდომარე) სადამფუძნებლო ხელშეკრულებით მიენიჭა მხოლოდ ამხანაგობის სახელით სესხისა და კრედიტის აღების უფლება და არა ამხანაგობის შენატანების იპოთეკით დატვირთვის უფლება.

4. აღნიშნული თანხა თავმჯდომარემ მიიღო, როგორც ფიზიკურმა პირმა და არა როგორც ამხანაგობის თავმჯდომარემ. შესაბამისად, მას აღნიშნული თანხა ამხანაგობის მიზნებისათვის არ გამოუყენებია, რის გამოც იგი მიეცა სისხლის სამართლის პასუხისგებაში.

5. მოპასუხეებმა მიმართეს იურიდიულ კომპანია და 2008 წლის 29 დეკემბერს „საქართველოს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის“ სახელით მიღებულ იქნა გადაწყვეტილება მოსარჩელეთა საარბიტრაჟო პრეტენზიაზე, რომლითაც ამხანაგობას დაეკისრა გადასახდელო: 1) გ. ქ-ის სასარგებლოდ – 11 000 აშშ დოლარი – ძირითადი თანხა, 22 აშშ დოლარი პირგასამტეხლო 2008 წლის 4 ოქტომბრიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე და 361,80 ლარი; 2) ს. ა-ის სასარგებლოდ – 5000 აშშ დოლარი ძირითადი თანხა, 10 აშშ დოლარი პირგასამტეხლო 2008 წლის 4 ოქტომბრიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე და 177 ლარი; 3) თ. ქ-ის სასარგებლოდ 6000 აშშ დოლარი ძირითადი თანხა, 12 აშშ დოლარი პირგასამტეხლო 2008 წლის 4 ოქტომბრიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე და 197,30 ლარი

6. აღნიშნული გადაწყვეტილების საფუძველზე გაიცა 2009 წლის 15 იანვრის №0-.... სააღსრულებო ფურცელი. აღსრულების ეროვნულ ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროში დაინყო აღსრულება და მოთხოვნილ იქნა იპოთეკით დატვირთული, ამხანაგობის საკუთრებაში რიცხული უძრავი ქონების საჯარო აუქციონზე რეალიზაცია (საქმე №0-).

7. ზემოაღნიშნულ უძრავ ქონებაზე, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, საჯარო აუქციონი გამოცხადდა სამჯერ, თუმცა აუქციონი დამთავრდა უშედეგოდ და უძრავი ქონების რეალიზაცია არ მოხდა. რის გამოც, მითითებული კანონის 75-ე მუხლის მე-8 პუნქტის საფუძველზე აღნიშნული ქონება გათავისუფლდა იძულებითი რეალიზაციის განმახორციელებელი კრედიტორის სასარგებლოდ დადებული ყადაღისაგან და სააღსრულებო ფურცელი გადაეცა არქივის სამსახურს.

8. 2008 წლის 3 ივლისის სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე მოპასუხეებს დაკარგული აქვთ მოთხოვნის უფლება ამხანაგობის საკუთრებაში რიცხულ უძრავ ქონებაზე.

მოპასუხეებისა და შეგებებული სარჩელის ავტორთა მოთხოვნა და პოზიცია:

9. მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს და მიუთითეს, რომ იპოთეკის ხელშეკრულების გაუქმების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს. სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, დავა განხილულია არბიტრაჟის მიერ, მიღებულია გადაწყვეტილება, რომლითაც ამხანაგობას დაეკისრა დავალიანების დაფარვა და საარბიტრაჟო გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში. სესხის გადახდის მიზნით, მოპასუხეებმა აუქციონზე გაიტანეს ამხანაგობის კუთვნილი ქონება, რომლის რეალიზაციაც არ მოხდა, თუმცა მათ არ დაუკარგავთ სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის მოთხოვნის უფლება. სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების მე-13 პუნქტის თანახმად, ასევე, არ დაუკარგავთ მოთხოვნის უფლება ამხანაგობის საკუთრებაში არსებულ ქონებაზე მესაკუთრედ ცნობის შესახებ.

10. მოპასუხეებმა შეგებებული სარჩელი აღძრეს მოსარჩელეების მიმართ იპოთეკის საგნის მესაკუთრედ ცნობის თაობაზე და განმარტეს, რომ 2008 წლის 3 ივლისის სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების მე-13 პუნქტის თანახმად, თუ იპოთეკის საგანი ვერ გაიყიდება აუქციონზე, იპოთეკარი უფლებამოსილია, მოითხოვოს იპოთეკის საგნის თავის საკუთრებაში გადასვლა. ამდენად, უშედეგოდ ჩატარებული აუქციონისა და ხელშეკრულების მე-13 პუნქტის საფუძველზე შეგებებული სარჩელის ავტორები ითხოვენ იპოთეკის საგნის მესაკუთრედ ცნობას.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

11. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილებით ძირითადი სარჩელი არ დაკმაყოფილდა, შეგებებული სარჩელი იპოთეკის საგნის მესაკუთრედ ცნობის შესახებ დაკმაყოფილდა, „საქართველოს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის“ 2008 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-2 პუნქტით ამხანაგობისათვის მოპასუხეების სასარგებლოდ დაკისრებული თანხის სანაცვლოდ, ამხანაგობის საკუთრებაში არსებული იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთი (ნაკვ 1-) 158/194 ნაწილი თანასაკუთრებაში გადაეცეთ მოპასუხეებს, რაც აპელანტმა მოსარჩელეებმა გაასაჩივრეს სააპელაციო წესით.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო

ნაწილი და ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთება:

12. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 14 მაისის გადაწყვეტილებით აპელანტი მოსარჩილეების სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და ძირითადი სარჩელი დაკმაყოფილდა, გაუქმდა 2008 წლის 3 ივლისის სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება ნაწილობრივ მოპასუხეების სასარგებლოდ იპოთეკის ნაწილში და ამხანაგობის სახელზე რეგისტრირებული სადავო უძრავი ქონება გათავისუფლდა იპოთეკით დატვირთვისაგან, ხოლო შეგებებულ სარჩელს ეთქვა უარი შემდეგ გარემოებათა გამო:

13. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ 2006 წლის 20 ნოემბერს გაფორმებული მენაშენეთა (ამხანაგობის) შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე ფიზიკური პირების – ქ. ა-ის, ე-ის, დ. ქ-ის, ე-ას, ვ. გ-ის, ლ. ა-ის, ლ. გ-ის, მ. კ-ის, მ. ხ-ის, ქ. უ-ის, ო-ის, ს. ა-ის, ქ. ჭ-ის, ლ. კ-ის, რ. ნ-ის და ზ. გ-ის მიერ დაფუძნდა მენაშენეთა ამხანაგობა. თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ქ. ა-ი.

14. 2008 წლის 3 ივლისს, ერთი მხრივ, თავმჯდომარეს, როგორც ამხანაგობის წარმომადგენელსა და, მეორე მხრივ, ი. ლ-ს, გ. ქ-ს, ს. ა-სა და თ. ქ-ს შორის დაიდო სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება. სესხის უზრუნველყოფის მიზნით, იპოთეკით დაიტვირთა ამხანაგობის კუთვნილი სადავო უძრავი ქონება.

15. საქართველოს მუდმივმოქმედი არბიტრაჟი „ბ-ის“ 2008 წლის 29 დეკემბრის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა მოსარჩელის საარბიტრაჟო პრეტენზია, რომლითაც ამხანაგობას დაეკისრა გადასახდელად: გ. ქ-ის სასარგებლოდ – 11 000 აშშ დოლარი ძირითადი თანხა, 22 აშშ დოლარი პირგასამტეხლო 2008 წლის 4 ოქტომბრიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე და 361,80 ლარი; ს. ა-ის სასარგებლოდ – 5000 აშშ დოლარი ძირითადი თანხა, 10 აშშ დოლარი პირგასამტეხლო 2008 წლის 4 ოქტომბრიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე და 177 ლარი; თ. ქ-ის სასარგებლოდ – 6000 აშშ დოლარი ძირითადი თანხა, 12 აშშ დოლარი პირგასამტეხლო 2008 წლის 4 ოქტომბრიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე და 197,30 ლარი.

16. 2009 წლის 15 იანვარს ზემოაღნიშნულ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაზე გაიცა სააღსრულებო ფურცელი.

17. სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს წარმოებაში არსებული იურიდიული კომპანია „ბ-ის“ საქართველოს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის მიერ 2009 წლის 15 იანვარს გაცემული სააღსრულებო ფურცლის აღსრულების მიზნით, გამოცხადებული საჯარო აუქციონი უშედეგოდ დასრულდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, „სააღსრულებო წარმოებათა შესა-

ხებ“ საქართველოს კანონის 75-ე მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, ამხანაგობის სახელზე რიცხულ უძრავ ქონებაზე აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ მოიხსნა შეზღუდვა (ყადალა) და სააღსრულებო ფურცელი გადაეცა არქივის სამსახურს.

18. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 17 თებერვლის განაჩენით დადგენილია, რომ თავმჯდომარემ ჩაიდინა დიდი ოდენობით სხვისი ნივთის და ქონებრივი უფლების მართლსაწინააღმდეგო მითვისება, როცა სხვისი ნივთი ან ქონებრივი უფლება იმყოფებოდა მის მართლზომიერ მფლობელობაში (დანამაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით). აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეზე მოპასუხეები, ასევე, ამხანაგობის ყველა წევრი ცნობილი არიან დაზარალებულად. ხსენებული განაჩენით დადგინდა, რომ თავმჯდომარემ იპოთეკარებისაგან მიღებული თანხა ამხანაგობის მიზნებისათვის არ გამოიყენა და მიითვისა.

19. ამხანაგობამ და მისმა წევრებმა სარჩელით მიმართეს სასამართლოს და მოითხოვეს სადავო ხელშეკრულების იპოთეკის ნაწილში ბათილად ცნობა, ხოლო იპოთეკის საგნის უფლებრივი დატვირთვისაგან გათვისუფლება. მოპასუხეებმა შეგუებულნი სარჩელი წარადგინეს და სარჩელის საპირისპიროდ, მოითხოვეს იპოთეკის საგნის საკუთრებაში გადაცემა, რაც გასაჩივრებული გადანაცვტილებით დაკმაყოფილდა. აპელანტები (მოსარჩელები) სასამართლოს გადანაცვტილებას არ დაეთანხმნენ სსკ-ის მე-300 მუხლის განმარტების ნაწილში, ამასთან, მიიჩნიეს, რომ არასწორია სასამართლოს მითითება კრედიტორთა კეთილსინდისიერებასა და ამხანაგობის წევრების მხრიდან გონივრულობისა და წინდახედულობის სტანდარტის დარღვევაზე, რაც არსებითად მოსარჩელეთა წინააღმდეგო გადანაცვტილების მიღების საფუძველი გახდა. ასევე, აპელანტების მოსაზრებით, სადავო სესხის და იპოთეკის ხელშეკრულების მხარეს წარმოადგენს არა ამხანაგობა, არამედ თავმჯდომარე, როგორც ფიზიკური პირი. შესაბამისად, სააპელაციო პალატამ გასაჩივრებულ გადანაცვტილების კანონიერება აღნიშნულ ფარგლებში შეამოწმა.

20. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტების მოსაზრება, რომ სადავო სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება არა ამხანაგობასთან, არამედ, ფიზიკურ პირ ქ. ა-თან გაფორმდა.

21. სსკ-ის 930-ე მუხლისა და 934-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ ამხანაგობის სადამფუძნებლო დოკუმენტებით თავმჯდომარეს მინიჭებული ჰქონდა ამხანაგობის მესამე პირებთან ურთიერთობაში წარმოდ-

გენისა და მისი სახელით ფინანსური (გარდა საერთო კრების კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხებისა) გარიგებების დადების უფლებამოსილება. სადამფუძნებლო ხელშეკრულებაში ამხანაგობის წევრთა მიერ გამოვლენილი ნება იძლევა საფუძველს დასკვნისათვის, რომ თავმჯდომარე უფლებამოსილი იყო, ამხანაგობის სახელით დაედო სესხის ხელშეკრულება. სადავო ხელშეკრულების შინაარსით ერთმნიშვნელოვნად დასტურდება, რომ თავმჯდომარემ მოპასუხებთან ხელშეკრულება დადო ამხანაგობის სახელით.

22. 2008 წლის 3 ივლისის სესხის ხელშეკრულების თანახმად, მსესხებელს წარმოადგენს ამხანაგობა, შესაბამისად, უფლება-მოვალეობები წარმოიშვა მოპასუხებსა და ამხანაგობას შორის, რომლის საფუძველზეც ამხანაგობამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სადავო თანხების სამი თვის ვადაში დაბრუნების ვალდებულება იკისრა.

23. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ 2008 წლის 3 ივლისის სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება იპოთეკის ნაწილში ბათილი გარიგებაა, შემდეგ გარემოებათა გამო:

24. სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სსკ-ის 54-ე, 59-ე მუხლებით, ასევე, მიუთითა ამხანაგობის სადამფუძნებლო ხელშეკრულების მე-6 მუხლზე, რომლის თანახმად, დამფუძნებლები შეთანხმდნენ, რომ ამხანაგობის მმართველი (აღმასრულებელი) თანამდებობის პირი იქნებოდა თავმჯდომარე, რომელსაც მიეცა უფლებამოსილება, დაედო ხელშეკრულებები და წარედგინა საჭირო დოკუმენტაცია, თუკი ისინი შეეხებოდა ბინის მესაკუთრეთა საერთო ინტერესებს; წარმოედგინა ამხანაგობა ნებისმიერ მესამე პირებთან ურთიერთობაში (მუხლი 6, პუნქტი 6.3). ამავე ხელშეკრულების 6.5, 6.6 მუხლებით განისაზღვრა, ამხანაგობის თავმჯდომარის უფლება, ნებისმიერ გარიგებაზე ხელი მოეწერა ამხანაგობის სახელით, გარდა იმ გარიგებებისა, რომლისთვისაც საჭირო იყო წევრთა საერთო კრების თანხმობა.

25. სადამფუძნებლო ხელშეკრულების მე-5 მუხლის 5.7 პუნქტის თანახმად, ამხანაგობის საერთო სარგებლობაში არსებული ფართების სარგებლობისა და განკარგვის წესების დადგენა ამხანაგობის წევრთა საერთო კრების კომპეტენციას განეკუთვნა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ამხანაგობის კუთვნილი უძრავი ქონების იპოთეკით დატვირთვა ამხანაგობის წევრთა საერთო კრების გადაწყვეტილების საფუძველზე იყო შესაძლებელი.

26. მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ ამხანაგობის წევრთა საერთო კრებას თავმჯდომარისათვის ამხანაგობის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების იპოთეკით დატვირთვის უფლებამოსილება არ მიუნიჭებია, რაც სსკ-ის 54-ე

და 59-ე მუხლების საფუძველზე სესხის იპოთეკით უზრუნველყოფის ნაწილში სადავო ხელშეკრულების ბათილად ცნობის საფუძველია.

27. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ამხანაგობის წევრებმა სადამფუძნებლო დოკუმენტებით ზუსტად განსაზღვრეს ამხანაგობის თავმჯდომარის უფლებამოსილებები და, ამხანაგობის საკუთრების განკარგვის ნაწილში, თავმჯდომარის კომპეტენცია ამხანაგობის საერთო კრების გადაწყვეტილების არსებობის აუცილებლობით შეზღუდეს, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნა ამხანაგობის წევრების მხრიდან გონივრულობისა და წინდახედულობის სტანდარტის დაუცველობასთან დაკავშირებით, საფუძველს მოკლებულია და პალატის მიერ ვერ იქნება გაზიარებული.

28. სააპელაციო პალატამ, ასევე, არ გაიზიარა გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნა, რომ მოცემულ შემთხვევაში არსებობდა იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის კრედიტორების (იპოთეკარების) საკუთრებაში გადასვლისათვის სსკ-ის მე-300 მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი სამართლებრივი წინაპირობები. იპოთეკის საგნის კრედიტორის საკუთრებაში გადაცემა განიხილება როგორც იპოთეკის საგნის რეალიზაციის არაბაძლებითი სახე. მხარეთა კონსესუსზე დაფუძნებული აღსრულების ამ ფორმის უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ შეთანხმებით მხარეებს ეძლევათ შესაძლებლობა, თავიდან აიცილონ იძულებით აღსრულებასთან დაკავშირებული პროცედურები, რომელიც ძვირადღირებულ დროს და ფინანსურ ხარჯებს უკავშირდება.

29. სანივთო გარიგებების დროს სახელშეკრულებო თავისუფლება შეზღუდულია. მართალია, მხარეები თავისუფალი არიან იმაში, საერთოდ დადონ თუ არა სანივთო გარიგება, მაგრამ მისი შინაარსის განსაზღვრისას უნდა დაემორჩილონ კანონით განსაზღვრულ იმპერატიულ დანაწესებს. ამდენად, სანივთო ხელშეკრულების დადებისას მხარეებმა შეთანხმებული პირობები უნდა მიუსადაგონ კანონს.

30. განსახილველ შემთხვევაში, 2008 წლის 3 ივლისის სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების მე-13 პუნქტის საფუძველზე, მხარეები შეთანხმდნენ, რომ „იპოთეკარს უფლება აქვს, მოთხოვნის აუქციონის გზით დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, გამოიყენოს მოთხოვნის დაუკმაყოფილების კანონმდებლობით დადგენილი სხვა ზომები მოვალის მიმართ და მოითხოვოს იპოთეკის საგნის თავის საკუთრებაში გადასვლა“.

31. სააპელაციო საჩივრით სადავო გახდა ხელშეკრულების ზემოაღნიშნული დათქმის სსკ-ის მე-300 მუხლის პირველ ნაწილთან

შესაბამისობის საკითხი. შესაბამისად, სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ პასუხი უნდა გაცეცა კითხვისათვის, წარმოადგენდა თუ არა ხელშეკრულების სადავო პირობა (მე-13 მუხლი) იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის კრედიტორის საკუთრებაში გადასვლის საკმარის საფუძველს.

32. სსკ-ის მე-300 მუხლის პირველი ნაწილის ანალიზით დგინდება, რომ კრედიტორი უზრუნველყოფის საგანზე საკუთრებას მოიპოვებს: თუ დარღვეულია უზრუნველყოფილი ვალდებულება; თუ იპოთეკის საგანზე საკუთრების უფლების მოპოვების შესაძლებლობა გათვალისწინებულია იპოთეკის ხელშეკრულებით; თუ იპოთეკარი და მოვალე კრედიტორისათვის იპოთეკის საგანზე საკუთრების უფლების გადაცემის მოთხოვნით ერთობლივი განცხადებით მიმართავენ საჯარო რეესტრს. ამდენად, იმისათვის რომ იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთი კრედიტორის (იპოთეკარის) საკუთრებაში გადავიდეს, უნდა დადგინდეს შემდეგი ფაქტობრივი წინაპირობები: 1. მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევის ფაქტი; 2. კრედიტორისა და მოვალის შეთანხმება იპოთეკის საგნის კრედიტორის საკუთრებაში გადასვლის თაობაზე და 3. ამ შეთანხმების საჯარო რეესტრში წარდგენა რეგისტრაციის მიზნით.

33. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, სადავო სახელშეკრულებო პირობა არ შეესაბამება სსკ-ის მე-300 მუხლის პირველი ნაწილის იმპერატიულ დანაწესს, რომლის თანახმადაც, უნდა არსებობდეს მხარეთა მიერ საჯარო რეესტრში წარდგენილი ერთობლივი განცხადება იპოთეკის საგანზე საკუთრების უფლების გადაცემის მოთხოვნით. მოცემულ შემთხვევაში, არ დგინდება მხარეთა ნება ერთობლივ განცხადებასთან დაკავშირებით.

34. სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ სსკ-ის მე-300 მუხლით გათვალისწინებული „ერთობლივი განცხადებისათვის“ მხარეთა ნამდვილი ნებაა საჭირო, მოცემულ ხელშეკრულებაში გამოვლენილი ნება კი ნაკლის მქონეა, ვინაიდან იგი კანონით დადგენილი წესის საწინააღმდეგოდ, წინასწარ არის გამოვლენილი. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ სსკ-ის მე-300 მუხლის პირველი ნაწილის გამოყენებისათვის, მისი შინაარსიდან გამომდინარე, გადამწყვეტია ფაქტის – ვალდებულების დარღვევის პირველად, უწინარესად არსებობა და შემდეგ ნების (იპოთეკის საგნის კრედიტორის საკუთრებაში გადაცემის) გამოხატვა. მოვალის ნების გამოვლენა იპოთეკის საგნის კრედიტორის საკუთრებაში გადაცემაზე განპირობებულია იმ ფაქტით, რომ მან ვალდებულება ვერ შეასრულა და ნებაც ნამდვილია, რადგან პირის მიერ გამოვლენილი ნება თანხვედრაშია მის მიერ გაზიარებულ ფაქტებთან: ვალდებულება დარ-

ღვეულია, იპოთეკის საგანი იკავებს შესრულების ადგილს.

35. მოცემულ შემთხვევაში კი იპოთეკის ხელშეკრულების მე-13 პუნქტის დათქმით მოვალემ წინასწარ აღიარა არარსებული ფაქტი – ვალდებულების შეუსრულებლობა (რომელიც ჯერ არ მომხდარა) და, აღნიშნულის გამო, იპოთეკის საგნის გადაცემა, რაც ეწინააღმდეგება სადავო ნორმის მიზანს.

36. საგულისხმოა, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებით, გადაუხდელობის ფაქტის არარსებობა და მასზე წინასწარ შეთანხმება მოცემულ გარიგებას ვერ გახდის პირობით გარიგებად. მითითებული ნორმის (სსკ მე-300 მუხლის პირველი ნაწილი) დანაწესი არეგულირებს ისეთ მდგომარეობას, როდესაც მოვალე ვალდებულებას ვერ ასრულებს და, აღნიშნულის გამო, კრედიტორთან ერთად ერთობლივი განცხადებით მიმართავს საჯარო რეესტრს კრედიტორის საკუთრებაში მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად გამოყენებული საგნის გადაცემის თაობაზე. კანონი არ კრძალავს სსკ-ის მე-300 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული მოქმედების სამომავლოდ განხორციელებაზე წინასწარ შეთანხმებას, მაგრამ, ამასთან ეს შეთანხმება (რომ მოვალე თანახმაა, ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში ერთობლივი განცხადებით მიმართოს საჯარო რეესტრს) მხოლოდ სამომავლო მოქმედების განხორციელებაზე – ერთობლივი განცხადების შედგენაზე თანხმობას უნდა ეხებოდეს. ამგვარი განცხადების წინასწარ შედგენის შესაძლებლობას კანონი არ ითვალისწინებს. ამ დასკვნას ამყარებს სსკ-ის მე-300 მუხლის მეორე ნაწილში გამოყენებული სიტყვები „თუ მოვალე გააჭიანურებს“, „თუ კრედიტორი და მოვალე ამის თაობაზე ერთობლივი განცხადებით მიმართავენ“. კანონის მითითებული დათქმები შინაარსობრივად მომავალში მოსახდენ მოქმედებებს ასახელებს და მათ, ასევე სამომავლოდ, გარკვეულ იურიდიულ შედეგებს უკავშირებს (საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2008 წლის 10 დეკემბრის განჩინება საქმეზე №ას-1283-1538-09).

37. სააპელაციო პალატამ არ გაიზაირა გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნა, რომ მითითებული ნორმის ამგვარი განმარტებით, მთლიანად მოვალის კეთილსინდისიერებაზე ხდება დამოკიდებული, დათანხმდება თუ არა იგი იპოთეკის საგნის კრედიტორის საკუთრებაში გადასვლას საჯარო რეესტრში ერთობლივი განცხადების წარდგენით და რომ ამგვარი განმარტება ეწინააღმდეგება აღნიშნული ნორმის მიზანს, შეზღუდოს არაკეთილსინდისიერი მოვალე აღსრულების პროცესის უსაფუძვლო გაჭიანურებაში. აღნიშნულის საპირისპიროდ, სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ კანონის ზემოაღნიშნული დათქმით კანონმდებლის ნება ცალსა-

ხადაა გამოთქმული და მისი სხვა ნორმატიული შინაარსით განმარტება სასამართლოს კომპეტენციას არ წარმოადგენს. სსკ-ის მე-300 მუხლის პირველი ნაწილის გამოყენებაზე მოვალის იძულება დაუშვებელია, თუმცა აღნიშნული არ იძლევა უალტერნატივო დასკვნის საფუძველს, რომ სათანადო პირობების არსებობისას, კეთილსინდისიერი მოვალე, რომელიც ორიენტირებულია ვალდებულების შესრულებაზე და გაცნობიერებული აქვს ვალდებულების დარღვევის თანმდევი მკაცრი იურიდიული შედეგები, არ გამოიყენებს ამ ნორმით გათვალისწინებულ შესაძლებლობას. ამდენად, სადავოდ მიჩნეული ნორმით კანონმდებელი არაორაზროვნად გამოხატავს თავის ნებას და იგი რაიმე სახის ინტერპრეტაციას და ან სხვა ნორმებთან შესაბამისობაში განმარტებას არ საჭიროებს (საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2008 წლის 10 დეკემბრის განჩინება საქმეზე №ას-1283-1538-09)

38. გარდა ზემოაღნიშნული მსჯელობისა, იპოთეკის საგნის შეგებებულ მოსარჩელეთა საკუთრებაში გადაცემა დაუშვებელია იმ მოტივითაც, რომ სააპელაციო პალატამ დაადგინა 2008 წლის 3 ივლისის სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების კანონსაწინააღმდეგობა იპოთეკის ნაწილში, ამხანაგობის თავმჯდომარის მიერ ამგვარი ხელშეკრულების დადების არაუფლებამოსილების გამო. ეს ფაქტი კი გამოორიცხავს იპოთეკის საგანის გადაცემასთან დაკავშირებით მხარეთა შორის რაიმე შეთანხმების ლეგიტიმურობას. ანუ, თუკი არ არსებობს იპოთეკის ხელშეკრულების წარმოშობის სამართლებრივი საფუძველი, მაშინ მისგან ნაწარმოები უფლებაც შეთანხმება იპოთეკის საგნის საკუთრებაში გადაცემის თაობაზე, ვერ იქნება კანონიერი.

39. სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ სარჩელის დაკმაყოფილება სრულად გამოორიცხავს შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებას, ვინაიდან არ არსებობს შეგებებული სარჩელის ავტორთა იპოთეკის საგნის მესაკუთრედ ცნობის წინაპირობა, იპოთეკის ნაწილში 2008 წლის 3 ივლისის სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების ბათილობის გამო.

კასატორების მოთხოვნა და საფუძვლები:

40. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე მოპასუხებმა შეიტანეს საკასაციო საჩივარი, მოითხოვეს მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილება, ხოლო ძირითადი სარჩელისათვის უარის თქმა შემდეგი საფუძვლებით:

41. კასატორების განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა 2008 წლის 3 ივლისის სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებით გათვალისწინებული მხარეთა უფლებები და მათ

მიერ ნაკისრი ვალდებულებები, ხელშეკრულების მე-13 და სსკ-ის მე-300 მუხლები.

42. კასატორებმა აღნიშნეს, რომ სააპელაციო სასამართლომ არ შეაფასა ის გარემოება, რომ ხელშეკრულების ნაწილობრივ ბათილად ცნობის თაობაზე სააპელაციო მოთხოვნა სამართლებრივი ბუნებით წარმოადგენდა აღიარებით სარჩელს, რომლისთვისაც აუცილებელი წინაპირობაა იურიდიული ინტერესის არსებობა. მხარე ითხოვდა იპოთეკის ნაწილში ხელშეკრულების გაუქმებას, ხოლო სესხის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება ამხანაგობის მიერ კვლავ შესასრულებელი რჩებოდა. აღნიშნული მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველი გაუგებარია, რადგან იპოთეკის ხელშეკრულება სასამართლომ გააუქმა, ხოლო სესხის ხელშეკრულება უცვლელი დარჩა და შესაბამისად, არც ამხანაგობის ვალდებულება არ შეცვლილა. აღნიშნულთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა უკანონო და დაუსაბუთებელია, ვინაიდან იურიდიული ინტერესის არარსებობა გამორიცხავდა სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებას.

43. საკასაციო საჩივრის ავტორების განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ ასევე არასწორად განმარტა ამხანაგობის თავმჯდომარის უფლებამოსილების საკითხი იმგვარად, რომ მას არ ჰქონდა უფლება, ამხანაგობის სახელით დაედო სადავო ხელშეკრულება. სადამფუძნებლო ხელშეკრულებით ამხანაგობის თავმჯდომარეს მიენიჭა ერთპიროვნულად ამხანაგობის ინტერესებისათვის საქმიანობის გაძღოლისა და განკარგვის შესაძლებლობა, კერძოდ, სადამფუძნებლო ხელშეკრულების მე-6 მუხლით განსაზღვრულია თავმჯდომარის უფლებამოსილებები, ხოლო აღნიშნული მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილია, რომ იგი ერთპიროვნულად წარმოადგენს ამხანაგობას მესამე პირებთან ურთიერთობაში, ყველა სახელმწიფო დაწესებულებაში და ორგანიზაციებში, უფლებამოსილია ამხანაგობის სახელით გამოვიდეს სასამართლოსა და სხვა ორგანოში.

44. დასახელებული პუნქტის თანახმად, ამხანაგობის სახელით მისი თავმჯდომარე ნებისმიერ გარიგებას და დოკუმენტს ხელს აწერს, რის გარეშეც აღნიშნულ დოკუმენტებს იურიდიული ძალა არ გააჩნიათ. სსკ-ის 185-ე მუხლის მიხედვით, კასატორებმა აღნიშნეს, რომ ხელშეკრულების დადების მომენტში ნივთის ნაკლი არ არსებობდა და მათ, როგორც კეთილსინდისიერ შემძენებს არ შეიძლებოდა, სცოდნოდათ აღნიშნულის თაობაზე. ასევე, ხელშეკრულებით დადასტურებულია, რომ თავმჯდომარემ სანოტარო ბიუროში ხელშეკრულების გაფორმებისას წარადგინა ამხანაგობის სადამფუძნებლო ხელშეკრულება და №1 სხდომის ოქმი, რითაც მისი

უფლებამოსილება დადასტურდა.

45. კასატორებმა სსკ-ის მე-8 მუხლზე მითითებით აღნიშნეს, რომ ისინი იპოთეკის ხელშეკრულებას არ დებდნენ სარგებლის მიღების მიზნით, არამედ ცხოვრობენ სოფელში და გახდნენ თაღლითური მსხვერპლი.

46. კასატორების განმარტებით, ამხანაგობის წევრები ინფორმირებულები იყვნენ სესხებისა და ქონების იპოთეკით დატვირთვის შესახებ და ისინი ერთობლივად განკარგავდნენ აღებულ თანხებს, რის გამოც არანაირი პრეტენზია არ გამოუთქვამთ თავმჯდომარის მიმართ, ხოლო მას შემდეგ, რაც ამ უკანასკნელმა ამხანაგობის წევრებს არ გაუნანილა სესხის სახით აღებული თანხები, თავმჯდომარის წინააღმდეგ მიმართეს სამართალდამცავ ორგანოებს. თუ ამხანაგობის წევრებისათვის მიუღებელი იყო თავმჯდომარის მიერ სადავო ხელშეკრულებების გაფორმება, უფლება ჰქონდათ მოენვიათ სტდომა და შეეზღუდათ ან ჩამოერთმიათ თავმჯდომარის უფლებამოსილებები. აღნიშნულის განუხორციელებლობით ამხანაგობის წევრებმა მოიწონეს თავმჯდომარის ქმედებები, რის გამოც დღეისათვის ამ საფუძვლით ხელშეკრულების ბათილობის მოთხოვნა უსაფუძვლოა.

47. საქმის მასალებში არსებული 2010 წლის განაჩენში თავმჯდომარის მიმართ აღნიშნულია, რომ ამხანაგობის მოქმედი ორი წევრი თავმჯდომარეს იცნობდნენ 2005 წლიდან, იყვნენ მისი პირადი ადვოკატები და უწევდნენ სრულ იურიდიულ მომსახურებას. მათი უშუალო მონაწილეობის გარეშე არ ხდებოდა არანაირი იურიდიული დოკუმენტის მომზადება და შედგენა. სისხლის სამართლის საქმის მასალებით დადგენილია, რომ დასახელებულმა პირებმა დაამზადებინეს ყალბი სესხისა და იპოთეკის გაუქმების ხელშეკრულებები და დაარეგისტრირეს საჯარო რეესტრში. აღნიშნულ განაჩენში მითითებულია, რომ მათი ეს საქმე ცალკე წარმოებად გამოიყო, თუმცა კასატორებისთვის უცნობია, რა შედეგით დასრულდა იგი.

48. კასატორებმა მიუთითეს, რომ დადგენილი და დადასტურებულია მხარეთა შორის სახელშეკრულებო ურთიერთობის არსებობის, მისი შესრულების ვადის დადგომისა და ამხანაგობის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის ფაქტი. აღნიშნულს ადასტურებს კანონიერ ძალაში შესრული არბიტრაჟის გადაწყვეტილება, რომელიც მხარეს არ გაუსაჩივრებია და ამ ქმედებით ფაქტობრივად აღიარა ვალდებულების არსებობა. კასატორები იძულებული გახდნენ მიემართათ აღსრულების ბიუროსათვის, თუმცა ამხანაგობის წარმომადგენლები 10 წლის განმავლობაში უსაფუძვლო განცხადებებითა და სარჩევებით ცდილობდნენ აღსრულებისათ-

ვის ხელის შეშლას. ამის მიუხედავად, მათ სასარგებლოდ სასამართლოს არც ერთი გადაწყვეტილება არ მიუღია, გარდა გასაჩივრებული გადაწყვეტილებისა, რომელმაც არაერთი მოსამართლის მიერ განხილული და შეფასებული გარემოებები უარყო და არასწორად შეაფასა მხარეთა უფლებამოსილებები.

49. კასატორთა განმარტებით, გაჭიანურებული საქმის აღსრულება მხოლოდ 10 წლის შემდეგ შეძლეს, თუმცა იძულებითი აუქციონის დროს მოვალეთა ქონება არ გაიყიდა. კასატორებს ერთადერთი კანონიერი გამოსავალი ჰქონდათ, შეგებებული სარჩელით იპოთეკით დატვირთული მოვალის ქონება კრედიტორის სახელზე აღერიცხათ. კასატორებმა მიუთითეს 2008 წლის 3 ივლისის ხელშეკრულების მე-13 მუხლზე და განმარტეს, რომ იგი აწესრიგებს ისეთ შემთხვევას, როცა კეთილსინდისიერი კრედიტორი სხვა საშუალებით ვერ ახერხებს თავისი მოთხოვნის დაკმაყოფილებას. სააპელაციო პალატამ არასწორად შეაფასა დასახელებული მუხლი, როდესაც ჩათვალა, რომ მისი დათქმით მოვალემ წინასწარ აღიარა არარსებული ფაქტი – ვალდებულების შეუსრულებლობა, რაც არ ეწინააღმდეგება კანონს. ამგვარი განმარტება ზოგადად ხელშეკრულების მონაწილე მხარეთა სამოქალაქო ურთიერთობის ნდობისა და გარანტიების მიზნებს, კერძოდ, სანოტარო წესით ან მის გარეშე მხარეთა მიერ ხელშეკრულების გაფორმებას აზრს უკარგავს.

50. საკასაციო საჩივრის ავტორებმა აღნიშნეს, რომ სააპელაციო პალატის გადაწყვეტილებიდან გამომდინარეობს, რომ სანოტარო წესით დადებულ ხელშეკრულებას არ აქვს აზრი და იურიდიული მნიშვნელობა, თუმცა, მოსამართლე ვერ უთითებს, რომელ მუხლს ან კანონს ეწინააღმდეგება ხელშეკრულების მე-13 მუხლი და რატომაც იგი ნაკლის მქონე. ამგვარი შეფასება ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას და არღვევს სამართლიანი სასამართლოს უფლებას.

51. კასატორებმა განმარტეს, რომ სასამართლომ ასევე არასწორად შეაფასა სსკ-ის მე-300 მუხლი, რომელიც მოთხოვნის დაკმაყოფილების საშუალებაა იმ ვითარებაში, როცა კრედიტორმა თავისი მოთხოვნა აღსრულების საშუალებით ვერ დააკმაყოფილა. ამ მუხლის გამოყენებისათვის საჭიროა სამი წინაპირობა: 1. მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევის ფაქტი, რაც განსახილველ შემთხვევაში 10 წელია მიმდინარეობს; 2. კრედიტორისა და მოვალის შეთანხმება ხელშეკრულებით იპოთეკის საგნის კრედიტორის საკუთრებაში გადასვლის შესახებ (ხელშეკრულების მე-13 მუხლი); 3. კრედიტორისა და მოვალის ერთობლივი განცხადებით იპოთეკით დატვირთული ქონების გადასვლა კრედიტორზე.

52. კასატორებმა აღნიშნეს, რომ დასახელებული მე-3 წინაპი-

რობა რეალურად პრაქტიკაში არ მოქმედებს, ვინაიდან, არცერთი მოვალე ნებაყოფლობით არ დათმობს ქონებას და არასდროს მივა საჯარო რეესტრში თავისი ნებით კრედიტორისათვის ქონების გადასაფორმებლად. ასეთი არცერთი შემთხვევა არ არსებობს კანონის ამოქმედებიდან დღემდე და იგი ფაქტობრივად არ ასახავს ჩვენს რეალობას, რის გამოც ვერ მოანესრიგებს არაკეთილსინდისიერი მხარის მოქმედებებს. სწორედ ასეთ დროს სასამართლომ უნდა შეაფასოს ფაქტობრივი გარემოებები და მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება, რაც გასაჩივრებული გადაწყვეტილებით სააპელაციო სასამართლომ არ განახორციელა.

53. კასატორებმა მიუთითეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მნიშვნელოვან განმარტებაზე საქმეზე №ას-285-269-2011, კერძოდ, იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნის ფარგლებთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც იპოთეკა, როგორც სანივთო სამართლებრივი ურთიერთობა, რომელიც არსებობს იპოთეკარსა და იპოთეკის საგნის მესაკუთრეს შორის, ემსახურება ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის შესრულებას, რომლის მონაწილეებიც არიან კრედიტორი და მოვალე. ამდენად, იპოთეკა აქცესორული უფლებაა და სსკ-ის 153-ე მუხლის დანაწესის გათვალისწინებით არც შეიძლება არსებობდეს იმ უფლების გარეშე, რომელთანაც იგი დაკავშირებულია (მოცემულ შემთხვევაში სესხთან).

54. ზემოაღნიშნული განმარტების საწინააღმდეგოდ სააპელაციო პალატამ გააუქმა იპოთეკა და ძალაში დატოვა სესხის ხელშეკრულება, რაც ეწინააღმდეგება სსკ-ის 153-ე მუხლს და უკანონოა. ამასთან, სააპელაციო პალატამ ვერ მიუთითა აღნიშნული ქმედების განხორციელების სამართლებრივ საფუძველზე და მსგავსი გადაწყვეტილება არ არსებობს ქართულ სასამართლო პრაქტიკაში.

55. კასატორებმა დამატებით აღნიშნეს, რომ სასამართლო პროცესები მიმდინარეობდა მხარეთა თანასწორობის პრინციპის დარღვევით და ფაქტობრივად სასამართლო მათ სააპელაციო საჩივართან დაკავშირებით თავიანთი პოზიციის დაფიქსირების შესაძლებლობას არ აძლევდა. სააპელაციო პალატა მხოლოდ ამხანაგობის წარმომადგენლის ახსნა-განმარტებას უსმენდა და მიმანიშნებელი კითხვებით აზუსტებინებდა მოთხოვნას, რაც კასატორებს დასაბუთებულ ეჭვს უჩენს, რომ მოსამართლეები დაინტერესებული იყვნენ განსახილველი საქმის შედეგით.

56. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 20 სექტემბრის განჩინებით საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, სამოქალაქო საპროცესო კო-

დექსის 396-ე მუხლით და ამავე კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად.

57. საკასაციო სასამართლომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების ეტაპზე საქმე ზეპირი მოსმენით განიხილა 2018 წლის 27 სექტემბერს, 26 ოქტომბერსა და 12 ნოემბერს, რა დროსაც მხარეებმა იშუამდგომლეს პროცესის გადადების შესახებ იმ მოტივით, რომ არსებობდა მათ შორის მორიგების მიღწევის შესაძლებლობა. 2018 წლის 12 ნოემბრის სასამართლო სხდომაზე მხარეებმა კვლავ იშუამდგომლეს საკასაციო პალატის წინაშე საქმის განხილვის გადადების თაობაზე და მიუთითეს, რომ მორიგების აქტს წარმოადგენდნენ 2018 წლის 16 ნოემბერს და მოითხოვეს მორიგების აქტის დამტკიცება ზეპირი მოსმენის გარეშე. 2018 წლის 20 ნოემბერს მონინალმდევე მხარემ წარმოადგინა ცალმხრივად ხელმოწერილი მორიგების აქტი და მიუთითა, რომ მხარეთა შორის მორიგება არ შედგა. საკასაციო სასამართლოს 2018 წლის 21 ნოემბრის განჩინებით საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებლად.

სამოტივაციო ნაწილი:

58. საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთების შემოწმებისა და წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლების შეფასების შედეგად მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატის გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა დარჩეს უცვლელად, ხოლო წარმოდგენილ საკასაციო საჩივარს უარი ეთქვას დაკმაყოფილებაზე შემდეგ გარემოებათა გამო:

59. სსსკ-ის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი. სსსკ-ის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია (შედავება). განსახილველ შემთხვევაში, გასაჩივრებული გადაწყვეტილების საკასაციო საჩივრის ფარგლებში შემოწმების შედეგად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ საქმის განმხილველ სააპელაციო სასამართლოს შემადგენლობას კანონი არ დაურღვევია, კასატორს კი დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია არ წარმოუდგენია.

60. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ 2006 წლის 20 ნოემბერს გაფორმებული მენაშენეთა (ამხანაგობის) შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე ფიზიკური პირების – ქ. ა-ის, ე-ის, დ. ქ-

ის, ე-ას, ვ. გ-ის, ლ. ა-ის, ლ. გ-ის, მ. კ-ის, მ. ხ-ის, ქ. უ-ის, ო-ის, ს. ა-ის, ქ. ჭ-ის, ლ. კ-ის, რ. ნ-ის და ზ. გ-ის მიერ დაფუძნდა მენაშენეთა ამხანაგობა. თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ქ. ა-ი.

61. 2008 წლის 3 ივლისს, ერთი მხრივ, თავმჯდომარეს, როგორც ამხანაგობის წარმომადგენელსა და, მეორე მხრივ, ი. ლ-ს, გ. ქ-ს, ს. ა-სა და თ. ქ-ს შორის დაიდო სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება. სესხის უზრუნველყოფის მიზნით, იპოთეკით დაიტივრთა ამხანაგობის კუთვნილი სადავო უძრავი ქონება.

62. საქართველოს მუდმივმოქმედი არბიტრაჟი „ბ-ის“ 2008 წლის 29 დეკემბრის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა მოსარჩელის საარბიტრაჟო პრეტენზია, რომლითაც ამხანაგობას დაეკისრა გადასახდელად: გ. ქ-ის სასარგებლოდ – 11 000 აშშ დოლარი ძირითადი თანხა, 22 აშშ დოლარი პირგასამტეხლო 2008 წლის 4 ოქტომბრიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე და 361,80 ლარი; ს. ა-ის სასარგებლოდ – 5000 აშშ დოლარი ძირითადი თანხა, 10 აშშ დოლარი პირგასამტეხლო 2008 წლის 4 ოქტომბრიდან გადანყვეტილების აღსრულებამდე და 177 ლარი; თ. ქ-ის სასარგებლოდ – 6000 აშშ დოლარი ძირითადი თანხა, 12 აშშ დოლარი პირგასამტეხლო 2008 წლის 4 ოქტომბრიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე და 197,30 ლარი.

63. 2009 წლის 15 იანვარს ზემოაღნიშნულ საარბიტრაჟო გადანყვეტილებაზე გაიცა სააღსრულებო ფურცელი.

64. სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს წარმოებაში არსებული იურიდიული კომპანია „ბ-ის“ საქართველოს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის მიერ 2009 წლის 15 იანვარს გაცემული სააღსრულებო ფურცლის აღსრულების მიზნით, გამოცხადებული საჯარო აუქციონი უშედეგოდ დასრულდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 75-ე მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, ამხანაგობის სახელზე რიცხულ უძრავ ქონებაზე აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ მოიხსნა შეზღუდვა (ყადალა) და სააღსრულებო ფურცელი გადაეცა არქივის სამსახურს.

65. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 17 თებერვლის განაჩენით დადგენილია, რომ თავმჯდომარემ ჩაიდინა დიდი ოდენობით სხვისი ნივთის და ქონებრივი უფლების მართლსაწინააღმდეგო მითვისება, როცა სხვისი ნივთი ან ქონებრივი უფლება იმყოფებოდა მის მართლზომიერ მფლობელობაში (დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით). აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეზე მოპასუხეები, ასევე, ამხანაგობის ყველა წევრი ცნობილი არიან დაზა-

რალეზულად. ხსენებული განაჩენით დადგინდა, რომ თავმჯდომარემ იპოთეკარებისაგან მიღებული თანხა ამხანაგობის მიზნებისათვის არ გამოიყენა და მიითვისა.

66. საკასაციო პრეტენზია წარმოდგენილია სააპელაციო სასამართლოს მიერ, როგორც მატერიალური კანონმდებლობის არასწორი განმარტებისა და გამოყენების, ასევე საპროცესო ნორმების დარღვევის საფუძველით. (იხ. წინამდებარე განჩინების პ.41-55).

67. საკასაციო სასამართლომ არაერთ საქმეში განმარტა, რომ სასამართლოს უპირველესი ამოცანაა, დაადგინოს, თუ რას ითხოვს მოსარჩელე მოპასუხისაგან და რის საფუძველზე, ანუ რომელ ფაქტობრივ გარემოებებზე ამყარებს თავის მოთხოვნას. სასამართლომ მხარის მიერ მითითებული მოთხოვნის ფარგლებში უნდა მოძებნოს ის სამართლებრივი ნორმა (ნორმები), რომელიც იმ შედეგს ითვალისწინებს, რისი მიღწევაც მხარეს სურს. ამასთან, მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველად განხილული ნორმა (ან ნორმები) შეიცავს იმ აღწერილობას (ფაქტობრივ შემადგენლობას), რომლის შემონემაზეც სასამართლოს ვალდებულებაა და რომელიც უნდა განხორციელდეს ლოგიკური მეთოდების გამოყენების გზით, ანუ სასამართლომ უნდა დაადგინოს, ნორმაში მოყვანილი აბსტრაქტული აღწერილობა, რამდენად შეესაბამება კონკრეტულ ცხოვრებისეულ სიტუაციას და გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები. ის მხარე, რომელსაც აქვს მოთხოვნა მეორე მხარისადმი, სულ მცირე, უნდა უთითებდეს იმ ფაქტობრივ შემადგენლობაზე, რომელსაც სამართლის ნორმა გეთავაზობს. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია, დავასკვნათ, რომ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველის რომელიმე ფაქტობრივი წინამძღვრის (სამართლებრივი წინაპირობის) არარსებობა გამორიცხავს მხარისათვის სასურველი სამართლებრივი შედეგის დადგომას (იხ. სუსგ №ას-15-29-1443-2012, 09.12.2013წ.; სუსგ საქმე №ას-973-1208-04). მოსარჩელე შესაძლებელია, ცდებოდეს კიდევ სადავო ურთიერთობის სამართლებრივ შეფასებაში, რაც არამცთუ არ ზღუდავს სასამართლოს, არამედ, პირიქით, სწორედ სასამართლოა ვალდებული, სამართლებრივად სწორად შეაფასოს სადავო ურთიერთობა და მოძებნოს მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი.

68. მოთხოვნის საფუძველის (საფუძველების) ძიებისას, სასამართლოსათვის ამოსავალია ის კონკრეტული ფაქტები და გარემოებები, რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნას. სწორედ მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტები და გარემოებები განსაზღვრავენ მისი მოთხოვნის შინაარსს. სასამართლომ, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით, უნდა გაარკვიოს, თუ საიდან გამომდინა-

რეობს მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი, კერძოდ, სახელშეკრულებო შეთანხმებებიდან თუ სხვა ვალდებულებითი ურთიერთობებიდან.

69. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ყოველი კონკრეტული სამოქალაქო საქმის გადაწყვეტა სასამართლოში, დაკავშირებულია გარკვეული ფაქტების დადგენასთან. ფაქტების დადგენის აუცილებლობა განპირობებულია იმით, რომ სასამართლო იხილავს და წყვეტს მხარეთა შორის წარმოშობილ დავებს, რომლებიც სამართლით რეგულირებული ურთიერთობებიდან წარმოიშობიან. სამართლებრივი ურთიერთობა კი, როგორც ეს ცნობილია, შეიძლება აღმოცენდეს, განვითარდეს ან შეწყდეს მხოლოდ იურიდიული ფაქტების საფუძველზე. სწორედ მტკიცების ტვირთსა და მის სწორ განაწილებაზე დამოკიდებული დასაბუთებული და კანონიერი გადაწყვეტილების მიღება.

70. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებული სამართლიანი სასამართლოს უფლების რეალიზება უმეტესწილად დამოკიდებულია და გულისხმობს სასამართლოს მიერ დასაბუთებული, მტკიცებულებათა შეჯერების საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილების მიღებას. მტკიცების ტვირთის როლი განსაკუთრებით ვლინდება სამოქალაქო სამართალწარმოებაში, სადაც მხარეთა ნების ავტონომიას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. შესაძლებელია მხარის მოთხოვნა საფუძვლიანი იყოს, მაგრამ შეუძლებელია მხარემ მიიღოს თავისი სასარგებლო გადაწყვეტილება, თუ ვერ დაამტკიცებს თავის სასარგებლო გარემოებებს საპროცესო სამართლით დადგენილი წესით. ამიტომაც, ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს მტკიცების ტვირთის სწორი განაწილება მოდავე მხარეებს შორის.

71. სსსკ-ის მე-3 მუხლის მიხედვით მხარეები იწყებენ საქმის წარმოებას სასამართლოში, ამ კოდექსში ჩამოყალიბებული წესების შესაბამისად, სარჩელის ან განცხადების შეტანის გზით. ისინი განსაზღვრავენ დავის საგანს და თვითონვე იღებენ გადაწყვეტილებას სარჩელის (განცხადების) შეტანის შესახებ. მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მოსარჩელეს შეუძლია უარი თქვას სარჩელზე, ხოლო მოპასუხეს – ცნოს სარჩელი. ამავე კოდექსის მე-4 მუხლის მიხედვით სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული შესაგებლები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქ-

ტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები.

72. მტკიცების ტვირთზე მითითებას აკეთებს სსსკ-ის 102-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის მიხედვითაც თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. მოსარჩელემ უნდა ამტკიცოს ის გარემოებები, რომლებზედაც დაფუძნებულია სასარჩელო მოთხოვნა, ხოლო მოპასუხემ გარემოებები, რომლებსაც მისი შესაგებელი ემყარება.

73. მტკიცების ტვირთი – ესაა სამოქალაქო სამართალწარმოებაში საქმის სწორედ გადანყვეტისათვის მნიშვნელოვანი ფაქტების დამტკიცების მოვალეობის დაკისრება მხარეებზე, რომლის შესრულება უზრუნველყოფილია მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით არახელსაყრელი გადანყვეტილების გამოტანით იმ მხარის მიმართ, რომელმაც ეს მოვალეობა არ (ვერ) შეასრულა. მხარეთა მტკიცებითი საქმიანობის საბოლოო მიზანი – ესაა სასამართლოს დარწმუნება საქმის სწორად გადანყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობაში. სასამართლოს დაურწმუნებლობა კი, მხარისათვის არახელსაყრელ შედეგს იწვევს. მტკიცების ტვირთი დამოკიდებულია არა მხარის როლზე პროცესში, არამედ მოთხოვნის საფუძველზე. ის ვინც ითხოვს ვალდებულების შესრულებას, უნდა დაამტკიცოს მოთხოვნის საფუძვლის არსებობა არა მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ითხოვს თავისი მოთხოვნის შესრულებას, ან აღიარებას, არამედ მაშინაც, როდესაც იგი თავს იცავს მოწინააღმდეგე მხარის ნეგატიური აღიარებითი სარჩელი-საგან (მოთხოვნისაგან).

74. მტკიცების ტვირთისაგან უნდა გავმიჯნოთ ფაქტების მითითების ტვირთი, როგორც მხარის ფაქულტატიური მოვალეობა. მხარეები სსსკ-ის მე-4 მუხლის თანახმად სრულიად თავისუფალნი არიან მიუთითონ ნებისმიერ ფაქტზე. ეს მათი უფლებაა, მაგრამ მათ მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება, ე.ი. იმის დადგენა და გარკვევა, თუ რამდენად ასაბუთებენ ეს ფაქტები იურიდიულად მხარეთა მოთხოვნებს და შესაგებელს – ეს უკვე სასამართლის პრეროგატივაა. ამასთან, საკმარისი არ არის, რომ მხარემ ზოგადად გამოთქვას მოსაზრება საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებაზე, მაგალითად, განაცხადოს, რომ იგი მთლიანად უარყოფს მეორე მხარის მიერ მოხსენებულ საქმის ფაქტობრივ გარემოებებს. მხარის მიერ წარმოდგენილი მოსაზრებები კონკრეტულად და დეტალურად უნდა ჩამოყალიბდეს და ეხებოდეს საქმის გადანყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოებას. მხარეთა მიერ წარმოდგენილი ახსნა-

განმარტებები უნდა იყოს დასაბუთებული და ეხებოდეს იმ გარემოებებს, რომლებსაც უშუალო კავშირი აქვს დავასთან.

75. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ კრიტერიუმი, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს სასამართლო იმისათვის, რომ სწორად განსაზღვროს მხარეთა მიერ მითითებული ფაქტებიდან, თუ რომელი ამართლებს სამართლებრივად მხარეთა მოთხოვნებს (შესაგებელს) და რომელი არა, ესაა სარჩელის საგანი – მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსი, მოპასუხის შესაგებელი და შესაბამისი მატერიალურსამართლებრივი ნორმა.

76. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მტკიცების საგანში შემავალი გარემოებებიდან ერთი ნაწილი უნდა დაამტკიცოს მოსარჩელემ, მეორე ნაწილი კი – მოპასუხემ. ამასთან ერთად, დამტკიცების ტვირთის განაწილების საფუძველზე, მოსარჩელე თავისუფლდება იმ ფაქტების დადგენისაგან, რომელიც მოპასუხემ უნდა დაამტკიცოს და პირიქით, მოპასუხე თავისუფლდება იმ ფაქტების დადგენისაგან, რომელიც მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს. მტკიცების ტვირთის მხარეთა შორის განაწილების ინსტიტუტი მიუთითებს არა მარტო იმაზე, თუ რომელმა მხარემ რა ფაქტები უნდა დაადგინოს, არამედ იმაზეც, თუ რომელი ფაქტების დადგენის მოვალეობისაგან თავისუფლდება ესა თუ ის მხარე. შესაბამისად, მოსარჩელემ, როგორც წესი, უნდა დაამტკიცოს ყველა გარემოება, რომელიც წარმოადგენს მოთხოვნის წარმოშობის საფუძველს, ხოლო მოპასუხემ კი – ყველა გარემოება, რომელიც წარმოადგენს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს (იხ. ჰაინ ბილინგი, ლადო ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე გადანყვეტილებათა მიღების მეთოდიკა, თბ., 2003, გვ.64).

77. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო არაერთ გადანყვეტილებაში უთითებს, რომ ეროვნული სასამართლოს გადანყვეტილება უნდა პასუხობდეს მხარის მიერ სამართლებრივ და პროცედურულ საკითხებთან დაკავშირებით წარმოდგენილი არგუმენტების ძირითად ასპექტებს (იხ., გადანყვეტილება საქმეზე Ruiz Torija v. Spain, §§ 29-30). შესაბამისად, უფლება მოსმენაზე მოიცავს არა მხოლოდ სასამართლოს წინაშე არგუმენტების წარდგენის შესაძლებლობას, არამედ სასამართლოს ვალდებულებას, გადანყვეტილების დასაბუთებაში მიუთითოს მიზეზები, რომელთა საფუძველზეც გაიზიარა ან უარყო შესაბამისი არგუმენტები. სასამართლომ შეიძლება აუცილებლად არ მიიჩნიოს იმგვარ არგუმენტებზე პასუხის გაცემა, რომლებიც ამკარად არარელევანტური, დაუსაბუთებელი ან სხვაგვარად დაუშვებელია მსგავსი არგუმენტების მიმართ არსებული სამართლებრივი დებულებების ან მკარად დადგენილი სასამართლო პრაქტი-

კის საფუძველზე, თუმცა, ყველა გადანყვეტილება უნდა იყოს ნათელი და საქმეში მონაწილე მხარეებს შესაძლებლობას უნდა აძლევდეს გაიგონ, თუ რატომ გაითვალისწინა სასამართლომ მხოლოდ კონკრეტული გარემოებები და მტკიცებულებები (იხ., გადანყვეტილება საქმეზე *Seryavin and Others v. Ukraine* §§ 55-62). სასამართლოს აქვს ვალდებულება, სათანადოდ იმსჯელოს მხარეთა მიერ წარდგენილ დოკუმენტებზე, არგუმენტებსა და მტკიცებულებებზე (იხ. *Kraska v. Switzerland*, § 30; *Van de Hurk v. the Netherlands*, § 59; *Perez v. France*, § 80). ამასთან, მხარეებს უნდა ჰქონდეთ არა მხოლოდ იმის შესაძლებლობა, რომ იცოდნენ იმ მტკიცებულებათა შესახებ, რომლებიც მათ სჭირდებათ თავიანთი სარჩელის წარმტებისათვის, არამედ იცოდნენ და ჰქონდეთ კომენტარის გაკეთების საშუალება ყველა იმ მტკიცებულებასთან და მოსაზრებასთან დაკავშირებით, რომლებიც წარდგენილია სასამართლოს აზრის ფორმირებაზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით (იხ. *Milatova and others v. The Czech republic* §59; *niderost-huber v. Switzerland*, § 24; *k.s. v. finland* § 21; ასევე, სუსგ №ას-1191-1133-2014, 14 მაისი, 2015 წელი).

78. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სსკ-ის 930-ე მუხლისა და 934-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლომ სწორად დაადგინა, რომ ამხანაგობის სადამფუძნებლო დოკუმენტებით თავმჯდომარეს მინიჭებული ჰქონდა ამხანაგობის მესამე პირებთან ურთიერთობაში წარმოდგენისა და მისი სახელით ფინანსური (გარდა საერთო კრების კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხებისა) გარიგებების დადების უფლებამოსილება. სადამფუძნებლო ხელშეკრულებაში ამხანაგობის წევრთა მიერ გამოვლენილი ნება იძლევა საფუძველს დასკვნისათვის, რომ თავმჯდომარე უფლებამოსილი იყო, ამხანაგობის სახელით დაედო სესხის ხელშეკრულება. სადავო ხელშეკრულების შინაარსით ერთმნიშვნელოვნად დასტურდება, რომ თავმჯდომარემ მოპასუხებთან ხელშეკრულება დადო ამხანაგობის სახელით. 2008 წლის 3 ივლისის სესხის ხელშეკრულების თანახმად, მსესხებელს წარმოადგენს ამხანაგობა, შესაბამისად, უფლება-მოვალეობები წარმოიშვა მოპასუხებსა და ამხანაგობას შორის, რომლის საფუძველზეც ამხანაგობამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სადავო თანხების სამი თვის ვადაში დაბრუნების ვალდებულება იკისრა.

79. წარმოდგენილი საკასაციო საჩივრით კასატორების (შეგებებული სარჩელის მოსარჩელები) ერთ-ერთი საკასაციო პრეტენზია იმაში მდგომარეობს, რომ სააპელაციო სასამართლომ არ შეაფასა ის გარემოება, რომ ხელშეკრულების ნაწილობრივ ბათილად ცნობის თაობაზე მოთხოვნა სამართლებრივი ბუნებით წარმოად-

გენდა აღიარებით სარჩელს, რომლისთვისაც აუცილებელი წინაპირობაა იურიდიული ინტერესის არსებობა. მხარე ითხოვდა იპოთეკის ნაწილში ხელშეკრულების გაუქმებას, ხოლო სესხის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება ამხანაგობის მიერ კვლავ შესასრულებელი რჩებოდა. აღნიშნული მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველი გაუგებარია, რადგან იპოთეკის ხელშეკრულება სასამართლომ გააუქმა, ხოლო სესხის ხელშეკრულება უცვლელი დარჩა და შესაბამისად, არც ამხანაგობის ვალდებულება არ შეცვლილა. აღნიშნულთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა უკანონო და დაუსაბუთებელია, ვინაიდან იურიდიული ინტერესის არარსებობა გამორიცხავდა სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებას.

80. საკასაციო არ იზიარებს კასატორთა ამ პრეტენზიას და აღნიშნავს, რომ მოთხოვნათა მიხედვით შესაძლებელია სარჩელის შემდეგი კლასიფიკაცია: 1. მიკუთვნებითი, ანუ აღსრულებითი სარჩელი – მოთხოვნა გულისხმობს მოპასუხისათვის გარკვეული მოქმედების შესრულების დაკისრებას მოსარჩელის სასარგებლოდ. მაგალითად, ფულადი ვალდებულების შესრულების დაკისრება; ზიანის ანაზღაურება, სარჩოს დაკისრება. 2 აღიარებითი სარჩელი – რომელიც აღძრულია უფლებისა თუ სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენის, დოკუმენტის ნამდვილობის აღიარების ან დოკუმენტის სიყალბის დადგენის შესახებ, თუ მოსარჩელეს აქვს ამის იურიდიული ინტერესი. 3. გარდაქმნითი სარჩელი – მოთხოვნა მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის შეცვლა-შენწყვეტისაკენ, მაგალითად, განქორწინება.

81. იურიდიული ინტერესი არის ის ფაქტობრივი და სამართლებრივი შედეგი, რომლის მიღწევასაც ცდილობს მხარე აღიარებითი სარჩელის დაკმაყოფილებით. აღიარებითი სარჩელის მიმართ ნამდვილი იურიდიული ინტერესის არარსებობა არათუ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის, არამედ სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის საფუძველსაც კი წარმოადგენს. დავის მიმართ იურიდიული ინტერესის არსებობის შემოწმება განეკუთვნება სამართლის საკითხს, შესაბამისად, ვიდრე საქმის განმხილველი სასამართლო სარჩელის საფუძვლიანობას შეამოწმებს, მნიშვნელოვანია, შეფასდეს, აქვს თუ არა მოსარჩელეს ნამდვილი იურიდიული ინტერესი დავის მიმართ და უზრუნველყოფს თუ არა მოსარჩელის მოთხოვნა ამ ინტერესის დაკმაყოფილებას. აღიარებითი სარჩელის შემთხვევაში, იურიდიული ინტერესის არსებობა განპირობებულია არა ზოგადად მხარის ინტერესით, არამედ მატერიალურსამართლებრივი დანაწესით, რომლის შედეგის რეალიზაცია შესაძლებელია აღიარებითი სარჩელის აღძვრით. აღიარებითი სარ-

ჩელი უნდა ემსახურებოდეს მატერიალურსამართლებრივი ნორმით განსაზღვრული უფლების დაცვას.

82. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სსსკ-ის 180-ე მუხლი ადგენს ალიარებითი სარჩელის იურიდიული ინტერესის განმსაზღვრელ კრიტერიუმებს, კერძოდ: ა) მოსარჩელეს უნდა ედავებოდნენ უფლებაში; ბ) დავის არსებობა უნდა ქმნიდეს მოსარჩელის უფლების მომავალში დარღვევის რეალურ საშიშროებას; გ) ალიარებითი სარჩელის გადაწყვეტა დავის გადაწყვეტის საუკეთესო საშუალება უნდა იყოს, კერძოდ, გადაწყვეტილების შედეგად სრულად გარკვეული შედეგი უნდა დგებოდეს მხარისათვის, ალიარებითი სარჩელის დაკმაყოფილება უნდა ქმნიდეს იმ უფლებისა თუ ურთიერთობის განსაზღვრულობას, რაც მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის წარმოშობილი დავის გამო ირღვევა. საკასაციო პალატა სსსკ-ის 180-ე მუხლის განმარტების შედეგად აღნიშნავს, რომ ალიარებითი სარჩელის დაკმაყოფილებით, მოსარჩელემ უნდა განახორციელოს კონკრეტული უფლება და ამ უფლების განხორციელება დაკავშირებული უნდა იყოს უშუალოდ ალიარებითი სარჩელით მოთხოვნილი უფლების აღიარებასთან. სხვა საკითხია იურიდიული შედეგის არსებობის ან არარსებობის დადგენის სურვილი. იურიდიული ინტერესის არსებობის დადგენისათვის უპირატესად უნდა გაირკვეს, გაუმჯობესდება თუ არა მოსარჩელის სამართლებრივი მდგომარეობა მისი ალიარებითი მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში. შესაბამისად, დაუსაბუთებელია საკასაციო პრეტენზია, რომ იურიდიული ინტერესის თითქოსდა არარსებობა გამოირიცხავდა სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებას.

83. საკასაციო პალატა ასევე არ იზიარებს იმ საკასაციო პრეტენზიას, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა ამხანაგობის თავმჯდომარის უფლებამოსილებების საკითხი იმგვარად, თითქოსდა მას არ ჰქონდა უფლება, ამხანაგობის სახელით დაედო სადავო ხელშეკრულება. სადამფუძნებლო ხელშეკრულებით ამხანაგობის თავმჯდომარეს მიენიჭა ერთპიროვნულად ამხანაგობის ინტერესებისათვის საქმიანობის გაძღოლისა და განკარგვის შესაძლებლობა, კერძოდ, სადამფუძნებლო ხელშეკრულების მე-6 მუხლით განსაზღვრულია თავმჯდომარის უფლებამოსილებები, ხოლო აღნიშნული მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილია, რომ იგი ერთპიროვნულად წარმოადგენს ამხანაგობას მესამე პირებთან ურთიერთობაში, ყველა სახელმწიფო დაწესებულებაში და ორგანიზაციებში, უფლებამოსილია ამხანაგობის სახელით გამოვიდეს სასამართლოსა და სხვა ორგანოში. ხელშეკრულების დადების მომენტში ნივთის ნაკლი არ არსებობდა და კასატორებს, როგორც კეთილსინდისიერ შემძენებს არ შეიძლებოდა, სცოდნოდათ აღნიშ-

ნულის თაობაზე. ასევე, ხელშეკრულებით დადასტურებულია, რომ თავმჯდომარემ სანოტარო ბიუროში ხელშეკრულების გაფორმებისას წარადგინა ამხანაგობის სადამფუძნებლო ხელშეკრულება და №1 სხდომის ოქმი, რითაც მისი უფლებამოსილება დადასტურდა. (იხ. წინამდებარე განჩინების პ.44-45).

84. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მხარეთა შორის 2008 წლის 3 ივლისს დადებული სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება ბათილი გარიგებაა მხოლოდ იპოთეკის ნაწილში შემდეგ გარემოებათა გამო: ამხანაგობის სადამფუძნებლო ხელშეკრულების მე-6 მუხლის თანახმად, დამფუძნებლები შეთანხმდნენ, რომ ამხანაგობის მმართველი (აღმასრულებელი) თანამდებობის პირი იქნებოდა თავმჯდომარე, რომელსაც მიეცა უფლებამოსილება, დაედო ხელშეკრულებები და წარედგინა საჭირო დოკუმენტაცია, თუკი ისინი შეეხებოდა ბინის მესაკუთრეთა საერთო ინტერესებს; წარმოედგინა ამხანაგობა ნებისმიერ მესამე პირებთან ურთიერთობაში (მუხლი 6, პუნქტი 6.3). ამავე ხელშეკრულების 6.5, 6.6 მუხლებით განისაზღვრა, ამხანაგობის თავმჯდომარის უფლება, ნებისმიერ გარიგებაზე ხელი მოეწერა ამხანაგობის სახელით, გარდა იმ გარიგებებისა, რომლისთვისაც საჭირო იყო წევრთა საერთო კრების თანხმობა. სადამფუძნებლო ხელშეკრულების მე-5 მუხლის 5.7 პუნქტის თანახმად, ამხანაგობის საერთო სარგებლობაში არსებული ფართების სარგებლობისა და განკარგვის წესების დადგენა ამხანაგობის წევრთა საერთო კრების კომპეტენციას განეკუთვნა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ამხანაგობის კუთვნილი უძრავი ქონების იპოთეკით დატვირთვა ამხანაგობის წევრთა საერთო კრების განწყვეტილების საფუძველზე იყო შესაძლებელი.

85. მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ ამხანაგობის წევრთა საერთო კრებას თავმჯდომარისათვის ამხანაგობის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების იპოთეკით დატვირთვის უფლებამოსილება არ მიუნიჭებია, რაც საკასაციო პალატის მოსაზრებით, სსკ-ის 54-ე და 59-ე მუხლების საფუძველზე იპოთეკით უზრუნველყოფის ნაწილში, სადავო ხელშეკრულების ბათილად ცნობის საფუძველია.

86. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ხელშეკრულება ყოველთვის კონკრეტული სამართლებრივი შედეგის მიღწევას ისახავს მიზნად. მაგრამ ხელშეკრულების მონაწილე მხარეების მიერ არჩეული საშუალებები ან მათ მიერ განხორციელებული მოქმედებები ზოგჯერ არ არის სამართლით შემოთავაზებული შესაძლებლობების ადეკვატური და ექვივალენტური. პრაქტიკულად ეს იმას ნიშნავს, რომ ზოგი ნების გამოვლენა (გარიგება) იწვევს დასახული სამართლებრივი შედეგის დადგომას, ზოგი კი – არა. ამ განსხვავე-

ბათა აღსანიშნავად სამოქალაქო სამართალი განამტკიცებს ნამდვილი გარიგებისა (ხელშეკრულების) და ბათილი გარიგების (ხელშეკრულების) ცნებებს.

87. ნამდვილად მიიჩნევა ისეთი ხელშეკრულება, რომელიც ინვეს მისი მონაწილე მხარეების მიერ დასახული სამართლებრივი შედეგის დადგომას. ხელშეკრულება მიიჩნევა ბათილად, თუკი მას შედეგად არ მოჰყვება დასახული მიზნის მიღწევა იმის გამო, რომ კანონი განხორციელებულ ნების გამოვლენას სამართლებრივად არანამდვილად მიიჩნევს. სსკ-ის 54-ე მუხლის პირველი წინადადების თანახმად, „ბათილია გარიგება, რომელიც არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს“. აქ ერთის მხრივ მხედველობაშია, როგორც ყველა ის გარიგება, რომელსაც გააჩნია ბათილობის კანონით განსაზღვრული საერთო საფუძველი, ისე ცალკეული გარიგებისათვის დამახასიათებელი სპეციალური საფუძველები. მხედველობაშია მისაღები, რომ გარიგების ბათილობა, ჩვეულებრივ გამომდინარეობს არა ზოგადი მუხლიდან, არამედ უშუალოდ შესაბამისი სპეციალური ნორმიდან თუ მისი სათანადოდ განმარტებიდან.

88. სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლი გამოყოფს „სამი სახის ფასეულობას“, რომელთა დარღვევა ინვეს გარიგების ბათილობას: კანონით დადგენილი წესი და აკრძალვა; საჯარო წესრიგი; ზნეობის ნორმები. (იხ. ლ. ჭანტურია, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I., მუხლი 54., თბ., 2017, ველი 31.)

89. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ბათილია ნებართვის გარეშე დადებული გარიგება, თუ ამ გარიგებისათვის საჭიროა ნებართვა. ამ თვალსაზრისით ეს ნორმა შეიძლება განხილულ იქნეს სკ-ის 54-ე მუხლთან კავშირში და მის ერთ-ერთ კონკრეტულ გამოვლინებად. ნებართვის აუცილებლობა შეიძლება გამომდინარეობდეს კანონიდან ან ხელშეკრულებით იყოს გათვალისწინებული. ყველა შემთხვევაში საუბარია მესამე პირის თანხმობაზე სკ-ის 99-ე-102-ე მუხლების გაგებით. (იხ. ლ. ჭანტურია, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I., მუხლი 59., თბ., 2017, ველი 8.)

90. საკასაციო პალატა უსაფუძვლობის გამო არ იზიარებს იმ საკასაციო პრეტენზიასაც, რომ იმ პირობებში, როდესაც სესხის ხელშეკრულება უცვლელი დარჩა და შესაბამისად, არც ამხანაგობის ვალდებულება არ შეცვლილა, თითქოსდა არ არსებობდა იპოთეკის ხელშეკრულების ბათილად ცნობის საფუძველი.

91. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ იურიდიულ ლიტერატურასა და კანონმდებლობაში ცნობილია ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის სხვადასხვა საშუალება. მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებები ვალდებულების ჯეროვანი შესრულების

საშუალებებია. ისინი იყოფიან უზრუნველყოფის სანივთო და ვალდებულებითსამართლებრივ საშუალებებად. სანივთო უზრუნველყოფის საშუალებებს მიეკუთვნება გირავნობა და იპოთეკა. სანივთო უზრუნველყოფის საშუალებების თავისებურება ისაა, რომ ისინი გარანტირებულს ხდიან ვალდებულების შესრულებას მისი დარღვევის შემთხვევაში და სწორედ ამ მიზანმიმართულებით ხასიათდებიან. სანივთო უზრუნველყოფის საშუალებები მთლიანად შესრულების ფუნქციით არიან დატვირთული და არ წარმოადგენენ რაიმე დამატებით საჯარიმო ხასიათის დატვირთვებს მოვალისათვის. ამიტომაცაა, რომ ისინი ყველაზე გავრცელებული საშუალებებია სამოქალაქო ბრუნვაში.

92. ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის არსი მდგომარეობს იმაში, რომ თუ მოვალე არ ასრულებს, ანდა არაჯერონად ასრულებს ვალდებულებას, კრედიტორს აქვს იმის შესაძლებლობა, რომ სხვადასხვა ზომის გამოყენებით აიძულოს მოვალე შეასრულოს მასზე დაკისრებული ვალდებულება. ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის საშუალებები შეიძლება გათვალისწინებული იქნეს როგორც კანონით, ისე ხელშეკრულებით. ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის საშუალებათა არსებობა დამოკიდებულია რაიმე ვალდებულების არსებობაზე, რომლის შესრულების უზრუნველსაყოფადაც ისინი არსებობენ. ვალდებულება, რომლის უზრუნველყოფაც ხდება, წარმოადგენს მთავარ (ძირითად) ვალდებულებას, ხოლო მისი შესრულების უზრუნველყოფის საშუალებები დამატებით (აქცესორულ) ვალდებულებებს.

93. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული მოთხოვნის უზრუნველყოფის ერთ-ერთ მეტად გავრცელებულ საშუალებას წარმოადგენს იპოთეკა. იპოთეკა უზრუნველყოფის სანივთო საშუალებებს განეკუთვნება. ერთი მხრივ, ის განმტკიცებულია სანივთო სამართალში, ხოლო მეორე მხრივ, წარმოადგენს რეგისტრირებულ სანივთო უფლებას ინდივიდუალიზებულ და კონკრეტულ უძრავ ნივთზე. (იხ. დამატებით: ლ. ჭანტურია, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, თბ., 2012. თ. შოთაძე, იპოთეკა, როგორც საბანკო კრედიტის უზრუნველყოფის საშუალება, თბ., 2012). იპოთეკის უპირატესობა არა მხოლოდ იმაშია, რომ იპოთეკარს (კრედიტორს) კონკრეტული უძრავი ნივთიდან შეუძლია დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნა, არამედ იმაშიც, რომ მას სხვა კრედიტორებთან შედარებით პირველ რიგში შეუძლია მიიღოს დაკმაყოფილება.

94. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ იპოთეკა არის აქცესორული ხასიათის სანივთო რეალიზაციის უფლება და შესაბამისად, მისი დადგენისათვის აუცილებელია უზრუნველსაყოფი მოთ-

ხოვნის არსებობა. ძირითადი მოთხოვნის უფლების ბათილობა, გამოიწვევს იპოთეკის უფლების ბათილობას. პირიქით კი, ანუ იპოთეკაზე შეთანხმების ბათილობა, გავლენას ვერ მოახდენს ძირითადი უფლების ნამდვილობაზე.

95. საკასაციო პალატა წინამდებარე განჩინების 3.45-48 მითითებულ პრეტენზიებთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ამხანაგობის წევრებმა სადამფუძნებლო დოკუმენტებით ზუსტად განსაზღვრეს ამხანაგობის თავმჯდომარის უფლებამოსილებები და, ამხანაგობის საკუთრების განკარგვის ნაწილში, თავმჯდომარის კომპეტენცია ამხანაგობის საერთო კრების გადაწყვეტილების არსებობის აუცილებლობით შეზღუდეს, ამხანაგობის წევრების მხრიდან გონივრულობისა და წინდახედულობის სტანდარტის დაუცველობასთან დაკავშირებით, კასატორების მოსაზრებები საფუძველს მოკლებულია, ამიტომაც საკასაციო პალატის მიერ ვერ იქნება გაზიარებული.

96. საკასაციო პალატა მიუთითებს, რადგან იპოთეკის საგნის შეგებებულ მოსარჩელეთა (კასატორები) საკუთრებაში გადაცემა დაუშვებელია იმ საფუძველით, რომ დაადგენილია 2008 წლის 3 ივლისის სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების კანონსაწინააღმდეგობა იპოთეკის ნაწილში, (ამხანაგობის თავმჯდომარის მიერ ამგვარი ხელშეკრულების დადების არაუფლებამოსილების გამო), ეს ფაქტი გამორიცხავს იპოთეკის საგანის გადაცემასთან დაკავშირებით მხარეთა შორის რაიმე შეთანხმების ლეგიტიმურობას. ანუ, თუკი არ არსებობს იპოთეკის ხელშეკრულების წარმოშობის სამართლებრივი საფუძველი, მაშინ მისგან ნაწარმოები უფლებაც – შეთანხმება იპოთეკის საგნის საკუთრებაში გადაცემის თაობაზე, ვერ იქნება კანონიერი. შესაბამისად, წინამდებარე განჩინების 3.49-54 მოცემული საკასაციო პრეტენზიები, საკასაციო პალატის მოსაზრებით, ვერ იქნება მიჩნეული რელევანტურად.

97. რაც შეეხება წინამდებარე განჩინების 3.55 აღნიშნულ საკასაციო პრეტენზიასთან დაკავშირებით – სააპელაციო სასამართლოში სასამართლო პროცესები მიმდინარეობდა მხარეთა თანასწორობის პრინციპის დარღვევით და, ფაქტობრივად, სასამართლო შეგებებული სარჩელის მოსარჩელეებს სააპელაციო საჩივართან დაკავშირებით თავიანთი პოზიციის დაფიქსირების შესაძლებლობას არ აძლევდათ და რომ სააპელაციო პალატა მხოლოდ ამხანაგობის (აპელანტი) წარმომადგენლის ახსნა-განმარტებას უსმენდა და მიმანიშნებელი კითხვებით აზუსტებინებდა მოთხოვნას, რაც კასატორებს დასაბუთებულ ეჭვს უჩენს, რომ სააპელაციო პალატის მოსამართლეები დაინტერესებული იყვნენ განსახილველი საქმის შედეგით – საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სსსკ-ის 393-ე მუხ-

ლის 3-ე ნაწილის თანახმად, საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა მიღებული.

98. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ კასატორებმა ვერ წარმოადგინეს დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია სააპელაციო სამართლოს მიერ მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპების დარღვევის თაობაზე და შემოიფარგლნენ მხოლოდ ზოგადი მითითებებით, რის გამოც, საკასაციო პალატა მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს აღნიშნული საკასაციო პრეტენზიის მართებულობაზე. (სსსკ-ის 396-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტი, სსსკ-ის 407-ე მუხლის 1-ლი ნაწილი).

99. სსსკ-ის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი. მოცემულ შემთხვევაში, გასაჩივრებული გადაწყვეტილების საკასაციო საჩივრის ფარგლებში შემომწმების შედეგად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ საქმის განმხილველ სააპელაციო სასამართლოს შემადგენლობას კანონი არ დაურღვევია, ხოლო კასატორებს კი დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია არ წარმოუდგენიათ.

100. სსსკ-ის 46-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, თ. ქ-ი გათავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, ხოლო გ. ქ-ისა და ს. ა-ის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 660 ლარის ოდენობით დარჩეს სახელმწიფო ბიუჯეტში.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მესამე ნაწილით, 410-ე მუხლით და

და ა დ ბ ი ნ ა :

1. გ. ქ-ის, თ. ქ-ისა და ს. ა-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 14 მაისის გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად;
3. სახელმწიფო ბაჟი გადახდილია;
4. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**გარიგების გათილოვა გავლენის ზოროტად
გამოყენების გამომ;**

იქულებით დადებული გარიგებანი

**განჩინება
საქართველოს სახელით**

№ას-1238-1158-2017

18 აპრილი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა
შემადგენლობა: ნ. ბაქაქუერი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ბ. ალავეიძე

დავის საგანი: სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულება

აღწერილობითი ნაწილი:

1. 2004 წლის 14 მაისს ნ. ე-სა და გ. გ-ს (შემდგომში – „მოსარჩე-
ლე“ ან „კასატორი“) შორის დაიდო შპს „დ-ში“ ნ. ე-ის კუთვნილი
50%-იანი წილის ნასყიდობის ხელშეკრულება.

2. 2004 წლის 14 მაისს გ. პ-სა და მოსარჩელეს შორის დაიდო შპს
„ბ-ში“ გ. პ-ის კუთვნილი 24,96%-იანი წილის ნასყიდობის ხელშეკ-
რულება.

3. 2005 წლის 1 აპრილს მოსარჩელესა და გ. კ-ეს შორის დაიდო
შპს „ბ-ში“ გ. კ-ის საკუთრებაში არსებული 12,66%-იანი წილის ნას-
ყიდობის ხელშეკრულება.

4. 2005 წლის 21 ივნისის შპს „დ.“-ის პარტნიორთა კრების ოქმით
მიღებულ იქნა გადაწყვეტილება შპს „დ.“-ში მოსარჩელის კუთვნი-
ლი 50%-იანი წილის გ. კ-ესა და ი. კ-ზე (შემდგომში ერთობლივად –
„მოპასუხეები“) 1000 ლარად გასხვისების თაობაზე.

5. 2005 წლის 21 ივნისის წილის გასხვისების ხელშეკრულებით
დგინდება, რომ 2005 წლის 21 ივნისს, ერთი მხრივ, შპს „დ.“-ის დამ-
ფუძნებელმა პარტნიორმა – მოსარჩელემ (გამყიდველი) და, მეო-
რე მხრივ, ი. კ-მ (შემდგომში – „პირველი მოპასუხე“) დადეს ნასყი-
დობის ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც, გამყიდველმა მყიდ-
ველს 500 ლარის გადახდის სანაცვლოდ კუთვნილი 25%-იანი წილი
გადასცა.

6. 2005 წლის 21 ივნისის წილის გასხვისების ხელშეკრულებით
დგინდება, რომ 2005 წლის 21 ივნისს, ერთი მხრივ, შპს „დ.“-ის დამ-
ფუძნებელმა პარტნიორმა – მოსარჩელემ (გამყიდველი), ხოლო,

მეორე მხრივ, გ. კ-ემ (შემდგომში – „მეორე მოპასუხე“) დადეს ნას-ციდობის ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც, გამყიდველმა მყიდველს 500 ლარის გადახდის სანაცვლოდ კუთვნილი 25%-იანი წილი გადასცა.

7. 2007 წლის 29 ივნისის შპს „ბ-ს“ საწესდებო კაპიტალში წილის დათმობის (ნასციდობის) შესახებ სანოტარო აქტით დგინდება, რომ მოსარჩელემ შპს „ს-ს“ შპს „ბ-ში“ კუთვნილი 37,62%-იანი წილი 33 558 ლარად მიჰყიდა.

8. სამეწარმეო საზოგადოებაში წილების ნასციდობის (ნასციდ-ლიანი დათმობა) შესახებ 2007 წლის 16 ნოემბრის №01/08 წინარე ხელშეკრულებით, ერთი მხრივ, შპს „მ.“ და, მეორე მხრივ, შპს „ს.“ შეთანხმდნენ შპს „ბ-ს“ საწესდებო კაპიტალში შპს „ს-ს“ საკუთრე-ბაში არსებული 37,62%-იანი წილის სანაცვლოდ 50 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის და შპს „დ.“-ში მოპასუხეთა კუთვნილი 50%-იანი წილის 3 730 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარად ნას-ციდობის თაობაზე.

9. აუდიტორ ი. მ-ის 2014 წლის 17 მარტის დასკვნით წილის შე-ფასების თაობაზე შპს „დ.“-ში მოსარჩელის 50%-იანი წილის ღირე-ბულება 2004-2005 წლებში 3 449 754 აშშ დოლარად განისაზღვრა.

10. მოსარჩელემ სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუ-ხეების მიმართ და მოითხოვა:

10.1. ზიანის ანაზღაურების სახით, თითოეული მოპასუხისთვის ცალ-ცალკე 2 113 391 აშშ დოლარის გადახდის დაკისრება;

10.2. მოპასუხეებისთვის თანაბარწილად მიუღებელი შემოსავ-ლის გადახდის დაკისრება შემდეგი ოდენობით: 2005 წლის ივლისი-დან – 3 730 000 აშშ დოლარის 0,03% ყოველდღიურად, გადანყვე-ტილების აღსრულებამდე, რაც შეადგენს 1119 აშშ დოლარს; 2007 წლის ივლისიდან – 496 783 აშშ დოლარის 0,03% ყოველდღიურად, გადანყვეტილების აღსრულებამდე, რაც შეადგენს 149 აშშ დო-ლარს.

11. სარჩელი ემყარება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს:

11.1. მოსარჩელის საკუთრებაში იყო 50%-იანი წილი შპს „დ.“-ში და 37,62%-იანი წილი შპს „ბ-ში“;

11.2. შპს „ბ-ს“ ძირითად აქტივს წარმოადგენს მის საკუთრება-ში არსებული მიწა (ზ-ის საკოლმეურნეო ბაზარი და მისი მიმდებარე ტერიტორია), რომელზეც მოიპოვება წიდა, ხოლო შპს „დ.“ ფლობდა ზ-ის საკოლმეურნეო ბაზრისა და მის მიმდებარე ტერი-ტორიაზე წიაღით სარგებლობის ლიცენზიას;

11.3. შპს „დ.“-ის ძირითადი საქმიანობის საგანს წარმოადგენდა სილიკომანგანუმის ნარჩენების (წიდის) მოპოვება-რეალიზაცია, რომლითაც მარაგდებოდა სს „ზ.“;

11.4. ორივე საზოგადოების საქმიანობა ეკონომიკურად მომგებიანი იყო. მაგალითად, შპს „დ.“-ის 2005 წლის მოგებამ შეადგინა 716 287 ლარი, ხოლო შპს „ბ-ს“ 2007 წლის სამეურნეო გასანაწილებელი მოგება 201 575 ლარს უტოლდებოდა;

11.5. მოსარჩელის საკუთრებაში არსებული ნილებით დაინტერესდნენ მოპასუხეები, რომლებიც წარმოადგენდნენ სს „ზ-ის“ მსხვილ აქციონერებს და სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს. აღნიშნული ქარხანა, თავის მხრივ, საქართველოში შპს „დ.“-ის მიერ მოპოვებული წილის ერთადერთ მომხმარებელს წარმოადგენდა და ეკონომიკური თვალსაზრისით დაკავშირებული იყო იმ საზოგადოებებთან, რომელთა წილის მესაკუთრეც მოსარჩელე იყო. მოპასუხეებმა, ისარგებლეს რა ძალაუფლებით, ძალადობითა და მუქარით დაათმობინეს მოსარჩელეს წილი შპს „დ.“-ში. კერძოდ, 2005 წლის 21 ივნისის ხელშეკრულებებით მოსარჩელემ თავისი 25%-იანი წილი დაუთმო პირველ მოპასუხეს და მეორე 25%-იანი წილი – მეორე მოპასუხეს სიმბოლურ ფასად, 500-500 ლარად;

11.6. მოპასუხეებმა განუმარტეს, რომ, თუ მოსარჩელე არ დათანხმდებოდა ზემოაღნიშნულ გარიგებებს, ზ. არ შეიძენდა შპს „დ.“-გან პროდუქციას და გააკოტრებდნენ კომპანიას, ამასთან, მას შეექმნებოდა პრობლემები სამართალდამცავ ორგანოებთან. შეთავაზების მიღების შემთხვევაში, მოპასუხეები მოსარჩელეს დირექტორის მოადგილის თანამდებობასა და სამომავლოდ წილის რეალური ღირებულების ანაზღაურებასაც დაპირდნენ;

11.7. შემდგომ, მოპასუხეებმა დაიწყეს სისტემატური ზეწოლა უკვე შპს „ბ-ს“ წილის ხელში ჩასაგდებად. მოსარჩელის მიმართ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე უკანონო სამენარმეო საქმიანობისა და წიაღით უკანონოდ სარგებლობის ფაქტებზე. მოსარჩელე იძულებული გახდა გარიდებოდა სიტუაციას და წავიდა ერაყში. მოპასუხეებმა მოტყუებით, იმ დაპირებით, რომ მომგებიანად შეიძენდნენ მის წილს შპს „ბ-ში“, მოსარჩელე საქართველოში ჩამოიყვანეს, სადაც იგი საზღვარზე დააკავეს სამართალდამცავებმა. ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 1 მარტის განაჩენით მოსარჩელე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა 4 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა პირობითი მსჯავრის სახით;

11.8. 2007 წლის 29 ივნისს მოპასუხეებმა მოსარჩელეს იძულების წესით ნომინალურ ფასად – 33 558 ლარად გაასხვისებინეს შპს „ბ-ში“ კუთვნილი 37,62%-იანი წილი შპს „ს-ზე“, რომლის რეალური მფლობელები თავად მოპასუხეები იყვნენ, თუმცა ნომინალური ფასიც კი არ გადაუხდიათ მოსარჩელისთვის. აღნიშნული წილის რეალური ღირებულება შეადგენდა 496 783 დოლარს;

11.9. 2007 წლის 16 ნოემბერს დადებული გარიგების თანახმად,

შპს „ს-მ“ აიღო ვალდებულება შპს „მ.“-სთვის მიეყიდა შპს „ბ-ში“ 37,62%-იანი წილი 50 000 აშშ დოლარად, გამოესყიდა ფიზიკური პირისგან და მიეყიდა შპს „ბ.“-ში ფიზიკური პირის 16,66%-იანი წილი 220 000 აშშ დოლარად, ასევე, მიეყიდა მოპასუხეების საკუთრებაში არსებული შპს „დ.“-ის 50%-იანი წილი 3 730 000 აშშ დოლარად;

11.10. წილის რეალური ღირებულებისა და ზიანის ანაზღაურების თაობაზე მოსარჩელის არაერთი მიმართვის მიუხედავად, მოპასუხეები სისტემატურად ემუქრებოდნენ მას სამართალდამცავ ორგანოებთან პრობლემების შექმნით, რაც ბოლო პერიოდამდე გრძელდებოდა;

11.11. ამჟამად სადავო წილები აღარ წარმოადგენს მოპასუხეების საკუთრებას. მოსარჩელე ითხოვს ზიანის ანაზღაურებას წილების რეალური ღირებულების შესაბამისად.

12. მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს და განმარტეს:

12.1. პირველი მოპასუხე არის საფეხბურთო კლუბ „ზ-ის“ მფლობელი, რომელმაც 2009 წლის 5 ოქტომბერს ხელშეკრულება გააფორმა მოსარჩელის საკუთრებაში არსებულ კომპანია შპს „დ-თან“ კლუბის სანვრთნელი ბაზის საპროექტო და სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებით. აღნიშნული ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებების დარღვევის გამო, 2011 წელს საფეხბურთო კლუბმა წამოიწყო დავა სასამართლოში ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით. მხარეები მორიგდნენ და 2011 წლის 25 ივლისსა და 2012 წლის 24 იანვარს გააფორმეს ახალი ხელშეკრულებები, რომელთა თანახმად, შპს „დ-ი“ იღებდა გარკვეული სამშენებლო სამუშაოების შესრულების ვალდებულებას. შპს „დ-მა“ აღნიშნული ვალდებულებებიც ვერ შეასრულა, რის გამოც საფეხბურთო კლუბი „ზ-ი“ სასამართლოს მეშვეობით ითხოვს ზიანის ანაზღაურებას და შპს „დ-ის“ ქონება დაყადაღებულია. მხარეთა შორის სწორედ ამ დაძაბულმა ურთიერთობამ გამოიწვია რეალურად მოსარჩელის მიერ სარჩელის აღძვრა მოპასუხეების წინააღმდეგ სრულიად დაუსაბუთებელი მოთხოვნით;

12.2. მოსარჩელე ითხოვს ზიანის ანაზღაურებას, რომელიც შეიძლება გამომდინარეობდეს სახელშეკრულებო ურთიერთობიდან, როგორც მეორადი მოთხოვნა ან დელიქტიდან. ორივე შემთხვევაში სარჩელი ხანდაზმულია, ვინაიდან მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებები ეხება 6-7 წლის წინ არსებულ სახელშეკრულებო ურთიერთობებს, ხოლო როგორც დელიქტიდან გამომდინარე, ასევე – სახელშეკრულებო მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა სამი წელია;

12.3. ამასთან, მოსარჩელის განმარტებით, მასზე განხორციე-

ლებული ზენოლა დასრულდა ხელშეკრულების გაფორმების მომენტში, რაც შპს „დ.“-ის შემთხვევაში მოხდა 2005 წელს, ხოლო შპს „ბ-ს“ შემთხვევაში – 2007 წელს. შესაბამისად, ორივე შემთხვევაში ერთნაირი ხანდაზმულობის ვადაც გასულია, რაც მოსარჩელეს ართმევს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 85-ე მუხლზე მითითების უფლებას;

12.4. მოსარჩელის მოთხოვნა უსაფუძვლოა. კერძოდ, 2004 წლის 14 მაისს მოსარჩელემ 1000 ლარად შეიძინა შპს „დ.“-ის 50%-იანი წილი. ერთი წლის შემდეგ, 2005 წლის 21 ივნისს მოსარჩელემ 50%-იანი წილი მიყიდა მოპასუხეებს იმავე ფასად, გამომდინარე იქედან, რომ მას არ განუხორციელებია კომპანიაში არანაირი დამატებითი ინვესტიცია და კომპანია იმყოფებოდა ზუსტად იმ მდგომარეობაში, როგორშიც მან იყიდა ერთი წლის წინ. 2005 წლიდან 2007 წლამდე კომპანიას მართავდნენ მოპასუხეები და მათ კომპანიის კაპიტალში არაერთი შენატანი განახორციელეს;

12.5. რაც შეეხება შპს „ბ-ს“, მოსარჩელემ 2004 წლის 14 მაისს და 2005 წლის 19 აპრილს შეიძინა ჯამში კომპანიის 37,62%-იანი წილი 33 560 ლარად. მოსარჩელემ 2007 წლის 29 ივნისს აღნიშნული 37,62%-იანი წილი იმავე ფასად მიყიდა შპს „ს-ს“, რომელმაც გარკვეული ინვესტიციის განხორციელების შემდგომ ეს წილი გაასხვისა შპს „მ.“-ზე 50000 აშშ დოლარად. მოსარჩელეს მის მიერ წილის საკუთრებაში ფლობის განმავლობაში არანაირი დამატებითი ინვესტიცია არ განუხორციელებია კომპანიაში, შესაბამისად, მისი წილის ღირებულება ვერ შეიცვლებოდა;

12.6. მოპასუხეები შპს „ბ-ს“ დაფუძნებიდან არასდროს ყოფილან ამ კონკრეტული კომპანიის წილის იურიდიული მესაკუთრეები და არც რომელიმე იურიდიული პირის მესაკუთრეები, რომელიც ფლობდა შპს „ბ-ს“ წილს. შესაბამისად, მითითება იმასთან დაკავშირებით, რომ მოპასუხეებმა არ გადაუხადეს მოსარჩელეს გარკვეული თანხა, მოკლებულია სამართლებრივ დასაბუთებას;

12.7. შპს „მ.“-მა შეიძინა არა მხოლოდ შპს „დ.“-ის წილი, რომელიც წარმოადგენდა წილის მოპოვების ლიცენზიის მფლობელ კომპანიას, არამედ მან ასევე შეიძინა შპს „ბ-ს“ წილი, რომელიც წარმოადგენდა წილის მფლობელ კომპანიას. შესაბამისად, კომპლექსურად ამ წილის ღირებულება გაცილებით მეტია, ვიდრე თითოეული მათგანის ცალ-ცალკე.

13. მოსარჩელემ თბილისის საქალაქო სასამართლოს მთავარ სსდომაზე განმარტა, რომ აუდიტორული კომპანია „ა-ის“ 2014 წლის 17 მარტის დასკვნის თანახმად, გასხვისების მომენტისათვის შპს „დ.“-ის 50%-იანი წილის ღირებულება შეადგენდა 3 449 754 აშშ დოლარს, ხოლო შპს „ბ-ს“ 37,62%-იანი წილის

ღირებულება – 215 000 ლარს. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ შეამცირა სასარჩელო მოთხოვნა და საბოლოოდ მოითხოვა:

13.1. თითოეული მოპასუხისთვის ცალ-ცალკე 1 724 877 აშშ დოლარისა და 107 500 ლარის გადახდის დაკისრება;

13.2. თითოეული მოპასუხისთვის ცალ-ცალკე მიუღებელი შემოსავლის გადახდის დაკისრება შემდეგი ოდენობით: 2005 წლის ივლისიდან – 1 724 877 აშშ დოლარის 0,03% ყოველდღიურად 517 აშშ დოლარი გადაწყვეტილების აღსრულებამდე; 2007 წლის ივლისიდან – 107 500 ლარის 0,03% ყოველდღიურად 32 ლარი გადაწყვეტილების აღსრულებამდე.

14. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილებით მოსარჩელის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა: მოპასუხეებს მოსარჩელის სასარგებლოდ ცალ-ცალკე დაეკისრათ 1 724 877 აშშ დოლარის გადახდა, ასევე 1 724 877 აშშ დოლარის წლიური 10%-ის გადახდა 2005 წლის ივლისიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე; სარჩელი შპს „ბ-ს“ წილის ნასყიდობის ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

15. საქალაქო სასამართლომ მიუთითა წინამდებარე განჩინების 1-9 პუნქტებში ასახულ ფაქტობრივ გარემოებებზე და საქმის მასალებით დადასტურებულად მიიჩნია, რომ შპს „დ.“-ის წილი, რომელსაც ფლობდა მოსარჩელე, იყო გაცილებით ძვირი, ვიდრე ის გაყიდული იქნა 2005 წლის 21 ივნისს მოპასუხეებზე. შესაბამისად, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭებოდა, რა ღირებულების იყო აღნიშნული წილი.

16. საქმის მასალებში წარმოდგენილი საგადასახადო შემონმების აქტის, მოგების გადასახადის წლიური დეკლარაციებისა და მოსარჩელის სასარგებლოდ გაცემული დივიდენდის ოდენობის დამადასტურებელი დოკუმენტების საფუძველზე, საქალაქო სასამართლომ დაადგინა, რომ მოსარჩელეს მხოლოდ ერთი წლის დივიდენდის სახით მიღებული ჰქონდა 200 000 ლარი (დივიდენდის გაცემის დამადასტურებელი სალაროს გასავლის ორდერები), ხოლო შპს-ს მოგებამ 2004 წელს შეადგინა 949 456 ლარი (საგადასახადო შემონმების აქტი). საქმის მასალებში წარმოდგენილი აუდიტორული დასკვნით დასტურდებოდა, რომ 2004-2005 წლებში შპს „დ.“-ის 50%-იანი წილის ღირებულება შეადგენდა 3 449 754 აშშ დოლარს. სასამართლოს მითითებით, საქმის მასალებში არ იყო წარმოდგენილი აუდიტორული დასკვნის გამაბათილებელი რაიმე მტკიცებულება, რაც მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპზე დაყრდნობით სასამართლოს ავალდებულებდა გაეზიარებინა მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი დასაბუთებული, ურთიერთშეჯერებული და გაუ-

ქარწყლებელი მტკიცებულებები.

17. საქალაქო სასამართლომ იმსჯელა იმაზე, რამდენად შეესაბამებოდა საჯარო წესრიგსა და ზნეობრივ ნორმებს ისეთი გარიგება, რომლის ფასი დაახლოებით 5933-ჯერ იყო შემცირებული. სასამართლომ მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ მხარეები წარმოადგენდნენ მენარმეებს და, შესაბამისად, ორივე მხარე დაინტერესებული იყო სამენარმეო საქმიანობის შედეგად მაქსიმალური მოგების მიღებით. საქმის გარემოებებით არ დასტურდებოდა მხარეებს შორის ოჯახური, ნათესაური ურთიერთობა ან რაიმე დაფარული გარიგების არსებობა, რაც ცხადს გახდიდა მათ რეალურ განზრახვას. პირიქით, საქმის მასალებში წარმოდგენილი სხვა ხელშეკრულებებით დგინდებოდა, რომ პირველი მოპასუხისა და მოსარჩელის წარმოებს ჰქონდათ სრულიად პრაგმატული ურთიერთობები, საბაზრო პირობების შესაბამისად. ამრიგად, არ არსებობდა რაიმე საპატიო, ზნეობის ნორმების შესაბამისი საფუძველი, რაც ცხადს გახდიდა 3 449 754 აშშ დოლარის ღირებულების აქტივის მოპასუხეებზე 1000 ლარად გადაცემას.

18. საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ სარჩელში 2005 წლის 21 ივნისის წილის გასხვისების ხელშეკრულებების ბათილად ცნობის სამართლებრივ საფუძვლად მითითებულია სსკ-ის 85-ე მუხლზე (ძუღლებით დადებული გარიგებანი). სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის მოსაზრება სამართლებრივ დასაბუთებასთან დაკავშირებით და მიიჩნია, რომ მოდავე მხარეებს შორის არსებული ურთიერთობის დაკვალიფიცირება სსკ-ის 54-ე და 61-ე მუხლების საფუძველზე უნდა განხორციელებულიყო.

19. საქალაქო სასამართლომ იხელმძღვანელა სსკ-ის 54-ე, 61-ე, 8.3, 115-ე მუხლებით, 976.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით, 979-ე მუხლის მეორე ნაწილით და 981-ე მუხლის მე-2 ნაწილით და განმარტა, რომ გარიგება დადებული იყო თავისუფალი ბაზრის პრინციპებით მოქმედ საზოგადოებაში მიღებული წესების უგულვებლყოფით. მხარეებმა კერძო ავტონომია ვერ შეუსაბამეს დადგენილ ზნეობრივ ნორმებს და საჯარო წესრიგის სტანდარტებს. აღნიშნულ ურთიერთობაში დაუცველი მხარე იყო მოსარჩელე, რომლის რეალურად რამდენიმე მილიონ დოლარად შეფასებული არამატერიალური აქტივი მოპასუხეების საკუთრებაში გადავიდა სიმბოლურ ფასად. სასამართლოს განმარტებით, თუ სიკეთეს (ნივთიერს ან არამატერიალურს) და ამ სიკეთის ნასყიდობის ფასს შორის თვალშისაცემი დისპროპორციაა, მაშინ გარიგება ამორალურია. გამომდინარე აქედან, 2005 წლის 21 ივნისის ხელშეკრულებები უცილოდ ბათილი გარიგებები იყო, რაც პირს უფლებას აძლევდა უსაფუძვლოდ გადაცემულის უკან დაბრუნება მოეთხოვა. საქმეში წარმოდგენი-

ლი მასალებით დგინდებოდა, რომ მოსარჩელის მიერ გადაცემული ქონება – შპს „დ.“-ში კუთვნილი 50%-იანი წილი ნატურით დაბრუნებას არ ექვემდებარებოდა, ვინაიდან აღარ წარმოადგენდა მოპასუხეთა საკუთრებას და მოსარჩელეს უნდა ანაზღაურებოდა გადაცემული ქონების ღირებულება.

20. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მოპასუხეებმა.

21. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 6 ივლისის გადაწყვეტილებით მოპასუხეების სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილების 1.1., 1.2., 1.3., 1.4 პუნქტებისა და მე-3 ნაწილის შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; სარჩელი შპს „დ.“-ის წილის ნასყიდობის ნაწილში არ დაკმაყოფილდა; თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილების მე-2 ნაწილი დარჩა უცვლელი.

22. სააპელაციო პალატის მსჯელობის საგანს წარმოადგენდა შპს „დ.“-ში მოსარჩელის 50%-იანი წილის მოპასუხეებზე 1000 ლარად გასხვისების საკითხი.

23. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

23.1. 2004 წლის 14 მაისს ნ. ე-სა და მოსარჩელეს შორის შპს „დ.“-ში ნ. ე-ის კუთვნილი 50%-იანი წილის ნასყიდობის ხელშეკრულების თანახმად, მოსარჩელემ ნ. ე-ის კუთვნილი 50%-იანი წილი შეისყიდა 1 000 ლარად;

23.2. 2005 წლის 21 ივნისის შპს „დ.“-ის პარტნიორთა კრებაზე მიღებული გადაწყვეტილებით შპს „დ.“-ში მოსარჩელის კუთვნილი 50%-იანი წილი მოპასუხეებზე გაიყიდა იმავე ღირებულებით (1 000 ლარი), რა ღირებულებითაც, ერთი წლით ადრე, 2004 წლის 14 მაისს მოსარჩელემ შეიძინა ნ. ე-ისაგან;

23.3. 2005 წლის 21 ივნისის შპს „დ.“-ის დამფუძნებელმა პარტნიორმა მოსარჩელემ და მოპასუხეებმა დადეს ნასყიდობის ხელშეკრულებები, რომლის მიხედვით, მოსარჩელემ მოპასუხეებს 1000 (500+500) ლარის გადახდის სანაცვლოდ კუთვნილი 50%-იანი წილი გადასცა;

23.4. საქმის მასალებში მოპასუხეების მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების თანახმად, პირველი მოპასუხე არის საფეხბურთო კლუბ „ზ-ის“ მფლობელი, რომელმაც 2009 წლის 5 ოქტომბერს ხელშეკრულება გააფორმა მოსარჩელის საკუთრებაში არსებულ შპს „დ-თან“ კლუბის სანრთველი ბაზის საპროექტო და სამშენებ-

ლო სამუშაოებთან დაკავშირებით;

23.5. მითითებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების დარღვევის გამო, 2011 წელს საფეხბურთო კლუბმა „ზ-მა“ შპს „დ-ის“ მიმართ წამოიწყო დავა სასამართლოში ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით. აღნიშნულ დავასთან დაკავშირებით მხარეები მორიგდნენ და 2011 წლის 25 ივლისს და 2012 წლის 24 იანვარს გააფორმეს ახალი ხელშეკრულებები. ხელშეკრულებების თანახმად, შპს „დ-მა“ აიღო გარკვეული სამშენებლო სამუშაოების შესრულების ვალდებულება. წინამდებარე ხელშეკრულებების შეუსრულებლობის გამო, საფეხბურთო კლუბმა „ზ-მა“ მიმართა სასამართლოს შპს „დ-ის“ მიმართ.

24. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სამართლებრივად სწორად შეაფასა მოსარჩელის მითითება იძულების ფაქტობრივი აღწერილობის ნაწილში, ამასთან, მოსარჩელეს სასამართლოს სამართლებრივი შეფასება სადავოდ არ გაუხდია. სააპელაციო სასამართლომ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 23 ოქტომბრის №ას-89-83-2015 განჩინებაზე დაყრდნობით, განმარტა, რომ იძულება არა ფაქტის, არამედ – სამართლებრივი შეფასების საკითხია და, ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, მიიჩნია, რომ 2009 წელს მოსარჩელესა და პირველ მოპასუხეს შორის ნების ავტონომიის პირობებში სახელშეკრულებო ურთიერთობის წარმოშობა გამორიცხავდა 2005 წელს შპს „დ.“-ის წილის გასხვისებისას მოსარჩელის ნების თავისუფალ ფორმირებაში მოპასუხეების აშკარა ჩარევას.

25. სააპელაციო პალატამ საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2017 წლის 2 მარტის №ას-664-635-2016 გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით გაიზიარა მოპასუხეების მითითება მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების ნასყიდობის ფასის არაადეკვატურობის გამო სსკ-ის 54-ე მუხლის გამოყენების დაუშვებლობის თაობაზე და განმარტა, რომ მოცემულ ნორმას ავტონომიური ფუნქცია არ გააჩნია, ის დეფინიციურია და კონკრეტულ სამართლებრივ შედეგს არ ითვალისწინებს.

26. სააპელაციო პალატა დაეთანხმა მოპასუხეების მითითებას მოთხოვნის ხანდაზმულობის თაობაზე. სასამართლომ იხელმძღვანელა სსკ-ის 128.1, 129.1 და 130-ე მუხლებით და აღნიშნა, რომ სადავო ხელშეკრულებები შპს „დ.“-ში მოსარჩელის 50%-იანი წილის გასხვისების შესახებ დადებული იყო 2005 წლის 21 ივნისს, ხოლო სარჩელი მითითებულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებით წარდგენილი იყო 2013 წლის 22 თებერვალს, სსკ-ის 129-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული სამწლიანი ვადის დარღვევით.

27. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება.

28. კასატორმა საკასაციო საჩივარში მიუთითა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების შემდეგ საფუძვლებზე:

28.1. უსაფუძვლოა სააპელაციო სასამართლოს დასკვნა, რომ მოსარჩელესა და პირველ მოპასუხეს შორის 2009 წელს ნების ავტონომიის პირობებში სახელშეკრულებო ურთიერთობის წარმოშობა გამორიცხავს 2005 წელს შპს „დ.“-ის ნილის გასხვისებისას მოსარჩელის ნების თავისუფალ ფორმირებაში მოპასუხეების აშკარა ჩარევას, რადგან მოსარჩელეს საქმის განხილვის არცერთ ეტაპზე არ განუცხადებია, რომ შპს „დ.“-ის ნილების გადაფორმების შემდეგ, მას არანაირი კონტაქტი არ ჰქონია მოწინააღმდეგე მხარესთან. მოსარჩელე უთითებდა, რომ 2007 წლის 29 ივნისს მოპასუხეებმა მას იძულების წესით გაასხვისებინეს შპს „ბ-ში“ 37,62%-იანი წილი შპს „ს-ზე“. მხარეებს შორის დაძაბულ ურთიერთობას ადასტურებს ის გარემოებაც, რომ 2009 წლის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, სწორედ ერთ-ერთმა მოპასუხემ წამოიწყო სასამართლო დავა, ასევე ემოქმედებდა, რომ პრობლემები შეექმნებოდა საგამოძიებო ორგანოებთან, რისი დამადასტურებელი მტკიცებულებაც წარუდგინა პირველი ინსტანციის სასამართლოს. სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნული მსჯელობის გაზიარების შემთხვევაში, საინტერესოა, რატომ არის სარჩელი დაუსაბუთებელი მეორე მოპასუხის მიმართ, რომელიც არ ყოფილა 2009 წლის ხელშეკრულების მხარე;

28.2. სააპელაციო სასამართლოს დასკვნა, რომ სსკ-ის 54-ე მუხლის გამოყენება დაუშვებელია მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების ნასყიდობის ფასის არაადეკვატურობის გამო, უკანონოა და ეწინააღმდეგება საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკას (საქმე №ას-501-475-2015). დასახელებული განჩინებით საკასაციო სასამართლომ გააუქმა ქვემდგომი სასამართლოს განჩინება და დაავალა მას სწორედ სსკ-ის 54-ე მუხლთან შესაბამისობის გათვალისწინებით შეეფასებინა ფიზიკურ პირსა და სახელმწიფო ორგანოს შორის დადებული ჩუქების ხელშეკრულება ანუ საკასაციო სასამართლომ სრულიად ავტონომიური ფუნქცია მიანიჭა დასახელებულ ნორმას და დასაშვებად მიიჩნია მის საფუძველზე გარიგების ნამდვილობის შემოწმება;

28.3. ასევე დაუსაბუთებელია სააპელაციო სასამართლოს დასკვნა სარჩელის ხანდაზმულობის თაობაზე, ვინაიდან სსკ-ის 54-ე მუხლი არ ადგენს ხანდაზმულობის სპეციალურ ვადას და, შესაბამისად, გამოყენებული უნდა იყოს ხანდაზმულობის საერთო 10-

ნლიანი ვადა;

28.4. სააპელაციო სასამართლომ გვერდი აუარა მოსარჩელის არ-გუმენტებს, კერძოდ, შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს: კასატორი ფლობდა 50%-იან წილს შპს „დ.“-ში და 37,62%-იან წილს შპს „ბ-ში“. აღნიშნული ფირმები წარმოადგენდნენ წილის მესაკუთრე და მომპოვებელ კომპანიებს და ეწეოდნენ ეკონომიკურად მომგებიან საქმიანობას. მოპასუხეები იყვნენ სს „ზ-ის“ მსხვილი აქციონერები და სამეთვალყურეო საბჭოს წევრები. აღნიშნული ქარხანა წარმოადგენდა შპს „დ.“-ის მიერ მოპოვებული წილის ერთადერთ მომხმარებელს საქართველოში და ეკონომიკური თვალსაზრისით დაკავშირებული იყო იმ საზოგადოებებთან, რომელთა წილის მესაკუთრეც კასატორი იყო. მათ წილი შეიძინეს სიმბოლურ ფასად – 1000 ლარად, ხოლო მოგვიანებით აღნიშნული წილი 3 730 000 აშშ დოლარად გადასხვისეს. საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით დგინდება, რომ 1 წლის მანძილზე, რა პერიოდშიც კასატორი შპს „დ.“-ის პარტნიორი იყო, დივიდენდის სახით მან მიიღო 200 000 ლარი. შესაბამისად, ლოგიკური არ არის ასეთი საზოგადოების წილის გაყიდვა 1000 ლარად;

28.5. სასამართლომ სამართლებრივი შეფასება არ მისცა მხარეებს შორის არსებულ ურთიერთობას. თუ სსკ-ის 54-ე მუხლის ნორმას ავტონომიური ფუნქცია არ გააჩნია, მაშინ რა ურთიერთობა არსებობდა მხარეებს შორის, რომელი ნორმა ანეხრიგებს სადავო სამართალურთიერთობას. სასამართლომ, ასევე, ფორმალური მსჯელობის გარეშე გააუქმა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება მიყენებული ზიანის (მიუღებელი შემოსავლის) ნაწილში.

29. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 23 ოქტომბრის განჩინებით მოსარჩელის საკასაციო საჩივარი წარმოებაში იქნა მიღებული საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მიხედვით, დასამუშავების შესამონმებლად.

30. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 12 იანვრის განჩინებით მოსარჩელის საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

სამოტივაციო ნაწილი:

31. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, საქმის მასალები, შეამოწმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთება და მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

32. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

33. საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამონმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში [სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილი]. საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებებში და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები [სსსკ-ის 407-ე მუხლის პირველი ნაწილი]. სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაბუთებული და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება) [სსსკ-ის 407-ე მუხლის მეორე ნაწილი].

34. საკასაციო სასამართლოს შემონმების საგანია შპს „დ-ში“ მონარჩელის 50%-იანი წილის მოპასუხეებზე 1000 ლარად გასხვისების შედეგად მიყენებული ზიანისა და მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურებაზე უარის თქმის კანონიერება.

35. კასატორის ძირითადი პრეტენზია ემყარება სააპელაციო სასამართლოს მიერ სამართლის ნორმების დარღვევას. სახელდობრ, საკასაციო საჩივრის ავტორი სადავოდ ხდის დავის გადაწყვეტისას სსკ-ის 54-ე მუხლის გამოყენებაზე უარს [სსსკ-ის 393.1 მუხლი: საკასაციო საჩივარი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ გადაწყვეტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი. 393.2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი: სამართლის ნორმები დარღვეულად ითვლება, თუ სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა] და თავისი პოზიციის გასამყარებლად უთითებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 31 მარტის №ას-501-475-2015 განჩინებაზე.

36. საკასაციო სასამართლო, უპირველეს ყოვლისა, განმარტავს, რომ კასატორის მიერ მოხმობილი საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 31 მარტის №ას-501-475-2015 განჩინება, რომლითაც საკასაციო პალატამ საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნა სააპელაციო სასამართლოს, არ არის მიღებული განსახილველ დავაში დადგენილი ფაქ-

ტების ანალოგიურ გარემოებებზე დაყრდნობით და, შესაბამისად, მასზე მითითება, როგორც მსგავს სამართლებრივ დავაზე, არასწორია. დასახელებულ საქმეში სადავო იყო ფიზიკური პირის მიერ მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების თვითმმართველ ქალაქ ქუთაისის საკრებულოსთვის უსასყიდლოდ გადაცემის ნამდვილობა. დადგენილი იყო, რომ საკუთრების გადაცემისას ფიზიკურ პირს სახელმწიფოს წინაშე არანაირი შეუსრულებელი ვალდებულება არ გააჩნდა. აღნიშნულ გარემოებათა ერთობლიობაში შეფასების შედეგად საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ სააპელაციო სამართლოს მიერ პასუხგაუცემელი იყო კითხვები: სახელმწიფოსა და კერძო პირს შორის გაფორმებული ქონების საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ ხელშეკრულება სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის შესაბამისად, ეწინააღმდეგებოდა თუ არა მორალურ იმპერატივებსა და სუსტი მხარის ინტერესებს იმ პირობებში, როდესაც თავად სუსტი მხარე (ფიზიკური პირი) ხდიდა სადავოდ ხელშეკრულებას საკუთარი ნების ნამდვილობის გამო; სადავო ხელშეკრულების დადებისას სახელმწიფოს მხრიდან დაცული იყო თუ არა ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპები, რომელთა ხარისხი ყველა სამართალური ერთობაში, სადაც სახელმწიფო მონაწილეობს, განსაკუთრებით მაღალი უნდა ყოფილიყო. სააპელაციო სასამართლოს არ ჰქონდა შეფასებული ასევე მტკიცების სტანდარტი, რომელიც მოცემულ შემთხვევაში სახელმწიფოს აკისრებდა ვალდებულებას ემტკიცებინა მასსა და ფიზიკურ პირს შორის დადებული უსასყიდლო გარიგების მოტივი და მორალურ პრინციპებთან და საჯარო წესრიგთან მისი შესაბამისობა.

37. განსახილველ დავაში, ზემოაღნიშნული საქმისგან განსხვავებით, ერთმანეთს არ უპირისპირდება ძლიერი და სუსტი მხარე, სახელმწიფო და ფიზიკური პირი, არამედ ერთი ფიზიკური პირი თანაბარ საწყისებზე სადავოდ ხდის სხვა ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან დადებული ხელშეკრულებების ნამდვილობას ნასყიდობის ფასის არაადეკვატურობის გამო, რა დროსაც სსკ-ის 54-ე მუხლის გამოყენება დაუშვებელია.

38. საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის მიერ 2017 წლის 2 მარტს განხილულ საქმეზე №ას-664-635-2016, რომელშიც დავის მხარეებს წარმოადგენდნენ ასევე კერძო სამართლის სუბიექტები. დასახელებულ საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებაში დიდმა პალატამ განმარტა შემდეგი: „დიდი პალატა იზიარებს კასატორთა პრეტენზიებს სსკ-ის 54-ე მუხლის, როგორც მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმის გამოყენების დაუშვებლობაზე. ამ ნორმას ავტონომიური ფუნქცია არ გააჩნია, ის დეფინიციურია და კონკრეტულ სამართლებ-

რივ შედეგს არ ითვალისწინებს. გასაჩივრებული განჩინებით, სასამართლომ ზნეობის საწინააღმდეგოდ, გასაკიცხ ქმედებად მიიჩნია მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულებები ნასყიდობის ფასის არაადეკვატურობის გამო. მარტოოდენ გარიგების ამორალურობის ზოგადი ნორმის გამოყენებას, დიდი პალატა არასაკმარისად მიიჩნევს და, აქედან გამომდინარე, ამ ნორმის სააპელაციო სასამართლოსეული ინტერპრეტაცია არაადამაჯერებელია, რადგანაც ეწინააღმდეგება სამოქალაქო ბრუნვის პრინციპებს. სააპელაციო სასამართლოს შეფასება, რომ სსკ-ის 54-ე მუხლი, ამორალურ გარიგებებთან მიმართებით, შეიცავს მხოლოდ იმ დათქმას, რომ იგი არის გარიგება, რომელიც არღვევს ზნეობის ნორმებს და გავლენის ბოროტად გამოყენების შედეგად ან იძულებით დადებული გარიგებებისაგან (სსკ-ის 55-ე და 85-ე მუხლებისაგან) განსხვავებით, მისი ამორალურად მიჩნევისათვის აუცილებელი არ არის იმ გარემოებათა დადგენა-დადასტურება, რამაც განაპირობა მისი დადება, იმთავითვე მცდარია. ასეთი განმარტება ეწინააღმდეგება ხელშეკრულების დადებისა და მისი შინაარსის განსაზღვრის თავისუფლების პრინციპს (სსკ-ის 319.1 მუხლი „კერძო სასამართლის სუბიექტებს შეუძლიათ კანონის ფარგლებში თავისუფლად დადონ ხელშეკრულებები და განსაზღვრონ ამ ხელშეკრულებათა შინაარსი. მათ შეუძლიათ დადონ ისეთი ხელშეკრულებებიც, რომლებიც კანონით გათვალისწინებული არ არის, მაგრამ არ ეწინააღმდეგება მას. თუ საზოგადოების ან პიროვნების არსებითი ინტერესების დაცვისათვის ხელშეკრულების ნამდვილობა დამოკიდებულია სახელმწიფოს ნებართვაზე, მაშინ ეს უნდა მონესრიგდეს ცალკე კანონით“). სამოქალაქო კანონები საქართველოს ტერიტორიაზე უზრუნველყოფენ სამოქალაქო ბრუნვის თავისუფლებას, თუ ამ თავისუფლების განხორციელება არ ხელყოფს მესამე პირთა უფლებებს (სსკ-ის მე-9 მუხლი). ამ წესიდან არსებული გამონაკლისი, ამ თავისუფლების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის იმპერატიული დანაწესიდან გამომდინარე. სააპელაციო სასამართლოს იმ დასკვნის გაზიარება, რომ „საკმარისია, არსებობდეს დისპროპორცია ხელშეკრულების მხარეების მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შორის“, რათა გარიგება ამორალურად იქნეს მიჩნეული, ხელს შეუშლის სამოქალაქო ბრუნვის ნორმალურ განვითარებასა და სტაბილურობას, რადგანაც ხელშეკრულების არაკეთილსინდისიერ მხარეს, სათანადო წინაპირობების არარსებობის პირობებშიც კი, შეეძლება უარი თქვას ხელშეკრულებაზე“ (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილება №ას-664-635-2016; 02.03.2017წ. §208).

39. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორის პრეტენზია

სააპელაციო სასამართლოს მიერ სსკ-ის 54-ე მუხლის გამოყენებაზე უარის თქმის უკანონობასთან დაკავშირებით, უსაფუძვლოა.

40. საკასაციო სასამართლომ არაერთ საქმეში განმარტა, რომ სასამართლოს უპირველესი ამოცანაა, დაადგინოს, თუ რას ითხოვს მოსარჩელე მოპასუხისაგან და რის საფუძველზე, ანუ რომელ ფაქტობრივ გარემოებებზე ამყარებს თავის მოთხოვნას. სასამართლომ მხარის მიერ მითითებული მოთხოვნის ფარგლებში უნდა მოძებნოს ის სამართლებრივი ნორმა (ნორმები), რომელიც იმ შედეგს ითვალისწინებს, რისი მიღწევაც მხარეს სურს. ამასთან, მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველად განხილული ნორმა (ან ნორმები) შეიცავს იმ აღწერილობას (ფაქტობრივ შემადგენლობას), რომლის შემონემაც სასამართლოს პრეროგატივაა და რომელიც უნდა განხორციელდეს ლოგიკური მეთოდების გამოყენების გზით, ანუ სასამართლომ უნდა დაადგინოს, ნორმაში მოყვანილი აბსტრაქტული აღწერილობა რამდენად შეესაბამება კონკრეტულ ცხოვრებისეულ სიტუაციას და გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები. ის მხარე, რომელსაც აქვს მოთხოვნა მეორე მხარისადმი, სულ მცირე, უნდა უთითებდეს იმ ფაქტობრივ შემადგენლობაზე, რომელსაც სამართლის ნორმა გვთავაზობს. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის რომელიმე ფაქტობრივი წანამძღვრის (სამართლებრივი წინაპირობის) არარსებობა გამორიცხავს მხარისათვის სასურველი სამართლებრივი შედეგის დადგომას (იხ. სუსგ. №ას-1529-1443-2012, 09.12.2013წ.).

41. მოსარჩელის მოთხოვნა შპს „დ.“-ში მოსარჩელის 50%-იანი წილის მოპასუხეებზე 1000 ლარად გასხვისების შედეგად მიყენებული ზიანისა (წილის რეალური ღირებულების) და მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების თაობაზე შესაძლოა გამომდინარეობდეს როგორც კონდიციური (უსაფუძვლო გამდიდრების), ისე დელიქტური სამართლის ნორმებიდან.

42. კონდიციური სამართლის ნორმების საფუძველზე წილის რეალური ღირებულების ანაზღაურების მოთხოვნა წარმოიშობა მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულებების ბათილობის შემთხვევაში (სსკ-ის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი [პირს, რომელმაც სხვას ვალდებულების შესასრულებლად რაიმე გადასცა, შეუძლია მოსთხოვოს ვითომ-კრედიტორს (მიმღებს) მისი უკან დაბრუნება, თუ: ა) ვალდებულება გარიგების ბათილობის ან სხვა საფუძვლის გამო არ არსებობს, არ წარმოიშობა ან შეწყდა შემდგომში] და 979.2 მუხლი [თუ უკან დაბრუნება შეუძლებელია გადაცემული საგნის მდგომარეობის გამო ან, თუ მიმღებს რაიმე მიზეზით არ შეუძლია საგნის უკან დაბრუნება, მაშინ მან უნდა აა-

ნაზღაუროს მისი საერთო ღირებულება. ღირებულება განისაზღვრება ანაზღაურების მოთხოვნის უფლების წარმოშობის დროის მიხედვით)).

43. მოსარჩელე სარჩელში მოპასუხებებთან დადებული ხელშეკრულებების ბათილობის საფუძვლად უთითებდა სსკ-ის 55-ე და 85-ე მუხლებზე. პირველ შემთხვევაში მხარე დავობს, რომ სახეზეა უცილოდ ბათილი გარიგება, რომელიც დადებისთანავე ბათილია და მონაწილეთა მიერ დასახულ სამართლებრივ შედეგებს არ წარმოშობს, ხოლო მეორე შემთხვევაში მოსარჩელე მიიჩნევს, რომ იძულების გამო სახეზეა საცილო გარიგება, რომლის ბათილობა დამოკიდებულია შეცილების უფლების განხორციელებაზე. ზემოაღნიშნული ორი დამოუკიდებელი საფუძვლით სადავო ხელშეკრულებების ნამდვილობის შემოწმებისას სასამართლო იკვლევს განსხვავებული ფაქტების არსებობას.

44. საკასაციო პალატა მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-6 მუხლზე, რომლის თანახმად, კანონებსა და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს არა აქვთ უკუქცევითი ძალა, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ეს პირდაპირ არის კანონით გათვალისწინებული. არ შეიძლება კანონს მიეცეს უკუქცევითი ძალა, თუ იგი ზიანის მომტანია ან აუარესებს პირის მდგომარეობას. განსახილველ შემთხვევაში, ვინაიდან მოცემული დავა ეხება 2005 წლის 21 ივნისს გარიგებების დადების მიზნით, მხარეთა შორის გამოვლენილი ნების ნამდვილობას და არა გარიგებების დადების შემდგომ განვითარებულ ურთიერთობებს (როგორცაა, მაგალითად, ვალდებულების შესრულება და ა.შ), 2005 წლის 21 ივნისის ხელშეკრულებების ნამდვილობის საკითხი უნდა გადაწყდეს სამოქალაქო კოდექსის იმ დროს მოქმედი ნორმების საფუძველზე, როდესაც დაიდო სადავო გარიგება (აღნიშნულ საკითხზე იხ. ასევე სუსგ №ას-880-838-2013, 2014 წლის 9 ივნისი).

45. სადავო ხელშეკრულებების გაფორმების დროს მოქმედი სსკ-ის 55-ე მუხლი [გარიგება შეიძლება ბათილად ჩაითვალოს, თუ გარიგებით განსაზღვრულ შესრულებასა და ამ შესრულებისათვის გათვალისწინებულ ანაზღაურებას შორის აშკარა შეუსაბამობაა და გარიგება დაიდო მხოლოდ იმის წყალობით, რომ ხელშეკრულების ერთ-ერთმა მხარემ ბოროტად გამოიყენა თავისი საბაზრო ძალაუფლება ან ისარგებლა ხელშეკრულების მეორე მხარის მძიმე მდგომარეობით ან გამოუცდელიობით (გულუბრყვილობით)], რომელიც 2012 წლის 8 მაისს განხორციელებულ საკანონმდებლო ცვლილებაამდე რედაქციით სახელდება იყო შემდეგნაირად: „გარიგების ბათილობა ძალაუფლების ბოროტად გამოყენების გამო“, გარიგების ბათილად მისაჩნევად კონკრეტულ წინაპირობებზე მიუთითებ-

და და ორი პირობის კუმულაციურად არსებობის აუცილებლობას ადგენდა. დასახელებული ნორმის ანალიზი ცხადყოფს, რომ აკრძალული არ არის შესრულებასა და საპირისპირო შესრულებას შორის აშკარა არაპროპორციულობა და გარიგების ბათილობისათვის აღნიშნული საფუძვლის ობიექტურად არსებობა საკმარის საფუძველს არ წარმოადგენს. გარიგების ბათილად მისაჩნევად, ამასთან ერთად, აუცილებელია, რომ მეორე წინაპირობაც ვლინდებოდეს, კერძოდ, გარიგება დადებული უნდა იყოს მხოლოდ იმის წყალობით, რომ ხელშეკრულების ერთ-ერთმა მხარემ ბოროტად გამოიყენა თავისი საბაზრო ძალაუფლება ან ისარგებლა კონტრაჰენტის მძიმე მდგომარეობით ან გამოუცდელობით (გულუბრყვილობით) (იხ. სუსგ №ას-880-838-2013, 09.06.2014 წელი, სუსგ №ას-1718-1701-2011, 23.02.2012 წელი).

46. საქალაქო სასამართლომ დაადგინა, რომ 2004-2005 წლებში შპს „დ.“-ში მოსარჩელის 50%-იანი წილის ღირებულება 3 449 754 აშშ დოლარს შეადგენდა. დადგენილია ისიც, რომ მოსარჩელემ შპს „დ.“-ში თავისი 25%-იანი წილი პირველ მოპასუხეს მიყიდა 500 ლარად, ხოლო დარჩენილი 25%-იანი წილი – მეორე მოპასუხეს ასევე 500 ლარად. აღნიშნულის საწინააღმდეგო ფაქტობრივი გარემოება სააპელაციო სასამართლოს არ დაუდგენია. შესაბამისად, უდავოა, რომ სახეზეა შესრულებასა და საპირისპირო შესრულებას შორის აშკარა არაპროპორციულობა. გამომდინარე აქედან, საკასაციო პალატამ უნდა შეაფასოს არსებობდა თუ არა სადავო ხელშეკრულებების დადებისას იმ დროს მოქმედი სსკ-ის 55-ე მუხლით განსაზღვრული ხელშეკრულების ბათილობის წინაპირობები.

47. სარჩელში აღწერილი ფაქტობრივი შემადგენლობიდან გამომდინარე, მოსარჩელე მიუთითებს მხოლოდ მოპასუხეთა მიერ თავიანთი საბაზრო ძალაუფლების ბოროტად გამოყენებაზე: შპს „დ.“ ფლობდა ზ-ის საკოლმეურნეო ბაზრის და მის მიმდებარე ტერიტორიაზე წიაღით სარგებლობის ლიცენზიას. შპს „დ.“-ის ძირითადი საქმიანობის საგანს წარმოადგენდა სილიკომანგანუმის ნარჩენების (წიდის) მოპოვება-რეალიზაცია, რომლითაც მარაგდებოდა სს „ზ.“. მოპასუხეები წარმოადგენდნენ სს „ზ-ის“ მსხვილ აქციონერებს და სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს (იხ. სარჩელი). აღნიშნული ქარხანა, თავის მხრივ, საქართველოში შპს „დ.“-ის მიერ მოპოვებული წიდის ერთადერთ მომხმარებელს წარმოადგენდა და ეკონომიკური თვალსაზრისით დაკავშირებული იყო იმ საზოგადოებებთან, რომელთა წილის მესაკუთრეც მოსარჩელე იყო (იხ. სარჩელი). მოსარჩელის მითითებით, მოპასუხეები დაემუქრნენ, რომ, თუ მოსარჩელე არ დათანხმდებოდა სადავო გარიგებებს, ზ. არ შეიძენდა შპს „დ.“-გან პროდუქციას და გააკოტრებდნენ კომპანიას

(იხ. სარჩელი).

48. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო სამართალწარმოებაში დამკვიდრებული შეჯიბრებითობის პრინციპი, პირველ რიგში, გულისხმობს მხარეთა მიერ ფაქტების მითითების სრულ ავტონომიას, რაც შეეხება მათ დამტკიცებას, ეს ის ეტაპია, როდესაც მხარემ მიუთითა სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლად არსებული მატერიალურსამართლებრივი ნორმის ყველა ელემენტის შესახებ და საქმე მტკიცების საგანში შემავალი ფაქტების არსებობა-არარსებობის დადგენას ეხება, რასთანაც ორგანულადაა დაკავშირებული მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის ობიექტური და სამართლიანი განაწილების ურთულესი ამოცანის გადაწყვეტა (იხ. სუსტ №ას-880-838-2013, 2014 წლის 9 ივნისი).

49. სსსკ-ის 102-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. ამ გარემოებათა დამტკიცება შეიძლება თვით მხარეთა (მესამე პირთა) ახსნა-განმარტებით, მოწმეთა ჩვენებით, ფაქტების კონსტატაციის მასალებით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებითა და ექსპერტთა დასკვნებით.

50. განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელემ სათანადო მტკიცებულებებზე დაყრდნობით უნდა დაადასტუროს ის ფაქტი, რომ მოპასუხეებს მოსარჩელესთან გარიგებების დადებისას ჰქონდათ საბაზრო ძალაუფლება, რაც სასამართლოს შეუქმნის დასაბუთებული ვარაუდის საფუძველს, რომ სადავო ხელშეკრულებები დაიდო მოპასუხეთა მიერ თავიანთი საბაზრო ძალაუფლების ბოროტად გამოყენების წყალობით და ჩვეულებრივ შემთხვევაში არ დაიდებოდა.

51. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქმის მასალებით არ დასტურდება მოსარჩელის მიერ მითითებული გარემოება, რომლის მიხედვით, სს „ზ.“ საქართველოში შპს „დ.“-ის მიერ მოპოვებული წიდის ერთადერთ მომხმარებელს წარმოადგენდა. ამასთან, აღნიშნული ფაქტის დადგენილად მიჩნევის პირობებშიც კი, საქმის მასალებით არც ის გარემოება დასტურდება, რომ შპს „დ.“-ს არ შეეძლო მის მიერ მოპოვებული წიდის საქართველოს ფარგლებს გარეთ გატანა და ამ გზით მოგების მიღება. პირიქით, საქმის მასალებში წარმოდგენილი შპს „დ.“-ის სახელმწიფო ბიუჯეტთან და სოციალურ ფონდებთან ანგარიშსწორების მდგომარეობის შემოწმების 2005 წლის 15 ივლისის აქტის თანახმად, შპს „დ.“-ის შემოსავლების წყაროა სილიკომანგანუმის ნარჩენების მოპოვება, შექენა და რეალიზაცია, როგორც საქართველოს ტერიტორიაზე, ისე მის ფარგლებს გარეთ. 2004 წლის 15 მარტს გაფორმებულია საგარეო

ვაჭრობის ხელშეკრულება №4 შპს „ა.“-თან, რომელსაც უნდა მიაწოდოს ფეროშენადნობის ნარმოების ნარჩენებიდან მიღებული სილიკომანგანუმი 300 ტონის რაოდენობით, თითოეული ტონის ღირებულებაა 250 აშშ დოლარი; 2004 წლის 11 აგვისტოს გაფორმებულია ხელშეკრულება №12/8 რუსეთის ქ. ვოლგოგრადის ფირმა შპს „ს.“-თან, რომლის თანახმადაც შპს „დ.“-მა უნდა მიაწოდოს სილიკომანგანუმის ნარჩენი 36-40%-ის შემცველობით 4000 ტონა, ხოლო 52-55%-ის შემცველებით 1000 ტონა. პირველში მყიდველი გადაიხდის ერთ ტონაზე – 100 აშშ დოლარს, ხოლო მეორეში – 275 აშშ დოლარს; 2004 წლის 20 აგვისტოს გაფორმებულია ხელშეკრულება №20/5 თურქულ ფირმა შპს „ა. დ. თ. თ.“-თან, რომლის მიხედვითაც საზოგადოებამ უნდა მიაწოდოს სილიკომანგანუმის ნარმოების ქერქული ნარჩენი 600 ტონა, ერთი ტონის ღირებულებაა 300 აშშ დოლარი; 2004 წლის 20 ოქტომბერს გაფორმებულია ხელშეკრულება №12/09 თურქეთის ფირმა შპს „ი.“-თან ქ. სამსუნში, რომლის მიხედვითაც საზოგადოებამ უნდა მიაწოდოს 500 ტონა სილიკომანგანუმის ნარმოების ქერქული ნარჩენები, ტონის ღირებულება შეადგენს 280 აშშ დოლარს. ამდენად, მოსარჩელე ვერ ადასტურებს, რომ სს „ზ-ის“ მიერ ნიღის შესყიდვის შეწყვეტის შემთხვევაში შპს „დ.“-ს ნიღის რეალიზაციის პრობლემა შეექმნებოდა და გადახდისუუნარო გახდებოდა. ამასთან, გაურკვეველია მოსარჩელის მიერ სადავო გარიგებების დადების ინტერესი, რადგან შპს „დ.“-ის გაკოტრებისა და მოსარჩელის მიერ საკუთარი ნიღის 1000 ლარად გასხვისების შემთხვევებში მოსარჩელე, ეკონომიკური თვალსაზრისით, ფაქტობრივად ერთსა და იმავე მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა. მოსარჩელის მითითება, რომ მოპასუხეებმა მას სამომავლოდ ნიღის რეალური ღირებულების ანაზღაურებაც შეთავაზეს და აღნიშნულის გამო დათანხმდა ნიღის გასხვისებას, საქმის მასალებით არ დასტურდება. სადავო ხელშეკრულებებში ასეთი პირობა მხარეთა შორის არ შეთანხმებულა.

52. ამდენად, მოსარჩელემ სსსკ-ის მე-4 და 102-ე მუხლების შესაბამისად ვერ შეძლო თავისი ნიღი მტკიცების ტვირთის რეალიზება და სასამართლოსთვის ისეთი მტკიცებულებების წარდგენა, რომლებითაც დადასტურდებოდა ის გარემოება, რომ მოპასუხეებს ჰქონდათ საბაზრო ძალაუფლება, რაც შექმნიდა დასაბუთებული ვარაუდის საფუძველს, რომ სადავო ხელშეკრულებები დაიდო მოპასუხეთა მიერ თავიანთი საბაზრო ძალაუფლების ბოროტად გამოყენების წყალობით.

53. გარდა სსკ-ის 55-ე მუხლისა, მოსარჩელე სარჩელში სადავო გარიგებების ბათილობის საფუძველად უთითებს სსკ-ის 85-ე მუხლზე [გარიგების დადების მიზნით იმ პირის იძულება (ძალადობა ან

მუქარა), რომელმაც დადო გარიგება, ანიჭებს ამ პირს გარიგების ბათილობის მოთხოვნის უფლებას მაშინაც, როცა იძულება მომდინარეობს მესამე პირისაგან] და აღნიშნავს, რომ მოპასუხეებმა სამართალდამცავ ორგანოებთან და პირადი უსაფრთხოების კუთხით პრობლემების შექმნისა და ასევე თავისუფლების აღკვეთის მუქარით გაასხვისებინეს წილი სიმბოლურ ფასად.

54. საკასაციო პალატა, უპირველეს ყოვლისა, აღნიშნავს, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის მითითება სსკ-ის 85-ე მუხლზე, როგორც სადავო ხელშეკრულებების ბათილად ცნობის სამართლებრივ საფუძველზე. აღნიშნული შეფასება მოსარჩელეს სააპელაციო შესაგებლით სადავოდ არ გაუხდია. მოსარჩელე მხოლოდ საკასაციო სამართალწარმოების ეტაპზე, საკასაციო საჩივრით ხდის სადავოდ სააპელაციო პალატის შეფასებას, რომლის თანახმად, 2005 წელს შპს „დ.“-ის წილის გასხვისებისას მოსარჩელის ნების თავისუფალ ფორმირებაში ადგილი არ ჰქონდა მოპასუხეების აშკარა ჩარევას.

55. გარდა ზემოაღნიშნულისა, საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს მოსარჩელის მიერ კანონით დადგენილ ვადაში შეცილების განხორციელების საკითხს, რადგან საცილო გარიგებებში შეცილება იწვევს გარიგების გაბათილებას, მაგრამ დაინტერესებულ პირს შეუძლია, არ გამოიყენოს შეცილების უფლება და ამით გარიგება ძალაში დატოვოს (იხ. სუსგ №ას-245-580-05, 2005 წლის 23 დეკემბერი). იურიდიულ დოქტრინაში გამოთქმული მოსაზრებების თანახმად: „შეცილების უფლება არა მხოლოდ გარიგების გაუქმების უფლებაა, არამედ მისთვის ნამდვილობის მინიჭების უფლებაც. ამდენად, შეცილების უფლება მეტად ძლიერი საშუალებაა სამართლებრივ ურთიერთობაზე ზემოქმედებისათვის. ამიტომ ის არ შეიძლება იყოს შეუზღუდავი. წინააღმდეგ შემთხვევაში სამართლებრივი ურთიერთობების არასტაბილურობის საფრთხე ძალიან დიდი იქნებოდა. ამ საფრთხეს ითვალისწინებს კანონი და შეცილების უფლებას განსაზღვრულ ჩარჩოებში აქცევს“ [იხ. ლ. ჭანტურიას., „სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი“, თბილისი, 2011 წ., გვ. 397]. უცილო (არარა) გარიგებების ბათილობისაგან განსხვავებით, რაც კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ავტომატურად დგება და არ საჭიროებს შესაბამის შედეგზე მიმართულ არანაირ დამატებით მოქმედებას (მაგალითად, რაიმე ფორმით ბათილად გამოცხადებას), საცილო გარიგება „დადების მომენტიდან“ ბათილი იქნება მხოლოდ ნამდვილი შეცილების შემთხვევაში. შესაბამისად, დადების მომენტიში საცილო გარიგება ნამდვილია, თუმცა არსებობს გარემოებანი, რომელთა გამოც ის შეიძლება შემდგომში გახდეს ბათილი. შეცილება ცვლის არსებულ სამართლებრივ

მდგომარეობას, ვინაიდან იგი მიმართულია არსებული სამართლებრივი ურთიერთობის გაქარწყლებაზე. ამდენად, შეცილება სამართლებრივი ურთიერთობის ცალმხრივად „განმსაზღვრელი“ ნების გამოვლენა თუ გარიგებაა“ [დ. კერესელიძე, „კერძო სამართლის უზოგადესი სისტემები“, თბილისი, 2009 წ., გვ. 269-270] (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილება №ას-664-635-2016; 02.03.2017წ. §212).

56. მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ შეცილების კანონით დადგენილ ვადაში განხორციელება სასამართლოს მხრიდან სავალდებულო შემონმებას დაქვემდებარებული საკითხია და სამართლის თეორიაში ე.წ. სასამართლო შესაგებლის სახელითაა ცნობილი. შეცილების სამართლებრივი ბუნება კარგად ჩანს მისი ხანდაზმულობის სამართლებრივ ინსტიტუტთან შედარებისას. შეცილება და ხანდაზმულობა განსხვავებული სამართლებრივი ინსტიტუტებია, სხვადასხვა სამართლებრივი შედეგებით. ხანდაზმულობა სამართალში ფაქტის საკითხია და მასზე მითითება მოპასუხის ვალდებულებაა, განსხვავებით შეცილების ინსტიტუტისგან. საცილო გარიგებებში, შეცილების ვადა სარჩელის მატერიალური დაკმაყოფილება-არდაკმაყოფილების წინაპირობაა, რომლის შეცილების განხორციელება ვადაში მუხლის ნორმატიული შემადგენლობის კომპონენტია. არ აქვს მნიშვნელობა, მოპასუხე უთითებს თუ არა მოსარჩელის მიერ გამოყენებულ გარიგების შეცილების ვადაზე, მოსამართლემ თავად უნდა გამოარკვიოს, თუ როდის და რა მეთოდით გახდა საცილო მოსარჩელემ სადავო გარიგება. თუკი სასამართლო მიიჩნევს, რომ მოსარჩელემ არ გამოიყენა შეცილების ვადა, იმისდა მიუხედავად, მოპასუხე უთითებს თუ არა ამ გარემოებაზე, სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს, განსხვავებით ხანდაზმულობის ინსტიტუტისგან, როცა ხანდაზმული სარჩელის დაკმაყოფილება ცაა შესაძლებელი, თუკი მოპასუხე არ უთითებს ხანდაზმულობასთან დაკავშირებულ ფაქტებზე (იხ. სუსგ №ას-15-15-2016, 2016 წლის 1 მარტი).

57. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 89-ე მუხლის თანახმად, იძულებით დადებული გარიგება შეიძლება სადავო გახდეს ერთი წლის განმავლობაში იძულების დამთავრების მომენტიდან.

58. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ იძულება უფლების განგრძობადი დარღვევაა, რადგან კანონი შეცილების ვადის ათვლის საკითხს უკავშირებს იძულების დამთავრების მომენტს. იმავე ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, კანონი უშვებს, რომ ხელშეკრულების მხარის იძულება შეიძლება ხელშეკრულების გაფორმების შემდეგაც გაგრძელდეს, რადგან შეცილების ვადის ათვლა დამოკიდებული არ არის ხელშეკრულების დადების მომენტზე.

ცხადია, აქ არსებობს განსხვავება გარიგების დადებისათვის განხორციელებულ იძულებასა და მას შემდეგ არსებულ მდგომარეობას შორის, რადგან შედეგის მიღწევის შემდეგ ის პირი, რომელმაც განახორციელა ხელშეკრულების დადებაზე იძულებითი სახით ზემოქმედება, შეიძლება აღარ ახორციელებდეს აქტიურ მოქმედებებს, მაგრამ, ამასთან ერთად, კვლავ არსებობდეს ზემოქმედების საფრთხე. ამიტომ, შეცილების ვადის ათვლა უნდა განხორციელდეს მხარის პიროვნული გათავისუფლების მომენტიდან, როდესაც იგი ფიქრობს, რომ მის მიმართ აღარ არსებობს რეალური საფრთხე, რომელსაც მის მოქმედებებზე ზემოქმედება შეუძლია (იხ. სუსგ №ას-15-15-2016, 2016 წლის 1 მარტი).

59. მაშასადამე, გარიგების დადების მომენტი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს იძულების დამთავრების მომენტს, თუმცა, სამართლის თეორიაში განვითარებული მსჯელობის თანახმად, იმ შემთხვევაში, როდესაც გარიგების დადებიდან ერთ წელზე მეტია გასული და შემცილებელი აპელირებს იმ ფაქტზე, რომ იძულება გარიგების დადების შემდეგაც გრძელდებოდა, ოღონდ არა თავდაპირველი, არამედ მოდიფიცირებული ფორმით, მაშინ ამ მოდიფიცირებული მუქარის მტკიცების ტვირთი ისევ შემცილებელზე გადადის (სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, ავტორთა კოლექტივი, თბილისი, 2017 წელი, გვ. 528).

60. სარჩელის თანახმად, წილის რეალური ღირებულებისა და ზიანის ანაზღაურების თაობაზე მოსარჩელის არაერთი მიმართვის მიუხედავად, მოპასუხეები სისტემატურად ემუქრებოდნენ მას სამართალდამცავ ორგანოებთან პრობლემების შექმნით, რაც ბოლო პერიოდამდე გრძელდებოდა. აღნიშნულის დასადასტურებლად მოსარჩელე უთითებს პირველი მოპასუხის მიერ გაგზავნილ ელექტრონულ წერილზე, რომელიც დათარიღებულია 2010 წლის 30 სექტემბრით და, რომელშიც პირველი მოპასუხე მოსარჩელეს სწერს: „შენ პროკურატურით დაამთავრებ!“. აღნიშნულზე საპასუხოდ, მოპასუხე შესაგებელში უთითებს, რომ დასახელებული წერილი 2010 წელს პირველმა მოპასუხემ გაუგზავნა მოსარჩელეს, რადგან ამ უკანასკნელმა პირველ მოპასუხეს 2009 წლის 5 ოქტომბერს შპს „დ-სა“ და საფეხბურთო კლუბ „ზ-ს“ შორის დადებულ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით მისწერა სრულიად დაუსაბუთებელი ხარჯთაღრიცხვა და შეედავა ანაზღაურებასთან დაკავშირებით. წერილი მოსარჩელემ მისწერა 2010 წლის 30 სექტემბერს 10:20 საათზე და პასუხი მიიღო 2010 წლის 30 სექტემბერს 15:12 საათზე. მოპასუხემ შესაგებელს თან დაურთო 2010 წლის 30 სექტემბერს მოსარჩელის მიერ გაგზავნილი ელექტრონული წერილის ასლი, რომელიც ეხება მხარეთა შორის 2009 წლის 5 ოქტომბერს გაფორმე-

ბული ხელშეკრულების შესრულებას. ამდენად, მოსარჩელის მიერ მითითებული წერილით არ დასტურდება, რომ 2005 წლის 21 ივნისს გაფორმებული წილის ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე პირველი მოპასუხის მუქარა განგრძობით ხასიათს ატარებდა. უფრო მეტიც, აღნიშნული წერილი საერთოდ არ უკავშირდება სადავო ხელშეკრულებებს. ამასთან, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სარჩელში არ არის ახსნილი, თუ როგორ შეეძლოთ მოპასუხეებს გავლენა მოეხდინათ მოსარჩელის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე, ამასთან, თუ არსებობდა მოსარჩელის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის კანონით გათვალისწინებული საფუძველი, მაშინ ლეგიტიმური ქმედების განხორციელება არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს მუქარად.

61. დადგენილია, რომ სადავო ხელშეკრულებები გაფორმებულია 2005 წლის 21 ივნისს. შეცილება, როგორც ცალმხრივი ნება, ამავე კოდექსის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების მეორე მხარის მიმართ. მოსარჩელე არ უთითებს, განახორციელა თუ არა მან შეცილება მოპასუხე მხარის მიმართ სადავო გარიგებების დადებიდან 1 წლის განმავლობაში. მოსარჩელემ კანონით დადგენილი ერთწლიანი ვადის დარღვევით სასამართლოს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით მიმართა 2013 წლის 22 თებერვალს.

62. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ შეცილების ვადის დაუცველობის გამო სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებას სამოქალაქო კოდექსის 85-ე მუხლის საფუძველზე პერსპექტივა არ აქვს.

63. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ იძულებით დადებული გარიგების შეცილების ვადის დაუცველობის შემთხვევაში უნდა შემოწმდეს მოთხოვნის დელიქტური ნორმების საფუძველზე დაკმაყოფილების წინაპირობები. განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელე უთითებს, რომ მას იძულებით დაათმობინეს საკუთრების უფლება შპს „დ.“-ის წილზე. შესაბამისად, უნდა შემოწმდეს, ხომ არ გამომდინარეობს მოსარჩელის მიერ დასახული სამართლებრივი შედეგი კანონისმიერი მოთხოვნის საფუძველებიდან, კერძოდ, დელიქტიდან. „იძულება იმდენად აშკარად და უხეშად ხელყოფს ნების თავისუფლების მდგომარეობას, რომ ზოგჯერ იგი დელიქტის სახესაც ღებულობს“, „...შესაბამისად, უნდა გამოვიყენოთ 408-ე და 992-ე მუხლების წესები. ზიანის ანაზღაურება უნდა მოხდეს მისგან დამოუკიდებლად, ნების გამოვლენა შეცილებულია თუ არა. ამდენად, მოთხოვნა ზიანის ანაზღაურებაზე შეიძლება წარდგენილ იქნეს ერთწლიანი ვადის გასვლის შემდეგაც [ბ. ზოიძე, „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი“, ნიგნი პირველი, თბილისი-

სი, 2001 წ., გვ. 246, 252]“ (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილება №ას-664-635-2016; 02.03.2017წ. §212).

64. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ დელიქტური ნორმების საფუძველზე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება ექვემდებარება ხანდაზმულობის სამწლიან ვადას [სსსკ-ის 1008-ე მუხლი: დელიქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობის ვადა არის სამი წელი იმ მომენტიდან, როცა დაზარალებულმა შეიტყო ზიანის ან ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ] და აღნიშნულ ფაქტზე მოპასუხეები შესაგებელში უთითებდნენ (იხ. წინამდებარე განჩინების 12.2 ქვეპუნქტი). გამომდინარე იქედან, რომ სადავო ხელშეკრულებების გაფორმებიდან – 2005 წლის 21 ივნისიდან სარჩელის აღძვრამდე გასულია ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებას არც დელიქტური ნორმების საფუძველზე გააჩნია პერსპექტივა [სსკ-ის 144.1 მუხლი: ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ ვალდებული პირი უფლებამოსილი უარს თქვას მოქმედების შესრულებაზე].

65. საკასაციო პალატის ზემოთ მითითებული მსჯელობის გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება სწორია, რაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების ძალაში დატოვებისა და საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძველია.

66. ვინაიდან საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, არ არსებობს კასატორის მიერ გაღებული ხარჯის მხარეთა შორის განაწილების სსსკ-ის 53-ე მუხლით გათვალისწინებული წინაპირობები და აღნიშნული ხარჯი უნდა დარჩეს სახელმწიფო ბიუჯეტში.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სა მოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა დ ბ ი ნ ა :

1. გ. გ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 6 ივლისის გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელი;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

მორჩენებითი და თვალთმაქცური გარიგებანი

განჩინება საქართველოს სახელით

№ას-694-665-2016

31 მარტი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე),
ე. გასიტაშვილი (მომხსენებელი),
პ. ქათამაძე

დავის საგანი: გამოსყიდვის უფლებით ნასყიდობის ხელშეკ-
რულებისა და ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

1. საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით ქ. ბათუმში, მ-ის ქ. № 75-ში მდებარე უძრავი ქონება (საკადასტრო კოდით 0..) 2014 წლის 20 მაისამდე რეგისტრირებული იყო მ. ლ-ას (შემდეგში: მო-სარჩელე, თავდაპირველი მესაკუთრე, მსესხებელი, გამყიდველი) საკუთრებად. იგივე უძრავი ქონება 2014 წლის 20 მაისიდან ი. ფ-ის (შემდეგში: პირველი გამსესხებელი ან მოპასუხე), 2014 წლის 3 სექ-ტემბრიდან კი თ. ბ-ის (შემდეგში: მეორე მოპასუხე, მეორე გამსეს-ხებელი, პირველი აპელანტი ან პირველი კასატორი), ხოლო 2015 წლის 15 იანვრიდან – ნ. ბ-ის (შემდეგში: მესამე მოპასუხე, დასა-ჩუქრებული, მეორე აპელანტი ან მეორე კასატორი) საკუთრებად ირიცხება (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, შემდეგში: სსკ, 183-ე, 311.2, 312-ე მუხლები).

2. ს. მ. თავდაპირველი მესაკუთრის შვილია, რომელსაც ეკონო-მიკური პრობლემები ჰქონდა და მათ მოსაგვარებლად სჭირდებო-და თანხები. ის მაკლერების მეშვეობით შეხვდა პირველ გამსესხე-ბელს და შესთავაზა, სარგებელის გადახდის პირობით, თანხის სეს-ხად გაცემა. პირველ გამსესხებელს არ სურდა სესხის ფორმით თან-ხის გაცემა, ამიტომაც სესხზე უარი განუცხადა თავდაპირველი მე-საკუთრის შვილს და ამ უკანასკნელს, თავის მხრივ, შესთავაზა უძ-რავი ქონების გამოსყიდვის უფლებით ნასყიდობის სანაცვლოდ თანხის სესხად გადაცემა, რაზეც ისინი საბოლოოდ შეთანხმდნენ კიდევ.

3. თავდაპირველ მესაკუთრესა და პირველ გამსესხებელს შო-რის (იხ. პირველი პუნქტი) 2014 წლის 20 მაისს გაფორმდა გამოს-ყიდვის უფლებით ნასყიდობის ხელშეკრულება (სსკ-ის 509-ე-510-ე

მუხლები; იხ. ხელშეკრულება), სამი თვით, გამოსყიდვის საფასურად განისაზღვრა 20 000 აშშ დოლარი, ასევე, ყოველთვიურად მსესხებელს პირველი გამსესხებლისათვის უნდა გადაეხადა სესხზე სარგებელი – 800 აშშ დოლარი.

4. ზემოხსენებული ხელშეკრულების დადებამდე, ამ განჩინების პირველ პუნქტში მითითებულ სადავო უძრავ ქონებაზე თავდაპირველმა მესაკუთრემ განახორციელა 16,60 კვ.მ ფართის დამატებითი რეგისტრაცია და, ამ ფართის გათვალისწინებით, პირველი გამსესხებლის სახელზე აღირიცხა 54,30 კვ.მ უძრავი ქონება.

5. მსესხებელმა ვერ შეძლო პირველი გამსესხებლისათვის სესხის დაბრუნება დათქმულ დროში, რის გამოც ამ უკანასკნელმა გააუქმა გამოსყიდვის უფლების სახით რეგისტრირებული შეზღუდვა. პირველი გამსესხებელი არ იყო წინააღმდეგი, თავდაპირველი მესაკუთრისათვის დაებრუნებინა ბინა, ის შეუთანხმდა ამ უკანასკნელის შვილს (იხ. მე-2 პუნქტი), რომ სესხის გადახდის შემთხვევაში, საკუთრების უფლებას დაუბრუნებდა მესაკუთრეს.

6. თავდაპირველ მესაკუთრეს პირველი გამსესხებლისათვის სესხი უნდა დაებრუნებინა 2014 წლის 20 აგვისტოს, თუმცა, მას ხელზე არ ჰქონდა თანხა, ამიტომ თანხის მოძებნა კვლავინდებურად მაკლერის მეშვეობით გადაწყვიტა. თავდაპირველი მესაკუთრე მაკლერის დახმარებით დაუკავშირდა მეორე გამსესხებელს (იხ. ამ განჩინების პირველი პუნქტი), რომელიც დათანხმდა უძრავი ქონებით უზრუნველყოფის სანაცვლოდ, 32 200 აშშ დოლარი სესხად მიეცა თავდაპირველი მესაკუთრისათვის. ეს უკანასკნელი სესხად მიღებული თანხიდან 20 000 აშშ დოლარით გადაიხდიდა პირველი გამსესხებლის ვალს, რომელიც, თავის მხრივ, ნასყიდობის გზით თავდაპირველ მესაკუთრეს დაუბრუნებდა სადავო ქონებას.

7. მსესხებელსა და პირველ გამსესხებელს შორის არსებობდა გარკვეული უნდობლობა, რის გამოც, ამ უკანასკნელმა საჯარო რეესტრში წაიყვანა თავისი ნაცნობი ნ. ჩ-ა, რომელსაც მსესხებლის წარმომადგენელი – თავდაპირველი მესაკუთრის შვილი (იხ. მე-2 პუნქტი) გადასცემდა 20 000 აშშ დოლარს მას შემდეგ, რაც ქონება დარეგისტრირდებოდა მსესხებლის საკუთრებად.

8. სადავო უძრავი ქონების თავდაპირველი მესაკუთრისათვის დაბრუნების მიზნით, ამ უკანასკნელსა და პირველ გამსესხებელს შორის 2014 წლის 3 სექტემბერს დაიდო ნასყიდობის ხელშეკრულება (იხ. ხელშეკრულება), რომლის საფუძველზეც, მსესხებელს საკუთრების უფლება უძრავ ქონებაზე დაუბრუნა პირველმა გამსესხებელმა. საჯარო რეესტრში ამ ხელშეკრულების გაფორმებას ესწრებოდნენ: ხ. ჟ-ი, ნ. ჩ-ა, გ. გ-ე, თავდაპირველი მესაკუთრის შვილი, პირველი და მეორე გამსესხებლები.

9. ხელშეკრულების რეგისტრაციისათვის გადახდილ იქნა სარეგისტრაციო მოსაკრებელი, მაგრამ მალევე გამოვლინდა, რომ თავდაპირველი მესაკუთრის შვილს არ ჰქონდა მინდობილი მარნმუნებლის სახელით უძრავი ქონების შეძენისა და საკუთრებად რეგისტრაციის უფლება. აღნიშნულის გამო, სარეგისტრაციო წარმოება შეჩერდა, შესაბამისად, ხელშეკრულება ვერ დარეგისტრირდა (იხ. სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ საჯარო რეესტრის გადანყვეტილება).

10. დამატებითი სარეგისტრაციო ხარჯების თავიდან არიდების მიზნით მხარეები, იმავე რეგისტრაციის პირობებით შეთანხმდნენ, რომ თავდაპირველი მესაკუთრის ნაცვლად ხელშეკრულება დადებულიყო მეორე გამსესხებელთან, მით უმეტეს, იგი მსესხებელს სესხად აძლევდა 32 200 აშშ დოლარს. ნასყიდობის ხელშეკრულება გაფორმდა მეორე მსესხებელთან (იხ. 2014 წლის 3 სექტემბრის ნასყიდობის ხელშეკრულება პირველ და მეორე გამსესხებულს შორის; სსკ-ის 477-ე მუხლი).

11. ნასყიდობის ხელშეკრულების დადების შემდეგ, პირველი გამსესხებლისათვის გადასაცემი 20 000 აშშ დოლარი მეორე გამსესხებელმა გადასცა ნ. ჩ-ას, ხოლო სამაკლერო ოფისში, მეორე გამსესხებელმა თავდაპირველი მესაკუთრის შვილს გადასცა დარჩენილი თანხა.

12. მსესხებელის (თავდაპირველი მესაკუთრის) წარმომადგენელმა (შვილმა; იხ. ამ განჩინების მე-2 პუნქტი) და მეორე გამსესხებელმა 2014 წლის 3 სექტემბერს გააფორმეს „ნასყიდობის ხელშეკრულების გამოსყიდვის უფლების გაგრძელების შესახებ“ შეთანხმება, რომლითაც განსაზღვრეს, რომ ამ უკანასკნელს მსესხებელი მიჰყიდდა უძრავ ქონებას (იხ. ამ განჩინების პირველი პუნქტი) მეორე გამსესხებელმა პირველს, რომელიც მსესხებლის კრედიტორი იყო, გადაუხადა 20 000 აშშ დოლარი, რის შემდეგაც დაიკავა პირველი მსესხებლის ადგილი. შეთანხმების თანახმად, თავდაპირველ მესაკუთრეს მეორე გამსესხებლისათვის უნდა გადაეხადა სესხად აღებული თანხის 3.5% სამი თვის განმავლობაში. საბოლოო ჯამში, მსესხებელს გადასახდელი ექნებოდა 33 150 აშშ დოლარი. მსესხებელი წინასწარ გადაიხდის ერთი თვის პროცენტს და ეს თანხა თავიდანვე გამოაკლდება მეორე გამსესხებლისათვის დასაბრუნებელ თანხას. მეორე გამსესხებელი მსესხებელს ხელზე გადასცემს 12 150 აშშ დოლარს. მსესხებელი ვალდებულია სესხად მიღებული თანხა დააბრუნოს 2014 წლის 4 დეკემბრამდე. თუ მსესხებელი ვერ გადაიხდის გამოსასყიდ თანხას, მაშინ ქონება გადავა მეორე გამსესხებლის საკუთრებაში. ამ შეთანხმებას ხელს აწერენ თავდაპირველი მესაკუთრის შვილი და მეორე

გამსესხებელი, რაც სადავო არაა მხარეთა შორის (იხ. ხელშეკრულება).

13. ზემოხსენებული ხელშეკრულების თარიღად მითითებულია 2014 წლის 4 სექტემბერი, თუმცა, მსესხებელი და მონმეები ამტკიცებენ, რომ დასახელებული გარიგება დაიდო 2014 წლის 3 სექტემბერს ანუ იმ დღეს, როდესაც საჯარო რეესტრში პირველ და მეორე გამსესხებულებს შორის გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულება (იხ. ამ განჩინების მე-10 პუნქტი).

14. საჯარო რეესტრში გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე სადავო უძრავი ქონება აღირიცხა მეორე გამსესხებლის საკუთრებად. ამის შემდეგ, ნ. ჩ-მ 20 000 აშშ დოლარი გადასცა პირველ გამსესხებელს, რითაც ამ უკანასკნელსა და თავდაპირველ მე-საკუთრეს შორის ურთიერთობა ამოიწურა.

15. მეორე მსესხებელმა მის საკუთრებად რეგისტრირებული სადავო უძრავი ქონება ჩუქების ხელშეკრულებით გადასცა საკუთარ შვილს (მეორე მოპასუხეს, იხ. ამ განჩინების პირველი პუნქტი). რომლის საკუთრებადაც ირიცხება სადავო უძრავი ქონება საქმის განხილვის დროისათვის (სსკ-ის 524-ე მუხლი; იხ. ჩუქების ხელშეკრულება და საჯარო რეესტრის ამონაწერი).

16. სასარჩელო მოთხოვნა

16.1. თავდაპირველმა მესაკუთრემ 2015 წლის 13 მაისს სარჩელი აღძრა პირველი გამსესხებლის, ასევე, მეორე გამსესხებლისა და მისი შვილის წინააღმდეგ და მოითხოვა:

16.1.1. მოსარჩელესა და პირველ გამსესხებელს შორის 2014 წლის 20 მაისს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების, გამოსყიდვის უფლებით, ბათილად ცნობა;

16.1.2. პირველ და მეორე გამსესხებულებს შორის 2014 წლის 3 სექტემბერს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების, გამოსყიდვის უფლებით, ბათილად ცნობა;

16.1.3. მეორე გამსესხებელსა და მის შვილს შორის 2015 წლის 15 იანვარს დადებული ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობა;

16.1.4. ამ განჩინების პირველ პუნქტში მითითებული სადავო უძრავი ქონების თავდაპირველ მესაკუთრეზე საკუთრების უფლებით აღირიცხვა და ამავე ქონებაზე სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების დადგენა მეორე მსესხებლის სასარგებლოდ (მსესხებელი – თავდაპირველი მესაკუთრე /მოსარჩელე/; გამსესხებელი – მეორე მოპასუხე; სესხის ძირითადი თანხა 31 200 აშშ დოლარი, სამი თვით, ყოველთვიურად 3,5%-ის გადახდით, საიდანაც ერთი თვის პროცენტი თავდაპირველ მესაკუთრეს გადახდილად უნდა ჩაეთვალოს).

17. პირველი გამსესხებლის პოზიცია

17.1. პირველმა მოპასუხემ არ ცნო მის წინააღმდეგ აღძრული სარჩელი და მიუთითა, რომ არ არსებობდა მასსა და თავდაპირველ მესაკუთრეს შორის 2014 წლის 20 მაისს გაფორმებული ხელშეკრულების ბათილობის საფუძველი წინამდებარე განჩინების 1-11 და მე-14 პუნქტებში მითითებული გარემოებების გათვალისწინებით.

18. მეორე გამსესხებლისა და მისი შვილის (მეორე და მესამე მოპასუხეების) პოზიცია

18.1. მეორე მოპასუხემ არ ცნო სარჩელი და განმარტა, რომ მან 2014 წლის 3 სექტემბერს პირველი გამსესხებლისაგან ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე 20 000 აშშ დოლარად შეიძინა უძრავი ქონება, რომელზედაც პრეტენზიას აცხადებს მოსარჩელე, შესაბამისად, მეორე მოპასუხემ, როგორც მესაკუთრემ განკარგა საკუთარი ქონება და აჩუქა შვილს, რის გამოც არ არსებობს ნასყიდობისა და ჩუქების ხელშეკრულებების ბათილად ცნობის საფუძველი.

19. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება და დასკვნები

19.1. ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 9 ნოემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა სრულად:

19.1.1. თავდაპირველ მესაკუთრეს პირველი გამსესხებლისაგან (პირველი მოპასუხისგან) გამოსყიდულად ჩაეთვალა სადავო უძრავი ქონება (ს/კ 0);

19.1.2. ბათილად იქნა ცნობილი სადავო უძრავ ქონებაზე 2014 წლის 3 სექტემბერს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება, პირველ და მეორე გამსესხებლებს შორის;

19.1.3. ბათილად იქნა ცნობილი მეორე გამსესხებელსა და მის შვილს შორის სადავო უძრავ ქონებაზე 2015 წლის 15 იანვარს დადებული ჩუქების ხელშეკრულება;

19.1.4. ამავე გადაწყვეტილებით დადგინდა, რომ უძრავი ქონება უნდა აღრიცხულიყო მოსარჩელის საკუთრებად და მასზე მეორე მოპასუხის (მეორე გამსესხებლის) სასარგებლოდ იპოთეკის დადგენა უნდა მომხდარიყო;

19.1.5. მეორე და მესამე მოპასუხეებს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრათ სახელმწიფო ბაჟის – 2247.45 ლარის, ასევე, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებისათვის გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 50 ლარის ანაზღაურება.

19.2. სასამართლომ დაადგინა ამ განჩინების 1-15 პუნქტებში მითითებული გარემოებები და აღნიშნა, რომ მხარეთა შორის ერთ-

ერთი ძირითადი სადავო საკითხი იყო ნების გამოვლენა. მოსარჩელე ამტკიცებდა, რომ მან გამოავლინა სესხისა და იპოთეკის ნება. მეორე გამსესხებელმაც გამოავლინა მხოლოდ სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების ნება. სწორედ ამ საკითხზე შეუთანხმდა თავდაპირველი მესაკუთრე მეორე მოპასუხეს. ეს უკანასკნელი კატეგორიულად არ დაეთანხმა მოსარჩელის განმარტებას და ამტკიცებდა, რომ მოსარჩელესთან არანაირი გარიგება არ დაუდია, ფული სესხად არ გადაუცია და სესხის იპოთეკით უზრუნველყოფაც არ მომხდარა. მეორე გამსესხებელმა პირველი მოპასუხისაგან შეიძინა უძრავი ქონება.

19.3 მხარეთა ურთიერთსანინააღმდეგო და ერთმანეთს გამომრიცხველი განმარტებები სასამართლომ თანაბარი მნიშვნელობის მტკიცებულებებად შეაფასა და დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე შეკრებილი მტკიცებულებებით, სადავო საკითხის დადგენისას, მხარეთა თანასწორობის გათვალისწინებით (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის, შემდეგში სსსკ, 3-5 მუხლები), ასევე, მტკიცების ტვირთის მხარეთა შორის თანაბრად გადანაწილების საფუძველზე, აღნიშნა, რომ განსახილველ შემთხვევაში, სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების არსებობის მტკიცება ეკისრებოდა მოსარჩელეს, ხოლო მეორე მოპასუხეს – ნასყიდობის ხელშეკრულების არსებობა.

19.4. სასამართლომ, მოსარჩელესა და პირველ მოპასუხეს შორის დადებული 2014 წლის 3 სექტემბრის ხელშეკრულებით დაადგინა, რომ ეს უკანასკნელი სადავო უძრავ ქონებას უზრუნებდა მის თავდაპირველ მესაკუთრეს. სწორედ ეს შედეგი მოჰყვებოდა მათ შორის დადებულ გარიგებას. ამ გარიგების დადებას კი უშუალოდ ესწრებოდა მეორე მოპასუხე (მეორე გამსესხებელი) საჯარო რეესტრში. თუ მეორე მოპასუხეს პირველი გამსესხებლისაგან უნდა შეეძინა უძრავი ქონება, მაშინ ბუნებრივია, გარიგებაც მათ შორის დაიდებოდა. დამატებით ხარჯს აღარ გაიღებდნენ და მოსარჩელესა და პირველ მოპასუხეს შორის ხელშეკრულება არ გაფორმდებოდა.

19.5. საქალაქო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა საქმეში წარდგენილ მტკიცებულებაზე – საჯარო რეესტრის გადანყვეტილებაზე სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ (იხ. ამ განჩინების მე-9 პუნქტი) და განმარტა, რომ დასახელებული მტკიცებულება ნათლად განმარტავდა ფაქტობრივი გარემოების შინაარსს. პირველ მოპასუხეს მოსარჩელისათვის უნდა დაეზრუნებინა უძრავი ქონება, ანუ პირველი გამსესხებელი მიიღებდა კუთვნილ 20 000 აშშ დოლარს, სანაცვლოდ კი ქონებას თავდაპირველი მესაკუთრე დაიბრუნებდა. თანხა, რომელიც პირველ გამსესხებელს უნ-

და მიეღო, წარმოადგენდა მეორე გამსესხებლის საკუთრებას. ამ უკანასკნელმა მოსარჩელეს სამი თვით, თვეში 3.5%-ის გადახდის პირობით ასესხა თანხა. სესხის უზრუნველსაყოფად იპოთეკის ხელშეკრულება უნდა დარეგისტრირებულიყო მოსარჩელის საკუთრებად რიცხულ ქონებაზე. სასამართლოს შეფასებით, ამაზე მიანიშნებდა ისიც, რომ ყველა წინაპირობა იყო მომზადებული ქონების თავდაპირველი მესაკუთრის სახელზე აღსარიცხად. სადავო ქონების მოსარჩელის საკუთრებად დარეგისტრირების შემდეგ უნდა გაფორმებულიყო სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება, მაგრამ ამ ხელშეკრულების დადება ვერ მოხდა მოსარჩელის საკუთრებად ქონების რეგისტრაციის მინდობილობის არარსებობის გამო. სწორედ ამ ფაქტმა განაპირობა ხელშეკრულების დადება პირველ და მეორე გამსესხებლებს შორის (იხ. მე-10 პუნქტი). სასამართლოს შეფასებით, პირველი მოპასუხის განმარტებით დგინდებოდა, რომ მხარეთა მიზანი გარიგების დადებისას მიმართული იყო უძრავი ქონების მოსარჩელისათვის დაბრუნებისაკენ, პირველი მსესხებლის მიერ კუთვნილი თანხის მიღებისაკენ და ამ შედეგის დადგომა კი განსაზღვრული იყო მეორე გამსესხებლის თანხით.

19.6. სასამართლომ აღნიშნა, რომ მონმეების, თავად მოსარჩელისა და პირველი მოპასუხის განმარტებების, ასევე, სხვა მტკიცებულებების საფუძველზე, დგინდებოდა, რომ 2014 წლის 3 სექტემბერს მეორე გამსესხებელსა და პირველ გამსესხებელს შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულებით, იმავე თარიღით ამ უკანასკნელსა და მოსარჩელეს შორის დადებული გარიგებით, მოსარჩელემ გამოავლინა სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების დადების ნება. თავის მხრივ, მეორე გამსესხებელმა გამოავლინა ანალოგიური ნება და შესაბამისად მას არ გამოუვლენია ნასყიდობის ნება.

19.7. დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასებისას, პირველი ინსტანციის სასამართლომ განმარტა, რომ სადავო სამართლებრივი ურთიერთობა ვალდებულებითი სამართლის ნორმებით უნდა მოწესრიგებულიყო.

19.8. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, მოსარჩელის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე (იხ. ამ განჩინების პირველი პუნქტი) ამ უკანასკნელის წარმომადგენლის (შვილმა; იხ. მე-2 პუნქტი) მეშვეობით გამოსყიდვის უფლებით ნასყიდობის ხელშეკრულების დადება, რომლის მიხედვით, მოსარჩელისაგან უძრავი ქონება შეიძინა პირველმა მოპასუხემ და მასში გადაიხადა 20 000 აშშ დოლარი. მხარეები შეთანხმდნენ, რომ მოსარჩელეს უფლება ექნებოდა, 3 თვეში დაებრუნებინა 20 000 აშშ დოლარი, ასევე, ყოველთვიურად გადაეხადა გამოსასყიდი თანხის 3.5% და ქონებაზე აღედ-

გინა საკუთრების უფლება. სასამართლოს შეფასებით, აღნიშნული შეთანხმება სსკ-ის 509-ე მუხლის დანაწესს შეესაბამებოდა: „თუ გამყიდველს ნასყიდობის ხელშეკრულებით აქვს გამოსყიდვის უფლება, ამ უფლების განხორციელება დამოკიდებულია გამყიდველის ნებაზე“. ამავე კოდექსის 510-ე მუხლით „გამოსყიდვა ხდება თავდაპირველი ფასით. ამასთან, მყიდველს უფლება აქვს მოითხოვოს ის თანხაც, რომლითაც გაიზარდა საქონლის ღირებულება გამოსყიდვის მომენტამდე სასარგებლო დანახარჯების შედეგად, ხოლო გამომსყიდველს შეუძლია მოითხოვოს იმ თანხის გამოკლება, რომლითაც შემცირდა საქონლის ღირებულება მის გამოსყიდვამდე“.

19.9. სასამართლომ განმარტა, რომ მხარეები სარგებლობენ ხელშეკრულების დადების თავისუფლების პრინციპით და მათ უფლება აქვთ კანონის ფარგლებში თავისუფლად დადონ ხელშეკრულებები და განსაზღვრონ ამ ხელშეკრულებათა შინაარსი (სსკ-ის 319-ე მუხლი). ხელშეკრულების პირობა წინასწარ შემუშავებულ ხასიათს არ ატარებს, მხარეებს შეუძლიათ ნებისმიერ საკითხზე შეთანხმდნენ. ამისათვის მათ არ სჭირდებათ რაიმე ნებართვა ან შინაარსის დაცვა. მთავარია, მათი შეთანხმება არ ეწინააღმდეგებოდეს კანონს, აკმაყოფილებდეს მორალის ფარგლებს და არ არღვევდეს საჯარო წესრიგს. გარიგების შეფასებისათვის უნდა გაანალიზდეს ამ გარიგების მახასიათებლები. გამოსყიდვის უფლებით ნასყიდობას აქვს გარკვეული თავისებურებანი, რაც იმაში მდგომარეობს, რომ გამყიდველს უფლება აქვს, დათქმულ ვადაში გამოისყიდოს გასხვისებული ნივთი. ახალ შემძენს უფლება არ აქვს, უარი თქვას სასყიდლის მიღებასა და საკუთრების დაბრუნებაზე. სახელშეკრულებო „ბორკილი“ მას ზღუდავს მესაკუთრის აბსოლუტური უფლებით ფლობდეს, სარგებლობდეს და განკარგავდეს გამოსყიდვის უფლებით შეძენილ ქონებას. იგი გამოსყიდვის ვადით შეზღუდულია და საკუთრების უფლებას შეიძენს გამოსყიდვისათვის დათქმული ვადის გასვლის შემდეგ. თავის მხრივ, გამყიდველსაც დაკისრებული აქვს ვალდებულება – გამოსყიდვითი ფუნქცია განხორციელოს მხოლოდ გამოსყიდვისათვის დათქმულ ვადაში. თუ ის არ ისარგებლებს გამოსყიდვის ვადაში გამოსყიდვის უფლებით, მაშინ მას ესპობა უფლება ვადის გასვლის შემდგომ გადაიხადოს ღირებულება და გამოისყიდოს ქონება. რა თქმა უნდა, ქონების გამოსყიდვის უფლება მას არ ერთმევა ვადის გასვლის შემდეგაც, მაგრამ ამ ვადის გასვლის შემდეგ, ნივთის გაყიდვის უფლება ენიჭება მის ნამდვილ მესაკუთრეს და ის ვალდებული აღარაა იმავე ფასში, ან თუნდაც განსხვავებულ ფასში მიჰყიდოს კუთვნილი ქონება ყოფილ მესაკუთრეს. ეს მისი უფლებაა და მის ნებაზეა და-

მოკიდებული გაყიდის თუ არა ქონებას, რომლის გამოსყიდვის ვადაც გავიდა.

19.10. სასამართლომ ასევე, დაადგინა, რომ შეთანხმებულ ვადაში მოსარჩელემ პირველი გამსესხებლისაგან ქონება ვერ გამოისყიდა, თუმცა, ამ უკანასკნელმა გამოიჩინა კეთილი ნება და მოსარჩელეს მისცა ვალდებულების შესრულების უფლება, ანუ თანხის გადახდის სანაცვლოდ, ქონების დაბრუნებას შეჰპირდა. დადგენილია, რომ მოსარჩელემ ფულადი რესურსი გამოახა მეორე გამსესხებელთან, რომლისგანაც სესხად მიღებული თანხის ნაწილით უნდა დაეფარა პირველი გამსესხებლის ვალი. საერთო ჯამში, მოსარჩელემ შეასრულა ნაკისრი ვალდებულება და პირველ მოპასუხეს გადაუხადა მისი კუთვნილი 20 000 აშშ დოლარი.

19.11. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა, რომ მხარეთა ურთიერთობების მართებულად შესაფასებლად, პირველ რიგში, უნდა შესრულებულიყო პირველი გამსესხებლის წინაშე არსებული ვალდებულება. მსესხებლის მიერ ვალდებულების შესრულებას უნდა მოჰყოლოდა პირველი გამსესხებლის მიერ ვალდებულების შესრულება, კერძოდ, ამ უკანასკნელს თანხის მიღების შემდეგ ექნებოდა მხოლოდ ერთი ვალდებულება – ქონება დაებრუნებინა თავდაპირველი მესაკუთრისათვის. პირველმა მოპასუხემ ნაკისრი ვალდებულება შეასრულა პირნათლად, იგი დათქმულ დროს გამოცხადდა საჯარო რეესტრში და მოსარჩელეს დაეთანხმა ხელშეკრულების დადებაზე, მაგრამ ეს ხელშეკრულება ვერ დარეგისტრირდა ობიექტური მიზეზის გამო, ვინაიდან მსესხებლის წარმომადგენელს (იხ. ამ განჩინების მე-2 პუნქტი) არ ჰქონდა მინდობილობა, რათა მოსარჩელისაგან მინდობილი ქონება შეეძინა და აღერიცხა მარნმუხებლის საკუთრებად. სწორედ ამ ვითარებაში გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულება მეორე გამსესხებელთან. ეს უკანასკნელი არ არის მყიდველი, ის თანხის გამსესხებელია, შესაბამისად, მხარეთა მიზანს უნდა მისცემოდა შესაბამისი იურიდიული კვალიფიკაცია. ფაქტობრივად, პირველ და მეორე გამსესხებელებს შორის დადებული უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება არის მოსარჩელის მიერ, პირველი მოპასუხის წინაშე ვალდებულების შესრულება (უძრავი ქონების გამოსასყიდი თანხის გადახდა), პირველი მოპასუხის მიერ თავდაპირველი მესაკუთრის მიმართ ნაკისრი ვალდებულების შესრულება (გამოსასყიდი თანხის მიღების შემდეგ უძრავი ქონების საკუთრების დაბრუნება), ასევე, მეორე მოპასუხის მიერ მოსარჩელისათვის თანხის სესხად გადაცემა და ამ სესხის უზრუნველყოფა სადავო უძრავი ქონებით.

19.12. სწორედ ამ გარემოებას ხდიდა სადავოდ მოსარჩელე და სადავო გარიგების ბათილად მიიჩნევდა, რადგან ის არ გამოხატავ-

და მხარეთა ნამდვილ ნებას და იმის გამო, რომ აღნიშნული რეა-
ლურად სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება იყო, მისი ბათილად
ცნობის შემდეგ, მოსარჩელე მოითხოვდა სესხისა და იპოთეკის
ხელშეკრულების დადგენას მეორე მოპასუხის სასარგებლოდ.

19.13. სასამართლომ განმარტა, რომ გარიგება, რომელიც და-
დებულია დადგენილი წესისა და აკრძალვების, საჯარო წესრიგის
ან ზნეობის ნორმების წინააღმდეგ, ასევე მოტყუებით, თვალთმაქ-
ცობით ან მოჩვენებით, ბათილია. ასეთი გარიგებების შინაარსი და
ხასიათი მოცემულია სსკ-ის 54-ე-56-ე, 81-ე-83-ე მუხლებში. დასა-
ხელებული ნორმების მიხედვით გარიგება არ უნდა ეწინააღმდე-
გებოდეს დადგენილ წესსა და აკრძალვებს. მოსარჩელის მოთხოვ-
ნის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს სსკ-ის 56-ე მუხლის
მეორე ნაწილი, რომლის მიხედვითაც „თუ მოსაჩვენებლად დადე-
ბული გარიგებით მხარეებს სურთ სხვა გარიგების დაფარვა, მაშინ
გამოიყენება დაფარული გარიგების მიმართ მოქმედი წესები (თვალ-
თმაქცური გარიგება)“. სასამართლომ განმარტა, რომ გარიგების
ნამდვილობა დამოკიდებულია მხარეთა ნების თავისუფალ გამოვ-
ლენაზე. ნასყიდობის ხელშეკრულების ნამდვილობისათვის, პირ-
ველ რიგში, აუცილებელია მხარეთა თავისუფალი ნების გამოვლენ-
ა. უძრავი ქონების მესაკუთრემ უნდა გამოხატოს ნება, რომ ქო-
ნებაზე საკუთრება გადასცეს მყიდველს. კანონმა დაადგინა, რომ
უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება უნდა დაიდოს წერი-
ლობითი ფორმით. საქმეში წარმოდგენილი ხელშეკრულების ფორ-
მა დაცულია, რადგანაც ის გაფორმებულია წერილობით და შეიცავს
ყველა აუცილებელ რეკვიზიტს. მიუხედავად ამისა, მოსარჩელე ამ-
ტკიცებდა, რომ მას ქონება არ გაუყიდა და არც შესაბამისი ნება
არ გამოუვლენია. მან მხოლოდ სესხის ხელშეკრულების ნება გა-
მოავლინა.

19.14. სასამართლოს შეფასებით, ნების გამოვლენა გარიგების
განსაზღვრის ფუნდამენტია. სამოქალაქო სამართალი სწორედ ნე-
ბის გამოვლენას უკავშირებს სამართლებრივ ურთიერთობათა უდი-
დეს უმრავლესობას. ადამიანთა პირადი ცხოვრებით დაწყებული,
ურთულესი ეკონომიკური ურთიერთობებით დამთავრებული,
ყველგან ფიგურირებს ნების გამოვლენა, თუმცა, ყოველი მათგანი
როდი იწვევს სამართლებრივ შედეგს. რადგანაც ნების გამოვლენ-
ას სამართალი ასეთ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, იგი უნდა აკმა-
ყოფილებდეს განსაზღვრულ პირობებს. ერთი მხრივ, დაცული უნ-
და იყოს მატერიალური, ხოლო მეორე მხრივ, კი ფორმალური წინა-
პირობები. პირველში იგულისხმება პირის გონებრივი შესაძლებ-
ლობა (ასაკი, ჯანმრთელობა), ხოლო მეორეში – ნების გამოხატვის
სამართლებრივი ფორმა. ნების გამოვლენის იმგვარ თვისებას, რომ

იგი ვარგისია სამართლებრივი ურთიერთობების წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისთვის, კანონი ნების გამოვლენის ნამდვილობას უწოდებს. ხელშეკრულების ნამდვილობისათვის აუცილებელია ხელშეკრულების შინაარსთან დაკავშირებით ორივე მხარის მიერ ნების გამოვლენა და ამ ნების ასახვა შესაბამის დოკუმენტში. ცალმხრივი ნების გამოვლენით, ისეთი გარიგება, როგორც ხელშეკრულებაა, არ დაიდება. ამასთან გარიგების შინაარსზე ზეგავლენას არ ახდენს მხოლოდ ერთი მხარის ნების გამოვლენა. ორივე მხარის ნება უნდა იყოს თანხვედრაში.

19.15. გარიგების შინაარსს, პირველ რიგში, განსაზღვრავს ოფერენტი. სწორედ წინადადების მიცემაზეა დამოკიდებული თანხმობის შინაარსიც. დაუშვებელია წინადადების მიმცემმა ნება გამოავლინოს ქონების ნასყიდობაზე, მეორე მხარემ მიიღოს ასეთი ნება (თუნდაც თანხის აუცილებლად მიღების მოტივით) და შემდეგ მისი ნების გამოვლენა განმარტოს ისე, როგორც მას აწყობს. გარიგების შინაარსად დადგენილ უნდა იქნეს ის შინაარსი, რაზეც წინადადება გამოხატული და რა წინადადებაც მიიღო მეორე მხარემ. ხელშეკრულება არის ორ ან მეტ პირს შორის დადებული გარიგება და მის დასაღებად ცალმხრივი ნების გამოვლენა არაა საკმარისი. მისი ნამდვილობისათვის სავალდებულოა ორივე მხარემ ერთმანეთთან შეათანხმოს გარიგების პირობები და, შეთანხმების შემდეგ, ნების გამოვლენის თაობაზე შედგენილ დოკუმენტს მოაწეროს ხელი. ასეთი პირობა გამომდინარეობს სსკ-ის 327-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებიდან, რომლის მიხედვითაც, ხელშეკრულება დადებულად ითვლება, თუ მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდნენ საამისოდ გათვალისწინებული ფორმით. არსებითად ჩაითვლება ხელშეკრულების ის პირობები, რომლებზედაც ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით მიღწეულ უნდა იქნეს შეთანხმება, ანდა რომლებიც ასეთად მიჩნეულია კანონის მიერ.

19.16. სასამართლომ მიუთითა სსკ-ის 56-ე მუხლზე „1. ბათილია გარიგება, რომელიც დადებულია მხოლოდ მოსაჩვენებლად, იმ განზრახვის გარეშე, რომ მას შესაბამისი იურიდიული შედეგები მოჰყვეს (მოჩვენებითი გარიგება). 2. თუ მოსაჩვენებლად დადებული გარიგებით მხარეებს სურთ სხვა გარიგების დაფარვა, მაშინ გამოიყენება დაფარული გარიგების მიმართ მოქმედი წესები (თვალთმაქცური გარიგება)“ და განმარტა, რომ ზოგადად დაფარულ გარიგებას მოჩვენებით დადებული გარიგება ჰქვია. მოჩვენებითი გარიგება ერთი მხარის მიერ არ დაიდება. თვალთმაქცურად დადებული გარიგებით მხარეებს სურთ სხვა გარიგების დაფარვა.

19.17. სასამართლომ განმარტა, რომ მოჩვენებითია გარიგება, რომელიც დადებულია იმ განზრახვის გარეშე, რომ მას მოჰყვეს

შესაბამისი იურიდიული შედეგი. თვალთმაქცური გარიგებისას მხარეებს სურთ სხვა გარიგების დაფარვა. მოჩვენებითი გარიგების დროს, მისი ბათილობის საკითხი დამოკიდებულია მხარეთა მიერ ჩაფიქრებული მიზნის მართლზომიერებაზე, ხოლო თვალთმაქცური გარიგებისას, ბათილობის შემთხვევაში, უნდა გაირკვეს დაფარული გარიგების ხასიათი, რომელიც შესაძლოა იყოს ბათილი ან არა, თუმცა, უმრავლეს შემთხვევაში, იგი ბათილია. როგორც მოჩვენებითი, ისე თვალთმაქცური გარიგება მხოლოდ მოსაჩვენებლად და დადებული, არც პირველ და არც მეორე შემთხვევაში მხარეებს არ სურთ ამ გარიგებიდან გამომდინარე შედეგის დადგომა. ორივე შემთხვევაში სახეზეა სიმულაცია, მხოლოდ განსხვავებული მეთოდებით. საერთო ჯამში გარიგება დაიდება იმ განზრახვის გარეშე, რომ მას შესაბამისი იურიდიული შედეგები მოჰყოლოდა. მოჩვენებითი და თვალთმაქცური გარიგების დროს, გარიგების ბათილობის საკითხის გადაწყვეტა დამოკიდებულია მხარეთა მიერ ჩაფიქრებული მიზნის მართლზომიერება-არამართლზომიერებაზე. საკითხის გადაწყვეტისას აუცილებელია გაირკვეს დაფარული გარიგების ხასიათი, რომლის მიმართაც გამოიყენება შესაბამისი მოქმედი წესები. განსახილველ შემთხვევაში პირველ გამსესხებელსა და მოსარჩელეს (მსესხებელს) შორის თავიდანვე არსებობდა გამოსყიდვის უფლებით ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზე ეს უკანასკნელი მოვალე იყო პირველი მოპასუხისათვის გადაეხადა 20 000 აშშ დოლარი. სადავო ქონების თავდაპირველმა მესაკუთრემ ეს თანხა ისესხა მეორე გამსესხებლისაგან და სანაცვლოდ სამი თვის განმავლობაში უნდა გადაეხადა პროცენტი. მსესხებელმა ერთი თვის პროცენტი წინასწარ გადაიხადა. მხარეთა მიერ გამოვლენილი ნებისა და ჩანაფიქრის მიხედვით, პირველ გამსესხებელს უნდა მიეღო 20 000 აშშ დოლარი, უძრავი ქონება უნდა აღრიცხულიყო მოსარჩელის საკუთრებად, ამ უკანასკნელსა და მეორე გამსესხებელს შორის უნდა გაფორმებულიყო სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება. ნაცვლად ამისა, მათ შორის გაფორმდა უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება. აღნიშნული კი იმაზე მიუთითებს, რომ სადავო ნასყიდობის ხელშეკრულება თვალთმაქცური გარიგების შემადგენლობას შეიცავს, რაც მისი გაბათილების საფუძველია.

19.18. მოსარჩელემ, ასევე, სადავოდ გახადა მეორე გამსესხებლის მიერ საკუთარი შვილისათვის სადავო უძრავი ქონების ჩუქების კანონიერება იმ დასაბუთებით, რომ მეორე მოპასუხემ ქონება გაასხვისა მოჩვენებითად, იურიდიული შედეგის დადგომის განზრახვის გარეშე, რეალურად ქონება ისევ მეორე გამსესხებლის საკუთრებაშია ანუ მოსარჩელემ მიუთითა სსკ-ის 56-ე მუხლის სა-

ფუძვლებზე.

19.19. სასამართლომ განმარტა, რომ ზემოხსენებული ნორმით სამართლებრივი ურთიერთობის კვალიფიკაციისათვის აუცილებელია გარიგების მონაწილეთა ნება დაიფაროს სხვა გარიგებით. მხარეთა ნება, მათი სურვილი მიმართული უნდა იყოს სხვა გარიგებით გათვალისწინებული მიზნის მიღწევისაკენ. თვალთმაქცური გარიგების დადების დროს მხარეები აცნობიერებენ, რომ მათ მიერ დადებულ გარიგებას სამართლებრივი შედეგი არ მოჰყვება და იგი დადებულია მხოლოდ სხვა გარიგების დასაფარად, ამასთან, მხარეებს სურთ სხვა გარიგების შესრულება. მოჩვენებითი გარიგების დროს მხარეთა შეთანხმება მოკლებულია ნამდვილობას და იგი კანონსაწინააღმდეგო მიზნების მისაღწევად ან დასაფარად გამოიყენება. იმ მიზნით, რომ კრედიტორების დაკმაყოფილებას გაექცეს, მოვალე ქონებას ვითომ ჩუქების გზით ასხვისებს. სინამდვილეში ჩუქება არ ვლინდება. სასამართლოს შეფასებით, მოჩვენებითი გარიგების დასადასტურებლად ისეთი მტკიცებულების წარდგენა არ არის საჭირო, რომელიც მოჩვენებითი გარიგებისა და მეორე მოპასუხის მიერ სამოქალაქო პასუხისმგებლობისაგან თავის არიდების დასადასტურებლად პირდაპირი მტკიცებულება იქნებოდა. იგი შეფასებითი კატეგორიისაა და უნდა დგინდებოდეს საქმის მასალების ანალიზითა და შინაგანი რწმენით, თუმცა, სარჩელის წარდგენა თავისთავად იმასაც არ ნიშნავს, რომ არსებობს დარღვეული უფლება. მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს, რომ მოპასუხეებმა დადეს მოჩვენებითი ხასიათის გარიგება და ამ გარიგების მიზანი იყო ის, რომ მეორე გამსესხებელი გაქცეოდა მოსარჩელის მოთხოვნას და ამ უკანასკნელისათვის ამგვარად შეეზღუდა ქონების დაბრუნების შესაძლებლობა.

19.20. სასამართლო მტკიცებულებების გაანალიზებით მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მეორე და მესამე მოპასუხეებს შორის გაფორმებული ჩუქების ხელშეკრულება (იხ. ამ განჩინების მე-15 პუნქტი) რეალურად არ იყო ორიენტირებული ჩუქების სამართლებრივი შედეგების დადგომაზე, რადგანაც ხელშეკრულების გაფორმების მიზანი იყო ქონების მოსარჩელისათვის დაბრუნების თავიდან აცილება. იმ მიზნით, რომ მოსარჩელეს არ მოეთხოვა უძრავი ქონების მის საკუთრებად აღრიცხვა, მეორე გამსესხებელმა მის სახელზე რეგისტრირებული ქონება ჩუქების ხელშეკრულებით გადასცა საკუთარ შვილს (მესამე მოპასუხეს), რითაც თავი აარიდა მისთვის არასასაიამოვნო პროცესს – ქონების მოსარჩელის საკუთრებად დარეგისტრირებას. სასამართლომ განმარტა, რომ თუკი სადავო უძრავი ქონება იქნებოდა მეორე მოპასუხის საკუთრებაში, მაშინ მოსარჩელე უპირობოდ მოიპოვებდა მასზე საკუთრების უფლებას.

სწორედ იმ მიზნით, რომ მოსარჩელეს არ მოეპოვებინა საკუთრების უფლება, მეორე გამსესხებელმა ბინა გაასხვისა მისთვის სანდო ადამიანზე – შვილზე, რითაც აირიდა უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების გადასვლა მოსარჩელეზე. სადავო ქონების გაჩუქებამ გავლენა იქონია შედეგებზე, კერძოდ, ქონების გასხვისების შედეგად მოსარჩელემ დაკარგა საკუთრება. მოცემულ შემთხვევაში სადავო გარიგების მონაწილე სუბიექტების ნების გამოვლენის მოჩვენებით ხასიათზე მიუთითებს ის გარემოება, რომ ჩუქების ხელშეკრულების მონაწილეები არიან მამა-შვილი, ორივემ კარგად იცოდა, რომ მოსარჩელე იყო ქონების მესაკუთრე და ქონების გასხვისება წარმოადგენდა მოსარჩელის მიერ საკუთრების დაბრუნების არიდებს საშუალებას. ისეთ ვითარებაში, როცა მხარეებს შორის დადებულია სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება, მოსარჩელეს გაუჩნდა უფლება, მოითხოვოს დარღვეული უფლების აღდგენა და ამ მიზნით მეორე მოპასუხისაგან ქონების გამოთხოვა, მაგრამ ამ უფლებით ვერ სარგებლობს იმიტომ, რომ მეორე გამსესხებელმა ქონება გააჩუქა ახლობელზე, შესაბამისად, მაღალია იმის დასაბუთებული ალბათობა, რომ ასეთ სიტუაციაში ქონების სხვა პირზე გასხვისება გაგებულ იქნეს, როგორც მცდელობა მოსალოდნელი შედეგების თავიდან აცილებისა. ყოველივე აღნიშნულზე მითითებით ჩანს, რომ მხარეთა შორის ჩუქების ხელშეკრულება გაფორდა სწორედ მოსარჩელის მიერ საკუთრების ვერ მიღების განზრახვით. ჩუქების ხელშეკრულების მხარეების განზრახვა იყო, თავი აერიდებინათ იმ პასუხისმგებლობისგან, რაც უკავშირდება მოსარჩელის მოთხოვნას, ნასყიდობის ნაცვლად, დადგინდეს სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება. სასამართლომ მიიჩნია, რომ ჩუქების სადავო ხელშეკრულება ბათილი გარიგება იყო, რის გამოც სარჩელი უნდა დაკმაყოფილებულიყო.

19.21. სსკ-ის 623-ე მუხლით განსაზღვრულია, რომ „სესხის ხელშეკრულებით გამსესხებელი საკუთრებაში გადასცემს მსესხებელს ფულს ან სხვა გვაროვნულ ნივთს, ხოლო მსესხებელი კისრულობს დააბრუნოს იმავე სახის ხარისხისა და რაოდენობის ნივთი“. სასამართლოს შეფასებით მეორე მოპასუხესა და მოსარჩელეს შორის წარმოშობილი ურთიერთობა სესხის ხელშეკრულებაა. სსკ-ის 286-ე მუხლის თანახმად, უძრავი ნივთი შეიძლება ისე იქნეს გამოყენებული მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, რომ უზრუნველყოფილ კრედიტორს მიეცეს უფლება სხვა კრედიტორებთან შედარებით პირველ რიგში მიიღოს თავისი მოთხოვნის დაკმაყოფილება ამ ნივთის რეალიზაციით ან მის საკუთრებაში გადაცემით. ამავე კოდექსის 289-ე მუხლის თანახმად კი დადგენილია, რომ იპოთეკა იურიდიულ ძალას იძენს საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მომენტი-

დან. საქმის განხილვის შედეგად სასამართლომ დაადგინა, რომ მხარეები (მოსარჩელე და მეორე მოპასუხე) თავიდანვე შეთანხმდნენ, რომ სესხის ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად გამოყენებული იქნებოდა ის ქონება, რომელსაც პირველი მოპასუხე დაუბრუნებდა და მოსარჩელეს. სასამართლომ განმარტა, რომ ნასყიდობის ხელშეკრულების გაბათილების შემდეგ, სესხის ხელშეკრულების შესრულების უზრუნველსაყოფად, მეორე მოპასუხის სასარგებლოდ, წინამდებარე განჩინების პირველ პუნქტში მითითებული სადავო უძრავი ქონება იპოთეკით უნდა დატვირთულიყო. იმის გათვალისწინებით, რომ განსახილველი დავის საგანი არ იყო სესხის მოცულობის დადგენა, არამედ – ნასყიდობის ხელშეკრულების კანონიერებას ეხებოდა, სასამართლომ აღნიშნა, რომ ვერ იმსჯელებდა სესხის მოცულობაზე. სასამართლოს დასკვნით, სადავო გარიგებების გაბათილების შემდეგ უნდა აღმდგარიყო პირვანდელი მდგომარეობა და უძრავი ქონება უნდა დაბრუნებოდა თავდაპირველ მესაკუთრეს, ხოლო სადავო ქონების იპოთეკით დატვირთვა, მეორე მოპასუხეს მისცემდა გარანტიას, დაებრუნებინა ის თანხა, რაც მას ერგებოდა სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებიდან.

20. სააპელაციო საჩივრის საფუძვლები

20.1. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მეორე და მესამე მოპასუხეებმა, მოითხოვეს მისი გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილებით, სარჩელის უარყოფა შემდეგ ფაქტობრივ და სამართლებრივ პრეტენზიებზე დაყრდნობით:

20.1.1. სასამართლო საქმის განხილვისას დაეყრდნო მხოლოდ მოსარჩელის ზეპირ განმარტებებს, რომლებიც არ იყო განმტკიცებული უტყუარი მტკიცებულებებით და ცრუ მონმეთა ჩვენებებს, რომლებიც პირდაპირ იყვნენ დაინტერესებული საქმის შედეგით, ასევე, დავალებული იყვნენ მოსარჩელისაგან;

20.1.2. საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოება, რომ მოსარჩელეს (მსესხებელს) ჰქონდა რა გადასახდელი თანხა პირველი გამსესხებლისათვის და ამიტომ მაკლერების მეშვეობით მოძებნა ახალი იპოთეკარი – მეორე გამსესხებელი, რომლისაგან მიღებული თანხითაც უნდა გაესტუმრებინა დავალიანება – არ შეეფერება სინამდვილეს და აღნიშნული სასამართლო სხდომაზე უტყუარად ვერ იქნა დადგენილი;

20.1.3. მეორე მოპასუხეს თანხის გასესხების სურვილი არ ჰქონია, მას იპოთეკის გაფორმება არ სურდა, იგი დაინტერესებული იყო მხოლოდ უძრავი ქონების შეძენით. მოსარჩელეს პირველი გამსესხებლისათვის გადასახდელი ჰქონდა მხოლოდ 20 000 აშშ დოლარი. მეორე გამსესხებლისათვის გაცილებით მეტი თანხის გამორ-

თმევა აშკარად მიუთითებს სხვა სახის გარიგებაზე, კერძოდ, უძრავი ქონების ნასყიდობაზე. იმის გათვალისწინებით, რომ სადავო უძრავი ქონების საერთო ფართია 54.30 კვ.მეტრი, 32 200 აშშ დოლარის გადახდის შემთხვევაში 1 კვ.მ-ის ღირებულება გამოდის დაახლოებით 590 აშშ დოლარი, რაც ქ. ბათუმის სინამდვილეში, ქონების ადგილმდებარეობის გათვალისწინებით, ნასყიდობისათვის სრულიად ლოგიკური ფასია;

20.1.4. მონმე გ. გ-ემ დააფიქსირა, რომ დროში იყვნენ შეზღუდულები, დაჩქარებული წესით ჰქონდათ გადახდილი საჯარო რეესტრში რეგისტრაციის საფასური – 200 ლარი და ამის გამო გააფორმეს პირველ და მეორე გამსესხებლებს შორის ნასყიდობის ხელშეკრულება. მონმის აღნიშნული ჩვენება ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს, რადგანაც მოსარჩელემ უტყუარად ვერ დაადასტურა ის გარემოება, თუ რატომ იყვნენ დროში შეზღუდულები, ვინ აჩქარებდა მათ, პირველი გამსესხებელი მათ არ აჩქარებდა თანხის დაბრუნებას და არ მოითხოვდა იმავე დღესვე, 2014 წლის 3 სექტემბერს სასწრაფოდ დაებრუნებინათ მისთვის თანხა. ამასთან, საჯარო რეესტრში სარეგისტრაციო მოსაკრებლის გადახდა ვერ გახდებოდა დროში შეზღუდვის მიზეზი, რადგანაც, როგორც საყოველთაოდ ცნობილია, საჯარო რეესტრის მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი ძალას არ კარგავს 30 დღის განმავლობაში. სასამართლო ვერ ასაბუთებს იმას, თუ რა დამატებით ხარჯებს გამოიწვევდა მოსარჩელესა და პირველ გამსესხებელს შორის ხელშეკრულების გაფორმება სხვა დროისათვის;

20.1.5. გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში სასამართლოს განმარტება, რომ პირველი მოპასუხისათვის გადასაცემი 20 000 აშშ დოლარი მეორე მოპასუხემ გადასცა ნ. ჩ-ას, რომელიც ამ თანხას შეინახავდა მანამ, სანამ საჯარო რეესტრიდან არ მოვიდოდა ამონაწერი, ანუ უძრავი ქონება დარეგისტრირდებოდა თავდაპირველი მესაკუთრის სახელზე, ასევე მოკლებულია ყოველგვარ სამართლებრივ საფუძველს და არ არის გამყარებული უტყუარი მტკიცებულებებით. მეორე გამსესხებელმა ნ. ჩ-ას 20 000 აშშ დოლარი მხოლოდ მას შემდეგ გადასცა, როდესაც თავად მოაწერა ხელი პირველ გამსესხებელთან ერთად ნასყიდობის ხელშეკრულებას და შესაბამისად, ელოდებოდა, რომ საჯარო რეესტრში თვითონ უნდა დარეგისტრირებულიყო ქონების მესაკუთრედ;

20.1.6. ასევე დაუსაბუთებელია სასამართლოს მსჯელობა, რომ დანარჩენი თანხა მეორე გამსესხებელმა სამაკლერო ოფისში გადასცა თავდაპირველი მესაკუთრის შვილს (წარმომადგენელს), რადგანაც პირველი ინსტანციის სასამართლოს სხდომაზე არავის განუცხადებია ის, რომ ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, მხა-

რეები წავიდნენ სამაკლერო ოფისში და იქ მოხდა დანარჩენი თანხის თავდაპირველი მესაკუთრის წარმომადგენლისათვის გადაცემა;

20.1.7. გასაჩივრებული გადაწყვეტილებით სასამართლომ ნამდვილ მტკიცებულებად მიიჩნია მოსარჩელესა და მეორე მოპასუხეს შორის, 2014 წლის 4 სექტემბერს გაფორმებული „2014 წლის 3 სექტემბრის ნასყიდობის ხელშეკრულების გამოსყიდვის უფლების გაგრძელების შესახებ“ ხელშეკრულება. გაუგებარია სასამართლოს პოზიცია, როგორ შეიძლებოდა ამ მხარეებს გაეფორმებინათ ხელშეკრულება 2014 წლის 3 სექტემბრის ნასყიდობის ხელშეკრულების გამოსყიდვის უფლების გაგრძელების შესახებ, მაშინ, როცა 2014 წლის 3 სექტემბერს მეორე მოპასუხეს არავისთან არ გაუფორმებია მსგავსი ხელშეკრულება. ამ გარემოების დამადასტურებელი უტყუარი მტკიცებულება არ არსებობს. სასამართლომ ჩათვალა, რომ მხარეებმა გააგრძელეს ისეთი ხელშეკრულება, რომელიც საერთოდ არ არსებობს, იგი არ არის წარდგენილი სამოქალაქო საქმეში. თუკი ჩავთვლით, რომ სასამართლო ამ შემთხვევაში გულისხმობს პირველ და მეორე გამსესხებლებს შორის გაფორმებულ 2014 წლის 3 სექტემბრის ნასყიდობის ხელშეკრულებას, ამ შემთხვევაში მისი პოზიცია ყოვლად დაუსაბუთებელია, რადგანაც ჯერ ერთი, ზემოხსენებულ მხარეებს შორის, 2014 წლის 3 სექტემბერს დაიდო მხოლოდ ნასყიდობის ხელშეკრულება, იგი არ შეიცავს სხვა რაიმე მითითებებსა და ვალდებულებებს, გარდა ერთი პირისაგან საკუთრების უფლების გადაცემისა მეორე პირზე, მათ შორის არ დადებულია ნასყიდობის ხელშეკრულება გამოსყიდვის უფლებით;

20.1.8. სასამართლომ ასევე ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე მიიჩნია, რომ მეორე გამსესხებელი არ იყო უძრავი ქონების შემძენი და იგი იყო თანხის გამსესხებელი მაშინ, როცა მოპასუხეთა მიერ საქმის განხილვის მიმდინარეობისას დაფიქსირებულ იქნა პოზიცია, რომ მეორე მოპასუხე რეალურად დაეუფლა მის მიერ შეძენილ ქონებას. თავდაპირველად, ეს ქონება იყო იჯარით გაცემული და საიჯარო ქირას, 4 თვის განმავლობაში, სწორედ მეორე მოპასუხე იღებდა, ხოლო როდესაც მოიჯარემ შეწყვიტა საიჯარო ქირის გადახდა, მეორე მოპასუხემ განცხადებით მიმართა შსს ბათუმის საქალაქო სამმართველოს პოლიციის მე-2 განყოფილებას და მოითხოვა, მის საკუთრებაში რიცხული ფართის გამოთავისუფლება და მისთვის ჩაბარება, რაც განხორციელდა კიდევ და ამის შემდეგ, მეორე გამსესხებელმა უკვე თვითონ განაგრძო ამ ფართში საქმიანობა, ჯერ სარემონტო სამუშაოების სახით, ხოლო შემდეგ ეს ფართი ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე გადაუ-

ფორმა თავის ქალიშვილს, რომელიც იმ თანხის ფაქტიური მფლობელი იყო, რომლითაც შეძენილ იქნა სადავო ქონება;

20.1.9. გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში არაფერია ნათქვამი იმაზე, მეორე მოპასუხე დაეუფლა თუ არა სადავო ქონებას და ამის გამო ხომ არ უნდა მიჩნეულიყო იგი ქონების მყიდველად;

20.1.10. სასამართლომ სარჩელი დააკმაყოფილა პირველ და მეორე გამსესხებლებს შორის 2014 წლის 3 სექტემბერს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის მოთხოვნის ნაწილში, მაშინ, როცა მოპასუხეებს სასამართლოსთვის წარდგენილი ჰქონდათ შუამდგომლობა და უტყუარი მტკიცებულებები, რომ თავდაპირველი მესაკუთრე არ წარმოადგენდა სათანადო მოსარჩელეს, მას არ ჰქონდა უფლება აღეძრა სარჩელი ამ კუთხით, ვინაიდან არ არსებობდა მისი მოთხოვნის სამართლებრივი ინტერესი. სასამართლოს არ უმსჯელია ამ შუამდგომლობაზე;

20.1.11. პირველი ინსტანციის სასამართლომ ბათილად ცნო ასევე მოსარჩელესა და პირველ მოპასუხეს შორის დადებული ხელშეკრულება და ამ უკანასკნელისაგან გამოსყიდულად ჩაუთვალა სადავო უძრავი ქონება, მაშინ, როცა პირველ გამსესხებელს მეორე გამსესხებელმა გადაუხადა ქონების გამოსასყიდი თანხა და მეორე მოპასუხემ ბინაც თავისთვის შეიძინა და არა მოსარჩელისათვის;

20.1.12. სასამართლომ ეჭვქვეშ დააყენა მეორე და მესამე მოპასუხეებს (მამა-შვილს) შორის გაფორმებული ჩუქების ხელშეკრულება და მიიჩნია, რომ ამით მხარეებს სურდათ ქონების დაკარგვის თავიდან აცილება და ეს გარიგება მოჩვენებითია. მეორე გამსესხებლის მიერ შვილისათვის ამ ქონების ჩუქება განპირობებულია იმით, რომ თავიდანვე ამ უკანასკნელის კუთვნილი თანხით მოხდა სადავო ბინის შეძენა. შვილმა თანხა საბერძნეთიდან გამოუგზავნა მამას და სთხოვა ქ. ბათუმის ტერიტორიაზე შეეძინა რაიმე ფართი, რაც მეორე მოპასუხემ შეასრულა კიდევ, ხოლო როდესაც მესამე მოპასუხე დაბრუნდა საბერძნეთიდან საქართველოში, მაშინ ამ უკანასკნელმა შვილს საჩუქრად გადასცა მისივე თანხით შეძენილი ქონება, სადაც მესამე მოპასუხეს თვითონ უნდა ეწარმოებინა სავაჭრო საქმიანობა. მოსარჩელე არ იყო უფლებამოსილი, მოეთხოვა მამა-შვილს შორის გაფორმებული ჩუქების ხელშეკრულების ბათილობა;

20.1.13. გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლების შემოწმება შეუძლებელია. სასამართლო დაეყრდნო მხოლოდ მოსარჩელის ზეპირ განმარტებებს და ისეთი მონმეების ჩვენებებს, რომლებიც პირდაპირ იყვნენ დაინტერესებულნი საქმის შედეგით, რა-

საც ისინი აშკარად გამოხატავდნენ. ვინაიდან, სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობა იმპერატიულად ავალებს, რომ გადაწყვეტილება დააფუძნოს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებზე, რაც მან უგულებელჰყო, აღნიშნული სააპელაციო სასამართლომ უნდა მიიჩნის გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტურ საფუძვლად;

20.1.14. ზოგიერთ შემთხვევაში, სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, არასწორად განმარტა კანონი. სასამართლო გადაწყვეტილებაში მიუთითებს, თავდაპირველად სსკ-ის 319-ე მუხლზე. ყოვლად გაუგებარია რის საფუძველზე ჩათვალა სასამართლომ მოსარჩელესა და მეორე გამსესხებელს შორის 2014 წლის 4 სექტემბერს გაფორმებული ხელშეკრულება „ნასყიდობის ხელშეკრულება გამოსყიდვის უფლების გაგრძელება“ ნამდვილ მტკიცებულებად, მაშინ, როცა ამგვარი ხელშეკრულება აშკარად ეწინააღმდეგება კანონს, რადგანაც მასზე ხელმომწერი მოსარჩელე არ იყო უფლებამოსილი, ხელი მოეწერა ამ ხელშეკრულებისათვის;

20.1.15. სასამართლომ ასევე მიუთითა სსკ-ის 327-ე მუხლზე / ხელშეკრულება დადებული ითვლება თუ მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდნენ საამისოდ გათვალისწინებული ფორმით/. ამავედროულად, სასამართლომ სრულიად საპირისპიროდ ჩათვალა დადგენილად, რომ პირველ გამსესხებელსა და მეორე გამსესხებელს შორის დაიდო არა ნასყიდობის ხელშეკრულება, არამედ სესხის ხელშეკრულება. ეს კი აშკარად ეწინააღმდეგება მის მიერვე მითითებულ სამართლებრივ ნორმას;

20.1.16. უსაფუძვლოა სადავო გარიგებების მიჩნევა მოჩვენებით და თვალთმაქცურ გარიგებებად. ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, ასევე საქმეში დაცული უტყუარი მტკიცებულებების სრული შესწავლის და შეფასების შედეგად, სახეზეა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების აშკარა სამართლებრივი საფუძვლები.

21. სააპელაციო სასამართლოს განჩინება

21.1. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 25 მაისის განჩინებით არ დაკმაყოფილდა მეორე და მესამე მოპასუხეების სააპელაციო საჩივარი და უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

21.2. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები (იხ. ამ განჩინების 1-15 პუნქტები) და მათი სამართლებრივი შეფასება და მიუთითა მათზე (სსსკ-ის 390.3 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი).

21.3. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ თავდაპირველ მესაკუთრესა და პირველ გამსესხებელს შორის 2014 წლის 20 მაისს გაფორმებული უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება გამოსყიდვის უფლებით, ბათილად იქნა ცნობილი და ამ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში, რომლის მიხედვითაც დადასტურებულად ითვლება, რომ 2014 წლის 20 მაისის გარიგების საგანი იყო არა უძრავი ქონება, არამედ ფული. კერძოდ, ხელშეკრულება დაიდო სამი თვით, მისი დადებისთანავე და მას შემდეგ, ხელშეკრულების ვადის გასვლამდე, პირველი გამსესხებელი არ დაუფლებია უძრავ ქონებას და ასეთი სურვილი თავიდანვე არ გამოუხატავს. ხელშეკრულებაში დაფიქსირდა ყოველთვიური სარგებელის 800 აშშ დოლარის გადახდა ყოველი თვის არაუგვიანეს 25 რიცხვისა, რაც რეალურად სესხის პროცენტს წარმოადგენდა.

21.4. თავდაპირველ მესაკუთრესა და პირველ გამსესხებელს შორის ხელშეკრულების გაფორმებისას, ამ უკანასკნელის ნება მიმართული იყო მსესხებლისათვის გადაცემული 20 000 აშშ დოლარის დაბრუნებაზე და არა ქონებაზე საკუთრების უფლების წარმოშობაზე. ამდენად, მხარეთა შორის რეალურად სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება დაიდო, რომლის საფუძველზე სადავო უძრავი ქონების თავდაპირველმა მესაკუთრემ პირველი გამსესხებლისაგან ისესხა 20 000 აშშ დოლარი, ხოლო 800 აშშ დოლარი იყო ყოველთვიური სარგებელი სესხზე, სადავო უძრავი ქონება სესხის უზრუნველყოფის საშუალებას წარმოადგენდა (სსკ-ის 623-ე-625-ე, 286-ე მუხლები).

21.5. კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილია, რომ 2014 წლის 20 მაისს დადებული „გამოსყიდვის უფლებით ნასყიდობის ხელშეკრულებით“ დაიფარა სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება, რაც ამ გარიგების ბათილად ცნობის საფუძველია. ამ გარიგების საფუძველზე, თავდაპირველ მესაკუთრეს სადავო უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლება არ დაუკარგავს და პირველი გამსესხებლის სახელზე საჯარო რეესტრში რეგისტრირებული ჩანაწერი საკუთრების უფლების თაობაზე არასწორი იყო.

21.6. სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა წინამდებარე განჩინების მე-12-მე-13 პუნქტებში ასახულ გარემოებებსა და მითითებული ხელშეკრულების შინაარსზე და მისი გაანალიზების შედეგად, დამატებით დაადგინა, რომ მეორე გამსესხებელმა სადავო ქონების თავდაპირველი მესაკუთრის კრედიტორს – პირველ გამსესხებელს გადაუხადა მისი კუთვნილი თანხა 20 000 (ოცი ათასი) აშშ დოლარი, რომლის შედეგად სადავო ქონების მესაკუთრის (პირველი გამსესხებლის) ადგილი დაიკავა. ამრიგად, მეორე

გამსესხებელმა სადავო უძრავი ქონებისათვის, სულ გადაიხადა 32 100 (ოცდათორმეტიათას ასი) აშშ დოლარი, საიდანაც წინასწარ დაფარულია მსესხებლის (თავდაპირველი მესაკუთრისა და გამყიდველის) კრედიტორის (პირველი გამსესხებლის) დავალიანება – 20 000 (ოცი ათასი) აშშ დოლარი, ხოლო დარჩენილი თანხა მთლიანად მიიღო მოსარჩელემ საკუთარი წარმომადგენლის (იხ. ამ განჩინების მე-2 პუნქტი) ხელით. მეორე გამსესხებელმა მოსარჩელის წარმომადგენელს 2014 წლის 4 დეკემბრამდე სესხად გადასცა 32 100 აშშ დოლარი, (სამი) თვით, ყოველთვიური 3.5 პროცენტის სარგებლით. გამყიდველის (თავდაპირველი მესაკუთრის) მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, შესაბამისად, იხსნება ამ ხელშეკრულებით შეთანხმებული ყოველგვარი შეზღუდვები და 2014 წლის 4 დეკემბრიდან უძრავი ქონება უპირობოდ რჩება მეორე გამსესხებლის საკუთრებაში, ხოლო ხელშეკრულების პირობის შესრულების შემთხვევაში, მეორე გამსესხებლისაგან საკუთრების უფლება უპირობოდ გადადის თავდაპირველ მესაკუთრეზე. აღნიშნული ხელშეკრულება მარეგისტრირებელ ორგანოს არ წარდგენია, იგი მხარეებს გადაეცათ.

21.7. წინამდებარე განჩინების მე-13 პუნქტში ხელშეკრულების თარიღთან დაკავშირებით მითითებული ფაქტობრივი გარემოება, სააპელაციო სასამართლოს მთავარ სხდომაზე ასევე დაადასტურა მეორე გამსესხებელმა (პირველმა აპელანტმა), თუმცა, მიუთითა, რომ ხელშეკრულებაზე ხელი მოტყუებით მოაწერინეს.

21.8. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მხარეთა შორის არ იყო სადავო, რომ მოსარჩელისათვის გადაცემული 32 200 აშშ დოლარი პირველი აპელანტისათვის დაბრუნებული არ არის.

21.9. სასამართლომ საქმეში წარდგენილ შპს „პ.-აუდიტის“ 2015 წლის 14 მაისის დასკვნაზე მიუთითა, რომლის თანახმად, სადავო უძრავი ქონების, ღირებულება შეადგენს 81 000 აშშ დოლარს.

21.10. განჩინების სამართლებრივი დასაბუთებისას სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა სსკ-ის 477-ე, 511-ე, 512-ე, 514-ე, 623-ე, 625-ე, 52-ე და 56-ე მუხლები.

21.11. სსკ-ის 477-ე მუხლის თანახმად, „ნასყიდობის ხელშეკრულებით გამყიდველი მოვალეა გადასცეს მყიდველს საკუთრების უფლება ქონებაზე, მასთან დაკავშირებული საბუთები და მიწოდოს საქონელი. მყიდველი კი მოვალეა გადაუხადოს გამყიდველს შეთანხმებული ფასი და მიიღოს ნაყიდი ქონება“. ამდენად, ნასყიდობის ხელშეკრულების დროს, გარიგების ობიექტია ქონება, რომლის სანაცვლოდ და საკომპენსაციოდაც შემძენი იხდის ნასყიდობის ფასს. აღნიშნული კარგად ჩანს გამოსყიდვის უფლებით ნასყიდობის ხელშეკრულების მომწესრიგებელ სამართლებრივ ნორმებ-

შიც, კერძოდ, სსკ-ის 511-ე და 512-ე მუხლების განმარტების საფუძველზე, სააპელაციო სასამართლომ იმსჯელა, რომ გამოსყიდვის უფლებით ნასყიდობის ხელშეკრულების დადების დროს, ნივთი გადადის მყიდველის მფლობელობაში, ე.ი. ამ გარიგების დადებისას შემძენის ინტერესი სწორედ ქონების დაუფლება და გარიგების პერიოდში ქონებით სარგებლობაა. ამიტომ, გამოსყიდვის უფლებით ნასყიდობის ხელშეკრულება, ჩვეულებრივ, ხანგრძლივი დროით იდება. სსკ-ის 514-ე მუხლით კი გამოსყიდვის უფლების განხორციელების მაქსიმალურ ვადად 10 წელი არის დაწესებული. ის, რომ გამოსყიდვის უფლებით ნივთის შეძენისას მხარეთა ინტერესი სწორედ განკარგული ქონებისკენ არის მიმართული, ჩანს სსკ-ის 510-ე მუხლიდანაც, რომლის თანახმად, გამოსყიდვა ხდება თავდაპირველი ფასით. ეს ნიშნავს, რომ კანონის თანახმად, ნასყიდობის საფასურად გადახდილ თანხაზე გამყიდველს სარგებლის დარიცხვის მოთხოვნის უფლება არა აქვს, რადგან, ამ შემთხვევაში, გარიგების საგანია არა თანხა, არამედ ქონება.

21.12. სააპელაციო სასამართლომ ასევე იმსჯელა სესხის ხელშეკრულების მომწესრიგებელ ნორმებზე და სსკ-ის 623-ე და 625-ე მუხლებზე მითითებით, განმარტა, რომ ამ სახის ხელშეკრულება მიმართულია ფულის ან გვაროვნული ნივთის საკუთრებაში გადაცემისაკენ სასყიდლით ან უსასყიდლოდ, ე.ი. ამ გარიგების ობიექტი სწორედ ის ფული ან გვაროვნული ნივთია, რომელსაც ხელშეკრულების ერთი მხარე მეორეს გადასცემს და მხარეთა ინტერესიც სწორედ აქეთკენაა მიმართული.

21.13. სააპელაციო სასამართლომ სსკ-ის 56-ე მუხლზე მსჯელობისას (ნორმის დეფინიცია იხ. 19.16 ქვეპუნქტში) აღნიშნა, რომ თუ მოჩვენებითი გარიგების დროს მისი ბათილობის საკითხი წყდება მხარეთა ჩაფიქრებული მიზნის მართლზომიერება-არამართლზომიერებით, თვალთმაქცური გარიგებისას, გარიგების ბათილად ცნობის შემთხვევაში, უნდა გაირკვეს დაფარული გარიგების ხასიათი, რომელიც შეიძლება იყოს როგორც ბათილი, ასევე ნამდვილი. რა სახისაც არ უნდა იყოს დაფარული გარიგება, თვალთმაქცური გარიგება მაინც უნდა ჩაითვალოს ბათილად, ხოლო თუ დაფარული გარიგება ნამდვილია, მაშინ იგი დაიკავებს თვალთმაქცური გარიგების ადგილს.

21.14. სსკ-ის 52-ე მუხლის თანახმად, „ნების გამოვლენის განმარტებისას ნება უნდა დადგინდეს გონივრული განსჯის შედეგად და არა, მარტოოდენ, გამოთქმის სიტყვასიტყვითი აზრიდან“. ამ ნორმის შესაბამისად, სააპელაციო საჩივრით სადავოდ გამხდარ გარიგებებში მხარეთა მიერ გამოხატული ნებაც გონივრული განსჯის შედეგად უნდა დადგინდეს.

21.15. პირველ გამსესხებელსა და მეორე გამსესხებელს შორის 2014 წლის 3 სექტემბერს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების (იხ. ამ განჩინების მე-12 პუნქტი) ნამდვილობის დადგენის მიზნით, სასამართლომ იმსჯელა, იყო თუ არა სადავო ქონების გამსყიდველი (პირველი გამსესხებელი) ქონების მესაკუთრე. უნდა დადგენილიყო ამ უკანასკნელის საკუთრებად სადავო ქონების რეგისტრაციის თაობაზე რეესტრის ჩანაწერი იყო თუ არა სწორი, ხოლო ჩანაწერის უსწორობის შემთხვევაში გარიგების მეორე მხარემ, შემძენად დაფიქსირებულმა პირმა (მეორე გამსესხებელმა, რომელიც განსახილველ დავაში პირველი აპელანტია) იცოდა თუ არა ეს ფაქტი და რა სახის ნება გამოავლინეს მხარეებმა გარიგების დადებისას.

21.16. საქმეში არსებული მტკიცებულებების შეფასების საფუძველზე, გამოსაკვლევ საკითხებთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ სასამართლო სხდომაზე დაკითხული მონმეების (ბ. ჟ-ის და გ. გ-ის) ჩვენებებით დადასტურებული იყო, რომ პირველი გამსესხებლისათვის გადასახდელი თანხის მოძებნაში მოსარჩელეს გ. გ-ე დაეხმარა, რომელიც დაუკავშირდა მეორე გამსესხებელს, ხოლო ეს უკანასკნელი დათანხმდა, უძრავი ქონებით უზრუნველყოფის სანაცვლოდ, 32 200 აშშ დოლარი სესხად გადაეცა მოსარჩელისათვის, საიდანაც 20 000 აშშ დოლარით სადავო ქონების თავდაპირველი მესაკუთრე გადაიხდიდა პირველი გამსესხებლის ვალს, სანაცვლოდ კი ეს უკანასკნელი ნასყიდობის ხელშეკრულებით დაუზრუნებდა სადავო ბინას თავდაპირველ მესაკუთრეს.

21.17. სააპელაციო სასამართლომ წინამდებარე განჩინების მე-12 პუნქტში მითითებული ხელშეკრულების პირობების გაანალიზების შედეგად დაადგინა, რომ მეორე გამსესხებელმა 2014 წლის 3 სექტემბერს პირველ გამსესხებელთან დადებული გარიგებით ფაქტობრივად ამ უკანასკნელის წინაშე შეასრულა მოსარჩელის საკრედიტო ვალდებულება, რითაც ჩაენაცვლა კრედიტორს და, თავის მხრივ, მოსარჩელისათვის სესხად გადაცემული თანხის – 32 200 აშშ დოლარის უზრუნველყოფა განახორციელა სადავო უძრავი ქონებით, რომელიც იმ დროისათვის 2014 წლის 20 მაისის გამოსყიდვის უფლებით ნასყიდობაზე ბათილი გარიგების საფუძველზე, პირველი გამსესხებლის სახელზე იყო საჯარო რეესტრში რეგისტრირებული.

21.18. ის ფაქტი, რომ პირველ გამსესხებელსა და მოსარჩელეს შორის რეალურად არსებობდა იპოთეკური სესხის ხელშეკრულება და არა ნასყიდობა-გამოსყიდვის უფლებით და რომ სადავო ქონება საჯარო რეესტრში არასწორად იყო აღრიცხული პირველ მოპასუ-

ხეზე, ცნობილი იყო მეორე მოპასუხისათვის. ხელშეკრულების დადებისთანავე და მას შემდეგ, ხელშეკრულების ვადის გასვლამდე, ე.წ. მყიდველი (მეორე გამსესხებელი) არ დაუფლებია სადავო უძრავ ქონებას.

21.19. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ პირველ გამსესხებელსა და მეორე გამსესხებელს შორის 2014 წლის 3 სექტემბერს დადებული ე.წ. „ნასყიდობის ხელშეკრულებით“, როგორც თვალთმაქცური გარიგებით, დაიფარა მოსარჩელესა და მეორე გამსესხებელს შორის სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება, რაც სსკ-ის 56-ე მუხლის შესაბამისად, მისი ბათილად ცნობისა და აღნიშნული მოთხოვნის ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველია.

21.20. სააპელაციო სასამართლომ იმაზეც გაამახვილა ყურადღება, რომ ამ გარიგების ბათილად მიჩნევისათვის უკვე დადგენილ ფაქტებთან ერთად გასათვალისწინებელი იყო ხელშეკრულების საგნის ღირებულებაც. მართალია, სსკ-ის 319-ე მუხლის პირველი ნაწილი მხარეებს აძლევს უფლებას, რომ შეთანხმდნენ ნასყიდობის ფასზე ნივთის საბაზრო ღირებულებაზე ნაკლები ოდენობითაც, მაგრამ, მოცემულ შემთხვევაში, გარიგებით განსაზღვრული ფასი ძალზე შეუსაბამო და არაგონივრული იყო ნივთის საბაზრო ფასთან (81 000 აშშ დოლარი) შედარებით, ეს კი, სასამართლოს დასკვნით, დამატებით ადასტურებდა, რომ გარიგებაში მითითებული ფასი იყო არა ნასყიდობის საზღაური, არამედ უზრუნველყოფილი ვალდებულების მოცულობა.

21.21. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა სააპელაციო პრეტენზია იმის თაობაზე, რომ სადავო უძრავ ქონებას გარიგების დადებისთანავე დაუფლა მეორე გამსესხებელი, ვინაიდან, თავად მის მიერ წარდგენილ შესაგებელში დაფიქსირებული იყო, რომ ქონებას იძულებით დაეუფლა 4 თვის შემდეგ (ხელშეკრულებაში დაფიქსირებული 3-თვიანი ვადის გასვლის შემდეგ), ხოლო იმ ფაქტის დამადასტურებელი რაიმე სახის მტკიცებულება, რომ სადავო ქონების მოიჯარისაგან იჯარის თანხას აპელანტი თავად იღებდა (რაც სადავო გახადა მოსარჩელემ) და ამგვარად ფაქტობრივად ფლობდა ქონებას, მხარეს სასამართლოსათვის არ წარმოუდგენია.

21.22. სასამართლომ აპელანტებს შორის 2015 წლის 15 იანვარს დადებული სადავო უძრავი ქონების ჩუქების ხელშეკრულების ბათილობასთან დაკავშირებით განმარტა, იმისათვის, რომ ეს გარიგება მიჩნეულიყო ბათილად, უნდა შემოწმებულიყო ორივე მხარის მიერ გამოვლენილი ნების ნამდვილობა, ასევე ხელშეკრულებების მეორე მხარის, კერძოდ, დასაჩუქრებულის (მეორე გამსესხებლის შვილის) კეთილსინდისიერება ქონების შეძენის ფაქტის მიმართ.

21.23. სსკ-ის 56-ე მუხლზე მითითებით (იხ. 19.16 და 21.13 ქვე-პუნქტები), სასამართლომ აღნიშნა, რომ მოჩვენებითი გარიგების დროს ნების გამომვლენი და ნების მიმღები მოქმედებენ შეთანხმებით და ორივე აცნობიერებს ნების ნაკლს. მოჩვენებითი გარიგების დროს, კანონი ადგენს კავშირს ფიქტიურ გარიგებასა და ნების მიმღები ადრესატის თანხმობას შორის. გარიგებას ახასიათებს მხარეთა „ურთიერთშეთანხმება“, „გარიგება“ მოჩვენებით ნების გამომვლენის შესახებ. ამ შემთხვევაში ორივეს გაცნობიერებული აქვს, რომ მათ მიერ ასეთი ნების გამოვლენას არ მოჰყვება იურიდიული შედეგი. სასამართლო პრაქტიკა ადასტურებს, რომ ძირითადად მოჩვენებითი გარიგების დადება დაკავშირებულია მესამე პირებთან არსებულ ურთიერთობასთან (მაგალითად, მოჩვენებითი გარიგების დადების ერთ-ერთ მოტივს შეიძლება წარმოადგენდეს მესამე პირის მოტყუება, პასუხისმგებლობისაგან თავის არიდება და ა.შ). განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ მჩუქებელი და დასაჩუქრებული არიან მამა-შვილი. ჩვეულებრივ, საზოგადოებაში ახლო ოჯახური ურთიერთობით დაკავშირებულმა ადამიანებმა იციან ერთმანეთის ქონებრივი მდგომარეობის შესახებ, ხოლო სხვაგვარი შემთხვევა წარმოადგენს გამონაკლისს. შესაბამისად, სასამართლომ დაასკვნა, რომ დასაჩუქრებულმა (მეორე აპელანტმა) იცოდა, რომ სადავო უძრავ ქონებაზე მჩუქებელს (პირველ აპელანტს) საკუთრების უფლება არ წარმოშობია და ასეთ ვითარებაში გააფორმა ჩუქების ხელშეკრულება, რაც ადასტურებდა ამ გარიგების მოჩვენებითობას და მხარეთა მიზანს, შემძენის კეთილსინდისიერებაზე მითითებით, თავიდან აეცილებინათ უძრავი ქონების რეალური მესაკუთრისათვის დაბრუნება.

21.24. სასამართლომ ისიც აღნიშნა, რომ თუკი მეორე აპელანტს (დასაჩუქრებულს) განზრახვა არ ექნებოდა მესამე პირის (მოსარჩელის) წინაშე მეორე გამსესხებლის პასუხისმგებლობისაგან თავის არიდებაზე, იგი კეთილსინდისიერ შემძენად მაინც ვერ ჩაითვლებოდა. კეთილსინდისიერი შემძენის უფლებების დაცვის საკითხს სამოქალაქო კოდექსი წყვეტს სამოქალაქო ბრუნვის სიმყარისა და სტაბილურობის ინტერესების გათვალისწინებით. სსკ-ის 185-ე, 312-ე მუხლების თანახმად, შემძენის (ამ შემთხვევაში დასაჩუქრებულის) კეთილსინდისიერების ფაქტის დადგენისას უნდა გაირკვეს, იცოდა თუ არა მან ჩანანერის უზუსტობის შესახებ და გაითვალისწინოს შემძენის შესაძლებლობანი რეესტრის არასწორი ჩანანერის ცოდნასთან მიმართებით. ვინაიდან, მჩუქებელი და დასაჩუქრებული არიან მამა-შვილი, დასაჩუქრებულს გონივრული წინდახედულობის ფარგლებში შეეძლო და უნდა სცოდნოდა სადავო უძრავ ქონებაზე მისი მამის მიერ საკუთრების უფლების მიღე-

ბის ხარვეზის შესახებ, რაც გამორიცხავდა კეთილსინდისიერ შემდენად მის აღიარებას. ამ გარემოების გათვალისწინებით სასამართლომ დაადგინა, რომ 2015 წლის 15 იანვარს, მეორე გამსესხებელსა და მის შვილს შორის დადებული გარიგება მოჩვენებითია, რაც სსკ-ის 56-ე მუხლის შესაბამისად ბათილია.

21.25. სასამართლომ არ გაიზიარა ჩუქების ნამდვილობის დასადასტურებლად აპელანტთა მითითება იმის თაობაზე, რომ სადავო ბინა შექმნილია მეორე აპელანტის მიერ საზღვარგარეთიდან გამომრიცხული თანხებით, რაც საფუძვლად დაედო მისთვის ამ ქონების ჩუქებით გადაცემას. სასამართლომ აღნიშნა, რომ აღნიშნული ფაქტის დამადასტურებელი რაიმე სახის მტკიცებულება აპელანტებს სასამართლოსათვის არ წარუდგენიათ, რაც სსკ-ის 105-ე მუხლის შესაბამისად, გამორიცხავდა მისი გაზიარების შესაძლებლობას.

21.26. სსკ-ის 312.1 მუხლის თანახმად „რეესტრის მონაცემების მიმართ მოქმედებს უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია, ე.ი. რეესტრის ჩანაწერები ითვლება სწორად, ვიდრე არ დამტკიცდება მათი უზუსტობა“, ვინაიდან საჯარო რეესტრში სადავო უძრავ ქონებაზე მეორე აპელანტის სახელზე გაკეთებული საკუთრების უფლების აღრიცხვის საფუძველი (ჩუქების ხელშეკრულება), ასევე, ჩუქებამდე დადებული 20.05.2014 წლის და 03.09.2014 წლის გარიგებები ბათილია, შესაბამისად, მეორე აპელანტის სახელზე არსებული ჩანაწერი არასწორია, რაც უნდა გასწორდეს და ამ ქონების მესაკუთრედ უნდა აღირიცხოს თავდაპირველი მესაკუთრე.

21.27. სსკ-ის 311-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 312-ე მუხლის შესაბამისად, საჯარო რეესტრი არის ნივთსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე უფლებათა, ყადაღისა და საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის წარმოშობის, მათში ცვლილების და მათი შეწყვეტის, ასევე უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების მიტოვების წარმოშობის და მასში ცვლილების შესახებ მონაცემთა ერთობლიობა. რეესტრის მონაცემების მიმართ მოქმედებს უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია, ე. ი. რეესტრის ჩანაწერები ითვლება სწორად, ვიდრე არ დამტკიცდება მათი უზუსტობა. ამავ ე კოდექსის 286-ე მუხლის თანახმად, უძრავი ნივთი შეიძლება ისე იქნეს გამოყენებული მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, რომ უზრუნველყოფილ კრედიტორს მიეცეს უფლება სხვა კრედიტორთან შედარებით პირველ რიგში მიიღოს თავისი მოთხოვნის დაკმაყოფილება ამ ნივთის რეალიზაციით ან მის საკუთრებაში გადაცემით, 289-ე მუხლის თანახმად, იპოთეკა იურიდიულ ძალას იძენს საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.

21.28. ვინაიდან, ბათილია სადავო უძრავ ქონებაზე პირველ გამ-

სესხებელსა და თავდაპირველ მესაკუთრეს შორის დადებული 20.05.2014 წლის ხელშეკრულება, ასევე, მეორე გამსესხებელსა და მის შვილს შორის 2015 წლის 15 იანვარს დადებული ჩუქების ხელშეკრულება, ხოლო პირველ გამსესხებელსა და მეორე გამსესხებელს შორის 2014 წლის 3 სექტემბერს დადებული სადავო ნასყიდობის ხელშეკრულებით, როგორც თვალთმაქცური გარიგებით, დაფარულ იქნა ნამდვილი გარიგება თავდაპირველ მესაკუთრესა და მეორე მეორე გამსესხებელს შორის, სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა, რომ თვალთმაქცური გარიგების ბათილად ცნობის შემთხვევაში, მის ადგილს დაიკავებს სწორედ ზემოხსენებული დაფარული გარიგება და რომ ამ გარიგების ძალაში შესვლისათვის, სსკ-ის 289-ე მუხლის საფუძველზე უნდა მოხდეს მისი რეგისტრაცია საჯარო რეესტრში 21.29. სააპელაციო სასამართლომ დასაბუთებულად მიიჩნია მოსარჩელის მოთხოვნა იმ მიმართებით, რომ გარიგების ბათილად ცნობის შემთხვევაში, სადავო უძრავ ქონებაზე მხოლოდ მისი საკუთრების უფლება უნდა აღრიცხულიყო, თუმცა, ამ უკანასკნელის საკუთრების უფლების რეგისტრაციასთან ერთად, მეორე გამსესხებლის (აპელანტის) სასარგებლოდ, სადავო ქონებაზე უნდა დარეგისტრირებულიყო იპოთეკა სესხის უზრუნველყოფის მიზნით.

22. საკასაციო საჩივრის საფუძველი

22.1. სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს აპელანტებმა, მოითხოვეს მისი გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სადავო ქონების თავდაპირველი მესაკუთრის სარჩელის უარყოფა სააპელაციო საჩივარში მითითებული პრეტენზიების იდენტურ არგუმენტებზე დაყრდნობით (იხ. საკასაციო საჩივარი და ამ განჩინების მე-20 პუნქტი).

23. საკასაციო სამართალწარმოების ეტაპი

23.1. საკასაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 3 ოქტომბრის განჩინებით საკასაციო საჩივარი წარმოებაშია მიღებული სსსკ-ის 391-ე მუხლის საფუძველზე დასაშვებობის წინაპირობების შესამოწმებლად, ხოლო იმავე წლის 2 დეკემბრის განჩინებით დასაშვებად ცნო საკასაციო განაცხადი დასახელებული ნორმის მე-5 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების საფუძველზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო საჩივრის სამართლებრივი დასაბუთებულობის არსებითად განხილვის, საქმის მასალების შესწავლის, მტკიცებულებების

ბათა შეჯერებისა და გაანალიზების შედეგად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არ უნდა დაკმაყოფილდეს წარმოდგენილი საკასაციო განაცხადი და გასაჩივრებული განჩინება უცვლელად უნდა დარჩეს, შემდეგი არგუმენტაციით:

24. სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი პუნქტით, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამონმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება); საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ კასატორს არ წარმოუდგენია დასაბუთებული პრეტენზია (შედავება) და ქვემოთ იმსჯელებს საკასაციო განაცხადის უარყოფის საფუძველზე.

25. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ განსახილველ დავაში სამართლებრივად მნიშვნელოვანი ყველა ფაქტობრივი გარემოება დაადგინა და სწორი იურიდიული კვალიფიკაცია მისცა მხარეთა შორის არსებულ სამართლებრივ ურთიერთობას, ამასთან, იმაზეც გაამახვილებს ყურადღებას, რომ განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელე მიკუთვნებითი სარჩელით მოითხოვს სადავო ქონებაზე საკუთრების უფლების დაბრუნებას, რადგან ქონება ბათილი გარიგებების საფუძველზე აღირიცხა სხვა პირთა საკუთრებად, ამდენად, სადავო გარიგებების ბათილობა საკუთრების უფლების დაბრუნების წინაპირობად უნდა იქნეს მიჩნეული და გარიგებათა ბათილობის მოთხოვნის გარეშე, სასარჩელო მოთხოვნას გააჩნია იურიდიული საფუძველი.

26. საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობასა და დასკვნებს, რომ უნინარესად გამოსაკვლევ იყო მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულებების შინაარსი რამდენად ასახავდა მხარეთა მიერ გამოვლენილ ნებას და აღნიშნავს: გასაჩივრებული განჩინებით გამოკვლეული და დადგენილია, რომ სადავო ბინის თავდაპირველ მესაკუთრესა და პირველ გამსესხებელს შორის, რეალურად გაფორმდა იპოთეკური სესხის ხელშეკრულება, შესაბამისად, პირველ მესაკუთრეზე არასწორად იყო აღრიცხული ქონება, რაც ცნობილი იყო მეორე გამსესხებლისთვისაც. ამ უკანასკნელსა და პირველ გამსესხებელს შორის 2014

ნლის 3 სექტემბერს ხელმოწერილი ხელშეკრულებით კი, რეალურად დაიფარა მოსარჩელესა (თავდაპირველ მესაკუთრესა) და მეორე გამსესხებელს შორის სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება, რაც ზემოხსენებულ გარიგებათა ბათილად ცნობის საფუძველი იყო და ადასტურებდა მოსარჩელის მოთხოვნის დასაბუთებულობას (იხ. ამ განჩინების 21.3-21.7 და 21.11-21.16 ქვეპუნქტები). საკასაციო სასამართლო იზიარებს გასაჩივრებული განჩინების მსჯელობასა და დასკვნებს, რომ პირველ გამსესხებელს, რომელიც მოსარჩელის კრედიტორი იყო, ჩაენაცვლა მეორე გამსესხებელი, რომელიც, თავის მხრივ, დაეთანხმა მოსარჩელისათვის 32 200 აშშ დოლარის სესხად მიცემის სანაცვლოდ (საიდანაც 20 000 აშშ დოლარი პირველ გამსესხებელს გადაუხადა), მომხდარიყო სესხის უზრუნველყოფა სადავო უძრავი ქონებით (იხ. ამ განჩინების 21.16-21.17 ქვეპუნქტები)

27. საკასაციო სასამართლო ასევე იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას გამოსყიდვის უფლებით ნასყიდობის ხელშეკრულების მომწესრიგებელ სამართლებრივ ნორმებზე, რაც ემსახურებოდა მხარეთა შორის ხელშეკრულების გაფორმების დროს გამოვლენილი ნების დადგენასა და ურთიერთობის სამართლებრივ შეფასებას (იხ. ამ განჩინების 21.11-21.19 ქვეპუნქტები).

28. საკასაციო სასამართლო თავის არაერთ გადანყვეტილებაში უთითებს, რომ „თვალთმაქცური გარიგების დროს, მართალია, ნების გამოვლენა მიმართულია სამართლებრივი შედეგების დადგომისაკენ, თუმცა არა იმ ხელშეკრულების შესაბამისად, რომელზეც მხარეები თანხმდებიან. ამგვარი გარიგების მიზანს წარმოადგენს იმ გარიგების დაფარვა, რომლის მიღწევის სურვილი მხარეებს რეალურად გააჩნიათ. ამ შემთხვევაში არსებობს ორი გარიგება, ერთი თვალთმაქცური და მეორე – რომელიც მხარეებმა უშუალოდ გაითვალისწინეს. ამდენად, თვალთმაქცური გარიგება ერთგვარად ფარავს ნამდვილ გარიგებას, შესაბამისად, მას არ გააჩნია სამართლებრივი საფუძველი და იგი ბათილია. თუმცა, ამ საფუძველით გარიგების ბათილობას გარკვეული სპეციფიკურობა ახასიათებს. კანონმდებლის ასეთი დამოკიდებულება განპირობებულია მხარეთა რეალური ნების გათვალისწინებით. ხშირ შემთხვევაში, მხარეები ვერ ერკვევიან, რა შინაარსის ხელშეკრულების გაფორმება სურთ ან კიდევ ვერ ასხვავებენ ერთმანეთისაგან გარიგების სხვადასხვა ტიპებს. სამოქალაქო კოდექსი შესაძლებლობას ანიჭებს ხელშეკრულების სუბიექტებს, გამოასწორონ დაშვებული შეცდომები თვალთმაქცური გარიგების ბათილად ცნობით და მხარეთა შეთანხმების მიმართ გამოიყენონ ის მოთხოვნები, რაც დამახასიათებელია იმ გარიგებისათვის, რომლის მიღწევაც მხარეებს სურდათ“

(სუსგ №ას-487-461-2015, 17.06.2015წ., ასევე, შდრ. №ას-743-704-2015, 28.09.2015წ.; №ას-1212-1138-2015, 06.06.2016წ.).

29. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფი ავალდებულებს სასამართლოს, დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება, რაც არ უნდა იქნეს გაგებული თითოეულ არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემად (იხ. ჯღარკავა საქართველოს წინააღმდეგ, №7932/03; Van de Hurk v. Netherlands, par.61, Garcia Ruiz v. Spain [GC] par.26; Jahnke and Lenoble v France (dec.); Perez v France [GC], par. 81)

30. კასატორის პრეტენზიებთან დაკავშირებით, რომლებიც ეხება სადავო უძრავი ქონების რეალურად დაუფლების ფაქტს, კერძოდ, როგორც კასატორი უთითებს, დასაჩუქრებული (მეორე კასატორი) შეძენის დღიდან უწყვეტად ფლობს ამ ქონებას და სარგებლობს მისით, რადგან იქ ფუნქციონირებს სავაჭრო დანესებულება (იხ. საკასაციო საჩივარი), საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომელიც ასახულია წინამდებარე განჩინების 21.21 ქვეპუნქტში.

31. განსახილველ შემთხვევაში სამართლებრივად მნიშვნელოვანია ქვემდგომი სასამართლოების მიერ დადგენილი ის ფაქტობრივი გარემოებები, რომ პირველ გამსესხებელსა და მეორე გამსესხებელს შორის 2014 წლის 3 სექტემბერს გაფორმებული თვალთმაქცური გარიგებით ფაქტობრივად დაიფარა ამ უკანასკნელსა და თავდაპირველ მესაკუთრეს შორის სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება, რასაც კანონმდებელი კონკრეტულ სამართლებრივ შედეგს უკავშირებს გარიგების ბათილად ცნობის სახით. აღნიშნულის საწინააღმდეგო მტკიცებულებები, რომლებიც გადასწონიდა გასაჩივრებული განჩინების მსჯელობასა და დასკვნებს არ წარუდგენია კასატორს სასამართლოსათვის, რაც დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების პირობებში განსახილველი დავის სხვაგვარი სამართლებრივი შეფასების საფუძველს მისცემდა სასამართლოს.

32. საკასაციო სასამართლო ასევე იზიარებს პირველ და მეორე კასატორებს შორის 2015 წლის 15 იანვრით დათარიღებული ჩუქების ხელშეკრულების ბათილობის საფუძველს, რაც გარიგების მონაწილე პირთა ნების გამოვლენასა და სადავო უძრავი ქონების შეძენის (დასაჩუქრებულის) კეთილსინდისიერებას ეხება ბინის შეძენის ფაქტის მიმართ. სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა და დასკვნები, რომ მეორე კასატორმა (დასაჩუქრებულმა) იცოდა, რომ პირველ კასატორს (სადავო უძრავი ქონების მჩუქებლის) არ წარმოშობია საკუთრების უფლება მოსარჩელის კუთვნილ ბინაზე და ასეთ ვითარებაში გააფორმა ჩუქების ხელშეკრულება, რაც ადას-

ტურებდა ამ გარიგების მოჩვენებითობასა და კასატორების მიზანს, შემძენის კეთილსინდისიერებაზე მითითებით აერიდებინათ ქონების ნამდვილი მესაკუთრისათვის დაბრუნება (იხ. 21.22-21.24), დადასტურებულია არა მხოლოდ იმგვარი პრეზუმფციით, რაც ახლო ნათესავებს, ოჯახის წევრებს შორის ერთმანეთის ქონებრივი მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის ფლობას უკავშირდება, არამედ იმითაც, რომ პირველი კასატორი უშუალოდ მონაწილეობდა და იცოდა პირველ გამსესხებელთან 2014 წლის 3 სექტემბერს ხელმოწერილი ხელშეკრულების განმარტებელი ფაქტობრივი გარემოებები, ასევე, დამტკიცებულია მოწმეთა განმარტებებით. აღნიშნულის საპირწონედ, მარტოოდენ იმაზე მითითება, რომ სასამართლოს არ გამოუკვლევია სათანადოდ მტკიცებულებები და არასწორი დასკვნები გამოიტანა, თავისი არსით არაკვალიფიციური შედეგებაა, რომელიც ვერ აქარწყლებს გასაჩივრებული განჩინებით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებსა და მათ სამართლებრივ მოტივაციას (იხ. სუსგ-ები №ას-2-2-2014, 10.04.2014წ; №ას-510-483-2014, 14.07.2014წ.).

33. ზემოხსენებული დასაბუთებით საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი არ არსებობს, შესაბამისად, უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გასაჩივრებული განჩინება.

34. კასატორებს გადახდილი აქვთ სახელმწიფო ბაჟი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა :

1. თ. ბ-ისა და ნ. ბ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 25 მაისის განჩინება;
3. კასატორების მიერ გადახდილი ბაჟი დარჩეს სახელმწიფო ბიუჯეტში;
4. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მორჩვენებითი და თვალთმაქცური გარიგებანი

გადაწყვეტილება საქართველოს სასწილთ

№სს-1470-2018

15 თებერვალი, 2019 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ე. გასიტაშვილი,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: მინდობილობისა და ჩუქების ხელშეკრულების
ბათილად ცნობა, ქონების საკუთრებაში გადაცემა

აღწერილობითი ნაწილი:

1. ს. ლ-მა (შემდეგში: მოსარჩელე ან აპელანტი ან მოწინააღმდეგე მხარე) სარჩელი აღძრა ე. ა-ას (შემდეგში: მოპასუხე ან კასატორი) მიმართ, რომლითაც მოითხოვა: ა) 2012 წლის 20 მარტს ნოტარიუსის მიერ დამოწმებული მინდობილობის ბათილად ცნობა; ბ) 2012 წლის 21 მარტს გაფორმებული უძრავი ქონების ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობა; გ) უძრავი ნივთის მდებარე ქ. თბილისი, ჩ-ის ქუჩა №61-63, ბინა №3, ფართი 108 კვ.მ., (შემდეგში – სადავო უძრავი ქონება) მოსარჩელის სახელზე აღრიცხვა.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სარჩელი უარყოფილია. აღნიშნული გადაწყვეტილება მოსარჩელემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა, მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 20 ივნისის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივრის ნაწილობრივი დაკმაყოფილების შედეგად გაუქმდა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება და სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: ბათილად იქნა ცნობილი 2012 წლის 21 მარტის უძრავი ნივთის ჩუქების ხელშეკრულება, გაფორმებული მოსარჩელის რწმუნებულ ს. ე-სა და მოპასუხეს შორის, დამოწმებული, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, 2012 წლის 21 მარტს; აღდგენილ იქნა მოსარჩელის საკუთრების უფლება სადავო უძრავ ქონებაზე. მოსარჩელეს უარი ეთქვა 2012 წლის 20 მარტს გაფორმებული მინდობილობის, დამოწმებული ნოტარიუსის მიერ, ბათილად

ცნობის ნაწილში;

4. სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ 1998 წლის 05 მარტის ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე, მოსარჩელემ დედისგან – ს. ე-სგან (შემდეგში: მოსარჩელის დედა), საკუთრებაში მიიღო სადავო უძრავი ქონება.

5. 2012 წლის 20 მარტს, პირდაპირი ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით გაცემული მინდობილობის საფუძველზე, მოსარჩელემ დედას სადავო უძრავი ქონების მოპასუხეზე განკარგვის უფლებამოსილება მიანიჭა.

6. 2012 წლის 20 მარტს პირდაპირი ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით გაცემული მინდობილობის საფუძველზე, 2012 წლის 21 მარტს, მოსარჩელის დედასა და მოპასუხეს შორის ჩუქების ხელშეკრულება გაფორმდა და სადავო ქონება მოპასუხის საკუთრებად აღირიცხა.

7. მოსარჩელე და მოპასუხე და-ძმა არიან. მოდავე მხარეთა დედა, ს. ე-ი, 2013 წლის 6 დეკემბერს გარდაიცვალა.

8. მოსარჩელე 2002 წლიდან ესპანეთში ცხოვრობს და მუშაობს.

9. სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია ფაქტობრივი გარემოება მასზე, რომ მოსარჩელის ნამდვილი ნება არ მოიცავდა მინდობილობის საფუძველზე, ჩუქების ხელშეკრულებით ქონების გაჩუქებას მოპასუხის სახელზე და რომ ჩუქება დროებით, სავარაუდო კრედიტორებისაგან თავის დაღწევისა და განქორწინების შემდგომ ქონების გაყოფის თავიდან არიდების მიზნით განხორციელდა. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ სადავო ბინა, რომელშიც მთელი ოჯახი ერთად ცხოვრობდა, დედამ თავის სიცოცხლეშივე, 1998 წლის 5 მარტს, მოსარჩელეს აჩუქა. სააპელაციო სასამართლომ გამოარკვია, რომ მოსარჩელის ოჯახი ნერვიულობდა მის მეუღლესთან განქორწინების გამო, აგრეთვე, მოსარჩელეს ჰქონდა სასესხო ვალდებულებებიც (კრედიტი) ოჯახის საერთო გადაწყვეტილებით, მოსარჩელემ დისტანციურად დედას გაუფორმა მინდობილობა, რათა სადავო ქონება მისი დისთვის, მოპასუხისათვის დროებით გადაეცა, რათა მოსარჩელეს ქონება მესამე პირებისგან დაეცვა.

10. სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში: სსკ-ის) 56-ე მუხლის პირველი ნაწილით [დისპოზიცია: ბათილია გარიგება, რომელიც დადებულია მხოლოდ მოსაჩვენებლად, იმ განზრახვის გარეშე, რომ მას შესაბამისი იურიდიული შედეგები მოჰყვეს (მოჩვენებითი გარიგება)] და მიუთითა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებულ პრაქტიკაზე, რომლის თანახმად, მოჩვენებითი გარიგების არსებობის შემთხვევაში ნების გამოვლენის გარეგანი დათ-

ქმა არ არსებობს. ამ შემთხვევაში, აუცილებელია, რომ ნების გამოვლენი და ნების მიმღები შეთანხმებით მოქმედებდნენ და ნების ნაკლს ორივე აცნობიერებდეს. მოჩვენებითი გარიგების დროს კანონი ადგენს კავშირს ფიქტიურ გარიგებასა და ნების მიმღები ადრესატის თანხმობას შორის. სსკ-ის 56-ე მუხლის პირველ ნაწილში ის შემთხვევა იგულისხმება, როდესაც, როგორც ნების გამომვლენი, ასევე, მისი მიმღები მოქმედებენ იმ განზრახვის გარეშე, რომ ამ გარიგებას შესაბამისი იურიდიული შედეგი მოჰყვეს. ყოველივე აღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ მოჩვენებითი გარიგებას ახასიათებს მხარეთა „ურთიერთშეთანხმება“, „გარიგება“ მოჩვენებითი ნების გამოვლენის შესახებ. ამ შემთხვევაში, ორივეს გაცნობიერებული აქვს, რომ მათ მიერ ასეთი ნების გამოვლენას იურიდიული შედეგი არ მოჰყვება. სასამართლო პრაქტიკის მიხედვით ძირითადად მოჩვენებითი გარიგების დადება დაკავშირებულია მესამე პირებთან არსებულ ურთიერთობასთან (მაგალითად, მოჩვენებითი გარიგების დადების ერთ-ერთ მოტივს შეიძლება წარმოადგენდეს მესამე პირის მოტყუება, პასუხისმგებლობისაგან თავის არიდება და ა.შ). ამრიგად, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ იმისათვის, რომ სასამართლომ სადავო გარიგება, მიიჩნიოს მოჩვენებითი გარიგებად, აუცილებელია ისეთი ფაქტობრივი გარემოებების არსებობა, რომლებიც მიუთითებენ ნების გამოვლენის ნაკლზე, ფიქტიური გარიგების შესახებ „ურთიერთშეთანხმებაზე“, საერთო მიზანზე, რაც არ შეესაბამება მათ მიერ გარეგანი ნების გამოვლენას. ამ მხრივ, დიდი მნიშვნელობა გააჩნია პრეზუმფციებისა და მტკიცების ტვირთის სწორად განსაზღვრას. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ იმისათვის, რათა განსახილველ შემთხვევაში, გაფორმებული ჩუქების ხელშეკრულება მოჩვენებითად იქნეს მიჩნეული, აუცილებელია ერთობლიობაში შეფასდეს გარიგების მხარეთა ნება, ქონების გაჩუქების მიზანი, ამ მოვლენის მესამე პირების მიერი აღქმა, მხარეთა ნება გარკვეული სამართლებრივი შედეგის დადგომის თაობაზე და გარიგების გაფორმების შემდგომ განვითარებული მოვლენები.

11. განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ უდავო გარემოებად მიიჩნია, რომ მოსარჩელე საქართველოსა და ესპანეთში უძრავ ქონებას საკუთრების უფლებით არ ფლობს, იგი მუსიკოსია და საკმაოდ მცირე შემოსავალი აქვს. ასეთ პირობებში, აპელანტის მიერ მისი დისთვის (მოპასუხისათვის) ერთადერთი საცხოვრებელი სახლის ჩუქება, მის ნამდვილობასთან დაკავშირებით ლეგიტიმურ ეჭვს ბადებდა, მით უფრო, იმ პირობებში, როდესაც საქმის მასალებით დგინდებოდა, რომ მოპასუხეს საკუთრების უფლებით სხვა უძრავი ქონებაც ჰქონდა რეგისტრირებული.

12. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოში, 2015 წლის 13 მაისს, მოსამზადებელ სხდომაზე მოწმის სახით გ. ვ-ი, მეზობელი და ოჯახის ახლობელი, დაიკითხა. მან განაცხადა, რომ ოჯახს ბავშვობიდან იცნობს და მის ყველა ნევრთან კარგი ურთიერთობა აქვს, დედამისი მოსარჩელესა და მოპასუხესთან მეგობრობდა. მან დაადასტურა, რომ დედას ყოველთვის ჰქონდა სურვილი საცხოვრებელი სახლი მოსარჩელისთვის ეჩუქებინა, ქონების მოპასუხისათვის გადაფორმება ფიქტიურ ხასიათს ატარებდა, აღნიშნული ქმედების მიზანს მხოლოდ ქონების განქორწინების პროცედურებისგან დაცვა წარმოადგენდა. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მთელი ოჯახი ნერვიულობდა, რომ ყოფილ მეუღლეს მოსარჩელისათვის მათი საცხოვრებელი სახლი არ წაერთმია. სწორედ ამიტომ ქონება მოპასუხის სახელზე გააფორმეს. ამავე სასამართლო სხდომაზე მოწმის სახით ი. მ-ი, მოსარჩელის და დაიკითხა. მან დაადასტურა, რომ ოჯახი მოსარჩელის ოჯახის დანგრევის თაობაზე ნერვიულობდა და ეგონათ, რომ მეუღლე მას საცხოვრებელ სახლს წაართმევდა. ამიტომ ქონების მოპასუხის სახელზე გადაფორმება გადაწყდა. დედის სიცოცხლეში მოსარჩელეს არც უფიქრია ამ ქონების უკან გადაფორმება, რადგან მოპასუხე აღნიშნულ ქონებაზე პრეტენზიას არასდროს აცხადებდა, მათ შორის, არც იმ პერიოდში, როცა ბინა მოსარჩელის სახელზე იყო აღრიცხული. ი. მ-მა დეიდამისისგან, რომელიც სადავო ბინაში ცხოვრობს, შეიტყო, რომ მოპასუხე სახლის მოსარჩელისათვის დაბრუნებას აღარ აპირებდა, აღნიშნულის შესახებ ი-მ მოსარჩელეს აცნობა, ამ ფაქტის შემდეგ და-ძმებს შორის ურთიერთობა დაიძაბა.

13. თბილისის საქალაქო სასამართლოში, 2015 წლის 8 ივნისს, მოსამზადებელ სხდომაზე მოწმე თ. ს-ე, ოჯახის მეზობელი, დაიკითხა. მოწმემ განაცხადა, რომ მოსარჩელეს დედასთან ძალიან ახლო ურთიერთობა ჰქონდა და სწორედ მისგან შეიტყო, რომ ქონების მოპასუხისათვის გადაფორმებას დროებითი ხასიათი ჰქონდა, რომლის მიზანსაც ქონების მოსარჩელის ყოფილი მეუღლისგან დაცვა წარმოადგენდა. მან განაცხადა, რომ აპელანტი დედას მატერიალურად ყოველთვის ეხმარებოდა.

14. სასამართლოს ამავე სხდომაზე მოწმის სახით ს. ე-ი, აპელანტის დეიდა, დაიკითხა, რომელიც სადავო ბინაში ცხოვრობს. მან განაცხადა, რომ მისი და ყოველთვის ამბობდა, რომ სადავო ქონება მოპასუხის იყო, რადგან თავის დროზე იგი სწორედ მოპასუხის მამას ეკუთვნოდა. მისივე მტკიცებით, დედის გარდაცვალებაზე ჩამოსულმა მოსარჩელემ ჰკითხა, თუ რატომ იმყოფებოდა ამ ბინაში. მას სხვა საცხოვრებელი არ გააჩნია, თუმცა, მისივე

განცხადების თანახმად, თუ ბინა მოსარჩელეს დაუბრუნდება, იგი ამ სახლში აღარ იცხოვრებს.

15. სააპელაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა ამგვარი კატეგორიის დავების განხილვისას მონშეთა ჩვენებების მნიშვნელობაზე, და განმარტა, რომ გარიგების მოჩვენებითობა ფაქტების სამართლებრივ შეფასებასაც მოიცავს, რა დროსაც, ხშირად მონშეთა ჩვენებები და მათ მიერ მიცემული განმარტებები მნიშვნელოვან როლს თამაშობს. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ მონშეთების გ. ვ-ის, ი. მ-ისა და თ. ს-ის ჩვენებები, თანმიმდევრულია, ერთმანეთს არ ეწინააღმდეგება და იდენტურ გარემოებებს ადასტურებს. ამასთანავე, მონშეთა მიერ მიცემული განმარტებები, ისეთ ფაქტებს ამტკიცებს, რომლებიც მათ ყოველდღიური ცხოვრების პირობებში მოისმინეს, როგორც, პირადად, აპელანტის დედის, ასევე ოჯახის სხვა წევრებისგან. მოპასუხე მხარეს მონშეთა მიერ მიცემული განმარტებების მცდარი შინაარსის შესახებ მითითება არ გაუკეთებია. ყოველივე ზემოაღნიშნულის შესაბამისად, პალატამ მიიჩნია, რომ მონშეთა ჩვენებები საქმისთვის მნიშვნელოვან ფაქტებს ადასტურებენ და რადგან მათ შინაარსში ეჭვის საფუძველი არ არსებობს, ისინი გაზიარებულ უნდა იქნეს.

16. რაც შეეხება მონშე ს. ე-ის მიერ მიცემულ ჩვენებას, აღნიშნულთან მიმართებით სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ იგი ოჯახის ახლო ნათესავია (მოსარჩელისა და მოპასუხის დეიდა). მას საკუთარი საცხოვრებელი სახლი არ გააჩნია და სადავო ბინაში ცხოვრობს. შესაბამისად, მას გარკვეული სუბიექტური დამოკიდებულებები აქვს აღნიშნული დავის საგნის მიმართ, რაც მას მიკერძოებულ მხარედ აქცევს, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ მის მიერ მიცემული ჩვენება არ გაიზიარა.

17. სააპელაციო სასამართლომ შეაფასა მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი სატელეფონო ჩანაწერი (ექსპერტის მიერ გაშიფრული სახით წარმოდგენილი), რომელშიც მხარეთა შორის სადავო ქონების ჩუქების ხელშეკრულების შესახებ საუბარი იყო ასახული და დავის გადანყვეტის მიზნებისთვის მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავდა.

18. სააპელაციო პალატამ, ყურადღება მიაქცია ხსენებული ფარული ჩანაწერის, როგორც დაუშვებელი მტკიცებულების სამართლებრივ ბუნებაზე. სსსკ-ის 103-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებებს იურიდიული ძალა არ აქვთ. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ზოგადად, სამოქალაქო პროცესში მხარეთა საუბრის ამსახველი ჩანაწერი, თუ მხარემ მისი ჩანაწერის შესახებ არ იცოდა, დაუშვებელ მტკიცებულებას წარმოადგენს, რადგან იგი არღვევს საქართვე-

ლოს კონსტიტუციითა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით გარანტირებულ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას, თუმცა, მათი სასამართლოს მიერ დასაშვებ მტკიცებულებად ცნობა და გადაწყვეტილების მისაღებად მხედველობაში მიღება დასაშვებია, თუ აღნიშნული მტკიცებულების საქმეზე დართვას მხარე ეთანხმება. ამასთან, თანხმობა უნდა ეხებოდეს არა მტკიცებულების ფორმალურ დასაშვებობას, არამედ იმას, რომ მტკიცებულების შინაარსი სასამართლომ გადაწყვეტილებას დაუდოს საფუძვლად.

19. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ განსახილველ შემთხვევაში, 2016 წლის 30 მარტს, თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამზადებელ სხდომაზე სასამართლომ ექსპერტიზის დასკვნის საქმეზე მტკიცებულების სახით დართვის შესახებ შუამდგომლობის შესახებ იმსჯელა. მოპასუხემ შედავება მხოლოდ პროცესუალური საფუძვლით განახორციელა, კერძოდ, განაცხადა, რომ მოსარჩელის მიერ წარდგენილი მტკიცებულება საქმეს არ უნდა დართვოდ, რადგან აღნიშნული მტკიცებულება სარჩელთან ერთად არ ყოფილა წარმოდგენილი და შესაბამისად მტკიცებულების წარდგენის შესაძლებლობა გაუშვა. მოსამართლემ მხარეს დამაზუსტებელი შეკითხვით მიმართა და ჩაეკითხა მხარის შედავება მხოლოდ მტკიცებულების მოგვიანებით წარდგენას ეხებოდა, თუ არა, რაზეც მოპასუხე მხარემ განაცხადა, რომ უკვე ორი მოსამზადებელი სხდომა იყო ჩატარებული და რადგან მოსარჩელეს არც სარჩელზე და არც წინა სასამართლო სხდომებზე არ ჰქონია წარდგენილი აღნიშნული მტკიცებულება, იგი დაუშვებლად უნდა მიჩნეულიყო. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხე მხარეს მტკიცებულების მატერიალურ დაუშვებლობასთან მიმართებით, ანუ ფარული ჩანაწერის, როგორც კანონის საწინააღმდეგოდ მოპოვებული მტკიცებულების დაუშვებლად ცნობის შესახებ, შედავება არ განუხორციელებია, რაც შეჯიბრებითობის პრინციპის რეალიზაციის პირობებში, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ შესაძლებლობას იძლეოდა გაეზიარებინა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომლითაც აღნიშნული მტკიცებულება საქმეს დაერთო. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ აღნიშნულ ჩანაწერში ცალსახად ჩანს, რომ სადავო ქონების ჩუქების ხელშეკრულების დადებისას ორივე მხარემ იცოდა, რომ მოსარჩელეს ქონების საკუთრების უფლებით გადაცემის მიზანი არ გააჩნდა, და აღნიშნული გარიგება ფიქტიური იყო. გარემოება, რომლებზეც მოწმეებმა და თავად მოსარჩელემაც არაერთხელ მიუთითეს, მასზედ, რომ მოსარჩელის დედას საცხოვრებელი სახლის მოსარჩელისთვის დატოვების სურვილი

ჰქონდა, რაც განახორციელა კიდევ თავის სიცოცხლეში, ამ გადამწყვეტილებას კი მოჰასუხე შეცდომას უწოდებს, რადგან ისინი სამი დედამამიშვილი იყვნენ და სახლი მხოლოდ მოსარჩელეს არ უნდა დარჩენოდა.

20. საბოლოოდ, მტკიცებულებათა ერთობლიობაში შეფასებით სააპელაციო სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ გარიგების მოჩვენებითად ცნობის მაკვალიფიცირებელი ელემენტები სახეზე იყო, კერძოდ, დადგინდა, რომ სადავო ჩუქების ხელშეკრულების გაფორმებისას მხარეებმა იცოდნენ, რომ ფიქტიურ გარიგებას დებდნენ, გამჩუქებელს (განსახილველ შემთხვევაში აპელანტის რწმუნებულს) ქონების საკუთრების უფლებით მოპასუხის სახელზე გადაცემის ნება არ გამოუვლენია, არამედ გარიგების გაფორმება მესამე პირებთან შესაძლო ვალდებულების შესრულებისგან თავის არიდებას ემსახურებოდა. ამასთანავე, ობიექტური დამკვირვებლის თვალთ, იმ პირობებში, როდესაც თავად მოსარჩელეს სხვა საცხოვრებელი სახლი, არც საქართველოში და არც საზღვარგარეთ, არ გააჩნია, მისი შემოსავალი ყოველთვიურად მხოლოდ 800 ევროს შეადგენს და მას არასრულწლოვანი შვილი ჰყავს, რომელსაც აღიქმნეს უხდის, ნების გონივრული განსჯის შედეგად ვერ დგინდება, თუ რატომ გაუჩნდებოდა მას ერთადერთი ქონების გაჩუქების სურვილი. შესაბამისად, სახეზე არ იყო გარიგებით გათვალისწინებული იურიდიული შედეგის მიღწევა – მოპასუხისათვის სადავო ქონების ჩუქება.

21. სააპელაციო პალატამ დასკვნა, რომ მოდავე მხარეთა ურთიერთშეთანხმებით მოჩვენებითი გარიგება დაიდო, ამგვარი შინაარსის გარიგებები კი სსკ-ის 56-ე მუხლის თანახმად, დადების მომენტიდან ბათილ გარიგებათა რიგს მიეკუთვნება.

22. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოსარჩელის მიერ 2012 წლის 20 მარტის მინდობილობა ბათილად არ უნდა იქნეს ცნობილი.

23. პალატამ მიუთითა, რომ განსახილველი დავის საგანს მხარეთა შორის დადებული ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობა წარმოადგენს, შესაბამისად, მხარეთა შორის სადავოა იმ ნების ნამდვილობა, რომელიც ჩუქების ხელშეკრულების გაფორმებას და არა მინდობილობის გაცემას დაედო საფუძვლად. პირველი ინსტანციის სასამართლოში თავად მოსარჩელეც მიუთითებდა, რომ დედის სახელზე მინდობილობა სწორედ სადავო ქონების გაჩუქების მიზნისთვის გააფორმა, ანუ ამ ქმედებას საფუძვლად მის მიერ ნამდვილი ნების გამოხატვა ედო, რაც სასამართლოს წესით მისი ბათილად ცნობისთვის აუცილებელი ელემენტის – იურიდიული ინტერესის არარსებობაზე მიანიშნებს, რაც აღიარებითი მოთხოვნის

დაკმაყოფილების ერთ-ერთი წინაპირობაა, მით უფრო, იმ პირობებში, როდესაც მხარეს გაცემული რწმუნებულების გაუქმება ნოტარიუსის მეშვეობით დაუბრკოლებლად შეუძლია.

24. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმებისა და სარჩელის უარყოფის მოთხოვნით საკასაციო საჩივარი წარმოადგინა მოპასუხემ. კასატორმა აგრეთვე მოითხოვა ექსპერტიზის დასკვნის საქმისათვის დართვის შესახებ 2016 წლის 30 მარტის განჩინების გაუქმება.

25. საკასაციო საჩივარი ეფუძნება გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიულ დაუსაბუთებლობასა და საქმის განხილვის დროს საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევას.

26. კასატორს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს დასკვნა იმის თაობაზე, რომ გარიგებაში გამოვლენილი ნება მოტივირებული იყო კრედიტორებისაგან თავის დაღწევის სურვილით, დაუსაბუთებელია და არ დასტურდება საქმეში არსებული მტკიცებულებებით. ზოგადად, აბსტრაქტული მსჯელობა კრედიტორების არსებობის თაობაზე, იმგვარად რომ არ იყო მითითებული რომელი კრედიტორი აქვს სასამართლოს მხედველობაში და რომელი ვალდებულებისგან თავის დაღწევის სურვილი ამოძრავებდა მოსარჩელეს, დამაჯარებელი არ არის.

27. გარდა ზემოაღნიშნულისა, კასატორს დაუსაბუთებლად მიაჩნია იმაზე მითითება თითქოს მოსარჩელის ქმედება გარიგების დადებაზე მოტივირებული იყო იმით, რომ ამ უკანასკნელს დავა ჰქონდა მეუღლესთან და შიშობდა ქონების წილზე არ დაეკარგა საკუთრების უფლება. კასატორი მიუთითებს, რომ სადავო ქონება მეუღლეთა თანასაკუთრება არ იყო, რადგან მოსარჩელეს აღნიშნული მიღებული ჰქონდა რა დედისაგან ჩუქების საფუძველზე, მიიჩნეოდა მეუღლის ინდივიდუალურ საკუთრებად.

28. საკასაციო საჩივრით შედავებულია მხარეთა საუბრის ფარული ჩანაწერის მტკიცებულებად დაშვების საპროცესო სამართლებრივი საკითხიც, სახელდობრ კასატორი აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა მხოლოდ იმაზეა აგებული, რომ მოპასუხემ პროცესუალური საფუძვლით გახადა სადავო აღნიშნული მტკიცებულების საქმეზე დართვა, ხოლო სხვა პრეტენზია მოპასუხეს არ გამოუთქვამს. კასატორი აღნიშნავს, რომ ამგვარი მტკიცებულების საქმისათვის დართვას და მის შინაარსობრივ შეფასებას სჭირდებოდა მხარის პირდაპირი და მკაფიო თანხმობა, რასაც მოცემულ შემთხვევაში, ადგილი არ ჰქონდა. ამავე საფუძვლით კასატორი ასაჩივრებს ექსპერტიზის დასკვნის საქმისათვის დართვის შესახებ სასამართლოს 2016 წლის 30 მარტის განჩინებას.

სამოტივაციო ნაწილი:

29. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 15 ოქტომბრის განჩინებით საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, სსსკ-ის 396-ე მუხლით და 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად, ხოლო 2018 წლის 21 დეკემბრის განჩინებით საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად.

30. საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, ასევე, მტკიცებულებების შეჯვრებისა და გაანალიზების, საკასაციო საჩივრის იურიდიული დასაბუთებულობის არსებითად განხილვის შედეგად მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი მოტივაციით:

31. სსსკ-ის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია (შედავება).

32. მოცემულ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილადაა ცნობილი დავის გადანყვევტისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

33. 1998 წლის 05 მარტის ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე, მოსარჩელემ დედისგან საკუთრებაში მიიღო სადავო უძრავი ქონება.

34. 2012 წლის 20 მარტს, პირდაპირი ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით გაცემული მინდობილობის საფუძველზე, მოსარჩელემ დედას სადავო უძრავი ქონების მოპასუხეზე განკარგვის უფლებამოსილება მიანიჭა.

35. 2012 წლის 20 მარტს პირდაპირი ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით გაცემული მინდობილობის საფუძველზე, 2012 წლის 21 მარტს, მოსარჩელის დედასა და მოპასუხეს შორის ჩუქების ხელშეკრულება გაფორმდა და სადავო ქონება მოპასუხის საკუთრებად აღირიცხა.

36. მოსარჩელე და მოპასუხე დაძმა არიან. მოდავე მხარეთა დედა 2013 წლის 6 დეკემბერს გარდაიცვალა.

37. მოსარჩელე 2002 წლიდან ესპანეთში ცხოვრობს და მუშაობს.

38. საკასაციო წესით გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოს გადანყვევტის იმ ნაწილი, რომელიც 2012 წლის 21 მარტს გაფორმებული უძრავი ქონების ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობასა და სადავო უძრავი ნივთის მოსარჩელის სახელზე აღრიცხვას შეეხება.

39. აღსანიშნავია, რომ სადავო გარიგების ბათილად ცნობის ნაწილში, გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს სსკ-ის 56-ე მუხლის პირველი ნაწილი [დისპოზიცია: ბათილია გარიგება, რომელიც დადებულია მხოლოდ მოსარჩევნებლად, იმ განზრახვის გარეშე, რომ მას შესაბამისი იურიდიული შედეგები მოჰყვეს (მოჩვენებითი გარიგება)], ხოლო სადავო გარიგების მოჩვენებითობა სააპელაციო სასამართლოს დასაბუთების მიხედვით განპირობებულია ერთდროულად რამდენიმე მოცემულობით: ა) მოსარჩელეს გააჩნდა სასესხო ვალდებულებები (კრედიტი) და სურვილი ჰქონდა თავი დაეღწია ვალდებულების შესრულებისათვის; ბ) მოსარჩელეს დავა ჰქონდა მეუღლესთან და შიშობდა ქონების წილზე არ დაეკარგა საკუთრების უფლება.

40. საკასაციო პალატა ამონმებს რა გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში [სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილი], ყურადღებას მიაქცევს კასატორის შედავების იმ ნაწილს, რომელიც შეეხება სადავო გარიგებაში გამოვლენილი ნების მოჩვენებითობას. კასატორი აღნიშნავს, რომ ჯერ ერთი, გარიგების მონაწილე მხარის (მოსარჩელის) ქმედების მამოძრავებელ სურვილს დააღწიოს თავი სასესხო ვალდებულებების შესრულებას (კრედიტის გადახდა) არ გააჩნია ვარგისი ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი, რამდენადაც საქმის მასალებით მოსარჩელის ვადამოსული სასესხო ვალდებულების არსებობა დაუდასტურებელია, ხოლო აბსტრაქტული მსჯელობა კრედიტორების არსებობის თაობაზე, იმგვარად რომ არ იყო მითითებული რომელი კრედიტორი ჰყავს სასამართლოს მხედველობაში და რომელი ვალდებულებისგან თავის დაღწევის სურვილი ამოძრავებდა მოსარჩელეს, დამაჯარებელი არ არის (იხ., საკასაციო საჩივრის საფუძველები, ამ გადაწყვეტილების 3-26) და მეორეც, სადავო ქონების (მისი ნაწილის) დაკარგვის შიში მეუღლესთან არსებული დავის გამო, კასატორის მოსაზრებით, მოკლებულია ვარგის სამართლებრივ საფუძველს, რამეთუ როგორც ამ განჩინების 3-4-შია დადგენილი სადავო უძრავი ქონებაზე მოსარჩელემ ჩუქების გარიგების საფუძველზე მოიპოვა საკუთრების უფლება და ამდენად, მასზე თანასაკუთრების რეჟიმი მაინც არ ვრცელდებოდა [სსკ-ის 1161-ე მუხლის „ბ“ პუნქტი] (იხ., საკასაციო საჩივრის საფუძველები, ამ გადაწყვეტილების 3-27).

41. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ამ ნაწილში, კასატორმა წარმოადგინა დასაშვები (დასაბუთებული) საკასაციო პრეტენზია (შედავება).

42. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სასამართლოს უპირველესი ამოცანაა, დაადგინოს, თუ რას ითხოვს მოსარჩელე

მოპასუხისაგან და რის საფუძველზე, ანუ რომელ ფაქტობრივ გარემოებებზე ამყარებს თავის მოთხოვნას. სასამართლომ მხარის მიერ მითითებული მოთხოვნის ფარგლებში უნდა მოძებნოს ის სამართლებრივი ნორმა (ნორმები), რომელიც იმ შედეგს ითვალისწინებს, რისი მიღწევაც მხარეს სურს. ამასთან, მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველად განხილული ნორმა (ან ნორმები) შეიცავს იმ აღწერილობას (ფაქტობრივ შემადგენლობას), რომლის შემონახვაც სასამართლოს ვალდებულებაა და რომელიც უნდა განხორციელდეს ლოგიკური მეთოდების გამოყენების გზით, ანუ სასამართლომ უნდა დაადგინოს, ნორმაში მოყვანილი აბსტრაქტული აღწერილობა, რამდენად შეესაბამება კონკრეტულ ცხოვრებისეულ სიტუაციას და გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები. ის მხარე, რომელსაც აქვს მოთხოვნა მეორე მხარისადმი, სულ მცირე, უნდა უთითებდეს იმ ფაქტობრივ შემადგენლობაზე, რომელსაც სამართლის ნორმა გვთავაზობს. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია, დავასკვნათ, რომ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველის რომელიმე ფაქტობრივი წინამძღვრის (სამართლებრივი წინაპირობის) არარსებობა გამოორიცხავს მხარისათვის სასურველი სამართლებრივი შედეგის დადგომას.

43. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქმის განმხილველი სასამართლო შეზღუდულია მხოლოდ მხარის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებებით, რაც შეეხება სამართლის ნორმების გამოყენებას, სასამართლო, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით, ადგენს თუ რა სამართლებრივი ურთიერთობა არსებობს მხარეთა შორის და ამ ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების საფუძველზე აკმაყოფილებს ან არ აკმაყოფილებს სარჩელს. მხარეთა შორის არსებული ურთიერთობის შეფასება შედის სასამართლოს კომპეტენციაში, თუმცა საქმეზე გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს შეჯიბრებითობის პრინციპის სრულად რეალიზაციის პირობებში.

44. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოთხოვნა პირის ნებას დაქვემდებარებული და სხვა პირზე მიმართული უფლებაა, რომელიც მისი პროცესუალური განხორციელებისაგან მკვეთრად იმიჯნება. მოთხოვნა ძირითადად მატერიალურსამართლებრივი მნიშვნელობის მატარებელია. მოთხოვნა საპროცესო-სამართლებრივი გაგებით, ყოველთვის მიმართულია სასამართლო გადაწყვეტილების დადგომისაკენ. მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი არის სამართლის ნორმა, რომლის სამართლებრივი შედეგით გათვალისწინებულია სამართლებრივ ურთიერთობაში მონაწილე პირის მიერ რაიმე მოქმედების განხორციელებისა თუ მოქმედების შესრულებისაგან თავის შეკავების ვალდებულება. თითოეული მოთ-

ხოვნის დამფუძნებელი სამართლის ნორმა განსაზღვრავს მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს, თუმცა მისი განმარტება და ფაქტობრივ გარემოებებზე მისადაგება სასამართლოს უფლებამოსილებაა. მოთხოვნის საფუძველი ორი ნაწილისაგან შედგება: ა) ნორმის შემადგენლობა, რომელიც მოიცავს ცალკეულ წინაპირობას და ბ) სამართლებრივი შედეგი, რომელიც კანონის საფუძველზე დადგება იმ შემთხვევაში, თუ სახეზეა ნორმის შემადგენლობით განსაზღვრული ყველა წინაპირობა.

45. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო პალატას მიზანშეწონილად მიაჩნია განმარტოს გარიგების ბათილობის დაცვითი ფუნქციის მიზანი, რომელიც ზოგადად მართლწესრიგის დაცვითა და ამგვარად, კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში კერძო ავტონომიისა და თავისუფალი კონტრაქტების პრინციპის განმტკიცებას ემსახურება.

46. საკასაციო პალატამ არაერთ გადანყვეტილებაში განმარტა, რომ მართლწესრიგი სამართლის სუბიექტთა ქცევის წესის კეთილსინდისიერების პრინციპზე დაფუძნებული და წარმოადგენს ნორმა პრინციპს, რომელიც არაერთ ნორმატიულ რეგულირებას უდებს სათავეს (შდრ: სუსგ №ას-15-15-2016, 01 მარტი, 2016 წელი, პ-19).

47. სსკ-ის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებული არიან კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობები. კეთილსინდისიერების პრინციპი დიდწილად დაკავშირებულია მორალურ სტანდარტებთან. კეთილსინდისიერება ნიშნავს გულწრფელობას, მიუკერძოებლობას, ობიექტურობას, სამართლიანობასა და სხვ. კეთილსინდისიერების ინსტიტუტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამოქალაქო სამართლისათვის და იგი მთლიანად კერძო სამართლის უმთავრეს პრინციპს წარმოადგენს. აღნიშნული პრინციპის დაცულობითაა განპირობებული სამოქალაქო კოდექსის ზოგად ნაწილში მოცემული გარიგებათა ბათილობის სხვადასხვა ნორმატიული რეგულირება. განსახილველ შემთხვევაში, სადავო გარიგების ბათილობის სამართლებრივ საფუძველს, სააპელაციო სასამართლოს დასაბუთების მიხედვით, წარმოადგენს სსკ-ის 56-ე მუხლის პირველი ნაწილი (მოჩვენებითი გარიგება).

48. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოჩვენებითი გარიგება, როცა ნების გამომვლენი და ნების მიმღები თანხმდებიან იმაზე, რომ მათ მიერ გამოვლენილ ნებას არ მიეცეს მსვლელობა და არ მოჰყვეს ამ გარიგებისათვის დამახასიათებელი სამართლებრივი შედეგი, ე.ი. ახდენენ გარეგნულად გამოხატულის მიღწევის სიმულაციას. მოჩვენებითი გარიგებას ორი ძირითადი ნიშანი ახასიათებს: პირველი, ის დადებულია მოსაჩვენებლად და, მეორე, მხა-

რეებს არა აქვთ ამ გარიგებით გათვალისწინებული შედეგის დადგომის განზრახვა. სასამართლო პრაქტიკის მიხედვით მოჩვენებითი გარიგების შემთხვევაში აუცილებელია, რომ ნების გამოვლენი და ნების მიმღები მოქმედებდნენ შეთანხმებით და ორივე აცნობიერებდეს ნების ნაკლს (შდრ: სუსგ №ას-976-908-2017, 22 იანვარი, 2018 წელი, პპ: 24-26).

49. მოჩვენებითი გარიგების მიზანი, როგორც წესი, მესამე პირის მოტყუებაა. ეს მესამე პირი შეიძლება იყოს როგორც კრედიტორი, ისე სახელმწიფოც. სასამართლო პრაქტიკაც ადასტურებს, რომ ძირითადად მოჩვენებითი გარიგების დადება დაკავშირებულია მესამე პირებთან არსებულ ურთიერთობასთან, (მაგალითად, მოჩვენებითი გარიგების დადების ერთ-ერთ მოტივს შეიძლება წარმოადგენდეს მესამე პირის მოტყუება, პასუხისმგებლობისაგან თავის არიდება და ა.შ.). სავალდებულო არ არის მოჩვენებითი გარიგების მიზანი ყოველთვის იყოს მესამე პირის მოტყუება. მოჩვენებით გარიგებად მიჩნევისათვის გადამწყვეტია ფაქტი, რომ მხარეებს არა აქვთ გარიგებაში მითითებული შედეგის დადგომის განზრახვა, მაგალითად, ხელშეკრულებაში მითითებული ფასის გადახდა. შეძენილი უძრავი ქონებით არსარგებლობა არ არის საკმარისი საფუძველი ამ გარიგების მიჩნევისათვის მოჩვენებითად.

50. მტკიცების ტვირთი მოჩვენებითი გარიგებების შემთხვევაში აწევს იმ პირს, ვინც ამტკიცებს, რომ არსებობს მოჩვენებითი გარიგება ანუ, მას ვისაც მიაჩნია, რომ მოსაჩვენებლად დადებული გარიგებით შეილახა მისი უფლება.

51. სასამართლოსათვის აუცილებელია ისეთი ფაქტობრივი გარემოებების არსებობა, რომლებიც მიუთითებენ ნების გამოვლენის ნაკლზე, ფიქციური გარიგების შესახებ შეთანხმებაზე, საერთო მიზანზე, რაც არ შეესაბამება მათ მიერ გარეგანი ნების გამოვლენას. მაშასადამე, სსკ-ის 56-ე მუხლის პირველი ნაწილის ნორმატიული საფუძვლით გარიგების მოჩვენებითობის ინტერესი შესაძლებელია ჰიპოთეტურად გააჩნდეს იმ პირს, რომლის მოტყუებასაც მიზნად ისახავს გარიგებაში მონაწილე მხარე.

52. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მოცემულ საქმეზე დადგენილია იმგვარი ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც არ ქმნიან გამოყენებული ნორმის (სსკ-ის 56.1 მუხლი) შემადგენლობას, რამეთუ როგორც განიმარტა მოჩვენებითი გარიგება, როცა ნების გამოვლენი და ნების მიმღები თანხმდებიან იმაზე (მოქმედებდნენ შეთანხმებით), რომ მათ მიერ გამოვლენილ ნებას არ მიეცეს მსვლელობა და არ მოჰყვეს ამ გარიგებისათვის დამახასიათებელი სამართლებრივი შედეგი. აქედან კი, გამომდინარეობს ერთმნიშვნელოვანი დასკვნა, იმის თაობაზე, რომ ამ საფუძვლით გარიგების ბათი-

ლობის მოთხოვნის უფლების მქონეა არა თავად გარიგებაში ნების გამომვლენი მხარე ანუ, ის პირი, რომელიც გარიგების მონაწილე მეორე მხარეს თავიდანვე შეუთანხმდა და რომელთან ერთადაც განიზრახავდა სამართლებრივი შედეგის დაუდგომლობას (სიმუ-ლაციას), არამედ სხვა პირი, რომლის უფლებაც ირღვევა ამგვარი ნების შეთანხმებული გამოვლენის შედეგად.

53. განსახილველ საქმეზე დადგენილია, რომ მოსარჩელემ მხოლოდ იმიტომ გააფორმა მოჩვენებითი გარიგება, რომ თავი აერიდებინა ვადამოსული საკრედიტო ვალდებულების შესრულებისა და მეუღლესთან არსებული დავის გამო, სადავო ქონების წილზე უფლების შემცირებისთვის, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ მოსარჩელეს არ გააჩნია ამ გარიგების ბათილობის მართლზომიერი ინტერესი. ცალკე მსჯელობის საგანია, დასტურდებოდა თუ არა რელევანტური მტკიცებულებებით ბათილობის საფუძველად მითითებული გარემოებები (იხ., ამ გადაწყვეტილების პ-40), თუმცა, ნიშანდობლივია, რომ საკ-ის 56-ე მუხლის პირველი ნაწილის ნორმატიულ მიზანს, სხვათა უფლებების დაცვა, მათი იურიდიული ინტერესის განხორციელებადობა წარმოადგენს. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ არა ყოველგვარი საფუძველთაა შესაძლებელი გარიგების ბათილად ცნობა. სამოქალაქო ბრუნვის ინტერესი მოითხოვს, რომ სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებულნი არიან კეთილსინდისიერად განხორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობანი.

54. რაც შეეხება საკასაციო საჩივრით შედავებულ საკითხს ვადამოსული ფინანსური ტვირთის თავიდან აცილებასთან მიმართებით (იხ., ამ გადაწყვეტილების პ-40). საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ყოველი კონკრეტული სამოქალაქო საქმის გადაწყვეტა სასამართლოში, დაკავშირებულია გარკვეული ფაქტების დადგენასთან. ფაქტების დადგენის აუცილებლობა განპირობებულია იმით, რომ სასამართლო იხილავს და წყვეტს მხარეთა შორის წარმოშობილ დავებს, რომლებიც სამართლით რეგულირებული ურთიერთობებიდან წარმოიშობიან. სამართლებრივი ურთიერთობა კი, როგორც ეს ცნობილია, შეიძლება აღმოცენდეს, განვითარდეს ან შეწყდეს მხოლოდ იურიდიული ფაქტების საფუძველზე. სწორედ მტკიცების ტვირთსა და მის სწორ განაწილებაზეა დამოკიდებული დასაბუთებული და კანონიერი გადაწყვეტილების მიღება.

55. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებული სამართლიანი სასამართლოს უფლების რეალიზება უმეტესწილად დამოკიდებულია და გულისხმობს სასამართლოს მიერ დასაბუთებული, მტკიცებულებათა შეჯერების საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილების

მიღებას. მტკიცების ტვირთის როლი განსაკუთრებით ვლინდება სამოქალაქო სამართალწარმოებაში, სადაც მხარეთა ნების ავტონომიას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. შესაძლებელია მხარის მოთხოვნა საფუძვლიანი იყოს, მაგრამ შეუძლებელია მხარემ მიიღოს თავისი სასარგებლო გადაწყვეტილება, თუ ვერ დაამტკიცებს თავისი სასარგებლო გარემოებებს საპროცესო სამართლით დადგენილი წესით. ამიტომაც, ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს მტკიცების ტვირთის სწორი გადანაწილება მოდავე მხარეებს შორის.

56. მტკიცების ტვირთი – ესაა სამოქალაქო სამართალწარმოებაში საქმის სწორედ გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანი ფაქტების დამტკიცების მოვალეობის დაკისრება მხარეებზე, რომლის შესრულება უზრუნველყოფილია მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით არახელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანით იმ მხარის მიმართ, რომელმაც ეს მოვალეობა არ (ვერ) შეასრულა. მხარეთა მტკიცებითი საქმიანობის საბოლოო მიზანი – ესაა სასამართლოს დარწმუნება საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობაში. სასამართლოს დაურწმუნებლობა კი, მხარისათვის არახელსაყრელ შედეგს იწვევს.

57. მტკიცების ტვირთი დამოკიდებულია არა მხარის როლზე პროცესში, არამედ მოთხოვნის საფუძველზე. ის ვინც ითხოვს ვალდებულების შესრულებას, უნდა დაამტკიცოს მოთხოვნის საფუძვლის არსებობა არა მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ითხოვს თავისი მოთხოვნის შესრულებას, ან აღიარებას, არამედ მაშინაც, როდესაც იგი თავს იცავს მოწინააღმდეგე მხარის ნეგატიური აღიარებითი სარჩელისაგან (მოთხოვნისაგან).

58. მტკიცების ტვირთისაგან უნდა გავმიჯნოთ ფაქტების მითითების ტვირთი, როგორც მხარის ფაქტობრივი მოვალეობა. მხარეები სსკ-ის მე-4 მუხლის თანახმად სრულიად თავისუფალნი არიან მიუთითონ ნებისმიერ ფაქტზე. ეს მათი უფლებაა, მაგრამ მათ მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება, ე.ი. იმის დადგენა და გარკვევა, თუ რამდენად ასაბუთებენ ეს ფაქტები იურიდიულად მხარეთა მოთხოვნებს და შესაგებელს – ეს უკვე სასამართლის პრეროგატივაა. ამასთან, საკმარისი არ არის, რომ მხარემ ზოგადად გამოთქვას მოსაზრება საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებაზე, მაგალითად, განაცხადოს, რომ იგი მთლიანად უარყოფს მეორე მხარის მიერ მოხსენებულ საქმის ფაქტობრივ გარემოებებს. მხარის მიერ წარმოდგენილი მოსაზრებები კონკრეტულად და დეტალურად უნდა ჩამოყალიბდეს და ეხებოდეს საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოებას. მხარეთა მიერ წარმოდგენილი ახსნა-

განმარტებები უნდა იყოს დასაბუთებული და ეხებოდეს იმ გარემოებებს, რომლებსაც უშუალო კავშირი აქვს დავასთან.

59. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ კრიტერიუმი, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს სასამართლო იმისათვის, რომ სწორად განსაზღვროს მხარეთა მიერ მითითებული ფაქტებიდან, თუ რომელი ამართლებს სამართლებრივად მხარეთა მოთხოვნებს (შესაგებელს) და რომელი არა, ესაა – სარჩელის საგანი (მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსი), მოპასუხის შესაგებელი და შესაბამისი მატერიალურსამართლებრივი ნორმა.

60. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მტკიცების საგანში შემავალი გარემოებებიდან ერთი ნაწილი უნდა დაამტკიცოს მოსარჩელემ, მეორე ნაწილი კი – მოპასუხემ. ამასთან ერთად, დამტკიცების ტვირთის განაწილების საფუძველზე, მოსარჩელე თავისუფლდება იმ ფაქტების დადგენისაგან, რომელიც მოპასუხემ უნდა დაამტკიცოს და პირიქით, მოპასუხე თავისუფლდება იმ ფაქტების დადგენისაგან, რომელიც მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს. მტკიცების ტვირთის მხარეთა შორის განაწილების ინსტიტუტი მიუთითებს არა მარტო იმაზე, თუ რომელმა მხარემ რა ფაქტები უნდა დაადგინოს, არამედ იმაზეც, თუ რომელი ფაქტების დადგენის მოვალეობისაგან თავისუფლდება ესა თუ ის მხარე. შესაბამისად, მოსარჩელემ, როგორც წესი, უნდა დაამტკიცოს ყველა გარემოება, რომელიც წარმოადგენს მოთხოვნის წარმოშობის საფუძველს, ხოლო მოპასუხემ კი – ყველა გარემოება, რომელიც წარმოადგენს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს. (იხ. ჰაინ ბიოლინგი, ლადო ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე გადანყვეტილებათა მიღების მეთოდოლოგია, თბ., 2003, გვ.64).

61. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო არაერთ გადანყვეტილებაში უთითებს, რომ ეროვნული სასამართლოს გადანყვეტილება უნდა პასუხობდეს მხარის მიერ სამართლებრივ და პროცედურულ საკითხებთან დაკავშირებით წარმოდგენილი არგუმენტების ძირითად ასპექტებს (იხ., გადანყვეტილება საქმეზე Ruiz Torija v. Spain, §§ 29-30). შესაბამისად, უფლება მოსმენაზე მოიცავს არა მხოლოდ სასამართლოს წინაშე არგუმენტების წარდგენის შესაძლებლობას, არამედ სასამართლოს ვალდებულებას, გადანყვეტილების დასაბუთებაში მიუთითოს მიზეზები, რომელთა საფუძველზეც გაიზიარა ან უარყო შესაბამისი არგუმენტები. სასამართლომ შეიძლება აუცილებლად არ მიიჩნიოს იმგვარ არგუმენტებზე პასუხის გაცემა, რომლებიც აშკარად არარელევანტური, დაუსაბუთებელი ან სხვაგვარად დაუშვებელია მსგავსი არგუმენტების მიმართ არსებული სამართლებრივი დებულებების ან მყარად დადგენილი სასამართლო პრაქტი-

კის საფუძველზე, თუმცა, ყველა გადანყვეტილება უნდა იყოს ნათელი და საქმეში მონაწილე მხარეებს შესაძლებლობას უნდა აძლევდეს გაიგონ, თუ რატომ გაითვალისწინა სასამართლომ მხოლოდ კონკრეტული გარემოებები და მტკიცებულებები (იხ., გადანყვეტილება საქმეზე *Seryavin and Others v. Ukraine* §§ 55-62). სასამართლოს აქვს ვალდებულება, სათანადოდ იმსჯელოს მხარეთა მიერ წარდგენილ დოკუმენტებზე, არგუმენტებსა და მტკიცებულებებზე (იხ. *Kraska v. Switzerland*, § 30; *Van de Hurk v. the Netherlands*, § 59; *Perez v. France*, § 80). ამასთან, მხარეებს უნდა ჰქონდეთ არა მხოლოდ იმის შესაძლებლობა, რომ იცოდნენ იმ მტკიცებულებათა შესახებ, რომლებიც მათ სჭირდებათ თავიანთი სარჩელის წარმატებისათვის, არამედ იცოდნენ და ჰქონდეთ კომენტარის გაკეთების საშუალება ყველა იმ მტკიცებულებასთან და მოსაზრებასთან დაკავშირებით, რომლებიც წარდგენილია სასამართლოს აზრის ფორმირებაზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით (იხ. *Milatova and others v. The Czech republic* §59; *niderost-huber v. Switzerland*, § 24; *k.s. v. finland* § 21; ასევე, სუსგ №ას-1191-1133-2014, 14 მაისი, 2015 წელი).

62. სსსკ-ის 407-ე მუხლის საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადანყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. განსახილველ შემთხვევაში, საქმის მასალებით დაუდგენელია კონკრეტულად რომელი ფინანსური ტვირთის თავიდან არიდებას ცდილობდა მოსარჩელე, რა სახის და რა მოცულობის ფულადი ვალდებულებები გააჩნდა მას. შესაბამისად, ამ გარემოებაზე დაყრდნობით სარჩელის დაკმაყოფილება დაუსაბუთებელია.

63. რაც შეეხება მეუღლესთან დავის არსებობის გამო ქონების ნიღზე საკუთრების უფლების შემცირების შიშს, საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომლის თანახმად, მოსარჩელემ სადავო უძრავი ქონება ჩუქების გარიგების საფუძველზე მიიღო საკუთრებაში (იხ., ამ გადანყვეტილების 3-4). აღნიშნული კი, სსკ-ის 1161-ე მუხლის საფუძველზე გვაძლევს იმის ვარაუდის საფუძველს, რომ სადავო ქონება მეუღლეთა ინდივიდუალური საკუთრებაა, ვიდრე საწინააღმდეგო არ დადასტურდება სსკ-ის 1163-ე მუხლის (ინდივიდუალური ქონების მეუღლეთა თანასაკუთრებად ტრანსფორმირება) ან სხვა ნორმათა საფუძველზე. ყოველ შემთხვევაში, აღნიშნული გარემოება განხილვის საგანი არ გამხდარა. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ არ არსებობს გარიგების ბათილობის განმაპირობებელი მეორე საფუძველიც (იხ., ამ გადანყვეტილების 3-40).

64. საკასაციო პალატა არ იზიარებს სააპელაციო პალატის მოსაზრებას, რომ იმ პირობებში, როდესაც თავად მოსარჩელეს სხვა საცხოვრებელი სახლი არც საქართველოში და არც საზღვარგარეთ არ გააჩნია, აქვს მცირე ოდენობის შემოსავალი, ასევე ჰყავს არასრულწლოვანი შვილი, რომელსაც ალიმენტს უხდის, ასეთ პირობებში მოსარჩელის მიერ მისი დისათვის (მოპასუხისათვის) ერთადერთი საცხოვრებელი სახლის ჩუქება, წარმოშობს ჩუქების ხელშეკრულების ნამდვილობასთან დაკავშირებულ ლეგიტიმურ ეჭვს. (იხ. წინამდებარე განჩინების პ.11,20). საკასაციო პალატა დამატებით განმარტავს, რომ მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსის განმსაზღვრელია სარჩელში მითითებული ფაქტები და გარემოებები. სარჩელის ინდივიდუალიზაცია სარჩელის ელემენტების მეშვეობითაა შესაძლებელი. სსსკ-ის მე-3, მე-4, 83-ე და 178-ე მუხლების ანალიზით შესაძლებელია, დავასკვნათ, რომ სარჩელი შედგება ორი ელემენტისგან: სარჩელის საგნისა და სარჩელის საფუძვლისგან. სარჩელის საგანი მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხისადმი (სსსკ-ის 178.1 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი), ხოლო სარჩელის საფუძველი – კონკრეტული ფაქტები და გარემოებები, რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნას (სსსკ-ის 178.1 მუხლის „ე“ ქვეპუნქტი).

65. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებებზე, რომ მოცემულ საქმეში მოსარჩელის მოთხოვნის ფაქტობრივ საფუძველს წარმოადგენს ჩუქების ხელშეკრულების, როგორც მოჩვენებითი გარიგების, ბათილად ცნობა (რომელი გარემოებითაც სასამართლო შეზღუდულია – ფაქტობრივი გარემოებების მითითების მნიშვნელობა მოთხოვნის საფუძვლების შემოწმებაში) და არა ჩუქების ხელშეკრულების გაუქმება კანონმდებლობით გათვალისწინებული საფუძვლების და წინაპირობების არსებობისას. შესაბამისად, სარჩელში მითითებული საფუძვლებით არ არსებობდა სარჩელის დაკმაყოფილების წინაპირობები.

66. სსსკ-ის 404-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლოს განხილვის საგანი შეიძლება იყოს აგრეთვე სასამართლოს ის განჩინებები, რომლებიც წინ უსწრებს სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებას, იმისგან დამოუკიდებლად, დასაშვებია თუ არა მათ მიმართ კერძო საჩივრის შეტანა.

67. შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს შემოწმების საგანია კასატორის პრეტენზია მტკიცებულების დაშვების კანონიერების შესახებ. განსახილველ შემთხვევაში, კასატორი მოითხოვს ექსპერტიზის დასკვნის საქმისათვის დართვის შესახებ 2016 წლის 30 მარტის განჩინების გაუქმებას და თავის დასაბუთებას იმ მოსაზრებით ამყარებს, რომ მხარეთა საუბრის ფარული ჩანაწერის საქმეზე მტკიცებულებად დართვას სჭირდებოდა მხარის პირდა-

პირი და მკაფიო თანხმობა, რასაც მოცემულ შემთხვევაში, ადგილი არ ჰქონდა.

68. საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს სააპელაციო სასამართლოს შეფასებას, რომლის მიხედვით, მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი სატელეფონო ჩანაწერი (ექსპერტის მიერ გაშიფრული სახით წარმოდგენილი), რომელშიც მხარეთა შორის სადავო ქონების ჩუქების ხელშეკრულების შესახებ საუბარი იყო ასახული და დავის გადაწყვეტის მიზნებისთვის მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავდა, წარმოდგენდა დასაშვებ მტკიცებულებას რამეთუ, 2016 წლის 30 მარტს, თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამზადებელ სხდომაზე სასამართლომ ექსპერტიზის დასკვნის საქმეზე მტკიცებულების სახით დართვის შესახებ შუამდგომლობის შესახებ იმსჯელა. მოპასუხემ შედაგება მხოლოდ პროცესუალური საფუძვლით განახორციელა, კერძოდ, განაცხადა, რომ მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულება საქმეს არ უნდა დართოდა, რადგან აღნიშნული მტკიცებულება სარჩელთან ერთად არ ყოფილა წარმოდგენილი და შესაბამისად მტკიცებულების წარდგენის შესაძლებლობა გაუშვა.

69. საკასაციო პალატა იზიარებს კასატორის პოზიციას, რომ მოსარჩელის მიერ მოპოვებული ფარული სატელეფონო ჩანაწერი მოცემულ საქმეში საპროცესო – სამართლებრივი თვალსაზრისით არ წარმოადგენს დასაშვებ მტკიცებულებას შემდეგ გარემოებათა გამო:

70. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 103-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებებს იურიდიული ძალა არა აქვთ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არ აკონკრეტებს, თუ რა სახით მოპოვებული მტკიცებულება ჩაითვლება კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებად, შესაბამისად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა შეფასდეს მტკიცებულების მოპოვება ხომ არ ეწინააღმდეგება რაიმე კანონს.

71. საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ყოველი ადამიანის პირადი ცხოვრება, პირადი საქმიანობის ადგილი, პირადი ჩანაწერი, მიმოწერა, საუბარი სატელეფონო და სხვა სახის ტექნიკური საშუალებით, აგრეთვე ტექნიკური საშუალებებით მიღებული შეტყობინებანი ხელშეუხებელია. აღნიშნული უფლებების შეზღუდვა დაიშვება სასამართლოს გადაწყვეტილებით ან მის გარეშეც, კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობისას.

72. საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლით დაცულია სამართლებრივი სიკეთე – კომუნიკაციის თავისუფლება, რაც გულის-

ხმობს კომუნიკაციის დაცვას გარეშე პირთა არასასურველი მონა-ნილობისაგან. კომუნიკაციის თავისუფლება ინდივიდს აძლევს შე-საძლებლობას, თავად განსაზღვროს კომუნიკაციის შინაარსი და პარტნიორი, რაც უზრუნველყოფს ადამიანის იმგვარ თავისუფალ თვითგამოსახვას, რომელიც თავისუფალია გარეშე წამკითხველი-სა და მარეგისტრირებული სუბიექტის ჩარევით განპირობებული თავშეკავებისაგან.

73. აზრის თავისუფლების ძირითადი უფლებით დაცულია არა მხოლოდ აზრის გამოხატვა, არამედ მისი ადრესატამდე მისვლაც. შესაბამისად, აზრის თავისუფლება დაცული უნდა იყოს მესამე პირ-თა მხრიდან მისი შინაარსის გაცნობისაგან. ადამიანის უფლებები ირღვევა, როდესაც ინდივიდი ცხოვრობს იმის შეგრძნებით, რომ მისი ნებისმიერი სიტყვა, რაიმე, თუნდაც, გაუაზრებელი და სპონ-ტანური აზრის გამოხატვა, განვითარების პროცესში არსებული დი-ალოგისას გამოთქმული წინასწარი პოზიცია, ან რაიმე ფორმული-რება, რომლის ნამდვილი შინაარსის გაგება მხოლოდ კონკრეტუ-ლი სიტუაციის ცოდნის შემთხვევაშია შესაძლებელი, სხვა გარე-მოებებში და სხვა კონტექსტში შეიძლება იქნას გამოყენებული. ინდივიდმა კერძო საუბრები უნდა ანარმოს იმის ეჭვისა და შიშის გარეშე, რომ საიდუმლო ჩანაწერს ვინმე მისი ნებართვის გარეშე და ნების საწინააღმდეგოდ გამოიყენებს.

74. კომუნიკაციის ხელშეუხებლობის ძირითადი უფლებით და-ცულია კომუნიკაციის მონაწილე ყველა პარტნიორი, როგორც გა-რე, ასევე შიდა ჩარევისაგან, რაც იმას ნიშნავს, რომ კომუნიკაცი-ის ხელშეუხებლობის ძირითადი უფლებით დაცულია არა მხოლოდ მესამე პირთა მეშვეობით განხორციელებული ჩარევა, არამედ, კო-მუნიკაციის ერთ-ერთი მონაწილის მხრიდან დანარჩენ მონაწილე-თა თანხმობის გარეშე პირადი კომუნიკაციის განსაჯაროება (იხ., საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პა-ლატის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1155-1101-2014, 4 მაისი, 2015 წელი, რომელიც შეეხება ფარული აუდიო ჩანა-წერის მტკიცებულებად დაშვების სამართლებრივ პრობლემას).

75. განსახილველ შემთხვევაში, საქმე ეხება სატელეფონო სა-უბრის ფარულ ჩანაწერს (იხ., ამ გადაწყვეტილების პ-18), ვინაი-დან საუბარი, მეორე მხარის ნებართვის გარეშე, ფარულად არის ჩანერილი, ამიტომ იგი კანონდარღვევითაა მოპოვებული, რაც იმას ნიშნავს, რომ აღნიშნული ჩანაწერი დაუშვებელ მტკიცებულებად უნდა იქნას მიჩნეული სსსკ-ის 103-ე მუხლის კონტექსტში.

76. მითითებული დასკვნის საფუძველს კი, წარმოადგენს ის გა-რემოება, რომ პირადი საუბრის ფარული ჩანერა, ხოლო შემდეგ სა-სამართლოში მტკიცებულების სახით წარდგენა, ეწინააღმდეგება

საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლით გარანტირებულ პირადი ცხოვრებისა და პირადი კომუნიკაციის ხელშეუვალობას, ასევე კონსტიტუციის მე-16 მუხლს, რომელიც პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებას ეხება.

77. ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის №1165 რეზოლუციაში „Right to Privacy“ (1998) განმარტებულია, რომ „ევროპული კონვენციის მე-8 მუხლმა უნდა დაიცვას ინდივიდის პირადი ცხოვრება არა მარტო საჯარო ხელისუფლების, არამედ კერძო პირების მხრიდანაც“ (იხ. გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება: BVerfGE 34, 238 (246 f); უშუალო წყარო: ი. კობახიძე, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, მეორე თავი, საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბილისი, 2013).

78. მოცემულ შემთხვევაში, საქმე ეხება კერძო საუბარს, რომელიც კერძო სფეროს განეკუთვნება და რომელიც არ სარგებლობს აბსოლუტური პრივილეგიით, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი შეზღუდვა დასაშვებია, ანუ მასში ჩარევა შესაძლებელია საამისო დაცვის ღირსი ინტერესისა და კანონიერი მიზნის არსებობის პირობებში. შესაბამისად, კერძო სფეროში ჩარევის დროს, ჩარევა გამართლებული და დასაბუთებული უნდა იყოს უპირატესი საყოველთაო ინტერესის არსებობით, ანუ ჩარევის მართლობიერების დადგენის მიზნით, უნდა შეფასდეს, არსებობს თუ არა ისეთი დაცვის ღირსი ინტერესი, რომელიც პირადი ცხოვრებისა და პირადი კომუნიკაციის ხელშეუხებლობის კონსტიტუციით გარანტირებულ უფლებაზე უფრო მაღლა დგას.

79. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო სამართალურთიერთობის ფარგლებში სამოქალაქო სამართლებრივი გარიგების დადასტურების მიზნით მტკიცებულების შესაქმნელად პირად სფეროში ჩარევა და ამით პირადი ცხოვრებისა და პირადი კომუნიკაციის უფლების შეზღუდვა გამართლებული არ არის. ამგვარი დასკვნა, პირველ რიგში, გამომდინარეობს სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპიდან, რომელიც, თავის მხრივ, სამოქალაქო უფლება-მოვალეობების მიმართ გარკვეულ პასუხისმგებლობას გულისხმობს. სამოქალაქო უფლება-მოვალეობათა მატარებელი სუბიექტები თავისუფალნი არიან სამოქალაქო ურთიერთობებში, შესაბამისად, ისინი ვალდებული არიან, გამოიჩინონ შესაბამისი სამოქალაქო სამართლებრივი წინდახედულობა და მტკიცებულება პირთა თანასწორობაზე დამყარებული ურთიერთობის ფარგლებში მოიპოვონ. მხოლოდ ის ფაქტი, რომ მხარე სათანადოდ არ უზრუნველყოფს სამართალურთიერთობას მტკიცებულებებით, არ გულისხმობს იმას, რომ მას შემდგომ აღნიშნული

მტკიცებულების შექნის უფლება მეორე მხარის პირად ცხოვრებაში ჩარევის გზით წარმოეშობა. ამგვარი სახით მოპოვებულ მტკიცებულებათა ლეგიტიმაციის პირობებში მივიღებთ არა სამოქალაქო პასუხისმგებლობაზე დამყარებულ საზოგადოებას, არამედ კონსტიტუციურ ღირებულებათა დაუშვებელ ხელყოფას, რა დროსაც, განსაკუთრებით პირადი ცხოვრებისა და პირადი კომუნიკაციის ხელშეუვალობის უფლება იქნება შეზღუდული, რაც დაუშვებელია.

80. ამგვარი გზით მოპოვებული მტკიცებულება, დაუშვებელი მტკიცებულებაა. მისი დაშვება შესაძლებელია მხოლოდ მეორე მხარის თანხმობით, ამასთან, თანხმობა უნდა ეხებოდეს არა მტკიცებულების ფორმალურ დასაშვებობას, არამედ იმას, რომ მტკიცებულების შინაარსი სასამართლომ გადაწყვეტილებას დაუდოს საფუძვლად. ამგვარი თანხმობის არარსებობის პირობებში, დაუშვებელია ფარულ ჩანაწერს გადაწყვეტილება დაეფუძნოს, მაშინაც კი, თუ ფარული ჩანაწერიდან უტყუარად დასტურდება ის გარემოება, რომლის დადასტურების მიზანსაც ფარული ჩანაწერა (კერძო სფეროში ჩარევა) ემსახურებოდა (იხ., საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის იმავე გადაწყვეტილებაში განმარტებული სამართლებრივი საკითხები საქმეზე №ას-1155-1101-2014, 4 მაისი, 2015 წელი).

81. განსახილველ შემთხვევაში, როგორც აღინიშნა სააპელაციო სასამართლომ სატელეფონო ჩანაწერის მტკიცებულებად დაშვება იმ გარემოების არსებობას დაუკავშირა, რომ მხარემ სადავოდ არ გახადა მისი დასაშვებ მტკიცებულებად ცნობა (იხ., ამ გადაწყვეტილების პ: 18,19), თუმცა აღნიშნულს კასატორი არ იზიარებს და საკასაციო პრეტენზია წარმოდგენილი აქვს იმ საფუძვლით, რომ მას ჯეროვნად არ განემარტა თავის უფლებები აღნიშნული მტკიცებულების ბუნებასთან დასაშვებობის საკითხთან დაკავშირებით და სასამართლო შემოიფარგლა მხოლოდ მტკიცებულების საპროცესო ხანდაზმულობაზე განმარტებით (სსსკ-ის 219-ე მუხლი).

82. ვინაიდან საქმე შეეხება მეტად მნიშვნელოვად საკითხს, რომელიც პირადი საუბრის ხელშეუხებლობის უფლებაა, საკასაციო პალატისთვის დასაბუთებულია საკასაციო შედავება, რომლის მიხედვით ამ საკითხში მხარეს სასამართლოს მიერ ნათლად, არაორაზროვნად და პირდაპირ უნდა განმარტებოდა თავისი უფლება საქმის განხილვის ცალკეულ ეტაპზე არა მხოლოდ მტკიცებულების წარდგენის კუთხით, არამედ მისი არსის შესახებ.

83. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სადავო გარემოების დასადგენად ფარული სატელეფონო ჩანაწერი, როგორც კანონის დარღვევით მოპოვებული მტკი-

ცეზულება, არ შეიძლება იქნას გამოყენებული.

84. ვინაიდან საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა სრულად კასატორის მიერ საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ანაზღაურება სსკ-ის 53-ე მუხლის საფუძველზე უნდა დაეკისროს მონინალმდევე მხარეს 3222.90 ლარის ოდენობით.

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. ე. ა-ას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. ნაწილობრივ გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 20 ივნისის გადაწყვეტილება და სრულად გაუქმდეს 2016 წლის 30 მარტის განჩინება;
3. ს. ლ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
4. ს. ლ-ს დაეკისროს 3222.90 ლარის გადახდა ე. ა-ას მიერ საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ასანაზღაურებლად;
5. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

მოტყუებით დაღებული ბარიგებანი

გ ა დ ა ნ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ს ა ხ ე ლ ი ტ

№ას-191-180-2017

14 სექტემბერი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე),
ე. გასიტაშვილი (მომხსენებელი),
პ. ქათამაძე**

დავის საგანი: ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა, თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. რ. ხ-მა (შემდეგში: მჩუქებელი ან მოპასუხის მეუღლე) 2013 წლის 15 იანვარს მ. ვ-ას (შემდეგში: დასაჩუქრებული, გამყიდველი, მოპასუხე, აპელანტი ან კასატორი) ქ. თბილისში,, პირველ

სართულზე მდებარე 60 კვ.მ. ავტოსადგომი №66 (შემდეგში: უძრავი ქონება) აჩუქა. ჩუქების საგნის ღირებულება 15 000 აშშ დოლარით განისაზღვრა (იხ. ჩუქების ხელშეკრულება).

2. დასაჩუქრებულმა, 2015 წლის 27 მარტს, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს განცხადებით მიმართა და მის საკუთრებაში არსებული ავტოსადგომის დანიშნულების შეცვლა და მისთვის საცხოვრებელი ფართის სტატუსის მინიჭება მოითხოვა. მოპასუხის განცხადება საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2015 წლის 2 აპრილის №882015170692-03 გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა.

3. დასაჩუქრებულმა 2015 წლის 16 აპრილს ლ. კ-ძეს (შემდეგში: მოსარჩელე, მყიდველი ან მესაკუთრე) საცხოვრებელი სტატუსის მქონე უძრავი ქონება, 36 000 აშშ დოლარად, განვადებით მიჰყიდა. მყიდველს გამყიდველისათვის ნასყიდობის თანხა ორ ნაწილად უნდა გადაეხადა. პირველი ნაწილი – 20 000 აშშ დოლარი, შესაბამისი კურსით ლარებში, საჯარო რეესტრში ხელმოწერისთანავე უნდა გადაეხადა, მეორე ნაწილი – 16 000 აშშ დოლარი, შესაბამისი კურსით ლარებში, კი – 2015 წლის 30 ივლისის ჩათვლით (იხ. ხელშეკრულება).

4. მოსარჩელე საჯარო რეესტრში უძრავი ქონების მესაკუთრედ, 2015 წლის 3 აგვისტოს, დარეგისტრირდა.

5. უძრავი ქონების მესაკუთრემ 2015 წლის 29 სექტემბერს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს განცხადებით მიმართა და უძრავი ქონების საცხოვრებელი სტატუსის ავტოფარების სტატუსით შეცვლა მოითხოვა.

6. მესაკუთრემ 2015 წლის 25 ნოემბერს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს განცხადებით მიმართა უძრავ ქონებაზე სტატუსის შეცვლისა და საცხოვრებელ ფართად დარეგისტრირების მოთხოვნით.

7. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 11 დეკემბრის №2338352 გადაწყვეტილების მიხედვით, მოსარჩელეს უარი ეთქვა უძრავი ქონების რეკონსტრუქციაზე იმ საფუძვლით, რომ არსებული სიტუაციის ფოტოსურათებისა და საჯარო რეესტრის 2015 წლის 1 ოქტომბრის ამონაწერის თანახმად უძრავი ქონება ავტოსადგომია, შესაბამისად, არქიტექტურის სამსახური მოსარჩელის მიერ დაგეგმილი სამუშაოების (ავტოფარების რეკონსტრუქცია ფუნქციის ცვლილებით) განხორციელებას არ დაეთანხმა.

8. დამოუკიდებელი შემფასებლის №ვ-14/03/2016 დასკვნის თანახმად უძრავი ქონების საბაზრო ღირებულება 22 200 აშშ დოლარია.

9. მოსარჩელე პროფესიით სტომატოლოგია და ინდ. მენარმედ არის რეგისტრირებული.

10. სარჩელის საფუძვლები

10.1. მოსარჩელემ 2015 წლის 17 დეკემბერს სარჩელი აღძრა მოპასუხის წინააღმდეგ განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის, უძრავ ქონებაზე გამყიდველის საკუთრების უფლების აღდგენისა და მოპასუხისათვის მოსარჩელის სასარგებლოდ 36 000 აშშ დოლარის დაკისრების მოთხოვნით.

10.2. მოსარჩელის განმარტებით, მან უძრავი ქონება იმ მიზნით შეიძინა, რომ სტომატოლოგიური კლინიკა გაეხსნა, რაც გამყიდველისათვის ცნობილი იყო. მოპასუხის მეუღლემ მყიდველს განუცხადა, რომ სამშენებლო კომპანიაში, რომელმაც საცხოვრებელი სახლი ააშენა, თავად მუშაობდა და დაარწმუნა, რომ მოსარჩელეს უძრავ ქონებაში სტომატოლოგიური კაბინეტის მოწყობა შეეძლო.

10.3. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ საცხოვრებელი ფართის სტატუსით ნაყიდი უძრავი ქონება ავტოფარეხი აღმოჩნდა და ფართში სტომატოლოგიური კაბინეტის მოწყობა შეუძლებელი გახდა, ამიტომ მან ხელშეკრულების გაუქმება მოითხოვა, თუმცა მოპასუხემ უარი განაცხადა, ხოლო თავად ველარ გაყიდა, რადგან მან ისევ შეუცვალა სტატუსი უძრავ ქონებას, დაარეგისტრირა ავტოსადგომად, ხოლო ფასად კვლავ 36 000 აშშ დოლარი განსაზღვრა, რაც ავტოსადგომისათვის შეუსაბამოდ მაღალია.

10.4. მოსარჩელის განმარტებით, ხელშეკრულების დადებისას მან არ იცოდა, რომ ყიდულობდა სტატუსშეცვლილ ავტოსადგომს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის უძრავ ქონებას არ იყიდდა და 36 000 აშშ დოლარს არ გადაიხდიდა, შესაბამისად სახეზეა მოცუებით დადებული გარიგება, რომლისთვისაც შეცილების ვადა 1 წელია.

11. მოპასუხის შესაგებელი

11.1. მოპასუხემ მის წინააღმდეგ აღძრული სარჩელი, წერილობით წარდგენილი შესაგებლით, არ ცნო და აღნიშნა, რომ ხელშეკრულების გაფორმების დროს ნასყიდობის საგანი საცხოვრებელი ფართი იყო, უძრავ ქონებას სტატუსი კანონის მოთხოვნათა დაცვით შეეცვალა.

11.2. მოპასუხის განმარტებით, მოსარჩელემ იცოდა, რომ უძრავ ქონებას სტატუსი შეეცვლილი ჰქონდა.

12. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება და დასკვნები

12.1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 10 მაისის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა:

12.1.1. მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის 2015 წლის 16 აპ-

რილს გაფორმებული უძრავი ქონების განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულება ბათილად იქნა ცნობილი;

12.1.2. მოპასუხეს უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლება აღუდგა;

12.1.3. გამყიდველს მყიდველის სასარგებლოდ ნასყიდობის საფასურის – 36 000 აშშ დოლარის გადახდა დაეკისრა.

12.2. საქალაქო სასამართლომ საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში: სსკ) 50-ე, 54-ე, 81-ე-82-ე, 183-ე, 477-ე მუხლებით იხელმძღვანელა.

13. მოპასუხის სააპელაციო საჩივარი

13.1. მოპასუხემ საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის მოთხოვნით.

14. თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება და დასკვნები

14.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 13 დეკემბრის განჩინებით მოპასუხის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა.

14.2. სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტები და მათზე მიუთითა (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში: სსსკ) 390.3 მუხლი).

14.3. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მხარეთა შორის არსებული ურთიერთობა სსკ-ის 81-ე-84-ე მუხლების ნაცვლად სსკ-ის 72-ე-80-ე მუხლებით უნდა მონესრიგებულიყო. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ ნების გამოვლენის შეცილება, მოტყუების გამო, შეცდომის საფუძვლით შეცილების უფლებას არ გამოორიცხავს. შესაძლებელია, ცალკეულ შემთხვევებში მოტყუებისა და შეცდომის გამო შეცილების ნიშნები ერთდროულად არსებობდეს. იმ შემთხვევაში, როდესაც სსკ-ის 79.2 მუხლის მიზნებისათვის, მოტყუების და შეცდომის გამო შეცილების უფლებებს სხვადასხვა სამართლებრივი შედეგი მოსდევთ, უნდა განიმარტოს და დადგინდეს, თუ რომელი საფუძვლით განხორციელდა ნების გამოვლენის შეცილება.

14.4. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ სსკ-ის 74-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული საგნის თვისებრიობა მოიცავს არა მხოლოდ ფიზიკურ თვისებრიობას, არამედ, ასევე ყველა ფაქტობრივ და სამართლებრივ ფაქტორებს (ნივთობრივი და უფ-

ლებრივი სიკეთეები), რომელიც დაკავშირებულია საგანთან და ზეგავლენას ახდენს მის გამოყენებით (მოხმარების) ფუნქციასა და ღირებულებაზე. ეს თვისებები საგანს ანმყოფი უნდა ახასიათებდეს, ანუ გარიგების დადების და შესაბამისი სამართლებრივი ურთიერთობის განხორციელებისას.

14.5. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ გარიგების დადებისას ნების გამოვლენა არსებითი შეცდომის საფუძველზე მოხდა, რაც საგნის ძირითად თვისებებში შეცდომით გამოინახა, რამაც საგნის ღირებულების განსაზღვრაზე ზეგავლენა მოახდინა.

14.6. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია წინამდებარე გადაწყვეტილების 1-9 პუნქტებში დასახელებული ფაქტობრივი გარემოებები, სსკ-ის მე-4, 102-ე-103-ე მუხლებზე მიუთითა და აღნიშნა, მოპასუხემ ვერ დაადასტურა, რომ სადავო უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმების მომენტისათვის მყიდველისათვის ცნობილი იყო ის ფაქტობრივი გარემოება, რომ ნასყიდობის საგნის სტომატოლოგიური კაბინეტის სახით გამოყენება შეუძლებელი იქნებოდა. გამყიდველისათვის მყიდველის ამ ქონებისადმი ინტერესი ცნობილი იყო. უდავოა, რომ მესაკუთრე მისთვის სასურველი მიზნით უძრავ ქონებას ვერ გამოიყენებდა. მტკიცების ტვირთის სამართლიანი განაწილების საფუძველზე მოპასუხეს უნდა დაედასტურებინა ის გარემოება, რომ მოსარჩელე ინფორმირებული იყო უძრავი ქონების სტატუსის ცვლილების თაობაზე, რაც მოპასუხემ სათანადო მტკიცებულებებზე მიითითებთ ვერ დაადასტურა. მხოლოდ ახსნა-განმარტება, რომელსაც მოსარჩელე არ ეთანხმება, სადავო გარემოების დადგენილად მიჩნევის საფუძველი ვერ გახდება.

14.7. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელისათვის ცნობილი რომ ყოფილიყო სადავო უძრავი ქონების სტატუსის ცვლილების და სტომატოლოგიური კაბინეტის მონყობის შეუძლებლობის შესახებ, ის მოპასუხესთან გარიგებას არ გააფორმებდა.

14.8. სააპელაციო სასამართლომ უძრავი ქონების ფასზეც გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ ავტოსადგომის ფასი საცხოვრებელ სახლთან შედარებით გაცილებით ნაკლებია, რასაც დამოუკიდებელი შემფასებლის დასკვნა, ასევე, მწუქებელსა და დასაჩუქრებულს შორის დადებული ხელშეკრულებაც ადასტურებს. სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, მყიდველისათვის ცნობილი რომ ყოფილიყო, საცხოვრებელი ფართი რეალურად ავტოსადგომი იყო, მასში 36 000 აშშ დოლარს არ გადაიხდიდა.

15. გამყიდველის საკასაციო საჩივრის საფუძვლები

15.1. აპელანტმა (გამყიდველმა) სააპელაციო სასამართლოს განჩინების საკასაციო წესით გასაჩივრებით მისი გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, მესაკუთრის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

15.2. კასატორი სააპელაციო სასამართლოს შეფასებასა და დასკვნებს არ ეთანხმება და აღნიშნავს, რომ განვადებით ნასყიდობის დადებისას არც მოტყუებას და არც შეცდომას ადგილი არ ჰქონია. კასატორის განმარტებით სააპელაციო სასამართლო ვერ ასაბუთებს, თუ რაში გამოიხატა მყიდველის შეცდომა, რადგან მან იმ ხელშეკრულების გაფორმებაზე გამოხატა ნება, რაც ნამდვილად სურდა. კასატორი მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ სსკ-ის 74-ე მუხლი არამართებულად გამოიყენა და განმარტა.

15.3. კასატორი სააპელაციო სასამართლოს, ამ გადაწყვეტილების 14.6-14.8 ქვეპუნქტებში ასახულ, მსჯელობას არ ეთანხმება და მიუთითებს, რომ მერიის არქიტექტურის სამსახურის გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ სარეკონსტრუქციო ფართი არსებული სიტუაციის ფოტოსურათებისა და საჯარო რეესტრის 2015 წლის 1 ოქტომბრის ამონაწერის თანახმად ავტოსადგომია. მყიდველმა ხელშეკრულების თანახმად საცხოვრებელი ფართი იყიდა, რაც ყიდვის დროს არსებული ამონაწერი დასტურდება. საბოლოოდ მოსარჩელე 2015 წლის 5 აგვისტოს უძრავი ქონების მესაკუთრედ აღირიცხა, სადაც ფართის სტატუსად მითითებულია – საცხოვრებელი ფართი. არქიტექტურის სამსახურის გადაწყვეტილებაში 2015 წლის 1 ოქტომბრის ამონაწერზეა საუბარი, სადაც ფართის სტატუსი ავტოსადგომია. მესაკუთრემ, 2015 წლის 29 სექტემბრის განცხადების საფუძველზე, 2015 წლის 1 ოქტომბერს თავად შეცვალა ფართის სტატუსი და არქიტექტურის სამსახურში განცხადება წარადგინა. შესაბამისად, არქიტექტურის სამსახურის პასუხიც ფართზე შეცვლილ სტატუსს – ავტოსადგომს შეეხება და არა ყიდვის დროს არსებულ საცხოვრებელ სტატუსს. საქმეში არ არის იმის დამადასტურებელი მტკიცებულება წარმოდგენილი, რომ არქიტექტურის სამსახური საცხოვრებელი სტატუსის მქონე უძრავ ქონებაზე იგივე გადაწყვეტილებას მიიღებდა, რამაც უძრავი ქონების მყიდველის (მესაკუთრის) უკმაყოფილება გამოიწვია. აქედან გამომდინარე, იმის მტკიცება, რომ გარიგება შეცდომის საფუძველზე დაიდო დაუსაბუთებელია.

15.4. კასატორის განმარტებით იმ შემთხვევაშიც, თუ სასამართლო მიიჩნევდა, რომ გარიგება არსებითი შეცდომის საფუძველზე დაიდო, სარჩელი მაინც არ უნდა დაკმაყოფილებულიყო, რადგან სარჩელი ხანდაზმულია. კასატორმა შეცდომით დადებული გარიგების შეცილებისათვის კანონით განსაზღვრულ ერთთვიან ვადა-

ზე მიუთითა და აღნიშნა, რომ მოსარჩელისათვის გარიგების შეცვლების საფუძვლის თაობაზე, სულ მცირე 2015 წლის 1 ოქტომბერს, ცნობილი იყო, რადგან სადავო უძრავ ქონებას სტატუსი სწორედ ამ დღეს შეეცვალა.

15.5. კასატორის განმარტებით, მოსარჩელემ უძრავი ქონება შეიძინა კარის, ფანჯრების, გაზის, ელექტროენერჯისა და სხვა საცხოვრებელი ფართისათვის აუცილებელი და საჭირო კომუნიკაციებისა და აღჭურვილობის გარეშე და ის ვიზუალურად არ წარმოადგენდა საცხოვრებელ ფართს, მიუხედავად მისი სტატუსისა, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს დასკვნა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ არსებითად სწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოებები არასწორია.

16. საკასაციო სამართალწარმოების ეტაპი

16.1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 13 მარტის განჩინებით კასატორის საკასაციო საჩივარი წარმოებაშია მიღებული სსსკ-ის 391-ე მუხლის მიხედვით დასაშვებობის წინაპირობების შესამოწმებლად.

16.2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 19 მაისის განჩინებით საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტების საფუძველზე და მიღებულ იქნა არსებითად განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, მტკიცებულებათა გაანალიზებისა და საკასაციო საჩივრის სამართლებრივი დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად, მიიჩნევს, რომ მოპასუხის საკასაციო განაცხადი დასაბუთებულია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი არგუმენტაციით:

17. სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო გადანყვეტილებას ამონიშნავს საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადანყვეტილებებში და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). საკასაციო სასამართლო შე-

ფასებით, მოპასუხეს დასაბუთებული საკასაციო შედაგება აქვს წარმოდგენილი.

18. საკასაციო სასამართლო, უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას გაამახვილებს იმაზე, თუ რა სახის სამართლებრივი ურთიერთობა არსებობდა მხარეთა შორის და რომელი ნორმის საფუძველზე არის შესაძლებელი მოსარჩელისათვის სასურველი იურიდიული შედეგის მიღწევა.

18.1. განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელემ, სარჩელი აღძრა გამყიდველის წინააღმდეგ და მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების ბათილად ცნობა, უძრავი ქონების მესაკუთრედ მოპასუხის აღდგენა და ნასყიდობის საფასურის 36 000 აშშ დოლარის ანაზღაურება მოითხოვა. მყიდველი თავის სასარჩელო მოთხოვნას სსკ-ის 81-ე-84-ე მუხლებზე დაყრდნობით ბათილად მიიჩნევს, რადგან მოსარჩელის განმარტებით მოპასუხემ მასთან ხელშეკრულება მოტყუებით გააფორმა. მოტყუება კი იმაში გამოიხატა, რომ მოპასუხისა და მისი მეუღლისათვის (მჩუქებელი) ცნობილი იყო მყიდველის მიზანი – უძრავი ქონება სტომატოლოგიურ კაბინეტად გადაეკეთებინა, მათ კი მყიდველს დაუმალეს, რომ ფართს სტატუსი შეცვლილი ჰქონდა და მესაკუთრე უძრავი ქონების რეკონსტრუქციას ვერ შეძლებდა;

18.2. სააპელაციო სასამართლომ მყიდველის სარჩელი დასაბუთებულად მიიჩნია, თუმცა სამართლებრივი საფუძველი შეცვალა და განმარტა, რომ მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების ბათილად ცნობის საფუძველი სსკ-ის 74.2 მუხლია. სააპელაციო სასამართლოს შეფასებით მყიდველი გარიგების დადებისას ნასყიდობის საგნის თვისებრიობაში შეცდა, რის გამოც გარიგების შეცილების საფუძველზე გარიგება ბათილია, რაც, თავის მხრივ, პირვანდელი მდგომარეობის (ორმხრივი რესტიტუცია) წინაპირობაა;

18.3. კასატორის (მოპასუხის) მტკიცებით, სადავო გარიგება არც შეცდომით და არც მოტყუებით არ დადებულა, ამასთან, სარჩელი ხანდაზმულია.

19. საკასაციო სასამართლო მოსარჩელისა და სააპელაციო სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივ მსჯელობასა და დასკვნებს არ ეთანხმება, ხოლო კასატორის პრეტენზიებს შემდეგ გარემოებათა გამო იზიარებს:

19.1. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ შეცდომით დადებული გარიგების შეცილებასთან დაკავშირებული საკითხები სსკ-ის 72-ე-80-ე მუხლებითაა მოწესრიგებული. სსკ-ის 72-ე მუხლის თანახმად გარიგება შეიძლება საცილო გახდეს, თუ ნების გამოვლენა მოხდა არსებითი შეცდომის საფუძველზე, ამავე კოდექ-

სის 73-ე მუხლი არსებითი შეცდომის სახეებს განსაზღვრავს: ა) პირს სურდა დაედო სხვა გარიგება და არა ის, რომელზედაც მან გამოთქვა თანხმობა; ბ) პირი ცდებდა იმ გარიგების შინაარსში, რომლის დადებაც მას სურდა; გ) არ არსებობს ის გარემოებები, რომელთაც მხარეები, კეთილსინდისიერების პრინციპებიდან გამომდინარე, განიხილავენ გარიგების საფუძვლად, ხოლო 74-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად შეცდომა საგნის ძირითად თვისებებში მხოლოდ მაშინ ჩაითვლება არსებითად, თუ მათ მნიშვნელობა აქვთ საგნის ღირებულების განსაზღვრისათვის;

19.2. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ გარიგების დადებისას შეცდომას მაშინ აქვს ადგილი, როცა პირის რეალური და გამოხატული ნება ერთმანეთს არ ემთხვევა. შეცდომა არსებითი მაშინაა, როცა შემთხვევის ნამდვილი შემადგენლობის ცოდნის შემთხვევაში პირი ნებას საერთოდ არ გამოავლენდა ან სხვა ფორმით გამოავლენდა (შდრ. სუსგ №ას-385-358-2010, 14.06.2010წ.). ნების გამოვლენის ნიშნებში დაშვებული შეცდომის შემთხვევაში ნების გამომვლენი შეცდომას უშვებს ნების გარეგნულ ჩამოყალიბებაში. ასეთი შეცდომა გამოკვეთილია მაშინ, როდესაც გამოვლენილი ნება არ შეიცავს იმ ნიშნებსა და შინაარსს, რომელიც ნების გამომვლენს რეალურად სურდა (სსკ-ის 73 „ა“ მუხლი). შინაარსში დაშვებული შეცდომის შემთხვევაში ნების გამომვლენი პირი შეცდომას უშვებს ნების გამოვლენის ნიშნების ობიექტურ მნიშვნელობაში, გამოვლენილ ნიშანს იგი სუბიექტურად უსადაგებს სხვა მნიშვნელობას მაშინ, როდესაც ობიექტურად გამოყენებულ ნიშანს სულ სხვა მნიშვნელობა აქვს (სსკ-ის 73 „ბ“ მუხლი). გარიგების საფუძველებში დაშვებული შეცდომისას გამოვლენილია მხარეთა (ორივე მხარის) ერთობლივი მცდარი წარმოდგენა იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც ისინი გარიგებას დებენ და მას გარიგების საფუძვლად განიხილავენ. გარიგების საფუძველი უნდა გაიმიჯნოს ხელშეკრულების შინაარსისაგან. იგი არ უნდა იყოს ხელშეკრულების შინაარსი, რომელსაც მხარეები შესაბამისი სახელშეკრულებო პირობით დებენ (სსკ-ის 319-ე და 327-ე მუხლები). გარიგების საფუძველი არის ხელშეკრულების გარეთ არსებული, თუმცა მასთან დაკავშირებული გარემოება ან წარმოდგენა. იმ შემთხვევაში, თუ გარიგების საფუძველი ხელშეკრულების შინაარსშია შეტანილი და მხარეები მასთან დაკავშირებით შეცდომას უშვებენ, გამოკვეთილი იქნება შინაარსში დაშვებული შეცდომის ფაქტი. შესაბამისად, ძირითად შემთხვევებში, ხელშეკრულებასთან დაკავშირებული არც ცალმხრივი მოტივი ან მოლოდინები ჩაითვლება გარიგების საფუძვლად (სსკ-ის 73 „გ“ მუხლი). საგნის თვისებრიობა მოიცავს არა მხოლოდ ფიზიკურ თვისებრიობას, არამედ – ასევე ყველა ფაქტობ-

რივ და სამართლებრივ გარემოებას, რომელიც საგანთან ხანგრძლივი ვადითაა დაკავშირებული და მის გამოყენებით ფუნქციონირება და ღირებულებაზე ზეგავლენას ახდენს. ეს თვისებები საგანს გარიგების დადებისა და შესაბამისი სამართლებრივი ურთიერთობის განხორციელებისას უნდა ახასიათებდეს. ისეთი შემთხვევა, როცა ნასყიდობის საგანი საბაზრო ფასზე ძვირად იყიდება და მყიდველი რეალურ ფასს ნივთის ყიდვის შემდეგ აღმოაჩენს, გარიგების შეცვლების საფუძველს არ ქმნის. ამის დაშვება საბაზრო ეკონომიკისა და ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპებს შეეწინააღმდეგებოდა, სადაც ფასები მუდმივად მერყეობს და ფასის ოდენობის განმარტებაზე გამყიდველს ვალდებულება არ ეკისრება (იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, თბ., 2017, გვ: 411-412, 417, 425, 427, 438-439);

19.3. განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელემ და მოპასუხემ 2015 წლის 16 აპრილს წერილობით გამოავლინეს ნება მოპასუხის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების განვადებით ნასყიდობის თაობაზე. მხარეები შეთანხმდნენ ხელშეკრულების არსებით პირობებზე, თანხის ოდენობასა და გადახდის წესზე, რაც მათ შორის სადავო არ არის. განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულების მე-6 პუნქტში აღნიშნულია, რომ ნასყიდობის საგნის ხარისხი შეთანხმებულია მხარეთა შორის, იგი ნივთობრივად უნაკლოა, თუ წინამდებარე ნასყიდობის ხელშეკრულების საგანი აღმოჩნდება უფლებრივად ან ნივთობრივად სხვა ნაკლის მქონე, გამყიდველი ვალდებულია თავისი ხარჯით გამოასწოროს ეს ნაკლი. მყიდველს არ წარმოეშობა უფლებები ამ ნაკლის გამო, თუ ხელშეკრულების დადების მომენტში მან იცოდა ამ ნაკლის შესახებ (იხ. ნასყიდობის ხელშეკრულება);

19.4. მყიდველი (მოსარჩელე) გარიგების ბათილობის საფუძველად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ მან უძრავი ქონება იმ დანიშნულებით ვერ გამოიყენა, რა მიზნითაც ხელშეკრულება გააფორმა. საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს, რომ გარიგების დადების დროს უძრავი ქონების სტატუსი საცხოვრებელი ფართი იყო და მისი იერსახე გარიგების გაფორმების შემდეგაც არ შეცვლილა, რასაც მხარეები სადავოდ არ ხდიან;

19.5. საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს კასატორის, ამ გადაწყვეტილების 15.3 ქვეპუნქტში ასახულ, მსჯელობას და დამატებით განმარტავს, რომ არქიტექტურის სამსახურმა მესაკუთრეს ფართის რეკონსტრუქციაზე უარი ფოტოსურათებისა და 2015 წლის 1 ოქტომბრის ამონაწერის საფუძველზე უთხრა, ვინაიდან ფართის სტატუსი ავტოსადგომი იყო (იხ. ამ გადაწყვეტილების მე-5 პუნქტი). აქედან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნ

ნევეს, რომ გარიგების დადებისას მოსარჩელეს არსებითი შეცდომა არ დაუშვია, მისი ნება იყო უძრავი ქონების შეძენა, მან ხელშეკრულებაში დაადასტურა, რომ ნასყიდობის საგნის ხარისხი შეთანხმებული და მოწონებული იყო. გარიგების დადების შემდეგ კი არ გამოვლენილა ისეთი გარემოება, რაც თავიდანვე არ იყო ცნობილი მყიდველისათვის. დაუსაბუთებელია მოსარჩელის პრეტენზია მოპასუხის მიმართ ფაქტობრივი გარემოების – საცხოვრებელი ფართის სტატუსის ცვლილების შესახებ ინფორმაციის დამალვასთან დაკავშირებით, რადგან არქიტექტურის სამსახურში განცხადების შეტანამდე მესაკუთრემ თავად შეუცვალა სტატუსი უძრავ ქონებას და ავტოსადგომად რეგისტრირების შემდეგ ითხოვა ფართის რეკონსტრუქცია;

19.6. მყიდველს სასამართლოსათვის არ წარუდგენია იმის დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ მხარეთა შეთანხმება მოიცავდა ფართის იმგვარად გამოყენების შესაძლებლობას, რასაც მესაკუთრე სარჩელში აღნიშნავდა. ხელშეკრულებაში არ არის მითითება ნასყიდობის საგნის თვისებრიობაზე (სტომატოლოგიური კაბინეტის გახსნისათვის შესაფერისი), როგორც ხელშეკრულების არსებითი პირობა. აქედან გამომდინარე, ყოველგვარ ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძველს არის მოკლებული სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა და დასკვნა ნასყიდობის საგნის თვისებრიობაში (სსკ-ი 74.2 მუხლი) მყიდველის მიერ დაშვებული შეცდომის გამო გარიგების ბათილად ცნობასთან და მის თანმდევ შედეგებთან დაკავშირებით;

19.7. სსკ-ის 81-ე მუხლის თანახმად, თუ პირი გარიგების დადების მიზნით მოატყუეს, იგი უფლებამოსილია მოითხოვოს ამ გარიგების ბათილობა. ეს ხდება მაშინ, როცა აშკარაა, რომ მოტყუების გარეშე გარიგება არ დაიდებოდა. თუ ერთი მხარე დუმს იმ გარემოებათა გამო, რომელთა გამჟღავნების დროსაც მეორე მხარე არ გამოავლენდა თავის ნებას, მაშინ მოტყუებულს შეუძლია მოითხოვოს გარიგების ბათილობა. გამჟღავნების ვალდებულება არსებობს მხოლოდ მაშინ, როცა მხარე ამას ელოდებოდა კეთილსინდისიერად. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს მყიდველის პრეტენზიას გამყიდველის მიერ მისი მოტყუების გამო გარიგების ბათილად ცნობის მოთხოვნასთან დაკავშირებით, რადგან გარიგების საფუძველად ქცეული მცდარი წარმოდგენა პირს ანიჭებს შეცდომების უფლებას, თუ ის გამონწვეულია მისი კონტრაჰენტის მხრიდან მოტყუებით. გარიგების დადებისას მოტყუება ხელყოფს გარიგების მონაწილის ნდობას მეორე მხარის კეთილსინდისიერ ქცევასთან დაკავშირებით და აქედან გამომდინარე, ხელყოფს ნების გამოვლენის თავისუფლებას. მოტყუება კონტრაჰენტის განზრახ შეცდომაში

შეყვანას ნიშნავს, ან ისეთი ინფორმაციის დამალვას, რისი მიზნობის ვალდებულებაც მეორე მხარეს აქვს (იხ. საქართველოს სა-მოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნიგნი I, თბ., 2017, გვ: 460-462).

19.8. საკასაციო სასამართლო სააპელაციო სასამართლოს, ამ გადაწყვეტილების 14.7 ქვეპუნქტში ასახულ, მსჯელობას არ იზიარებს და წინამდებარე გადაწყვეტილების 19.3-19.6 ქვეპუნქტებში მოცემული შეფასებების საფუძველზე განმარტავს, რომ მყიდველი ვერ ადასტურებს, თუ რაში გამოიხატა გამყიდველის მიერ მისი მოტყუება. თავის მხრივ, გამყიდველის (კასატორის) არგუმენტი (იხ. ამ გადაწყვეტილების 15.5 ქვეპუნქტი), რომ მოსარჩელისათვის, გარიგების დადებისას, უძრავი ქონების ფაქტობრივი და სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ ცნობილი იყო, საქმის მასალებით დადასტურებულია და საწინააღმდეგოს მოსარჩელე ვერ ასაბუთებს (სსსკ-ის 102-ე მუხლი).

20. რაც შეეხება სარჩელის მოთხოვნას მოპასუხისათვის 36 000 აშშ დოლარის დაკისრების თაობაზე, აღნიშნულის დაკმაყოფილება შესაძლებელი იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუკი განხორციელებული იქნებოდა სსკ-ის 976.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტისა და 979.1 მუხლის წინაპირობები, რაც საკასაციო სასამართლოს შეფასებით, მოცემულ შემთხვევაში არ ვლინდება. საკასაციო სასამართლომ არაერთხელ განმარტა, რომ: „უსაფუძვლო გამდიდრების მიზანი არის სამართლებრივი საფუძვლის გარეშე შექმნილი ქონების (რომელშიც უნდა ვიგულისხმოთ უფლების ან გარკვეული შეღავათის, უპირატესობის) ამოღება, რითაც უნდა უზრუნველყოფილ იქნეს სამართლიანობის აღდგენა ანუ იმ მდგომარეობის აღდგენა, რომელიც იარსებებდა არაუფლებამოსილი პირის მიერ დაზარალებულის ხარჯზე გარკვეული შეღავათის, უფლების, უპირატესობის მიღებაზე...“ უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტის ნორმები აღჭურვილია დაცვითი ფუნქციით, უზრუნველყოფს რა არაუფლებამოსილი სუბიექტისაგან უსაფუძვლოდ მიღებული ქონების ამოღებას და მისი უფლებამოსილი პირისათვის გადაცემას. შედეგობრივი თვალსაზრისით, სამართლისათვის არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, თუ რა საშუალებით გამდიდრდა პირი – მიიღო, თუ დაზოგა ქონება. ფაქტი ერთია – ვითომ კრედიტორის ქონებრივ სფეროში აღმოჩნდა ქონება, რომელსაც იქ არსებობის სამართლებრივი საფუძველი არ გააჩნია და, აქედან გამომდინარე, ექვემდებარება უფლებამოსილი პირისათვის დაბრუნებას, (შდრ. სუსგ-ები №ას-1193-1122-2015, 31.05.2016წ.; №ას-74-71-2016, 25.05.2016წ.; №ას-225-215-2016, 25.05.2016წ., №ას-184-171-2015, 20.05.2016წ.).

21. საკასაციო სასამართლო კასატორის, ამ გადაწყვეტილების 15.4 ქვეპუნქტში ასახულ, პრეტენზიას ვერ შეაფასებს, რადგან მო-

პასუხეს სარჩელის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით არც შესაგებლში და არც პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას, მოსამზადებელ სხდომაზე, არ განუცხადებია. სსსკ-ის 219-ე მუხლის პირველ ნაწილის თანახმად, მხარეები შეზღუდული არიან, ახსნა-განმარტების მოსმენისას წარადგინონ ახალი მტკიცებულებები ან მიუთითონ ახალ გარემოებებზე, რომელთა შესახებაც არ ყოფილა მითითებული სარჩელსა თუ შესაგებლში ან საქმის მომზადების სტადიაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მათ შესახებ თავის დროზე საპატიო მიზეზით არ იყო გაცხადებული. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ხანდაზმულობის საკითხზე მითითების ტვირთი მხარის საპროცესო ვალდებულებას წარმოადგენს, რაც სწორედ იმას ნიშნავს, რომ ხანდაზმულობის საკითხზე მსჯელობისას სასამართლო შეზღუდულია მხარეთა მითითებებით, კონკრეტულ შემთხვევაში კი, მხარემ საპროცესო ვადის დარღვევით მიუთითა ამ გარემოებაზე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ამ თვალსაზრისით, კასატორის პრეტენზია დაუსაბუთებელია (მდრ. სუსგ №ას-526-499-2014, 18.03.2015წ.).

22. ზემოხსენებული მოტივაციით, გამყიდველის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, უარი უნდა ეთქვას მოსარჩელეს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე (სსსკ-ის 410-ე მუხლი).

23. სსსკ-ის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამავ მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას, ხოლო, ამავ მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, შესაბამისად, შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც. მოხმობილი ნორმის საფუძველზე მოსარჩელეს მოპასუხის სასარგებლოდ ამ უკანასკნელის მიერ სააპელაციო და საკასაციო საჩივრებისათვის გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ანაზღაურება უნდა დაეკისროს.

24. საკასაციო სასამართლო სსსკ-ის 199¹-ე მუხლზე დაყრდნობით გააუქმებს საქალაქო სასამართლოს მიერ გამოყენებულ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებას, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის გამო.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სა-
მოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე და 199¹-ე მუხლებით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:

1. მ. ვ-ას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 13 დეკემბრის განჩინება და მიღებული იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ლ. კ-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
4. ლ. კ-ძეს მ. ვ-ას სასარგებლოდ დაეკისროს, სახელმწიფო ბაჟის სახით სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოებში გადახდილი, 7 684.02 (შვიდი ათას ექვსას ოთხმოცდაოთხი ლარი და ორი თეთრი) ლარის გადახდა;
5. გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 18 დეკემბრის განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, რომლითაც მ. ვ-ას (პ/ნ) აეკრძალა მის სახელზე რეგისტრირებული უძრავი ქონების, მდებარე: ქ. თბილისი,, 169.16 კვ.მ. ფართი, ს/კ, გასხვისება და იპოთეკით დატვირთვა;
6. გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

2. სანდაზმულობა

სანდაზმულობის ვადის დანყება

გადანყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ას-158-154-2016

10 თებერვალი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: ნ. ბაქაქუჩი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ბ. ალავეცი

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. ნ. ხ-ამ (შემდგომში „მოსარჩელე“, „საკასაციო საჩივრის ავტორი“) სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს „კ“-ის (შემდგომში „მოპასუხე“) მიმართ და მოითხოვა სახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარე დავალიანების, 150 000 აშშ დოლარისა და ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებით მიყენებული ზიანის (ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, გადანყვეტილების აღსრულებამდე, დავალიანების ძირითადი თანხის – 150 000 აშშ დოლარის 0,03%-ის) ანაზღაურება შემდეგ გარემოებებზე მითითებით:

2. 2006 წელს შპს „კ“-ს, ი. ა-ასა და ნ. ხ-ას შორის შედგა ზეპირი შეთანხმება, რომლის თანახმად, მოპასუხის სახელით უნდა მომხდარიყო მოსარჩელის კუთვნილი თბილის ექსპორტი იტალიაში, რის შემდგომაც მოსარჩელეს უნდა მიეღო თბილის ღირებულება 150 000 აშშ დოლარი და მოგებული თანხის 50%. შპს „კ“-მა ვერ უზრუნველყო მოსარჩელისთვის დაპირებული თანხის გადაცემა. აღნიშნულის შემდგომ, მხარეთა შორის გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულებით მოსარჩელეს საკუთრებაში გადაეცა მოპასუხის უძრავი ქონება, თუმცა 2014 წლის 9 ივნისის კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადანყვეტილებით აღნიშნული ხელშეკრულება ბათილად იქნა ცნობილი, რადგან იგი მიჩნეულ იქნა იპოთეკის ხელშეკრულებად და მოსარჩელის მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად. სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ დავალიანება 150 000 აშშ დოლარი, მოპასუხის მიერ 2013 წლის თებერვლისთვისაც არ იყო გადახდილი. მოსარჩელის განცხადებით, სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული გადანყვეტილებით მან შე-

იტყო, რომ უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლება არ ჰქონდა და რეალურად სახეზე იყო იპოთეკა. შესაბამისად, მოსარჩელის აზრით, წარდგენილი სარჩელი არ იყო ხანდაზმული.

3. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს უსაფუძვლობისა და ხანდაზმულობის გამო. კერძოდ, მხარეებს შორის დადებული იყო გადახდის განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულება, მაგრამ დადგენილი მოთხოვნების დარღვევით. მიუხედავად ამისა, ხელშეკრულება დადებულად ითვლება, ვინაიდან ნივთის გადაცემას ჰქონდა ადგილი, თუმცა მოსარჩელე არ იყო უფლებამოსილი მოეთხოვა მოგებული თანხის 50%, რადგან მხარეებს შორის პროცენტის გადახდა ხელშეკრულებით პირდაპირ არ ყოფილა განსაზღვრული.

4. მოპასუხის განცხადებით, ხელშეკრულების დადებიდან სარჩელის აღძვრამდე გასულია 3 წელზე მეტი, გარიგება კი განუსაზღვრელი ვადით არ დადებულია. შესაბამისად, სასარჩელო მოთხოვნა ხანდაზმულია.

5. ზ-ის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 29 მაისის საოქმო განჩინებით მოსარჩელის წარმომადგენლის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა და განუხილველად იქნა დატოვებული წარდგენილი სარჩელი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილში სარჩელის გამოსმობის გამო.

6. ზ-ის რაიონული სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 20 ივლისის გადაწყვეტილებით ნ. ხ-ს სარჩელი დაკმაყოფილდა: მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 150 000 აშშ დოლარის (გადახდის დღისათვის ეროვნულ ვალუტაში შესაბამისი კურსით) გადახდა.

7. რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ.

8. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 23 დეკემბრის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა ზ-ის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 20 ივლისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; სასარჩელო მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა.

9. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

10. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 9 ივნისის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი ქ. ზ-ში, მ. ს ქ. №...-ში მდებარე უძრავ ქონებაზე მოპასუხესა და მოსარჩელეს შორის 2007 წელს დადებული ნასყიდობის ხელ-

შეკრულება და მიწოდების ხელშეკრულებიდან გამომდინარე, მოსარჩელის წინაშე არსებული ვალდებულების, 150 000 აშშ დოლარის უზრუნველსაყოფად, იპოთეკით დაიტვირთა ქ. ზ-ში, მ. ს ქ. №...-ში (ს/კ ...) მდებარე 9 924.20 კვ.მ უძრავი ქონება.

11. აღნიშნული გადაწყვეტილებით დადგენილია შემდეგი:

ა) 2006 წელს მოპასუხეს, ი. ა-სა და მოსარჩელეს შორის შედგა ზეპირი შეთანხმება, რომლის თანახმად, მოპასუხის სახელით უნდა მომხდარიყო მოსარჩელის კუთვნილი თხილის ექსპორტი იტალიაში, რის შემდგომაც მოსარჩელეს უნდა მიეღო თხილის ღირებულება 150 000 აშშ დოლარი და მოგების 50%;

ბ) მოსარჩელემ შეთანხმებისამებრ, 2006 წელში მოპასუხეს მიანოდა პროდუქცია, რომლის ექსპორტი განხორციელდა იტალიაში, თუმცა მოპასუხის მიერ უცხოელი პარტნიორებისაგან პროდუქციის ღირებულების ამოღება ვერ მოხდა, რის გამოც მოპასუხეს მოსარჩელის მიმართ წარმოეშვა დავალიანება 150 000 აშშ დოლარი;

გ) 2007 წლის 24 აგვისტოს მოპასუხესა და მოსარჩელეს შორის გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულება, მოპასუხის საკუთრებაში არსებულ, ქ. ზ-ში, მ. ს ქუჩა №...-ში მდებარე უძრავ ქონებაზე (მინის ნაკვეთი და მასზე განლაგებული შენობა-ნაგებობები: ოფისი, ავტოპროფილაქტიკა და მაღაზია), რომლითაც დაიფარა რეალურად იმავე მხარეებს შორის შეთანხმებული იპოთეკის ხელშეკრულება, რომელიც თხილის მიწოდების ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ფულადი ვალდებულების – 150 000 აშშ დოლარის შესრულებას უზრუნველყოფდა;

დ) 2008 წლის 3 ივნისს მოპასუხემ აიღო საბანკო კრედიტი სს „პ-ში“ 50 000 აშშ დოლარის ოდენობით, რომლის უზრუნველსაყოფადაც იპოთეკით დაიტვირთა ზ-ში, მ. ს ქ. №...-ში იმ დროისათვის მოსარჩელის სახელზე რიცხული უძრავი ქონება, მინის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა, რომლის იპოთეკით დატვირთვას მოსარჩელე დათანხმდა მხოლოდ იმიტომ, რომ სესხად აღებული თანხით მოხდებოდა მისი დავალიანების გასტუმრება.

12. მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის წარმოებულ სამოქალაქო დავაზე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2013 წლის 11 თებერვლის ხელწერილი წარმოადგენდა ინფორმაციული ხასიათის დოკუმენტს – მოპასუხის დირექტორის მიერ ვალის გადაუხდელობის შემთხვევაში ქონების გამოთავისუფლების შესახებ გაფრთხილების მიღების დადასტურებას და არა ვალის აღიარების ხელშეკრულებას.

13. სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 477-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, ამავე კოდექსის 128-ე, 129-ე, 130-ე, 144-ე მუხლებით და დადგენილად მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში თხილის ნასყიდობის ხელშეკრულებაზე ნასყიდობის საგნის საფასურის მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის წარმოშობის მომენტს წარმოადგენდა 2006 წელი, როდესაც ნ. ხ-ამ განახორციელა თხილის მიწოდება და ეს ვადა სრულდებოდა 2008 წელს, თუმცა როგორც მოპასუხემ მიუთითა, 2008 წელს, მხარეთა შეთანხმებით განისაზღვრა ვალდებულების შესრულების ახალი დრო, რაც დაკავშირებული იყო სს „პ-დან“ მოპასუხის მიერ საბანკო კრედიტის აღებასთან და რაც განხორციელდა კიდევ 2008 წლის 3 ივნისს. მიუხედავად ამისა, მოპასუხემ მისი ვალდებულება ნასყიდობის საგნის საფასურის გადახდის თაობაზე არ შეასრულა.

14. ამდენად, პალატამ დადასტურებულად მიიჩნია, რომ გაყიდული თხილის ღირებულების 150 000 აშშ დოლარის გადაუხდელობისა და მისგან გამომდინარე უფლების დარღვევის თაობაზე მოსარჩელისთვის ცნობილი იყო 2008 წლის 3 ივნისს, როცა მოპასუხის მიერ აღებული საბანკო კრედიტის თანხა, როგორც თავად მოსარჩელე უთითებს, მას არ გადაცემია.

15. შესაბამისად, 2015 წელს წარდგენილი სასარჩელო მოთხოვნა 2006 წელს გაყიდული თხილის ღირებულების – 150 000 აშშ დოლარის ანაზღაურების თაობაზე, სასამართლომ ხანდაზმულად მიიჩნია.

16. პალატამ არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა, რომლითაც სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის ათვლის წერტილად მიჩნეულ იქნა მოპასუხის დირექტორის 2013 წლის 11 თებერვლის ხელწერილით განსაზღვრული დრო – 2013 წლის 28 თებერვალი და აღნიშნულთან დაკავშირებით განმარტა შემდეგი: მართალია, სამოქალაქო კოდექსის 137-ე და 138-ე მუხლებით ხანდაზმულობის ვადის დენა წყდება თუ ვალდებული პირი უფლებამოსილი პირის წინაშე ავანსის, პროცენტის გადახდით, გარანტიის მიცემით ან სხვაგვარად აღიარებს მოთხოვნის არსებობას ან თუ უფლებამოსილი პირი შეიტანს სარჩელს მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად ან მის დასადგენად, ანდა შეეცდება დაიკმაყოფილოს მოთხოვნა სხვა საშუალებით, როგორცაა სახელმწიფო ორგანოსათვის ან სასამართლოში განცხადებით მიმართვა მოთხოვნის არსებობის შესახებ, ანდა აღმასრულებელი მოქმედების განხორციელება, თუმცა, მოცემულ შემთხვევაში მითითებული ნორმებით გათვალისწინებულ გარემოებებს ადგილი არ ჰქონია. კერძოდ, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო

საქმეთა პალატის 2014 წლის 15 ოქტომბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ მოპასუხის დირექტორის 2013 წლის 11 თებერვლის ხელწერილი წარმოადგენდა მხოლოდ გაფრთხილების მიღების დადასტურებას (და არა ვალის აღიარებას).

17. რაც შეეხება შსს ზ-ის რაიონული სამმართველოს მიერ 2013 წლის 5 აპრილის №643793 გაფრთხილებით მოპასუხის მიმართ დაწყებულ ღონისძიებებს, პალატის განმარტებით, ისინი შეეხებოდა მოსარჩელის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარი ხელშეშლის აღკვეთას და არა ფულადი ვალდებულების შესრულებას. ასეთის არსებობის შემთხვევაშიც კი, სასამართლოს მოსაზრებით, მოთხოვნა ხანდაზმულად ჩაითვლებოდა, ვინაიდან, ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტა შესაძლებელია მაშინ, როცა ჯერ კიდევ არ არის გასული ხანდაზმულობის ვადა. მისი დასრულების შემდეგ, 2013 წელს განხორციელებული ნებისმიერი მოქმედებით კი ბუნებრივია შეწყვეტა ველარ მოხდებოდა.

18. პალატამ ასევე არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა, რომ მოსარჩელემ თავისი უფლების დარღვევის თაობაზე შეიტყო ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 15 ოქტომბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, როდესაც მოპასუხის დირექტორის 2013 წლის 11 თებერვლის ხელწერილი არ ჩაითვალა ვალის აღიარებად და დადგინდა, რომ იგი მხოლოდ გაფრთხილებას წარმოადგენდა და რომ ამ დრომდე მოსარჩელეს ობიექტურად არ გაუგია, რომ გააჩნდა უფლება მოპასუხისაგან მიეღო ვალი – 150 000 აშშ დოლარი.

19. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ვინაიდან მხარეთა შეთანხმებით ფულადი ვალდებულების შესრულების ვადად განისაზღვრა 2008 წლის 3 ივნისი – სს „პ-დან“ მოპასუხის მიერ საბანკო კრედიტის აღების თარიღი, ამ დროისათვის მოსარჩელისთვის უკვე ცნობილი უნდა ყოფილიყო სახელშეკრულებო ვალდებულების ფაქტის დარღვევის თაობაზე და ამ დროიდან სამი წლის განმავლობაში შეეძლო მოეთხოვა ფულადი ვალდებულების იძულებითი შესრულება მოპასუხისაგან, რაც არ გაუკეთებია.

20. შესაბამისად, მისთვის მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა გავიდა 2011 წლის 3 ივნისს, ანუ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილების გამოტანამდე და მოპასუხის დირექტორის 2013 წლის 11 თებერვლის ხელწერილის შედგენამდეც.

21. პალატამ დამატებით მიუთითა სამოქალაქო კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილზე და აღნიშნა, რომ ვინაიდან სამოქალაქო კო-

დექსით განსაზღვრულია მოთხოვნის ხანდაზმულობასთან დაკავშირებული უფლება-მოვალეობები, მოსარჩელის მიერ კანონის არცოდნა ან მისი არასათანადოდ გაგება, ასევე ფაქტების არასათანადოდ შეფასება ვერ ჩაითვლებოდა ხანდაზმულობის ვადის გასვლით გამონეული პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების საფუძვლად. სასამართლოს მითითებით, ხანდაზმულობის საკითხის კვლევის ამგვარად გადანყვეტა დადგენილი იყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებული მყარი ერთგვაროვანი პრაქტიკითაც (იხ. სუსგ №ას-547-515-2012, 11 ივნისი, 2012 წელი).

22. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ არსებობდა გასაჩივრებული გადანყვეტილების გაუქმებისა და ნ. ხ-ას სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი.

23. სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილებაზე მოსარჩელემ შეიტანა საკასაციო საჩივარი და მოითხოვა გასაჩივრებული გადანყვეტილების გაუქმება და ახალი გადანყვეტილების მიღებით პირველი ინსტანციის სასამართლოს გადანყვეტილების უცვლელად დატოვება შემდეგი დასაბუთებით:

24. სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილებაში არ არის ასახული, თუ რატომ არ გაიზიარა სასამართლომ მოსარჩელის მიერ მითითებული, კანონიერ ძალაში შესული გადანყვეტილება საქმეზე №ას-45-44-2014 (23.02.2015წ), რომლითაც მოსარჩელის სარჩელი დაკმაყოფილდა და მსგავს შემთხვევაში ხანდაზმულობის ვადა არ იქნა მიჩნეული გაშვებულად. აღნიშნულ საქმესა და განსახილველ დავაში ფაქტობრივი გარემოებები იდენტურია, შესაბამისად, სამართლებრივი შეფასებაც იდენტური უნდა იყოს. დაუსაბუთებელია სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა, განსახილველ სამართალურიერთობას უფრო მეტად რატომ მიესადაგება უზენაესი სასამართლოს №ას-547-515-2012 განჩინებაში მოცემული შეფასება (რომელსაც დაეყრდნო სააპელაციო პალატა), ვიდრე მოსარჩელის მიერ მითითებული გადანყვეტილება. გასაჩივრებული გადანყვეტილება საერთოდ არ შეიცავს მსჯელობას ამ მხრივ, რის გამოც იგი არ არის საკმარისად დასაბუთებული.

25. კასატორის აზრით, განსახილველი დავის სწორად გადანყვეტისათვის სააპელაციო სასამართლოს ამოცანა იყო დაედგინა როდიდან დაიწყო ხანდაზმულობის ვადის ათვლა, ვინაიდან აქელანტი შპს „კ“ გასაჩივრებული გადანყვეტილების სამართლებრივი უსწორობის ნაწილში ძირითადად ხანდაზმულობის ვადის დარღვევაზე მიუთითებდა. სააპელაციო სასამართლომ კი ყოველგვარი მტკიცებულების გარეშე, მხოლოდ მოპასუხის ზეპირი განცხა-

დების საფუძველზე მიიჩნია, რომ ვალდებულების შესრულების საბოლოო ვადა მხარეთა შორის განისაზღვრა 2008 წლის 3 ივნისით, როდესაც მოპასუხემ მიიღო იპოთეკური სესხი ნ. ხ-ას ქონების უზრუნველყოფის საშუალებად გამოყენების გზით, თუმცა ამ უკანასკნელისათვის თანხა არ მიუცია.

26. ზემოაღნიშნული გარემოებისა და იმ მოსაზრების გათვალისწინებით, რომ მოსარჩელემ თითქოს თავისი დაუდევრობის გამო ვერ გაიგო უფლების დარღვევის შესახებ, სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის პოზიცია, რომ ვალდებულების შესრულების ხანდაზმულობის ვადის ათვლა უნდა დაწყებულიყო ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის მომენტიდან. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ მოსარჩელის მოთხოვნა მიიჩნია ხანდაზმულად და გააუქმა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება. სასამართლო გადაწყვეტილებაში არ არის დასაბუთებული, რაში გამოიხატა მოსარჩელის მხრიდან დაუდევრობა. კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით კი დადგენილია ფაქტი, რომ მოსარჩელემ სწორედ ფულადი ვალდებულების შესრულების სანაცვლოდ მიიღო მოვალისაგან საკუთრებაში უძრავი ქონება, ანუ იმ მომენტისათვის დაიკმაყოფილა მოთხოვნა.

27. გადაწყვეტილება ხანდაზმულობის ვადის ათვისის მომენტის დადგომის შეფასების მხრივ არსებითად უსწოროა და ეწინააღმდეგება მსგავს საქმეზე დადგენილ სასამართლო პრაქტიკას.

28. კასატორი ყურადღებას ამახვილებს სუსგ №ას-45-44-2014 გადაწყვეტილებაზე და აღნიშნავს, რომ უზენაესმა სასამართლომ ამ საქმეში მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 286-ე მუხლის პირველი ნაწილის ადრე მოქმედ (2005 წ.) რედაქციაზე და აღნიშნა, რომ ამავე ნორმის მოქმედი რედაქციით კანონმდებელმა დაუშვა შესაძლებლობა, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, იპოთეკის საგანი გადაეცეს კრედიტორს საკუთრებაში. ამავე გადაწყვეტილების შესაბამისად, მოვალის მიერ ნაკისრი ვალდებულების უზრუნველყოფას მნიშვნელოვანი როლი ენიჭება, რაც განაპირობებს მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებების განსაკუთრებულ მნიშვნელობას სამოქალაქო ბრუნვის სფეროში. მოთხოვნის უზრუნველყოფის ინსტიტუტი კრედიტორს უქმნის რწმენას, რომ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაშიც კი ამ სამართლებრივი მექანიზმის გამოყენებით შეძლებს საკუთარი მატერიალური უფლების დაცვასა და მოთხოვნის დაკმაყოფილებას. ამასთან, ვალდებულების დარღვევისას მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალების გამოყენების შემთხვევაში, გათვალისწინებული უნდა იქნას ამ ინსტიტუტის არსი და დანიშნულება, კერძოდ, მოთხოვნის უზრუნ-

ველყოფის საშუალება უზრუნველყოფილი მოთხოვნის გარანტიას წარმოადგენს და მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, იგი იკავებს ვალდებულების შესრულების ადგილს, რაც შეიძლება განხორციელდეს, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალების აუქციონზე რეალიზაციით მიღებული თანხის, ასევე ნივთის კრედიტორისათვის საკუთრებაში გადაცემით. ამდენად, მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალების ფუნქცია შეუსრულებელი ვალდებულების შესრულებაა, რაც ნიშნავს იმას, რომ მოვალისათვის ვალდებულების შესრულების დაკისრება უზრუნველყოფის საშუალებით ხორციელდება, ანუ მოვალის შესასრულებელ ვალდებულებას მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება ჩაანაცვლებს (იხ. სუსგ №ას-1300-1320-2011).

29. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, განსახილველი დავისა და შესაბამისად, ხანდაზმულობის საკითხის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანია ნასყიდობის ხელშეკრულების სწორი სამართლებრივი შეფასება და საქონლის მიწოდების ხელშეკრულებასთან ერთობლიობაში მისი განხილვა. მოსარჩელემ საქონლის მიწოდების ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო, მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალების გამოყენებით დაიცვა საკუთარი მატერიალური უფლება და მის საკუთრებად აღრიცხა მოვალის კუთვნილი ქონება, შესაბამისდ მან იმ პერიოდისთვის დაიკმაყოფილა საქონლის მიწოდების ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნა. მოსარჩელისთვის სუბიექტურად, საქონლის მიწოდების ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლების დარღვევის თაობაზე ცნობილი გახდა, როდესაც გაუქმდა მისი საკუთრების უფლება უზრუნველყოფის საგანზე. აღნიშნულის გათვალისწინებით, კასატორის აზრით, ხანდაზმულობის ვადის დენის საკითხი დაკავშირებულია მხარეთა შორის 2007 წლის 24 აგვისტოს ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის მოთხოვნით წარმოებული დავის შედეგთან. ვინაიდან მოსარჩელემ საქონლის მიწოდების ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნა დაიკმაყოფილა მოვალის ქონების ხარჯზე (იპოთეკის საგნით), ამ მოცემულობაში მას სესხის თანხის მოთხოვნის არც ფაქტობრივი და არც სამართლებრივი საფუძველი არ ჰქონდა. მას შემდეგ რაც გაბათილდა კრედიტორის საკუთრების უფლება უზრუნველყოფის საგანზე, სწორედ ამ მომენტიდან წარმოეშვა მას უფლება მოეთხოვა მოვალისაგან სესხის დაბრუნება. საკასაციო საჩივრის ავტორის განმარტებით, აღნიშნული მსჯელობა სრულ შესაბამისობაშია დადგენილ სასამართლო პრაქტიკასთან. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად უსწოროა, ემყარება ფაქტების არასწორ ინტერპრეტაციას და არასწორად განმარტავს

ხანდაზმულობის ვადის დადგენასთან დაკავშირებულ სამოქალაქო კოდექსის ნორმების შინაარსს, რის გამოც არსებობს მისი გაუქმებისა და საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი.

30. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 11 მარტის განჩინებით ნ. ხ-ას საკასაციო საჩივარი წარმოებაში იქნა მიღებული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად.

სამოტივაციო ნაწილი:

31. საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ნ. ხ-ას საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

32. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო საჩივარი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ გადაწყვეტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი. ამავე ნორმის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად კი, სამართლის ნორმები დარღვეულად ითვლება, თუ სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი.

33. მოცემულ შემთხვევაში საკასაციო პრეტენზიების შესწავლით დასტურდება, რომ მხარე არ ეთანხმება გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში ასახულ სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლის განმარტებას სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის დაწყების თაობაზე და თვლის, რომ სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი, რადგან მოთხოვნის ვადის დასაწყისს წარმოადგენს მოთხოვნის დადგომის ობიექტური ფაქტორი, რომელიც განსახილველ შემთხვევაში ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესვლის მომენტიდან უნდა იქნას ათვლილი და არა სს „პ-დან“ მოპასუხის მიერ საბანკო კრედიტის აღების დღიდან – 2008 წლის 3 ივნისიდან.

34. საკასაციო სასამართლო კასატორის პრეტენზიის შეფასების მიზნით ყურადღებას მიაქცევს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ, საქმისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს:

35. 2006 წელს მოპასუხეს, ი. ა-სა და მოსარჩელეს შორის შედგა ზეპირი შეთანხმება, რომლის თანახმად, მოპასუხის სახელით უნდა მომხდარიყო მოსარჩელის კუთვნილი თხილის ექსპორტი იტალიაში, რის შემდგომაც მოსარჩელეს უნდა მიეღო თხილის ღირებულება 150 000 აშშ დოლარი და მოგების 50%;

36. მოსარჩელემ შეთანხმებისამებრ, 2006 წელში მოპასუხეს მი-

ანოდა პროდუქცია, რომლის ექსპორტი განხორციელდა იტალიაში, თუმცა მოპასუხის მიერ უცხოელი პარტნიორებისაგან პროდუქციის ღირებულების ამოღება ვერ მოხდა, რის გამოც მოპასუხეს მოსარჩელის მიმართ წარმოეშვა დავალიანება 150 000 აშშ დოლარი; აღნიშნული თანხა მოპასუხეს დღემდე არ გადაუხდია.

37. 2007 წლის 24 აგვისტოს მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულება შპს „კ“-ის საკუთრებაში არსებულ ქ. ზ-ში, მ-ს ქუჩა №...-ში მდებარე უძრავ ქონებაზე (მინის ნაკვეთი და მასზე განლაგებული შენობა-ნაგებობები: ოფისი, ავტოპროფილაქტიკა და მალაზია), რომლითაც დაიფარა რეალურად იმავე მხარეებს შორის შეთანხმებული იპოთეკის ხელშეკრულება, რომელიც თხილის მიწოდების ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ფულადი ვალდებულების – 150 000 აშშ დოლარის შესრულებას უზრუნველყოფდა.

38. 2008 წლის 3 ივნისს მოპასუხემ აიღო საბანკო კრედიტი სს „პ-ში“ 50 000 აშშ დოლარის ოდენობით, რომლის უზრუნველსაყოფადაც იპოთეკით დაიტვირთა ზ-ში, მ. ს ქ. №...-ში იმ დროისათვის მოსარჩელის სახელზე რიცხული უძრავი ქონება, მინის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა, რომლის იპოთეკით დატვირთვას მოსარჩელე დათანხმდა მხოლოდ იმიტომ, რომ სესხად აღებული თანხით მოხდებოდა მისი დავალიანების გასტუმრება.

39. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 9 ივნისის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგინდა, რომ მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის 2007 წლის 24 აგვისტოს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულება იყო თვალთმაქცური გარიგება და იგი ბათილად იქნა ცნობილი. ამავე გადაწყვეტილებით დადგინდა, რომ ზემოაღნიშნული ხელშეკრულებით რეალურად დაიფარა მხარეებს შორის შეთანხმებული იპოთეკის ხელშეკრულება.

40. საკასაციო სასამართლო საკვანძო საკითხის სწორად შეფასების მიზნით მიუთითებს სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლის პირველ ნაწილზე და განმარტავს შემდეგს: სასარჩელო ხანდაზმულობის ვადაში მოიაზრება დრო, რომლის განმავლობაშიც უფლებამოსილ პირს შეუძლია თავისი უფლების რეალიზაცია ან დაცვა. ხანდაზმულობის ინსტიტუტის სპეციფიკურობა იმაში მდგომარეობს, რომ დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ მოთხოვნის უფლება ობიექტურად არსებობს, თუმცა იგი განუხორციელებელია, ანუ ამ უფლების რეალიზება სრული მოცულობით დამოკიდებულია მოთხოვნის ადრესატის ნება-სურვილზე. სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლი ხანდაზმულობის დაწყებას მოთხოვნის წარმო-

შობის მომენტს უკავშირებს, ხოლო მოთხოვნის წარმოშობის მომენტად მიიჩნევა დრო, როდესაც პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ, ე.ი თუ ხანდაზმულობის წარმოშობის მომენტის დადგენა ობიექტურად შეუძლებელია, ყურადღება უნდა მიექცეს სუბიექტურ მომენტს. ამასთან, იგულისხმება, რომ ხანდაზმულობის წარმოშობის ობიექტური და სუბიექტური მომენტები თანმხვედრია, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელე არ ეთანხმება ხანდაზმულობის წარმოშობის ობიექტური და სუბიექტური მომენტების თანხვედრას, მაშინ მტკიცების ტვირთი ეკისრება მას იმის გასარკვევად, თუ როდიდან უნდა დაიწყოს ხანდაზმულობის ვადის ათვლა. ამასთან, მხოლოდ სუბიექტურ ფაქტორზე – უნდა შეეტყო, მხოლოდ მაშინ შეიძლება დაყრდნობა, თუ სამართლებრივი ურთიერთობის თავისებურებიდან გამომდინარე, პრაქტიკულად შეუძლებელია ობიექტური ფაქტორის განსაზღვრა.

41. განსახილველ შემთხვევაში საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას ხანდაზმულობის ვადის ათვლის დასაწყისად 2008 წლის 3 ივნისის (როდესაც მოპასუხემ მიიღო იპოთეკური სესხი, რომლის უზრუნველსაყოფადაც იპოთეკით დაიტვირთა მოსარჩელის კუთვნილი ქონება) მიჩნევის თაობაზე და მიუთითებს შემდეგს:

42. საქმის მასალებით დადგენილია, რომ მხარეებს შორის 2007 წლის 24 აგვისტოს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულებით (რომლითაც მოპასუხის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება გადავიდა მოსარჩელის საკუთრებაში) რეალურად დაიფარა იპოთეკის ხელშეკრულება. შესაბამისად, ეს ორი ხელშეკრულება უნდა შეფასდეს ერთობლიობაში და სამოქალაქო კოდექსის 56-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, გამოყენებული უნდა იქნას იპოთეკის ხელშეკრულების მიმართ მოქმედი წესები. საკასაციო სასამართლოს შეფასებით, მართალია, კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილებით ზემოაღნიშნული ნასყიდობის ხელშეკრულება გაბათილდა, მაგრამ არ გაბათილებულა იპოთეკის ხელშეკრულება.

43. ერთ-ერთ საქმეში საქართველოს უზენაესმა სასამართლომ განმარტა, შემდეგი: „მოვალის მიერ ნაკისრი ვალდებულების უზრუნველყოფას მნიშვნელოვანი როლი ენიჭება, რაც განაპირობებს მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებების განსაკუთრებულ მნიშვნელობას სამოქალაქო ბრუნვის სფეროში. მოთხოვნის უზრუნველყოფის ინსტიტუტი კრედიტორს უქმნის რწმენას, რომ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაშიც კი, ამ სამართლებრივი მექანიზმის გამოყენებით შეძლებს საკუთარი მატერიალური უფლების დაცვასა და მოთხოვნის დაკმაყოფილებას. ამასთან, ვალდე-

ბულების დარღვევისას მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალების გამოყენების შემთხვევაში, გათვალისწინებული უნდა იქნას ამ ინსტიტუტის არსი და დანიშნულება, კერძოდ, მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება უზრუნველყოფილი მოთხოვნის გარანტიას წარმოადგენს და, მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, იგი იკავებს ვალდებულების შესრულების ადგილს, რაც შეიძლება განხორციელდეს, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალების აუქციონზე რეალიზაციით მიღებული თანხის, ასევე ნივთის კრედიტორისათვის საკუთრებაში გადაცემით. ამდენად, მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალების ფუნქცია შეუსრულებელი ვალდებულების შესრულებაა, რაც ნიშნავს იმას, რომ მოვალისათვის ვალდებულების შესრულების დაკისრება უზრუნველყოფის საშუალებით ხორციელდება, ანუ მოვალის შესასრულებელ ვალდებულებას მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება ჩაანაცვლებს“ (იხ. სუსგ №ას-1300-1320-2011, 27 მარტი, 2012 წელი).

44. მოცემულ შემთხვევაში სადავო არ არის, რომ მოსარჩელემ (კრედიტორმა) საქონლის მიწოდების ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო, მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალების გამოყენებით დაიცვა საკუთარი მატერიალური უფლება და მოპასუხესთან (მოპალესთან) გაფორმებული უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე საკუთრებაში აღირიცხა მოვალის (მოპასუხის) ქონება. შესაბამისად, მოსარჩელემ (კრედიტორმა) იმ პერიოდისთვის დაიკმაყოფილა მიწოდების ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნა.

45. ამრიგად იმ პირობებში, როდესაც დადგენილია, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 9 ივნისის გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი მხარეთა შორის გაფორმებული უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება და გაუქმდა მოსარჩელის (კრედიტორის) საკუთრების უფლება უზრუნველყოფის საგანზე, საკასაციო სასამართლო დადასტურებულად მიიჩნევს, რომ განსახილველ დავაში მიწოდების ხელშეკრულებიდან გამომდინარე ხანდაზმულობის ვადის დენის საკითხი დაკავშირებულია მხარეთა შორის სწორედ ზემოაღნიშნული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის მოთხოვნით წარმოებულ დავის შედეგთან, ვინაიდან სუბიექტურად მიწოდების ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლების დარღვევის თაობაზე მოსარჩელისთვის (კრედიტორისთვის) ცნობილი გახდა სწორედ ამ დროიდან. შესაბამისად, საკასაციო პალატა ასკვნის, რომ ვინაიდან მოსარჩელემ მიწოდების ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნა დაიკმაყოფილა მოვალის ქონების ხარჯზე (იპოთეკის საგნით), ამ მოცემუ-

ლობაში მას მიწოდების ხელშეკრულებიდან გამომდინარე თანხის მოთხოვნის არც ფაქტობრივი და არც სამართლებრივი საფუძველი არ ჰქონდა. ხოლო მას შემდეგ, რაც გაბათილდა კრედიტორის საკუთრების უფლება უზრუნველყოფის საგანზე, მოსარჩელეს წარმოეშვა მოვალისთვის სესხის დაბრუნების მოთხოვნის უფლება.

46. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო იზიარებს საკასაციო პრეტენზიას სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის ათვლასთან დაკავშირებით და მიიჩნევს, რომ მისი ათვლა უნდა დაიწყოს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 9 ივნისის გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან. სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სახელშეკრულებო მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა შეადგენს სამ წელს. მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ მოსარჩელემ თავისი დარღვეული უფლების შესახებ შეიტყო ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 9 ივნისის გადაწყვეტილებით, ხოლო სარჩელი მიწოდების ხელშეკრულების დარღვევიდან გამომდინარე თანხის ანაზღაურების მოთხოვნით სასამართლოში წარადგინა 2015 წლის 7 მაისს, რაც მისი მოთხოვნის ხანდაზმულად მიჩნევის შესაძლებლობას გამორიცხავს.

47. საკასაციო პალატა დამატებით აღნიშნავს, რომ სასამართლოს ზემოაღნიშნული მსჯელობა ხანდაზმულობის საკითხზე სრულ შესაბამისობაშია უზენაესი სასამართლოს მიერ მსგავს საქმეებზე დადგენილ პრაქტიკასთან (იხ. სუსგ №45-44-2014, 23 თებერვალი, 2015 წელი).

48. რაც შეეხება სააპელაციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილებაში პრაქტიკის სახით მითითებულ უზენაესი სასამართლოს განჩინებას საქმეზე №ას-547-515-2012 (11 ივნისი, 2012 წელი), რომელსაც იგი დაეყრდნო ხანდაზმულობის საკითხის გადაწყვეტისას, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ საქმეში ასახული ფაქტობრივი გარემოებები და მათი სამართლებრივი შეფასება არსებითად განსხვავდება წინამდებარე დავის გარემოებებისგან. კერძოდ, დადგენილია, რომ მითითებულ საქმეში მოსარჩელე ითხოვდა წარდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულების ვადის დარღვევის გამო მოპასუხისთვის (საკასაციო საჩივრის ავტორი) პირგასამტეხლოს დაკისრებას, მოპასუხე კი მიუთითებდა სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობაზე. უზენაესმა სასამართლომ დააკმაყოფილა მოპასუხის საკასაციო საჩივარი და დაასკვნა, რომ სასარჩელო მოთხოვნა იყო ხანდაზმული. საკითხის შეფასებისას სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი გარემოებები: მხარეთა შორის გაფორმდა წარდო-

ბის ხელშეკრულება, რომლის შესრულების ბოლო ვადად განისაზღვრა 2006 წლის 25 დეკემბერი; ხელშეკრულებით ასევე განისაზღვრა ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში პირგასამტეხლოს გადახდა; ვალდებულება შესრულდა დაგვიანებით; 2009 წლის 28 დეკემბერს საქართველოს კონტროლის პალატის მიერ გაიცა ადმინისტრაციული აქტი, რომლითაც განისაზღვრა მოსარჩელის ვალდებულება საჯარიმო სანქციის სახით პირგასამტეხლოს ანაზღაურების შესახებ; აღნიშნული ვალდებულება მოპასუხის მიერ არ შესრულებულა.

49. საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება იმის თაობაზე, რომ მოსარჩელემ უფლების დარღვევის თაობაზე შეიტყო საქართველოს კონტროლის პალატის მიერ საჯარიმო სანქციის სახით მისთვის პირგასამტეხლოს დაკისრების შესახებ აქტის შედგენის დღიდან და მიიჩნია, რომ აღნიშნული აქტის შედგენის დროისთვის მოსარჩელისთვის უკვე ცნობილი უნდა ყოფილიყო სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევის ფაქტის თაობაზე. საკასაციო პალატამ დაასკვნა, რომ მოსარჩელემ დარღვეული უფლების თაობაზე შეიტყო მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებული ვადის გასვლისთანავე, რადგანაც ამ დროისთვის შემკვეთს მენარდისგან შეთანხმებული შესრულება მიღებული ობიექტურად არ ჰქონდა. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლომ სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის დასაწყისად მიიჩნია ხელშეკრულების შესრულების ბოლო დღე – 2006 წლის 25 დეკემბერი.

50. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ მითითებულ საქმეში მოცემული გარემოებები არსებითად განსხვავდება წინამდებარე დავისაგან, სადაც ხანდაზმულობის საკითხის სწორად გადაჭრისათვის მნიშვნელოვანია სწორედ კრედიტორის მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალების არსებობის ფაქტი, რაც უზრუნველყოფილი მოთხოვნის გარანტიას წარმოადგენს და მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში იკავებს ვალდებულების შესრულების ადგილს. სააპელაციო სასამართლოს მიერ მითითებულ საქმეში კი მსგავსი გარემოებები არ იკვეთებოდა, რამაც განაპირობა კიდევ წარდგენილი მოთხოვნის ხანდაზმულად მიჩნევა.

51. ამრიგად, იმ პირობებში, როდესაც საკასაციო სასამართლო გამორიცხავს სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობას, იგი არსებითად ამონმებს საქმის ფაქტობრივი გარემოებების დადგენისა და მათი სამართლებრივი შეფასების მართებულობას.

52. მოცემულ შემთხვევაში ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 9 ივნისის კანონ-

ნიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილია, რომ მოპასუხისათვის თხილის მიწოდების ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავალიანება შეადგენს 150 000 აშშ დოლარს. ამასთან, დადგენილია, რომ აღნიშნული თანხის მოსარჩელისთვის გადახდის დამადასტურებელი მტკიცებულება საქმეში წარმოდგენილი არ არის.

53. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები.

54. ამავე კოდექსის 105-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს სასამართლო სხდომაზე მათს ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ.

55. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სახელშეკრულებო ურთიერთობებიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულების მოთხოვნით წარდგენილ სარჩელებში მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს ხელშეკრულების არსებობის ფაქტი და ის გარემოება, რომ დადგა ვალდებულების შესრულების დრო, ხოლო მოპასუხის მტკიცების ტვირთს საწინააღმდეგოს დადასტურება წარმოადგენს.

56. მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ მხარეთა შორის არსებობდა მიწოდების ხელშეკრულება. შესაბამისად, ამ ურთიერთობის შეფასებისას გამოყენებული უნდა იქნას მოცემულ ურთიერთობასთან შინაარსობრივად ყველაზე ახლოს მდგომი მატერიალური ნორმა – სამოქალაქო კოდექსის 477-ე მუხლი, რომლის შესაბამისად, ნასყიდობის ხელშეკრულებით გამყიდველი მოვალეა გადასცეს მყიდველს საკუთრების უფლება ქონებაზე, მასთან დაკავშირებული საბუთები და მიაწოდოს საქონელი, ხოლო მყიდველი მოვალეა გადაუხადოს გამყიდველს შეთანხმებული ფასი და მიიღოს ნაყიდი ქონება.

57. განსახილველ დავაში დადგენილია, რომ მოსარჩელემ მოპასუხეს მიაწოდა პროდუქცია – თხილი, რომლის ექსპორტი განხორციელდა იტალიაში, თუმცა მოპასუხის მიერ უცხოელი პარტნიო-

რებისაგან პროდუქციის ღირებულების ამოღება ვერ მოხდა, რის გამოც მოპასუხეს მოსარჩელის მიმართ წარმოეშვა დავალიანება 150 000 აშშ დოლარი; აღნიშნული თანხა მოპასუხეს დღემდე არ გადაუხდია. შესაბამისად, არსებობს ვალდებულების შესრულების მოთხოვნით წარდგენილი სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი.

58. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველები.

59. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ სააპელაციო პალატის მიერ მართებულად არის დადგენილი საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები, საკასაციო საჩივარი კი მხოლოდ სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის შესახებ გადაწყვეტილების სამართლებრივ დასაბუთებას ემყარება, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია თავად მიიღოს საქმეზე გადაწყვეტილება.

60. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა მიიჩნევს, რომ ნ. ხ-ას საკასაციო საჩივარი საფუძვლიანია და სრულად უნდა დაკმაყოფილდეს.

61. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ, მაშინ მოსარჩელეს ამ მუხლში აღნიშნული თანხა მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რაც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნათა იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა. ამავე ნორმის მე-2 და მე-3 ნაწილებით კი დადგენილია, რომ ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება აგრეთვე სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

62. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო პალატის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა რა სასარჩელო მოთხოვნა, საკასაციო სა-

სამართლო მიიჩნევს, რომ მოპასუხეს შპს „კ-ს“ მოსარჩელე ნ. ხ-ას სასარგებლოდ უნდა დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ სარჩელსა და საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – სულ 9000 ლარის ანაზღაურება, ხოლო კასატორის მიერ საკასაციო საჩივარზე წინასწარ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი უნდა დარჩეს სახელმწიფო ბიუჯეტში.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. ნ. ხ-ას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 23 დეკემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება;
3. ნ. ხ-ას სარჩელი დაკმაყოფილდეს;
4. შპს „კ“-ს ნ. ხ-ას სასარგებლოდ დაეკისროს 150 000 (ას ორმოცდაათი ათასი) აშშ დოლარის (გადახდის დღისთვის ეროვნულ ვალუტაში შესაბამისი კურსით) გადახდა;
5. მოპასუხე შპს „კ“-ს (ს/კ: ...) დაეკისროს ნ. ხ-ას (პ/ნ: ...) სასარგებლოდ მის მიერ პირველი ინსტანციისა და საკასაციო ინსტანციის სასამართლოში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 9000 (ცხრა ათასი) ლარის გადახდა;
6. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სანდაზმულობის ვადის დაწყება;
ვალდებულებების უფლება სანდაზმულობის ვადის
გასვლისას

გადაწყვეტილება
საქართველოს სახელმწიფო

№ას-1437-1357-2017

11 მაისი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა
შემადგენლობა: ბ. ალავეძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ე. გასიტაშვილი,
ზ. ძლიერიშვილი

დავის საგანი: ნასყიდობის საფასურის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. მოსარჩელის მოთხოვნა და სარჩელის ფაქტობრივი საფუძვლები:

1.1. შპს „ა-მა“ (შემდგომში – მოსარჩელე, მონინალმდეგე მხარე, გამყიდველი ან კრედიტორი) სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს „G-ის“ (ყოფილი შპს „ვ.“, შემდგომში – მოპასუხე, აპელანტი, კასატორი, მყიდველი ან მოვალე) მიმართ და მოითხოვა ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავალიანების – 5 590 ლარის მოპასუხისათვის დაკისრება.

1.2. სარჩელი ემყარება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს: 2011 წლის მაისში მხარეთა შორის დაიდო ზეპირი ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზე მოსარჩელემ მოპასუხეს მიაწოდა 15 590 ლარის ღირებულების პროდუქცია. მიწოდებული საქონლის ღირებულებიდან ნაწილი – 10 000 ლარი მყიდველმა გადაიხადა 2012 წლის 29 თებერვალს, დარჩენილი თანხა – 5 590 ლარი კი, არ გადაუხდია, რის გამოც მოსარჩელე მოითხოვს დარჩენილი თანხის მოპასუხისათვის დაკისრებას.

2. მოპასუხის პოზიცია:

მოპასუხემ სარჩელის წინააღმდეგ წარადგინა მოთხოვნის გამომრიცხველი/განხორციელების შემაფერხებელი შესაგებელი და განმარტა, რომ 2011 წლის 12 მაისის ხელშეკრულების საფუძველზე გამყიდველს მისთვის პროდუქცია არ მიუწოდებია, შესაბამისად, არანაირი ვალდებულება ამ უკანასკნელის მიმართ არ გააჩნია. თუ სასაქონლო ზედნადების საფუძველზე სასამართლო სა-

ქონლის მიწოდებას დადასტურებულად ჩათვლის, სარჩელი მაინც არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხანდაზმულობის გამო, რადგან 2011 წლის 12 მაისიდან სარჩელის სასამართლოში აღძვრამდე გასულია 3 წელზე მეტი. რაც შეეხება 2012 წლის 29 თებერვალს თანხის ნაწილის გადახდის ფაქტს, მოპასუხის მითითებით, ასეთს ადგილი არ ჰქონია.

3. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 30 მარტის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 5 590 ლარის გადახდა.

4. აპელანტის მოთხოვნა:

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

5. გასაჩივრებული განჩინების სარეზოლუციო ნაწილი:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 10 ოქტომბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო, გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

6. კასატორის მოთხოვნა:

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა აპელანტმა მოითხოვა მისი, ასევე, მტკიცებულების დასამუშავებლად ცნობის შესახებ ამავე სასამართლოს 2017 წლის 10 ოქტომბრის განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთებულობა, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ იგი საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

1. გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და ახალი გადაწყვეტილების მიღების ფაქტობრივი დასაბუთება:

1.1. საკასაციო განაცხადის მოცულობა:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე (საკასაციო სასამართლო ამონმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. საკასაციო სასამართლოს არ შეუძლია თავისი ინიციატივით შეამონმოს საპროცესო დარღვევები, გარდა 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტებისა), საკასაციო პრეტენზიათა ფარ-

გლებში პალატის მსჯელობის საგანი იქნება კასატორის იმ პრეტენზიათა საფუძვლიანობა, რომლებიც შეეხება, როგორც ვალდებულების არსებობის ფაქტს, ისე – ხანდაზმულობის ვადაში მოთხოვნის წარდგენას და ამ მიზნით საქმეში არსებული მტკიცებულებების დასაშვებობა-შემონმების კანონიერებას.

1.2. გასაჩივრებული განჩინებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მათი სავალდებულობა წინამდებარე გადანყვეტილების მიმართ:

წინამდებარე გადანყვეტილების მიმართ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული (სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება)) სავალდებულო ძალა გააჩნია სააპელაციო პალატის მიერ დადგენილ იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომელთა წინააღმდეგაც კასატორს არ მიუთითებია პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც შესაძლოა, დაშვებული იყო საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება, კერძოდ:

1.2.1. 2011 წლის 12 მაისს მხარეთა შორის დაიდო ზეპირი ნასყიდობის ხელშეკრულება 15 590 ლარის პროდუქციის მიღების თაობაზე და გამყიდველმა მყიდველს მიანოდა ნასყიდობის საგანი (მხარეთა შორის ნასყიდობის სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის დასტურად მოსარჩელის მიერ წარმოდგენილია 12.05.2011წ. შედგენილი №63 სასაქონლო ზედნადები, რომელიც შეიცავს შემდეგ რეკვიზიტებს: გამყიდველი – შპს „ა.“; მყიდველი – შპს „ვ.“; საქონლის დასახელება, საქონლის რაოდენობა, საქონლის ღირებულება – 15 590 ლარი. ზედნადებს ხელს აწერს შპს „ვ-ს“ წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი – დირექტორი ბ.ს-ი. შპს „ვ-ის“ 07.06.2012წ. კრების ოქმით დასტურდება, რომ საზოგადოებას შეეცვალა საფირმო სახელწოდება და ახალ სახელწოდებად განისაზღვრა შპს „G.“. ამავე კრების ოქმით ბ. ს-მა მისი კუთვნილი 50% წილი საზოგადოებაში დაუთმო ო. მ-ას, ბ. ს-ი გათავისუფლდა დირექტორის თანამდებობიდან და დაინიშნა ახალი დირექტორი, შესაბამისად, სასაქონლო ზედნადების შედგენის მომენტში მყიდველის (მიმღების) ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლებამოსილების მქონე პირმა – დირექტორმა საქონლის შესყიდვის ნება გამოავლინა, აღნიშნული ზედნადებით ასევე დასტურდება მყიდველისათვის საქონლის მიწოდების ფაქტი. სანააღმდეგოს დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება საქმეში წარმოდ-

გენილი არ არის);

1.2.2. მოპასუხეს, როგორც შემძენს მოსარჩელისათვის არ გადაუხდია 5 590 ლარი;

1.2.3. გამყიდველმა 5 590 ლარის დაკისრების თაობაზე სარჩელით სასამართლოს პირველად 2014 წლის 13 ივნისს მიმართა. ამ სარჩელზე წარმოება დასრულდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 20 ოქტომბრის განჩინებით, რომლითაც საბოლოოდ სარჩელი დარჩა განუხილველად არაგანსჯადი სასამართლოსათვის მიმართვის გამო. იგივე სარჩელი სასამართლოს ხელშეწყობით წარედგინა 2015 წლის 18 დეკემბერს, რომელიც არ იქნა მიღებული წარმოებაში უკვე სიღნაღის რაიონული სასამართლოს მიერ კვლავ არაგანსჯადი სასამართლოსათვის მიმართვის საფუძველით. მესამედ სარჩელი 2015 წლის 29 დეკემბერს წარედგინა გურჯაანის რაიონულ სასამართლოს, რომელმაც განიხილა არსებითად და მასზე მიღებული გადაწყვეტილება წინამდებარე საქმეშია გასაჩივრებული (იხ. სკ-ის 138-ე და 140-ე მუხლები).

1.3. საკასაციო განხილვის ფარგლები (საკასაციო საჩივრის საფუძველები):

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის თანახმად, საკასაციო საჩივარი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ გადაწყვეტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი. სამართლის მიზნებისათვის კანონდარღვევად განიხილება სასამართლოს მიერ მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმის არასწორი მოძიება ან მისი არასწორი გამოყენება ან/და განმარტება. საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება, გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი. თავის მხრივ, განსახილველი ნორმიდან გამომდინარეობს ის დასკვნაც, რომ საკასაციო საჩივრის წარმატებას თავად კასატორის მიერ ზემოხსენებულ საფუძველებზე მითითება და ამ გზით საკასაციო შედავებათა დასაბუთება განაპირობებს. კასატორი არ ეთანხმება გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებას და მიიჩნევს, რომ იგი მიღებულია საპროცესო სამართლის ნორმათა დარღვევით, რასაც შედეგად მისთვის თანხის არასწორად დაკისრება მოჰყვა, კერძოდ, საკასაციო საჩივრის თანახმად:

1.3.1. სააპელაციო სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4, მე-5, 102-ე, 104-ე, 105-ე და 107-ე მუხლები, არასრულყოფილად გამოიკვლია საქმის ფაქტობრივი გარემოებები და არასწორად შეაფასა მტკიცებულებები. გასაჩივრებული განჩინება ეწინააღმდეგება საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკას (№ას-527-503-2016);

1.3.2. წინამდებარე სარჩელი ხანდაზმულია, თანახმად სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის პირველი ნაწილისა. მოსარჩელის მტკიცების ტვირთს წარმოადგენდა იმის დადასტურება, რომ მოთხოვნა ხანდაზმულობის ვადაში იქნა წარდგენილი. სააპელაციო პალატამ კი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 380-ე მუხლის დარღვევით, 2017 წლის 10 ოქტომბრის განჩინებით ამ გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულება არასწორად დაურთო საქმეს, რადგანაც მოსარჩელეს სადავო დოკუმენტის წარდგენა შეეძლო პირველი ინსტანციის სასამართლოშიც. კასატორის მონინაალმდეგე მხარემ 2017 წლის 10 ოქტომბრის სხდომაზე, მას შემდეგ, რაც მოსმენილი იყო მხარეთა პოზიციები და დარჩენილი იყო მხოლოდ მტკიცებულებათა კვლევის ეტაპი, განაცხადა, რომ სწორედ საქმის განხილვის ამ ეტაპზე მიაჩნდა საჭიროდ სადავო მტკიცებულების წარდგენა;

1.3.3. სააპელაციო სასამართლომ არასწორად დაადგინა მოსარჩელის მიერ მოპასუხისათვის 15 590 ლარის ღირებულების საქონლის მიწოდების ფაქტი. ეს ფაქტი სასამართლომ არასწორად დაუკავშირა საქმეში წარმოდგენილ ზედნაძებს, ასევე არასწორია სასამართლოს მსჯელობა შემძენის მიერ მიწოდებული საგნის ღირებულებაზე – 10 000 ლარზე. ეს ფაქტი სასამართლომ დაამყარა შპს „ვ-ის“ ანგარიშის ამონაწერსა და სალარო აპარატიდან ამოღებულ „Z“ ანგარიშის ამონაწერს. სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ ანგარიშიდან ამონაწერი არის მონინაალმდეგე მხარის მიერ შედგენილი დოკუმენტი, მისი ნამდვილობა არც კასატორის ხელმოწერით და არც ზეპირი განმარტებით არ არის დადასტურებული, მან მხოლოდ სიტყვიერი განმარტება მისცა სასამართლოს, რომელსაც რაიმე ღირებულებითი ძალა არ აქვს. რაც შეეხება სალარო აპარატიდან ამოღებულ „Z“ ანგარიშის ამონაწერს, იგი სააპელაციო სასამართლოს, როგორც ახალი მტკიცებულება, არ უნდა დაემუქა. ამდენად, რადგანაც არ დასტურდება კასატორის მხრიდან 2012 წლის 29 თებერვლას თანხის გადახდის ფაქტი, სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს ხანდაზმულობის მოტივით, რადგანაც ვალდებულების წარმოშობიდან სარჩელის აღძვრამდე გასულია სამწლიანი ვადა.

1.4. საკასაციო სასამართლოს შეფასებები და სამართლებრივი დასკვნები:

1.4.1. საკასაციო პალატა იზიარებს კასატორის შედავებას სააპელაციო სასამართლოს მხრიდან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 380-ე მუხლის დარღვევის თაობაზე და მიიჩნევს, რომ სახეზეა გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული წინაპირობები (საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა მხოლოდ

მაშინ შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი):

1.4.2. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლოს განხილვის საგანი შეიძლება იყოს, აგრეთვე, სასამართლოს ის განჩინებები, რომლებიც წინ უსწრებს სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებას, იმისგან დამოუკიდებლად, დასაშვებია თუ არა მათ მიმართ კერძო საჩივრის შეტანა. მოცემულ შემთხვევაში, კასატორი არ ეთანხმება თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 10 ოქტომბრის განჩინებას, რომლითაც სასამართლომ დასაშვებად მიიჩნია მოსარჩელის მიერ წარდგენილი მტკიცებულება და საქმეს დაერთო სსიპ შემოსავლების სამსახურის მომსახურების დეპარტამენტის 2017 წლის 27 სექტემბრის პასუხი და მისი დანართი. ამ მტკიცებულების თანახმად, 2012 წლის 29 თებერვალს მოსარჩელის სალარო აპარატში გატარებულია თანხა 10 000 ლარი. ხსენებული დოკუმენტით გამყიდველს სურს, დაამტკიცოს მყიდველის მიერ ნასყიდობის საფასურის ნაწილის გადახდის ფაქტი, რაც სამოქალაქო კოდექსის 137-ე და 141-ე მუხლების შესაბამისად, სხვაგვარი შესრულების გზით ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტისა და ამ ვადის თავიდან ათვლის საფუძველია. მართალია, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 380-ე მუხლის პირველი ნაწილი დასაშვებად მიიჩნევს სააპელაციო სასამართლოში ახალი ფაქტებისა და მტკიცებულებების წარდგენის შესაძლებლობას, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ შეზღუდული აპელაციის პრინციპიდან გამომდინარე, ამგვარი საპროცესო მოქმედება საგამონაკლისოდ შეიძლება განხორციელდეს, კერძოდ, ამავე ნორმის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლო არ მიიღებს ახალ ფაქტებსა და მტკიცებულებებს, რომლებიც მხარეს შეეძლო, წარედგინა პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას, მაგრამ არასაპატიო მიზეზით არ წარადგინა. იმის შესამოწმებლად, თუ რამდენად სწორად გამოიყენა სასამართლომ ხსენებული ნორმა და არსებობდა თუ არა სადავო მტკიცებულების საქმისათვის დართვის საფუძველი საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის მომზადების ეტაპზე განვითარებულ მოვლენებზე: სარჩელის თანახმად, მოპასუხემ ნასყიდობის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება ნაწილობრივ შეასრულა 2012 წლის 29 თებერვალს. მოპასუხემ სარჩელის წინააღმდეგ წარადგინა იმგვარი შესაგებელი, რომელიც, დადასტურების შემთხვევაში, აფერხებს მის დაკმაყოფილებას, კერძოდ, მიუთითა მოთხოვნის ხანდაზმულობაზე და საქმის მომზადების ეტაპზე წა-

რადგინა სიღნაღის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 1 ივლისის გადაწყვეტილება (საქმე №2/130-16), რომლითაც სურდა მოსარჩელის მიერ წარდგენილი იმ მტკიცებულებების გაქარწყლება, რომელსაც გამყიდველი ვალდებულების ნაწილობრივ შესრულებას უკავშირებდა, ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ სარჩელზე დართული ე.წ. „სუპერფინის“ ამონაწერი შპს „ვ-ის“ ანგარიშიდან ჯერ კიდევ საქმის მომზადების ეტაპზე იქნა შედავებული მოპასუხის მხრიდან, ამ გარემოების გათვალისწინებით, საკასაციო პალატა იზიარებს კასატორის პოზიციას, რომ გამყიდველს სააპელაციო სასამართლოში წარდგენილი ე.წ. სალარო აპარატიდან ამოღებული „Z“ ანგარიშის ამონაწერი შეეძლო პირველი ინსტანციის სასამართლოში წარედგინა, რაიმე დამაჯერებელი მიზეზი, რომელიც ამ მტკიცებულების საპატიო მიზეზით საქმის მომზადების ეტაპზე წარდგენას გამორიცხავდა, გამყიდველს არც სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე მიუთითებია და არც საკასაციო შესაგებელში განუმარტავს სასამართლოსათვის. ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული საოქმო განჩინება უკანონოა და არსებობს მისი გაუქმების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393.3 მუხლით გათვალისწინებული წინაპირობები;

1.4.3. საკასაციო პალატა არ იზიარებს კასატორის პოზიციას მხარეთა შორის ნასყიდობის სამართლებრივი ურთიერთობის არარსებობის თაობაზე. ამ მხრივ სააპელაციო პალატამ მართებულად შეაფასა საქმეში წარმოდგენილი №63 სასაქონლო ზედდებული, რომელიც, საგადასახადო კოდექსის 136-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, საგადასახადო სფეროსათვის განკუთვნილი პირდაპირი მტკიცებულებაა, თუმცა, ამ მტკიცებულებას სამოქალაქო სამართალწარმოების ფარგლებში გარკვეული ღირებულებითი მნიშვნელობა გააჩნია. სასაქონლო ზედდებული საჯაროსამართლებრივი მიზნებიდან გამომდინარე, ადასტურებს ხელშეკრულების არსებით პირობებს (სკ-ის 327.1 მუხლის თანახმად, ხელშეკრულება დადებულად ითვლება, თუ მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდნენ საამისოდ გათვალისწინებული ფორმით), კერძოდ: შეიცავს ინფორმაციას გარიგების მხარეების, გარიგების საგნისა და ფასის შესახებ, ამავდროულად, საქმის მასალებით უდავოა ის გარემოებაც, რომ სასაქონლო ზედდებული ხელმოწერილია შემძენის უფლებამოსილი დირექტორის მიერ. ამ გარემოებათა ყოველმხრივი შეფასების შედეგად (სსსკ-ის 105-ე მუხლი), გასაზიარებელია მოსარჩელის პოზიცია იმის თაობაზე, რომ მხარეთა შორის არსებობდა ზეპირი ნასყიდობის ხელშეკრულება (სკ-ის 477-ე მუხლი), რომლის ფარგლებშიც მოსარჩელემ მოპასუხეს მიანოდა ზედდებულში მითითებული 15 590 ლარის ღირებულების საქონე-

ლი. ამასთანავე, არც სარჩელშია მითითებული და არც საქმის მასალებით დასტურდება მხარეთა შეთანხმება მიწოდებული საქონლის ღირებულების გადახდის წესზე, რის გამოც, პალატა მიიჩნევს, რომ სამოქალაქო კოდექსის 477-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად (მყიდველი მოვალეა გადაუხადოს გამყიდველს შეთანხმებული ფასი და მიიღოს ნაყიდი ქონება), მყიდველს საქონლის მიღებისთანავე – 2011 წლის 12 მაისს წარმოეშვა საზღაურის გადახდის ვალდებულება, ხოლო გამყიდველს ანაზღაურების მოთხოვნის უფლება.

1.4.4. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოვალის მხრიდან ვალდებულების შესრულების საკითხის შეფასებისას შესრულების მტკიცების ტვირთი არა მხოლოდ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლით, არამედ, სამოქალაქო კოდექსის 429-ე მუხლის ძალითაც ეკისრება მოვალეს, რომელმაც სასამართლოს უნდა წარუდგინოს შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტი, ამგვარი მტკიცებულება მოპასუხეს არ წარუდგენია, უფრო მეტიც, იგი ნაწილობრივ შესრულების ფაქტსაც არ აღიარებს და როგორც ზემოთ აღინიშნა, აპელირებს მოთხოვნის ხანდაზმულობაზე. მოცემულ შემთხვევაში ქვემდგომმა სასამართლოებმა დაადგინეს, რომ საზღაურის ნაწილი – 10 000 ლარი მოვალემ გადაიხდა 2012 წლის 29 დეკემბერს, რითაც აღიარა ვალდებულება (სკ-ის 137-ე მუხლი), შეწყდა მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის დენა და დაიწყო 2012 წლის 29 დეკემბრიდან (სკ-ის 141-ე მუხლი), თუმცა სასამართლოს ხსენებული დასკვნის წინააღმდეგ კასატორს დასაბუთებული შედაგება აქვს წარმოდგენილი, კერძოდ, სააპელაციო პალატის ზემოხსენებული დასკვნა (გარდა ამ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის 1.4.2. პუნქტში მითითებული გარემოებებისა) ემყარება საქმეში არსებულ ე.წ „სუპერფინის“ ამონაწერს, რომელიც შედაგებულია მოპასუხის მხრიდან. საკასაციო პალატა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის კონტექსტში აფასებს ხსენებულ მტკიცებულებას და მიიჩნევს, რომ იგი მოვალის მხრიდან ვალდებულების ნაწილობრივ შესრულებას არ ადასტურებს, დოკუმენტი იურიდიული სანდოობის თვალსაზრისით არ არის დადასტურებული რაიმე მაიდენტიფიცირებელი ნიშნით, არ აქვს რაიმე დამცავი ნიშანი და უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ან საიდენტიფიკაციო მონაცემი, არამედ, წარმოადგენს ე.წ „ვორდის ცხრილს“, რომლის შესრულებაც მარტივადაა შესაძლებელი ნებისმიერი საშუალო კომპიუტერული ცოდნის მქონე პირის მხრიდან (ამ მტკიცებულების შეფასების თაობაზე დამატებით იხ. სუსგ №ას-527-503-2016, 07.08.2016წ.), შესაბამისად, პალატა მას არასაკმარისად მიიჩნევს ვალდებულების ნაწილობრივ შესრულების დადასტურებისათვის,

ხოლო იმ პირობებში, როდესაც ვალდებული პირი უარყოფს შესრულებას, ნეგატიური მტკიცების ტვირთის მისთვის დაკისრების შესაძლებლობას გამორიცხავს პალატა.

1.4.5. როგორც არაერთხელ აღინიშნა, საპროცესო თავდაცვის საშუალებად მოპასუხემ ხანდაზმულობის ინსტიტუტი გამოიყენა. ზემოხსენებული გარემოებებისა და თავად ამ ინსტიტუტის პროცესუალური ბუნებიდან გამომდინარე, სწორედ მოსარჩელეს ეკისრება იმის დადასტურების ვალდებულება, რომ მოთხოვნა ამ ვადის დაცვითაა წარდგენილი. მოცემულ შემთხვევაში, უდავოა, რომ სარჩელი სახელშეკრულებო ვალდებულებიდან გამომდინარეობს, შესაბამისად, მის მიმართ ვრცელდება სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული 3-წლიანი ვადა. ხანდაზმულია თუ არა სარჩელი, უნდა გადაწყდეს მოთხოვნის წარმოშობის მომენტის სწორად განსაზღვრის გზით, რამდენადაც, ამავე კოდექსის 130-ე მუხლის თანახმად, ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ჩაითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ. ამ განჩინების სამოტივაციო ნაწილის 1.4.4. პუნქტში უკვე აღინიშნა, რომ მოსარჩელემ ვერ დაადასტურა 2012 წლის 29 თებერვალს მოვალის მხრიდან ვალდებულების ნაწილობრივ შესრულება, რის გამოც ხანდაზმულობის ვადის ათვლა თავიდან დაიწყებოდა, ასევე, აღინიშნა ის გარემოება, რომ მხარეთა შეთანხმება თანხის გადახდის რაიმე წესზე არ დასტურდება, შესაბამისად, სამოქალაქო კოდექსის 477-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე ივარაუდება, რომ კრედიტორს მოთხოვნის უფლება წარმოეშვა საქონლის მიწოდებისას – 2011 წლის 12 მაისს, მან კი სარჩელი სასამართლოში პირველად 2014 წლის 13 ივნისს, მოთხოვნის 3-წლიანი ვადის დარღვევით აღძრა.

1.5. ახალი გადაწყვეტილების მიღების პროცესუალურ-სამართლებრივი დასაბუთება:

1.5.1. ზემოხსენებული გარემოებებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის შესაბამისად, აუქმებს გასაჩივრებულ განჩინებას და მიიჩნევს, რომ ამავე კოდექსის 411-ე მუხლის შესაბამისად (საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველები), უფლებამოსილია, თავად გადაწყვიტოს დავა: იმ პირობებში, როდესაც დასტურდება გამყიდველის მხრიდან სახელშეკრულებო ვადის დარღვევით სარჩელის აღძვრის ფაქტი, პალატა საფუძველიანად მიიჩ-

ნევეს მყიდველის პოზიციას საზღაურის დაკისრებაზე უარის თქმის თაობაზე, რამდენადაც, სამოქალაქო კოდექსის 144-ე მუხლი პირველი ნაწილის თანახმად, ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ ვალდებული პირი უფლებამოსილია უარი თქვას მოქმედების შესრულებაზე.

2. საკასაციო სასამართლოში წარმოდგენილი მტკიცებულებები:

2.1. საკასაციო შესაგებელს კასატორის მონინააღმდეგე მხარემ დაურთო სანოტარო წესით დამონმებული ბ.ს-ის ხელწერილი. პალატა არ იზიარებს ხსენებულ შუამდგომლობას და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 104.1 მუხლის შესაბამისად (სასამართლო არ მიიღებს, არ გამოითხოვს ან საქმიდან ამოიღებს მტკიცებულებებს, რომლებსაც საქმისათვის მნიშვნელობა არა აქვთ), მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი მტკიცებულება უნდა დაუბრუნდეს გამყიდველს, რამდენადაც ამავე კოდექსის 407.1 მუხლიდან გამომდინარე (საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები), საკასაციო სასამართლოს არ გააჩნია უფლებამოსილება, მიიღოს და შეფასება მისცეს ახალ მტკიცებულებებს, არამედ, იგი შემოიფარგლება საქმეში არსებული დოკუმენტებისა და მხარეთა ახსნა-განმარტებების შემოწმებით, ამდენად, პალატა ასკვნის, რომ არ არსებობს მტკიცებულების საქმისათვის დართვის საფუძველი, რის გამოც, იგი უნდა დაუბრუნდეს მის წარმომდგენს.

3. სასამართლო ხარჯები:

ვინაიდან საკასაციო პალატის წინამდებარე გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა კრედიტორის სარჩელი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის თანახმად (იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება აგრეთვე სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც), პალატა მიიჩნევს, რომ შპს „ა-ს“ შპს „G-ის“ სასარგებლოდ უნდა დააკისროს ამ უკანასკნელის მიერ სააპელაციო და საკასაციო საჩივ-

რებზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 524 ლარის გადახდა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სა-
მოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 104-ე, 404-ე, 407-ე, 411-ე
მუხლებით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:

1. შპს „G-ის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 10 ოქტომბრის განჩინება, ასევე, ახალი მტკიცებულების მიღების თაობაზე ამავე სასამართლოს 2017 წლის 10 ოქტომბრის საოქმო განჩინება და მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება.
3. შპს „ა-ის“ სარჩელი შპს „G-ის“ მიმართ ნასყიდობის საფასურის დაკისრების თაობაზე არ დაკმაყოფილდეს.
4. შპს „ა-ს“ (ს/კ №2-...) შპს „G-ის“ (ს/კ №2-...) სასარგებლოდ და-
ეკისროს ამ უკანასკნელის მიერ სააპელაციო და საკასაციო საჩივ-
რებზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 524 ლარის გადახდა.
5. შპს „ა-ს“ დაუბრუნდეს საკასაციო პასუხზე დართული სანო-
ტარო წესით დამონმებული ბ.ს-ის ხელწერილი 2 (ორი) ფურცლად.
6. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ
გასაჩივრდება.

სანდაზმულობის ვადის შეწყვეტა

ბანკინება საქართველოს სახელით

№ას-1543-1463-2017

18 მაისი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ე. გასიტაშვილი,
ზ. ძლიერიშვილი

დავის საგანი: თანხის დაკისრება, იპოთეკის საგნის/მოვალის
სხვა ქონების რეალიზაცია

აღწერილობითი ნაწილი:

**1. მოსარჩელის მოთხოვნა და სარჩელის ფაქტობრივი საფუძ-
ვლები:**

1.1. სს „თ-მა“ (შემდგომში – მოსარჩელე, აპელანტი, კასატორი, გამსესხებელი ან კრედიტორი) სარჩელი აღძრა სასამართლოში შ. ზ-ის (შემდგომში – მოპასუხე, მონინააღმდეგე მხარე, მსესხებელი ან მოვალე) მიმართ და მოითხოვა მოვალისათვის საბანკო კრედიტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავალიანების 9 547,72 აშშ დოლარის (საიდანაც ძირ თანხას წარმოადგენს 4 500,37 აშშ დოლარი, სარგებელს – 3 105 აშშ დოლარი (2013 წლის 3 იანვრიდან 2017 წლის 3 აპრილის ჩათვლით ძირი თანხის – 4 500,37 აშშ დოლარის წლიური 18%-ის დარიცხვით), პირგასამტეხლოს – 1 863 აშშ დოლარი, დაზღვევას – 79,35 აშშ დოლარი), 2017 წლის 4 აპრილიდან (დავალიანების შესახებ ცნობის გაცემიდან) თანხის სრულად დაფარვამდე წლიური 18%-ისა (სესხის ძირი თანხის – 4 500,37 აშშ დოლარის, რაც ყოვეთვიურად 57,50 აშშ დოლარს შეადგენს) და პირგასამტეხლოს (2017 წლის 4 აპრილიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე ყოველდღიურად ძირი თანხის დავალიანების 0,03%-ის, რაც დღეში 1,35 შშ დოლარს შეადგენს) დაკისრება, ასევე, დავალიანების დაფარვის მიზნით იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების (ქ. ბათუმში, კ. გ-იას ქ№40-ში მდებარე №05...შემდგომში – იპოთეკის საგანი) რეალიზაცია, ხოლო, თუკი იპოთეკის საგნის რეალიზაციით ამონაგები თანხა არ აღმოჩნდება საკმარისი ვალდებულების შესასრულებლად, კრედიტორმა ასევე მოითხოვა ზღვევინების მიქცევა მოვალის სხვა ქონებაზეც.

1.2. სარჩელი ემყარება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს: 2008

წლის 21 აპრილს მხარეთა შორის დაიდო საკრედიტო პროდუქტებით მომსახურების ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც 2008 წლის 23 აპრილს დაიდო საბანკო კრედიტის ხელშეკრულებაც და მოპასუხებზე გაიცა სესხი 18 000 აშშ დოლარი წლიური 18%-იანი სარგებლის დარიცხვით. საბანკო კრედიტის მოქმედების ვადა განისაზღვრა 72 თვით (2014 წლის 3 მაისამდე). კრედიტის დაბრუნება უნდა წარმოებულიყო ყოველთვიურად, თვის 3 რიცხვში ხელშეკრულებაზე დართული გრაფიკის შესაბამისად, ამასთანავე მხარეები წერილობით შეთანხმდნენ პირგასამტეხლოს გადახდის წესზე (ერთჯერადად 10 აშშ დოლარი და ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 0,5%-ის ოდენობით). ხელშეკრულების დამატებით პირობად განისაზღვრა მსესხებლის სიცოცხლის დაზღვევა კრედიტის ხანგრძლივობით. საბანკო კრედიტის უზრუნველსაყოფად მხარეთა შორის 2018 წლის 21 აპრილს გაფორმდა იპოთეკის ხელშეკრულება და კრედიტორის სასარგებლოდ, იპოთეკით დაიტვირთა მსესხებლის კუთვნილი უძრავი ნივთი. მსესხებელმა დაარღვია კრედიტის გადახდის ვალდებულება და არაერთი გაფრთხილების მიუხედავად არ აბრუნებს თანხას.

2. მოპასუხის პოზიცია:

მოთხოვნის განხორციელების შემაფერხებელი შესაგებლით მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ მან ვალდებულება 2008 წლის დეკემბრიდან დაარღვია, შესაბამისად, გამსესხებელს მოთხოვნის უფლება სწორედ 2008 წლის დეკემბრიდან წარმოემვა, რაც შეეხება იპოთეკას, იგი გაფორმებულია არა სადავო კრედიტის, არამედ, მოსარჩელსა და შპს „ა-ს“ შორის არსებული ვალდებულების ფარგლებში. ვინაიდან ვალდებულება 2008 წლის დეკემბერში დაირღვა, 2009 წლის იანვრიდან ბანკმა შეწყვიტა ხელშეკრულება და ამ დროიდან გასულია მოთხოვნის სამწლიანი ხანდაზმულობის ვადა. რაიმე გაფრთხილება მოპასუხეს კრედიტორისაგან არ მიუღია, შესაბამისად, გასულია, როგორც ძირი თანხის, ისე – პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულების მოთხოვნის სამწლიანი ვადა. გარდა ამისა, სარჩელის დაკმაყოფილებას გამორიცხავს სამოქალაქო კოდექსის 415-ე მუხლი, რადგანაც ზიანის დადგომაში კრედიტორსაც მიუძღვის ბრალი: ვალდებულების დარღვევიდან გასულია შვიდი წელი და ექვსი თვე, ასეთ შემთხვევაში, გამსესხებელი ვალდებულია წარადგინოს შესაბამისი მტკიცებულება, რომელიც მისი მხრიდან მოთხოვნას ადასტურებს.

3. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 17 მაისის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

4. აპელანტის მოთხოვნა:

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა.

5. გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და ახალი გადაწყვეტილებით კრედიტორის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მსესხებელს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 1 673,72 აშშ დოლარის, 2017 წლის 4 აპრილიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე ამ თანხის წლიური 10%-ის, ასევე პირგასამტეხლოს, 2017 წლის 4 აპრილიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე ყოველდღიურად 1 673,72 აშშ დოლარის 0,03%-ის გადახდა. გადაწყვეტილების ნებაყოფლობით აღუსრულებლობის შემთხვევაში დადგინდა იპოთეკის საგნის რეალიზაცია, ხოლო, თუკი იპოთეკის საგნის რეალიზაციით მიღებული თანხა არ აღმოჩნდება საკმარისი ვალდებულების სრულად შესასრულებლად, განისაზღვრა მოვალის სხვა ქონების რეალიზაცია.

6. კასატორის მოთხოვნა:

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა აპელანტმა, მოითხოვა მისი ნაწილობრივ გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მოპასუხისათვის დამატებით 7 874 აშშ დოლარის დაკისრება (საიდანაც ძირი თანხის დავალიანებას წარმოადგენს 2 908,53 აშშ დოლარი, სარგებლის დავალიანებას – 3 045,68 აშშ დოლარი, პირგასამტეხლოს – 1 863 აშშ დოლარი, ხოლო დაზღვევას – 56,79 აშშ დოლარი).

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთებულობა, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ იგი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

1. გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმებისა და საქმის იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნების ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება:

1.1. საკასაციო განაცხადის მოცულობა და საკასაციო განხილვის ფაქტობრივი საფუძვლები (კასატორის პრეტენზიები):

სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების თაობაზე სააპელაციო პალატის მიერ მიღებული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგ მოვალეს საკასაციო საჩივარი არ წარმოუდგენია, რის გამოც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 264-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დაკმაყოფილებულ ნაწილში გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში და ამავე კოდექსის 266-ე მუხლის შესაბამისად, მასზე მხარეები პრეტენზიას ვერ განაცხადებენ. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე (საკასაციო სასამართლო ამონმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. საკასაციო სასამართლოს არ შეუძლია თავისი ინიციატივით შეამონმოს საპროცესო დარღვევები, გარდა 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტებისა), გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერებას პალატა სწორედ კასატორის პრეტენზიის ფარგლებში შეამონმებს. თავად საკასაციო საჩივრის შესწავლით დასტურდება, რომ კრედიტორი ძირითადად არ ეთანხმება გადაწყვეტილების დასაბუთებას მოთხოვნის ხანდაზმულობის ნაწილში, რამაც მისი აზრით, როგორც დავალიანების ძირი თანხის, ისე – სარგებლის, პირგასამტეხლოსა და დაზღვევის თანხის ოდენობის არასწორად განსაზღვრა გამოიწვია. საკასაციო საჩივრის თანახმად:

1.1.1. სასამართლოს მხრიდან დადგენილია, რომ სარჩელი თავდაპირველად 2016 წლის 28 ივლისის განჩინებით დარჩა განუხილველად. თუკი განუხილველად დატოვების თარიღი მის კანონიერ ძალაში შესვლის თარიღად იქნება მიჩნეული, სარჩელის განმეორებით 2017 წლის 28 იანვარს აღძვრის შემთხვევაში, ხანდაზმულობა თავდაპირველი სარჩელის აღძვრიდან იქნებოდა შეწყვეტილი, თანახმად სამოქალაქო კოდექსის 140-ე მუხლისა (2017 წლის 28 იანვარი იყო არასამუშაო დღე – შაბათი, საქმეში წარმოდგენილი საფოსტო ქვითრით ირკვევა, რომ კრედიტორმა სარჩელი ფოსტას მომდევნო სამუშაო დღეს – 30 იანვარს ჩააბარა, ხოლო სასამართლოში წარდგენილ იქნა 2 თებერვალს, შესაბამისად, მოსარჩელემ დაიცვა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 61-ე მუხლის მოთხოვნა), შესაბამისად, სააპელაციო პალატის დასკვნა, რომ სარჩელი განმეორებით 2017 წლის 2 თებერვალს, თავდაპირველად აღძრული სარჩელის განუხილველად დატოვებიდან 6-თვიანი ვადის დარღვევითაა აღძრული, არასწორია. საქმეში არსებული საფოსტო ქვითრის შეფასებით დასტურდება, რომ ხანდაზმულობა შეწყდა 2016 წლის 24 მაისიდან და არახანდაზმული მოთხოვნაც ამ თარიღიდან წინა სამი წლის დავალიანებაა;

1.1.2. სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სამო-

ქალაქო კოდექსის 403-ე მუხლი, რადგანაც საქმეში არსებული საკრედიტო პროდუქტებით მომსახურების ხელშეკრულების 7.4. პუნქტი სწორედ ფაქტობრივი დავალიანებისათვის პროცენტის დარიცხვის საკითხს აწესებს. ამ საკითხის არასწორად შეფასების გამო, მცდარია სასამართლოს მსჯელობა, როგორც ხელშეკრულების ვადაში დასარიცხი არახანდაზმული მოთხოვნის შესაბამისი სარგებლის, ისე – ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდგომ გადასახდელი სარგებლის ოდენობის თაობაზე;

1.1.3. სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს შეუძლია შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო, რაც არ ნიშნავს მის საერთოდ გაუქმებას. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელე საკმაოდ ხანგრძლივი ვადის გათვალისწინებით, მოითხოვდა პირგასამტეხლოს სახით მხოლოდ 1 863 აშშ დოლარის მოპასუხისათვის დაკისრებას, რაც სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა, ხოლო დასარიცხი პირგასამტეხლო ვერ უზრუნველყოფს კრედიტორის დარღვეული უფლებების აღდგენასა და მიყენებული ზიანის კომპენსირებას.

1.2. ქვემდგომი სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მათი სავალდებულოა წინამდებარე განჩინების მიმართ:

საკასაციო სასამართლოს წინამდებარე განჩინების მიმართ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული (სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება)) სავალდებულო ძალა გააჩნია სააპელაციო პალატის მიერ დადგენილ იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომელთა წინააღმდეგაც კასატორს არ მიუთითებია პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც შესაძლოა დაშვებული იყო საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება, კერძოდ:

1.2.1. 2008 წლის 21 აპრილს მოპასუხემ მოსარჩელისაგან ისესხა 18 000 აშშ დოლარი. ხელშეკრულება დაიდო 72 თვის ვადით (2014 წლის 3 მაისამდე). სესხის სარგებლობისათვის მოვალეს უნდა გადაეხადა სარგებელი, წლიური 18%. მოპასუხეს სესხი უნდა დაეფარა პერიოდულად, ყოველი თვის 3 რიცხვში, შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად. ბოლოს უნდა გადაეხადა 2014 წლის 5 მარტს. ხელშეკრულების ვადის ამოწურვის შემდგომ პროცენტის გადახდაზე მხარეები არ შეთანხმებულან;

1.2.2. ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, მოვალეს უნდა გადაეხადა პირგასამტეხლო – 10 აშშ დოლარი და გადაცილებული თანხის 0,5% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;

1.2.3. სესხის უზრუნველსაყოფად, 2008 წლის 21 აპრილს მოვალემ იპოთეკით დატვირთა კუთვნილი უძრავი ქონება (ს/კ №05...);

1.2.4. მსესხებელმა ვალის დაფარვა შეწყვიტა 2008 წლის დეკემბრიდან;

1.2.5. კრედიტორმა ვალის დაბრუნების მოთხოვნით მსესხებლის მიმართ სარჩელი თავდაპირველად 2016 წლის 24 მაისს აღძრა, თუმცა, მოგვიანებით მან იგი გაიხმო და ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 28 ივლისის განჩინებით, სარჩელი დარჩა განუხილველად.

1.3. საკასაციო სასამართლოს შეფასებები და სამართლებრივი დასკვნები:

1.3.1. საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს კასატორის პრეტენზიას სააპელაციო პალატის მხრიდან მოთხოვნის ხანდაზმულობის საკითხის არასწორად გამოკვლევა-შეფასების თაობაზე და მიიჩნევს, რომ ამ ნაწილში მან დასაბუთებული პრეტენზია წარმოადგინა, რაც ქმნის გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ გაუქმების საფუძველს (საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი). პალატა ყურადღებას გაამახვილებს მხარეთა სახელშეკრულებო ურთიერთობაზე: უდავოა, რომ მოთხოვნა სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარეობს და დამფუძნებელ ნორმას სამოქალაქო კოდექსის 867-ე და 623-ე მუხლები წარმოადგენს. მხარეთა შეთანხმებით, სესხი უნდა დაბრუნებულიყო ნაწილ-ნაწილ, ყოველი თვის 3 რიცხვში ხელშეკრულებაზე დართული გრაფიკის შესაბამისად. ვალდებულების სრულად შესრულების ვადა იყო 2014 წლის 5 მარტი, ასევე დადგენილია, რომ მსესხებელმა თანხის გადახდა შეწყვიტა 2008 წლის დეკემბრიდან. თანხის დაკისრების შესახებ სარჩელის წინააღმდეგ მოვალის მხრიდან წარდგენილ იქნა არსებითი ხასიათის შედაგება, რომლის დადასტურებაც აფერხებს მოთხოვნას, კერძოდ, მან მიუთითა ხანდაზმულობაზე. მოცემულ შემთხვევაში, ქვემდგომმა სასამართლომ სწორად იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილით, რომლის თანახმადაც ხანდაზმულობის ვადა იმ მოთხოვნებისა, რომლებიც წარმოიშობა პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებებიდან, სამი წელია. დასახელებული ნორმიდან გამომდინარე, პერიოდულად შესასრულებელი ვალ-

დებულების ფარგლებში თითოეული შესრულების მიმართ კანონით განსაზღვრული სამწლიანი ვადა აითვლება ინდივიდუალურად, თუმცა, ხანდაზმულობის საკითხის სწორად განსაზღვრისათვის მნიშვნელოვანია დადგინდეს მოთხოვნის წარმოშობის და პრეტენზიის წარდგენის მომენტი. სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლის ძალით, მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ჩაითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ. განსახილველ შემთხვევაში, უდავოა, რომ კრედიტორმა მოთხოვნის წარმოშობის შესახებ შეიტყო ვალდებულების დარღვევისას – 2008 წლის დეკემბრიდან, თუმცა, შესაფასებელია თუ როდის წარადგინა მან პრეტენზია (აღძრა სარჩელი).

1.3.2. სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ კრედიტორმა სარჩელი თავდაპირველად 2016 წლის 24 მაისს აღძრა, თუმცა, მოგვიანებით მან იგი გაიხმო და ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 28 ივლისის განჩინებით სარჩელი დარჩა განუხილველად, პალატის შეფასებით, 2016 წლის 24 მაისს სასარჩელო ხანდაზმულობა არ შეწყვეტილა, რადგანაც მხარემ სარჩელი განმეორებით 2017 წლის 2 თებერვალს წარადგინა სასამართლოში (ხანდაზმულობის ვადის დენა წყდება, თუ უფლებამოსილი პირი შეიტანს სარჩელს მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად (სკ-ის 138-ე მუხლი). ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტა სარჩელის შეტანის საფუძველზე გრძელდება მანამ, სანამ ... პროცესი სხვაგვარად არ დასრულდება. თუ მხარეთა შეთანხმების შედეგად ან შემდგომი გაგრძელების შეუძლებლობის გამო პროცესი შეწყდება, მაშინ ხანდაზმულობის ვადის დენა შეწყდება მხარეთა ან სასამართლოს ბოლო საპროცესო მოქმედების დამთავრებასთან ერთად. თუ ერთ-ერთი მხარე პროცესს კვლავ განაგრძობს, შეწყვეტის შემდეგ დაწყებული ხანდაზმულობის ახალი ვადა ისევე შეწყდება, როგორც წყდება ხანდაზმულობის ვადის დენა სარჩელის შეტანით (სკ-ის 139-ე მუხლი). სარჩელის შეტანა ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტას არ გამოიწვევს, თუ ... სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით სარჩელი განუხილველად იქნება დატოვებული. თუ უფლებამოსილი პირი ექვსი თვის ვადაში შეიტანს ახალ სარჩელს, მაშინ ხანდაზმულობის ვადა შეწყვეტილად ითვლება პირველი სარჩელის შეტანის დროიდან (სკ-ის 140-ე მუხლი)). საკასაციო პალატა არ იზიარებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების ხსენებულ დასკვნას და მიიჩნევს, რომ მას საფუძველად არ უდევს საქმის მასალების სრულყოფილი გამოკვლევა (სსსკ-ის 105-ე მუხლი). ამ მხრივ გასაზიარებელია კასატორის პოზიცია, რომ სარჩელის განუხილველად დატოვებიდან ექვსი თვე იწურებოდა 2017 წლის 28 იანვარს, არასამუშაო დღეს – შაბათს, შესაბამისად, მას

მოქმედება შეეძლო განეხორციელებინა მომდევნო სამუშაო დღის – 2017 წლის 30 იანვრის ჩათვლით (სკ-ის 121-ე მუხლის თანახმად, კანონებში, სასამართლო გადაწყვეტილებებსა და გარიგებებში მითითებული ვადების მიმართ გამოიყენება ამ თავში გათვალისწინებული წესები. ამავე კოდექსის 127-ე მუხლის შესაბამისად კი, თუ ... ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს ან მოქმედების შესრულების ადგილას გამოცხადებულ სადღესასწაულო ანდა სხვა გამოსასვლელ დღეებს, მაშინ ამ დღის ნაცვლად გამოყენებულ უნდა იქნეს მომდევნო სამუშაო დღე). მართალია, საქმეში წარმოდგენილი სარჩელი სასამართლოში რეგისტრირებულია 2017 წლის 2 თებერვალს, თუმცა, სარჩელს ერთვის შპს „სკს“ ფოსტის შეტყობინების ბარათი, რომლის თანახმადაც კრედიტორმა სარჩელი ფოსტას ჩააბარა 2017 წლის 30 იანვარს. ამდენად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოთხოვნის ხანდაზმულობის საკითხისა და შესაბამისად, არახანდაზმული მოთხოვნის მოცულობის სწორად განსაზღვრისათვის საჭიროა მტკიცებულებათა დამატებით გამოკვლევა (დამატებით იხ. სუსგ №ას-898-860-2014, 9 ოქტომბერი, 2014 წელი).

1.3.3. პალატა არ იზიარებს კასატორის შედავებას ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდგომ პროცენტის დარიცხვის საკითხის არასწორად განსაზღვრის თაობაზე. სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ მხარეები ე.წ პროცენტის გადახდაზე არ შეთანხმებულან. ამ მხრივ გასაჩივრებული გადაწყვეტილება ემყარება სამოქალაქო კოდექსის 403-ე მუხლის სწორ განმარტებას და სრულად შეესაბამება საკასაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ერთგვაროვან პრაქტიკას. (მრავალთა შორის იხ. მაგ: სუსგ №ას-1701-1685-2011, 22 ოქტომბერი, 2012 წელი). პალატა უარყოფს კრედიტორის არგუმენტს, რომლის თანახმადაც საკრედიტო პროდუქტებით მომსახურების ხელშეკრულების 7.4. პუნქტის დათქმა (საპროცენტო განაკვეთი ერიცხება კლიენტის {მსესხებელი} ფაქტობრივ დავალიანებას ბანკის {გამსესხებელი} მიმართ და იანგარიშება სარგებლის ფაქტიური დღეების შესაბამისად 365 დღეზე გაანგარიშებით) სწორედ სამოქალაქო კოდექსის 403-ე მუხლით განსაზღვრულ რეგულაციაზე მხარეთა შეთანხმებას ადასტურებს. საკითხის სწორად გადაწყვეტის მიზნით პალატა მხედველობაში იღებს საკრედიტო პროდუქტებით მომსახურების ხელშეკრულების შინაარსს, რომლის 1.1. პუნქტით კრედიტორი ადასტურებს, რომ იგი განიხილავს მოვალის განცხადებას საკრედიტო პროდუქტებზე და გადაწყვეტს საკუთარი შეხედულებით, ამავე ხელშეკრულების 1.3. პუნქტის თანახმად, ეს ხელშეკრულება არ წარმოადგენს საკრედიტო პროდუქტის შეპირებას, ხოლო ხელშეკრულების მე-2 მუხლით შე-

თანხმებულია ხელშეკრულების ძირითადი პირობები: ხელშეკრულების თანხა; მოქმედების ვადა; სარგებლის მაქსიმალური ოდენობა (ნლიური ლიმიტი); პირგასამტეხლოს მაქსიმალური ოდენობა. ნიშანდობლივია, რომ ხელშეკრულების მე-4 მუხლის (საკრედიტო პროდუქტის მიღების წესი) 4.7. და 4.8. პუნქტების თანახმად, კრედიტორი უფლებამოსილია არ დააკმაყოფილოს კლიენტის განაცხადი საკრედიტო პროდუქტზე, ხოლო შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში, მხარეებს შორის უნდა გაფორმდეს შესაბამისი დამატებითი ხელშეკრულება, სადაც აისახება საკრედიტო პროდუქტებით სარგებლობის პირობები და მხარეთა უფლება-მოვალეობები. ამავე ხელშეკრულების მე-7 მუხლით განსაზღვრულია საპროცენტო განაკვეთები, მისი გადახდის წესი და 7.2. მუხლის თანახმად, კლიენტი ვალდებულია გადაიხადოს საპროცენტო სარგებელი ამ ხელშეკრულების ფარგლებში გაფორმებული დამატებითი ხელშეკრულებით განსაზღვრული ოდენობითა და პირობებით. მართალია ამავე მუხლის 7.4. პუნქტს ემყარება კასატორის პრეტენზია, თუმცა, ზემოხსენებული შეთანხმების ანალიზით საკასაციო სასამართლო მიდის დასკვნამდე, რომ 2008 წლის 21 აპრილის საკრედიტო პროდუქტებით მომსახურების შესახებ ხელშეკრულება წარმოადგენს არა სესხის ხელშეკრულებას (სკ-ის 327.1 მუხლის თანახმად, ხელშეკრულება დადებულიად ითვლება, თუ მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდნენ საამისოდ გათვალისწინებული ფორმით, ამასთანავე, სესხის ხელშეკრულების რეალური ბუნებიდან გამომდინარე (სკ-ის 623-ე მუხლი) მისი დადებულიად მიჩნევა დამოკიდებულია თანხის გადაცემაზე), არამედ, სესხის წინარე ხელშეკრულებას (სკ-ის 327.3 მუხლის თანახმად, ხელშეკრულებით შეიძლება წარმოიშვას მომავალი ხელშეკრულების დადების ვალდებულება. ხელშეკრულებისათვის გათვალისწინებული ფორმა ვრცელდება ასევე წინარე ხელშეკრულებაზედაც). საკასაციო პალატა განმარტავს, რომ წინარე ხელშეკრულება თავისი სამართლებრივი ბუნებით განსხვავდება ძირითადი გარიგებისაგან. წინარე ხელშეკრულების შინაარსი, როგორც წესი, გამომდინარეობს ძირითადი ხელშეკრულების საგნიდან, მაგრამ ყველა შემთხვევაში იგი უნდა შეიცავდეს ძირითადი ხელშეკრულების დადების ვალდებულებას, ამასთანავე, წინარე ხელშეკრულება უნდა განსაზღვრავდეს იმ წინაპირობებს, რომლებიც აუცილებელია ძირითადი ხელშეკრულების დასადებად, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი ბათილად ჩაითვლება. ამდენად, წინარე ხელშეკრულება კონტრაპირების იძულების სამართლებრივ ბერკეტს წარმოადგენს და მხარეებს წარმოუშობს მოთხოვნის უფლებას მომავალში ხელშეკრულების დადების თაობაზე და სავალდებულოა, თავად ამ წინარე

ხელშეკრულებიდან ირკვეოდეს მხარეთა არსებით პირობებზე შეთანხმების ფაქტი. რაც შეეხება ძირითად ხელშეკრულებას, დადგენილია, რომ იგი მხარეთა შორის 2008 წლის 23 აპრილს გაფორმდა და საქმეში წარმოდგენილი ხსენებული დოკუმენტი არ შეიცავს რაიმე შეთანხმებას სამოქალაქო კოდექსის 403-ე მუხლით განსაზღვრულ პირობებზე. პალატა ყურადღებას გაამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით სააპელაციო პალატამ 411-ე მუხლის საფუძველზე კრედიტორის მოთხოვნა ნაწილობრივ დააკმაყოფილა და ჩათვალა, რომ მას, როგორც საფინანსო ინსტიტუტს უდავოდ შეეძლო მიეღო შემოსავალი ვალდებულების დროულად შესრულების შემთხვევაში და ამ დაშვებით მოვალეს ზიანის სახით 2017 წლის 4 აპრილიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე დააკისრა დავალიანების წლიური 10%-ის გადახდა (გადაწყვეტილების თანახმად, ეროვნული ბანკის მონაცემებით 2016-2017 წლებისათვის სესხის საბაზო საპროცენტო განაკვეთის საშუალო არითმეტიკული დაახლოებით 10%-ს შეადგენდა). ამ ნაწილში მხარეთა მიერ პრეტენზია არ არის წარმოდგენილი და ბუნებრივია, არც საკასაციო პალატა არ შეაფასებს მის კანონიერებას.

1.3.4. რაც შეეხება კასატორის პრეტენზიას პირგასამტეხლოს განსაზღვრის ნაწილში სასამართლოს მხრიდან სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლის არასწორად განმარტების თაობაზე, პალატა მას ნაწილობრივ იზიარებს და აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილებით პირგასამტეხლოს განაკვეთი არ შეუმცირებია: კრედიტორი მოითხოვდა (დაზუსტებული მოთხოვნის თანახმად) მოვალისათვის პირგასამტეხლოს – 1 863 აშშ დოლარისა და 2017 წლის 4 აპრილიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დავალიანების ძირი თანხის 0,03%-ის დაკისრებას. გასაჩივრებული გადაწყვეტილებით პალატამ პირგასამტეხლო განსაზღვრა სწორედ ხსენებული განაკვეთით, თუმცა, ჯამური თანხის ოდენობის შემცირება ისევე, როგორც ამ განჩინების სამოტივაციო ნაწილის 1.3.3. პუნქტში მითითებული ზიანის ჯამური ოდენობისა, გამოიწვია ხანდაზმულობის საკითხის არასწორად განსაზღვრამ.

1.3.5. რაც შეეხება დაზღვევის თანხის დავალიანებას, ამ მხრივ უნდა აღინიშნოს, რომ მართალია, გასაჩივრებული გადაწყვეტილება ამ მოთხოვნის ნაწილში არ შეიცავს მსჯელობას, თუმცა, საკასაციო საჩივრის შესწავლით დასტურდება, რომ კრედიტორი მხოლოდ ამ თანხის დაკისრების მოთხოვნას აყენებს იმგვარად, რომ მას რაიმე ფაქტობრივი პრეტენზია საჩივარში არ მიუთითებია. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილიდან

გამომდინარე კი, საკასაციო პალატა საკუთარი ინიციატივით ვერ შეამოწმებს დაზღვევის თანხის დავალიანების დაკისრების ნაწილში სააპელაციო პალატის მხრიდან შესაძლო საპროცესო დარღვევების საკითხს.

1.4. საქმის იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნების პროცესულურ-სამართლებრივი დასაბუთება:

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, აუქმებს გასაჩივრებულ განჩინებას და რაღაც დავის გადაწყვეტისათვის საჭიროა მტკიცებულებათა დამატებით გამოკვლევა, ამავე კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე (საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები) საქმეს ხელახლა განსახილველად უბრუნებს იმავე სასამართლოს, რომელმაც საქმეში არსებული მტკიცებულებების ყოველმხრივი კვლევის შედეგად უნდა განსაზღვროს არახანდაზმული მოთხოვნის მოცულობა და ამის შემდგომ განსაზღვროს სარჩელის საფუძვლიანობის საკითხი.

2. პროცესის ხარჯები:

ვინაიდან საკასაციო პალატის წინამდებარე განჩინებით საქმის წარმოება არ დასრულებულა, პალატა მიიჩნევს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად (თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც განეულია ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღძვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით), ხარჯების საკითხი უნდა გადანედეს შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღებისას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 412-ე მუხლებით და

და ა დ ბ ი ნ ა :

1. სს „თ-ის“ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილება

და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6
ტელ.: (995 32) 299 82 08
www.supremecourt.ge